

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№17

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

№17

2022

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)
ვახტანგ ბახტაძე
მარეხ ბეჟანიშვილი
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)
ერეკლე საღლიანი (საპატიო წევრი)
თეიმურაზ ნადარეიშვილი
მარსიანი
გიორგი შიშნიაშვილი

წინა ყდა: **ამირანისა და ყამარის შეხვედრა** – მხატვარი – **მარსიანი**

უკანა ყდა: **ზამთრის ვარდები მთაწმინდაზე**– ფოტოხელოვანი – **გიორგი შიშნიაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა 5

პუბლიცისტიკა

იკა ქადაგიძე – ლიტერატურული ჯუნგლების ვენდეტა 7

მითოლოგიური პოემა

ერეკლე საღლიანი – მედეა 26

მოგონება

გივი აბულაძე – ეროსი მანჯგალაძე 27

პოეტური დებიუტი

ბიძინა ფოცხვერაშვილი – ლექსები. 28

ციფრული მემატიანე

გიო კილაძე – რადიო-გადაცემები ბეჭდურად 29

პოეტური დებიუტი

ნინო ივანიძე – ლექსები 32

პროზა

ვანო გელაშვილი – მეარღნე ლუკა 33

პოეზია

სანდრო ნებიერიძე – ლექსები 37

პროზა

დიანა მეტონიძე – ორი სიმპტომი 39

ფანტასტიკა

თამაზ თაბუაშვილი (ტომ ანიგინი) – უადამიანესის დაბადება 41

ინტერნეტსპექტრი

როსტომ შამუგია – პუბლიცისტური ლექსი 43

პოლიტიკური სპექტრი

მარეხ ბეჟანიშვილის რეცენზია – ემზარ ხვიჩიას სტატიაზე: „უკრაინული კონფლიქტი და საქართველო“ 44

ესეისტიკა

თეიმურაზ ნადარეიშვილი – ჰამლეტი (შექსპირული ჩანახატები) 49

თარგმანი

ნინი ქუთელია – სენეკა. ბედნიერი ცხოვრების შესახებ 52

ერთი ლექსის გაელვება

შოთა ნიშნიანიძე, თენგო ავსაჯანიშვილი 58

პოეზია

დარეჯან ლომთაძე – ლექსები 59

პროზა

მარიამ ტოხიშვილი – ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი 60

ლიტერატურათმცოდნეობა

მედგარ ჭელიძე – შეშლილი სკვითელის და განდეგილი მამების ლექსიკონი 61

ღირშესანიშნავნი

იკა ქადაგიძე – გურულ-აჭარული რეპორტაჟი 66

საბავშვო პოეზია

ლამარა ჭანკოტაძე – პატარა კატა..... 68

საიუბილეო სიტყვა

ვახტანგ ბახტაძე – ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა 70

რედაქტორის წინათქმა

რამდენად აისახება მსოფლიო ქარტეხილები კულტურის ხვედრსა და დანიშნულებაზე? ამის გასაგებად მხოლოდ სოციალურ ქსელზე დაკვირვება და ნომენკლატურული, შეკვეთილი პროპაგანდის შეფასება-დახარისხება თუ სათანადოდ გააზრება სრულიადაც არ კმარა; მით უფრო, როდესაც თანამედროვე მსოფლიო დემოკრატიული ლოზუნგების გავრცელების პარალელურად საყოველთაო ცენზურას თვალშისაცემად ამკაცრებს, რაც საბჭოური პერიოდისთვის დამახასიათებელ სახიფათო ტენდენციების განმეორებაა. მაშასადამე, ნეოლიბერალური დემოკრატიის კრიზისი სახეზეა, რომელიც 21-ე საუკუნის ოცწლეულის საშიშ გამოწვევებს ამძაფრებს და ქვეყნებს შორის პოლარიზების მაჩვენებელს განუხრელად ზრდის. ცხადია, ეს ფაქტორი ბოლოდროინდელი, ურთულესი კატაკლიზმების უშუალო გამოძახილია, კოვიდპანდემიის დასრულებისთანავე რუსეთ-უკრაინის შეიარაღებულ დაპირისპირებაში რომ გადაიზარდა; სინამდვილეში ყველა ნათლად აცნობიერებს, რომ ეს შეჯახება მხოლოდ ორ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს შორის გაჩაღებული მორიგი კონფლიქტი კი არა, არამედ მსოფლიოს ახლებური გადანაწილებისთვის გამართული დაუნდობელი ომია, უძველესი ზნე-ჩვეულებების მქონე ქვეყნების თვითმყოფად კულტურასა და მამაპაპურ სარწმუნოებას დამოკლეს მახვილივით რომ დაღერებია; ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა, საყოველთაო დაძაბულობის ჟამს რა გზას დავადგეთ? საქართველოს ამ საერთაშორისო არეულობის ეპიცენტრის ფონზე ომში ჩათრევის დამღუპველი საფრთხის გარდა წლობით დაგროვილი, გადაუჭრელი სატკივარის ხელოვნური გააქტიურებით გადაშენება ემუქრება, თუკი ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოება ჩიხიდან ხელსაყრელ გამოსავალს ვერ მოძებნის; წესითა და რიგით განსაცდელის ჟამს ქვეყნის გულშემატკივარი ხელისუფლება მამულის გადასარჩენად კონსოლიდაციის პარალელურად მეზობლებთან გონივრულ პოლიტიკას უნდა აწარმოებდეს, რაც სამწუხაროდ ჩვენთვის სხვადასხვა ფაქტორთა გამოისობით საკმაოდ ძნელადმისაღწევი მოცემულობაა; ამ დროს მწერლობა სათანადო სიმაღლეს უნდა ინარჩუნებდეს და განგაშის ზარის შემოკვრის კვალდაკვალ ეროვნულ ფასეულობებს განუხრელად იცავდეს, რასაც პარტიულად დაქუცმაცებული კლანები აგრესიულად ეწინააღმდეგებიან. ჩვენ საპირისპირო სურათის მომსწრენი ვართ: რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებისას მავნე პროპაგანდით ატაცებული, „სლავა უკრაინეს“ ბღავილით გონდაბნელებული და სავსებით დეზო-

რიენტირებული ამხანაგი მწერლები მტრული ძალების რუპორებად ლამის ნებაყოფლობით გადაკეთდნენ; ეს გარემოება უარეს საფრთხეს გვიქადის და შეულამაზებლად გვიჩვენებს, ფინანსური კეთილდღეობის ბაცილა რაოდენ ყოვლისმომცველია პარტიულ აჯაფსანდალში, სადაც პირველობის მოსაპოვებლად ეროვნულ ცნობიერბას გააფთრებით ერჩიან; ვინც ნამდვილად პროქართულ ორიენტაციას განეკუთვნება, მათ წინააღმდეგ უცხოელი ზედამხედველების მიერ გაწვრთნილ ფსევდოსამოქალაქო აქტივისტებს“ გეზმიმართულად ამხედრებენ და უსევენ. ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალი “ისინდი“ ამ ქარცეცხლში კვლავ დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და მართალ პოზიციას ინარჩუნებს, რაც ერთ-ერთ პარტიულ ტროლთან უშეღავათო დაპირისპირებისას ნათლად გამოვლინდა. მწერლობა სიმართლის სარკეა და მიმდინარე პროცესების მრავალწახნაგოვან გრადაციებს უტყუარად გიჩვენებს, როდესაც ეროვნულ საქმეს ერის ნამდვილი ჭირისუფლები ღირსეულად შესჭიდებიან. ამდენად, ის დაკვეთილი ისტერიკა, რამაც უკრაინის თემის გარშემო თანამედროვე პროლეტმწერლები შეკრიბა და მტრის დავალების შესასრულებლად დარაზმა, ჩვენი ჟურნალის უახლეს ნომერში ფაქტების მეშვეობითაა გადმოცემული. ბინძური ცილისწამების პარალელურად გამართულმა ლიტერატურულმა პოლემიკამ ნათლად გვიჩვენა მწერლობა რით სუნთქავს, ვის რომელი ბანაკი ურჩევნია, რომ „სლავა უკრაინე “ სოცრეალიზმის ჩამნაცვლებელი მავნე უახლესი პროპაგანდისტული მიმართულებაა, რომლის ფასადს მიღმაც ანტისახელწიფოებრივი იდეოლოგია ინიღბება; და რადგან ნებისმიერ ეპოქაში ეროვნული კულტურის დასაცავად უშეღავათო ბრძოლა წარმოებს, „ისინდი“ ჩვეული უშიშრობითა და პრინციპულობით ავსა და კარგს სათანადოდ მიჯნავს და პოლარიზებული საზოგადოების არსს დაუფარავად ამხელს; აქვე დიდი მადლობა ყველა კოლეგასა თუ პიროვნებას, ვინც ამ უთანასწორო ბატალიებში სიმართლეს მიემხრო და მხარი დამიჭირა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიმართლის ძალა წინაღუდგომელია და ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალი მიმდინარე პროცესებს ცხელ კვალზე ასახავს, აფასებს და განიხილავს, რის გარეშეც სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი აზროვნება წარმოუდგენელია.

მაშასადამე, ჩვენ ისინდურ ტრადიციას არ ვღალატობთ და ცენზურის მიუხედავად სიმართლეს ვემსახურებით, რომლის გარეშე ეროვნული კულტურის შენარჩუნება და დაცვა შეუძლებელია. დაე ღმერთი გვფარავდეს და ძალას გვმატებდეს რათა ჩვენი შრომისა და გარჯის ნაყოფი მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს მუდამ სასიკეთოდ წაადგეს!

21.09.2022.

.

იკა ქადაგიძე

ლიტერატურული ჯუნგლების ვენდეტა

რუსეთ – უკრაინის საბრძოლო ბატალიების ფონზე, რომელიც სინამდვილეში მესამე მსოფლიო ომია, რასაც ამ დაპირისპირების მასშტაბი დაუფარავად ააშკარავებს, ესოდენ სახიფათო ქარტეხილს ელექტრონულ სივრცეში საგანგებო პოსტების ციკლით სისტემატურად ვეხმაურებოდი, თუმცა ამ კონფლიქტის დინამიკის გათვალისწინებით ვრცელი, ყოვლისმომცველი წერილის დაწერა იმ დროისთვის გადავდე, როდესაც ყველაფერს წერტილი საბოლოოდ დაესმებოდა. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი (და არა მხოლოდ ჩემი!) არ გამართლდა და აგერ, უკვე ნახევარი წელია მსოფლიო ამ საომარი კრიზისის საშიში რიტმით ცხოვრობს, რამაც პანდემიით დაზაფრული კაცობრიობის უამრავი კომპლექსი საქვეყნოდ გამოფინა; ცხადია, ხელოვნურად გაჭიანურებული ომის მავნე ზემოქმედებას ვერც მწერლობა ასცდა. შესავალი რომ ძალიან არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: სანამ ამ თემაზე პოლიტიკური შინაარსის პუბლიკაციის დასაწერად ვემზადებოდი, ჩემდაუნებურად ერთი ავყია, პარტიული ტროლისა და მომწერლო ელემენტის, პოეზიარის „პოეტური გვერდი -ს“ დამაარსებლის, თემო ჭახნაკიას ბინძური დასმენისა და ცილისწამების მსხვერპლად ვიქეცი. ეს არაკეთილსინდისიერი არსება, თავისი ბუნებით ბოლშევიკებს რომ იმეორებს და პროლეტმწერლების მსგავსად ვინც ნაც-გირჩ და ლიბერასტულ „დემოკრატიას“ არ ემხრობა, მათ გასაშავებლად თავის აგრესიულ გვერდზე სირცხვილის ბოძზე ბოროტგანზრახულად აკრავს და უხამსად განაქიქებს, დეზინფორმაციის გავრცელებისთვის ამასწინათ ჩვენს ჟურნალში ფაქტებით ვამხილე; ფაქტია, შურისძიებელმა ჭახნაკიამ ეს გარემოება ხელზე დაიხვია, ჩამისაფრდა და ნაცების ზეგავლენით ზელენოკრატად გარდაქმნილმა ანტისემიტიზმში ურცხვად დამადანაშაულა, ჩემი გვერდიდან მოპარული წერილი განგებ დაამახინჯა თავისი ვირტუალური, პარტიული სადამსჯელო გვერდის მეშვეობით, ტროლების დახმარებით ჯვაროსნული ომი გამომიცხადა. მოკლედ, რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად ნაც-ზელენოკრატების „სლავა უკრაინეს“ ოდიოზურ მომხრეთა გამოისობით ლიტერატურული ფრონტის ხაზზე ასე აღმოვჩნდი, რასაც ლიტერატურული ჯუნგლების ვენდეტა პირუთვნელად ასახავს, რომელსაც ვიმედოვნებ კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე საზოგადოება გულმოდგინედ გაეცნობა და ჯეროვან დასკვნას დამოუკიდებლად, ფაქტებზე დაყრდნობით გამოიტანს. ამ მიზნით საერთო სურათის შესაქმნელად ამ ამაზრზენი პროვოკაციის საპირწონედ ამსახველ წერილებს, კომენტარებსა და გამოხმაურებებს ქვემოთ ერთად თავმოყრილს გთავაზობთ, რათა ობიექტური სიმართლე დეზინფორმაციისა და ცილისწამების მორევში არ ჩაიკარგოს და მომავალ თაობას სრული წარმოდგენა გააჩნდეს მწერლობაში ჩანერგილი მომწერლო, პარტიული დივერსანტები ეროვნულ მწერლებს რაოდენ გააფთრებით ებრძვიან, რაც უწინარესად ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ უსიამოვნო სკანდალიდან ნახევარი წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე ლიტერატურული ჯუნგლების შიგთავსი ცხადია, რადიკალურად არ შეცვლილა, თუმცა კლანური გადაადგილებების ფონზე ძიდა ქვედინებების გათვალისწინებით ის კატეგორია, ვინც ჭახნაკიამ ჩემ წინააღმდეგ აიყოლია, გაყუჩდა, მეტიც, ზოგმა ვითომც არაფერი მომხდარა, მოტმასვნაც კი სცადა, რაც ორმაგი სტანდარტის მაჩვენებელია და ადამიანური ბუნების თვალთმაქცობას დაუფარავად ააშკარავებს. ახლახან ჩვენს ერთგულ და გემოვნებიან პუბლიკას „ისინდის“ საშემოდგომო სტარტის აღება ვამცნე და ჰოი საკვირველებავ, როდესაც საიმედო გულშემატკივრების მონონებებისა და გულების გვერდით ანაზდად ჭახნაკიას გულმდუღარე თანამებრძოლის, არშემდგარი კრიტიკოსის, აქტრისა სოფიო ღლონტის „ლაიქი“ აღმოვაჩინე, რაც ტიპური კონფორმისტების მერყეობისა და აკრძალული თამაშების თანმდევი უპრინციპობის სახიერი ნიმუშია. ამ მარადმწვანე მატრონას ყალბ და არათანმიმდევრულ გამოხდომებს ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავ; საერთო ჯამში ამ ბინძურმა პროვოკაციამ თანამედროვე მწერლობის ვაიპატრიოტების მანკიერებები ნათლად გამოააშკარავა, აკაკის გამონათქვამისა არ იყოს, ამისთანა „ჭირისუფლების“ ხელში „ჩვენს მწერლობას ბედი არ უწერია!“ თუ ეროვნული მწერლობის სადარაჯოზე მტკიცედ არ დავდგებით, რაც თავიდანვე დამებედა. 22 წელია ფრონტის ხაზზე მეწინავედ ვიბრძვი. როგორც ჩანს, ჩემი შეუპოვრობა მტრებზე არანაკლებ მოკეთეებს აღიზიანებთ. როდესაც უმსგავსობაზე უმრავლესობა დუმს, პირში წყლის ჩაგუბება არ მჩვევია. ახლაც იგივე განმეორდა და სამშობლოს გამოსარჩლებისთანავე პარტიული ტროლებიც კრაზანებივით დამესივნენ. ყველაზე გულსატკენი ის გარემოება გამოდგა, რომ ამ დაპირისპირებისას ის, ვინც ჩემი საიმედო მოყვარე მეგონა და ჟურნალის საპატიო წევრად ალალად ამიტომ ავირჩიე, რატომღაც ჭახნაკიას ულტიმატუმს აჰყვა და ზურგი დემონსტრაციულად მაქცია. კეთილ ფერიად წოდებული პოეტი და ჟურნალისტი მარინა თექთუმანიძე, რომელთანაც ბარემ 15 წლიანი მყარი, კეთილგანწყობილი ურთიერთობა მაკავშირებდა, ლხინსა და ჭირში ერთმანეთს მუდამ მხარში ვედექით და ზურგს ვუმაგრებდით, ჭახნაკიას პროვოკაციის შემდეგ განუხრელად განმიდგა და მას შემდეგ ჯიუტად მაიგნორებს, არადა, ღმერთია მოწამე, როდესაც თვითონ არაერთი თავდასხმის სამიზნე გამხდარა, მხარს უყოყმანოდ ვუჭერდი და ყოველთვის უპირობოდ ვიცავდი. გულისხმიერი მარინა, რომელსაც კეთილი ფერია თავად შევარქვი, ჩემს გაუნელებელ სამართლიანობას მუდამ დადებით კონტექსტში აღნიშნავდა: იკა ყოველთვის სიმართლეს იცავს და ამბობსო, ეს რამდენჯერ დაუწერია და უთქვამს. ამ ომშიც ორი კომენტარი შემანია, თუმცა ჭახნაკიამ როგორც კი მწარე საყვედური საჯაროდ აჯახა: ებრაელთმოძუ-

ლე ქადაგიძეს როგორ იცავთო, ჩემთან ურთიერთობა აუხსნელად გაწყვიტა, სამაგიეროდ ჭახნაკიას ღვარძლიან და ბინძურ პოსტებს დღემდე აგულებს და გულთბილი კომენტარებით ამარაგებს. მართლაც დაილოცა ღმერთო შენი სამართალი! მტრისგან რა უნდა გეწყინოს, როცა დიდი ხნის მოკეთე, ვისაც უყოყმანოდ ენდობი, ურცხვი ცილისმწამებლის დამუნათებით ზურგს უსინანულოდ რომ გაქცევს, თან თავსაც არ ინუხებს უმართებულო პოზიცია თუნდაც ძველი მეგობრობის ხათრით განმარტოს და განშორებისას ადამიანად ჩაგაგდოს?! არადა, უპარტიო მ. თექთუმანიძე ამ ნიადაგზე გახშირებული დაპირისპირებების ფონზე ყველას კბილებით იცავდა: უთანხმოება არ გამაგონოთ, რაც არ უნდა მოხდეს, ვერავის გავწირავო. მეტიც, ის მატრონები, ეგოცენტრული გამოხდომებითა და აღიარების წრეგადასული წყურვილით გავეშებულნი საზოგადოებას უშვერი გინებით რომ იკლებენ, მისი პროტექტორატის ქვეშ თავს არხეინად გრძნობენ, მარინა თექთუმანიძის გულმოწყალების ხარისხი იმდენად მაღალია. ჩემდა სავალალოდ ერთადერთი მე გამოვდექი უყოყმანოდ გასაწირი „მონა ზანგი," რომელსაც კეთილმა ფერიამ ბედკრული სამშობლოს გამოქომაგება არ მაპატია, აქაოდა ჯანსაღი საზოგადოებისგან ათვალწუნებული ავყია დემაგოგი- ჭახნაკია არ გავაბრაზოო. ამ სტრიქონების დაწერისას გული უსიამოდ მეკუმშება, რადგან მოყვრისგან ამგვარ პროტესტს ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუმცა უფლის გზები შეუცნობელია და დიდი ხნის მოყვარეს მსგავსი რამ რისთვის დასჭირდა, დაე საზოგადოებამ ფაქტების დახმარებით თავად განსაჯოს; რაც მთავარია, მე არაფრის მეშინია, ვინაიდან სინდისი სუფთა მაქვს და ამ პროვოკაციულ ომში ბრალი არ მიმიძღვის, თუკი ბოროტგანმზრახველთაგან საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა მიუტევებელ დანაშაულად არ არის მიჩნეული!

და ბოლოს, როდესაც სიმართლის წყურვილი მხოლოდ ერთეულებს ამოძრავებთ, მსგავსი პროვოკაციების სიხშირეს ბოლო არ უწერია, რაც მოწმობს, რომ საზოგადოების მოქალაქეობრივი შეგნების ხარისხი გვარიანად მოიკოჭლებს და ამ თვალსაზრისით ამხანაგი მწერლები ხალხზე დაბლა დგანან და ხელის დაფარების ანალოგიური მცდელობით დათვურ სამსახურს უწევენ. და რადგან ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალი "ისინდი" დროს ყველა თვალსაზრისით უსწრებს, სწორედ ამიტომ ჯანსაღი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად და გასაძლიერებლად „ლიტერატურული ჯუნგლების" სპეციფიკას დაუფარავად აღვწერთ, რადგან ნებისმიერ ეპოქაში ნამდვილი მწერლობა ადამიანების ზნეობის გასაუმჯობესებლად უნივერსალური იარაღია!

12.09.2022.

იკა ქადაგიძე

ცილისმწამებლური პასკვილის თაობაზე – ჭახნაკიას მოჭახრაკებული საჭინკეთის პასუხად

ყოველდღიურ პოსტებს მეტწილად საღამოს ერთსა და იმავე დროს ვაქვეყნებ. ჩვეულებისთვის არც გუშინ მიღალატია; რედაქტირებისთვის წერილის შინაარსი ხელახლა გადავიკითხე თუ არა, აღმოჩნდა, რომ პოსტები თარიღების მიხედვით ამრევია. ლაფსუსი სწრაფად გამოვასწორე და სტატუსი თემატურად შევცვალე. გამოქვეყნებიდან მხოლოდ 7 წუთი იყო გასული. და უცებ რა ხდება: ჩემი გვერდიდან აღებული მომდევნო დღისთვის განკუთვნილი ჩემი საკუთარი პოსტი პოეზია რის გვერდის ადმინისტრატორმა ბ-მა თეიმურაზ ჭახნაკიამ სასწრაფოდ თავის გვერდზე უნებართვოდ გადაიტანა ცილისმწამებლური სათაურით: ებრაელების მოძულე, რაც ბოროტგანმზრახველობის კლასიკური ნიმუშია. ჭახნაკია რომ პირნავარდნილი დემაგოგი და პროვოკატორია, ყველაზე უკეთ მაშინ დადასტურდა, როდესაც ან გახსვენებული რეზო ამაშუკელისა და ლევან ბერძენიშვილის სახელით შეთითხნილი ყალბი პასკვილები საკუთარ გვერდზე შეუმოწმებლად გამოაქვეყნა და კოლეგის გასაბიაბრუებლად და თავის გასაპიარებლად ხმაურიანი სკანდალი ააგორა. სინამდვილეში ამაშუკელი ლანძღვის ადრესატს არც კი იცნობდა და შესაბამისად, არც კრიტიკული სტატია დაუწერია, ისევე როგორც ბერძენიშვილს. ამ ჩახლართული აფერისა და შურისძიების ფონზე შეთითხნილი ყალბი პასკვილების ანატომია ჟურნალ „ისინდში" 2020 წელს ფაქტების მეშვეობით ვამხილე, რადგან სიმართლის დამახინჯება და კოლეგების ჩაგვრა არასდროს მიყვარს, რაც წიგნიერ საზოგადოებას მშვენივრად მოეხსენება. ლიტერატურულ პროცესებში მონაწილეობისას შეძენილ მრავალწლიან საბრძოლო გამოცდილებას ყოველთვის უსამართლობის აღმოსაფხვრელად მივმართავ, რაც კოლეგების დაცვისა და სოლიდარობის პარალელურად მწერლობის გაჯანსაღების ფაქტორად მიმაჩნია. როგორ გგონიათ „სიმართლის მაძიებელმა ნორჩმა ნატურალისტმა" მაშინვე რატომ ამ მიპასუხა? შეეშინდა და იმიტომ. რკინის არგუმენტებს თავის მორიგ სიცრუეს ასე უაპელაციოდ და თანაც პირისპირ, ვაჟკაცურად, ლიტერატურული წესების მიხედვით აკრძალული ილეთებისა და თავისი ხროვის მხარდაჭერის გარეშე ნაცად კოზირს- ლანძღვა-გინებას ხომ ვერ დაუხვედრებდა. როცა მართალი ხარ, დასამალი არაფერია და ყველაფერს არგუმენტირებულად ასაბუთებ, თუმცა სად ათასი ინტრიგისჭახრაკაგამოვლილი ჭახნაკია და სად კეთილსინდისიერი ლიტერატურული დისპუტი ან თუნდაც მწვავე, მაგრამ დასაბუთებული პოლემიკა, რომელიც ყველაფერს საკუთარ სახელს არქმევს. ჭახნაკიას ტიპის ავანტიურისტი მუდამ მუხანათური თავდასხმის მომხრეა, ისე, როგორც მის მშობლიურ სექტას სჩვევია. ცალკე საკითხია: რას ვერ იყოფ შენს უფროს კოლეგასთან, რომელმაც თავის დროზე გზა დაგილოცა, მხარი დაგიჭირა, როცა სამწერლო ასპარეზზე ობოლივით დაეხეტებოდი და ახალბედას დახმარების ხელს არავინ გიწვდიდა. მოკლედ, უძველესი სიბრძნის სცენარი დროში არ იცვლება.: ვისაც სიკეთეს გაუკეთებ, მეტწილად ის გმტრობს. წლებია ჭახნაკია თავისი ვირტუალური გვერდის მეშვეობით ჩე გევარობას კერპად ეპოტინება, რითაც ლიბერასტული ბომონდის წრეში შეღწევას ჯიუტად ცდილობს, სადაც მისთანა ცხრათოოკში გამძვრალი ქამელეონები კონა ათ შაურად ყვავიან. დღეს რომ მწერალი გირჩისა და „საბას" ფულიხვეჭია მანქურთებს ხოტბას აღუვლენს და ნაცების დესტრუქციული პარტიის აპოლოგეტად მოგევლინება, ცხადია, რისკენ ისწრაფვის, თუმცა როგორც ნატოს ვერ იხილავს მისი ცრუარგუსის თვალი, ისე საბას პრემიას არ ჩაახუტებენ, საამისოდ ნამეტანი წინააღმდეგობრივი და ტოქსიკური ფრუქტია. ეროვნულებსაც კოკეტურად ეთამაშება და ამავდროულად ლიბერასტებსაც ეპრონიალება და იმიტომ. სწორედ ამ აღრევის მეშვეობით თავისთან სერიოზული მწერლები და ავტორები მიიზიდა ნდობის მოსაპოვებელად და ქულების დასაწერად. არადა, ქალბატონების მთელი კოჰორტა პირადში ზურგსუკან მას ცხარედ აძაგებდა: ცივსისხლიანი კარიერისტია, პოპულარობის გამო ყველაფერს იკადრებს, ჩვენ გამოგვიყენა და ახლა გამარჯობასაც არ გვეუბნებაო, მაფრთხილებდნენ და მისგან თავის ძორს დაჭერას მირჩევდნენ. ღიად კი საპირისპიროდ ექცეოდნენ და ფეისბუქდუქანში გულში მხურვალედ იხუტებდნენ.

ესეც ჩვენი რეალობის ორმაგი სტანდარტი, რომლის წინააღმდეგაც მუდამ პირდაპირ ვილაშქრებ, რაც ყველას ბანაკში გაწევრიანებული კოლეგების უმრავლესობას დიდად არ ეპიტნავება. ორმაგი სტანდარტის ფლობის ხელოვნებით კი მოგეხსენებათ, ყველა ავანგარდშია და ჭახნაკიაც უფროსების მარიფათის შემყურე ისე სწრაფად გამოიჯეჯგა და გაყოჩაღდა, ყოფილი მასწავლებლები ჯიბეში ჩაისვა. დროთა განმავლობაში თავის „პოეტურ“ გვერდზე შესაფერისი პუბლიკა შემოიკრიბა(რაც ალხანა, ის ჩალხანა!) და გაუტია რომელია. საეჭვო ელექტორატის ზრდის პარალელურად დაუმცხრალი ეგოს განდიდების მიზნით შემოდგომის ბუზივით იმ მწერლებს კბენდა, ვინც მისი „ტალანტი“ ისე არ აღიარა, როგორც თავად ოცნებობდა; ცნობილებს გადაეკიდა, თორემ უნიგნური ნვრილფეხობის სიმპატია რა სათვალავში ჩასაგდებია, პარნასზე ვერ აგზიდავს, ამისთვის ნიჭი აუცილებელია, მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭი, ინტრიგანული კი არა, რაც სხვა უნუგეშო დანაკარგის ფონზე ასე უხვად მომადლებია ჩვენს პარტიულ რაინდს. გაბედულების ნიჭი ცალკეა, როცა სიმართლეს თამამად იცავ, კი არ იმალები, იბოლმები და ოპონენტს უვიც პარტიულ ჭინკებს კი არ უსევ და ცილს სწამებ, არამედ ელემენტარულ ეთიკას იცავ, რაც მისთვის ჩინური ანბანის ტოლფასია. ასე პიროვნება იქცევა, საეჭვო გვერდის ადმინი ჭახნაკია კი არა, რომელსაც პასკვილების თხზვა და ცილისწამება პროფესიად გაუხდია და ამით ამაყობს, ვინაიდან კარგად ხედავს, რომ მწერლების უმრავლესობისთვის ორმაგი სტანდარტის მიყოლა იავნანაზე მშობლიურია. შესავლის შემდეგ იმ მოტივს დავასახელებ, რის გამოც ჭახნაკიამ როგორც იქნა გაბედა და ცილი დამწამა, აქაოდა ადმინის უბატონოდ ხმას ვინ გამცემს, ყველა თავის ტყავს უფრთხილდება და სოლიდაროობისთვის აბა ვის სცხელაო.

ვენდეტის ამბავი კი ასე დაიწყო: 6 წლის წინ ჭახნაკიამ დაჟინებით მთხოვა თავისი წიგნის რედაქტორობა, როგორც ყველაზე მებრძოლ და მართლისმთქმელ კრიტიკოსსა და მწერალს: მხოლოდ თქვენ გენდობით, შენიშვნებს სიამოვნებით მივიღებ, რაც გამზრდის ამიტომ თქვენებურად გამაკრიტიკეთო. გენიოსსაც მიწოდებდა, რაც ღიად გავაპროტესტე. ამგვარი დითირამბები ახალბედა ავტორებისგან არ მეჭაშნიკება, ვხვდები, ასე რატომაც იქცევიან. მით უფრო, რომ სათანადო შეფასებები სოლიდური მწერლებისგან არ მაკლია, რომ მსგავსი ქათინაურები თავში ამივარდეს და მეგალომანების ურდოს შევუერთდე. ცხადია, ჭახნაკია ელოდა, რომ წინასიტყვაობას დავუნერდი, მაგრამ პოეტი, რომელიც ტაპორია - შორიას რითმავდა, (რუსული სიტყვის, „ტაპორი“ ქართულად ნაჯახს რომ ნიშნავს, მნიშვნელობა არ იცოდა, ეს დელიკატურად ცალკე ვუთხარი) გარდა ამისა ლექსებში ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდა, რაც კრიტიკას იმსახურებდა და რადგან პირველი წიგნი იყო, არ გავიმეტე და ჩემეული გულახდილობით მივუგე, რომ წიგნს წინასიტყვაობას არ დავურთავდი და ჯობდა სხვისი გამონმაურება დაებეჭდა. ასეც მოიქცა. შეცდომები კეთილსინდისიერად ჩავუსწორე, ცხადია, ისე წიგნის რედაქტორობაზე ხელს ნამდვილად არ მოვანერდი, პროფესიონალიზმს ხომ არავის გამო ეღალატება. ახალგაზრდა ავტორმა მადლობა გადამიხადა, მხოლოდ ბოლმა გულში ჩაიდო და წიგნი რომ გამოსცა, არც კი უჩუქებია. 22 წელია ეროვნულ მწერლობას ვემსახურები და ამ ხნის მანძილზე ავი და კარგი ნამდვილად მინახავს, მაგრამ ავტორის მხრიდან წიგნის "მოჟოჟკვის" ფაქტს არ შევსწრებივარ, რამაც განმაცვიფრა., თუმცა არ დავწვრილმანებულვარ. არც კი მიგრძნობინებია, რომ ამ ფაქტმა მისი შურისმაძიებლური ბუნება კარგად დამანახა. მე მწერლობას ვემსახურები და მხოლოდ მათ ვაკრიტიკებ, ვინც ეროვნულ ღირებულებებს ლახავს, პერსონალურად არავის ვეხები, რაც საყოველთაოდაა ცნობილი და ღირსეულ ოპონენტებს არაერთხელ აღუნიშნავთ. ამის შემდეგ ჭახნაკიამ ვირტუალური გვერდი დააარსა და პუბლიკას ანონიმურად ლანძღავდა, რის გამოც უჩივლეს და ორჯერ დაარეპორტეს. საერთოდ არ ვეხებოდი ერთი შემთხვევის გარდა, როდესაც დარიანული თემის საბაბით ცნობილი მკვლევარები: ნინო ჩხიკვიშვილი და ქეთევან ჯერვალიძე უსაფუძვლოდ გალანძღა (ქალბატონ ჯერვალიძეს ახლაც არ ვიცნობ) ქალბატონებს გამოვესარჩლე. და რადგან მის გვერდზე ადამიანები ახდილად ადანაშაულებდნენ უზრდელობასა და ურცხვ პასუხებში, გარკვეული დროის შემდეგ ღიად მოვუწოდე, თავისი ვინაობა ვაუკაცურად გაემჟღავნებინა. აბა ინკოგნიტოდ უფროსი ქალებისა და თუნდაც თანატოლების ლანძღვა რა საკადრისია?! როცა გვერდს აარსებ და ხალხს უზრდელურად ლანძღავ, ვინაობის დამალვა რბილად რომ ვთქვა, სამარცხვინო საქციელია. წესიერი და გამბედავი ადამიანი ასე არ მოიქცევა, ცხადია.

არადა, ჩვენი ვირტუალური გაცნობა მისი მოწადინებით შედგა და ისეთი აღმატებული დითირამბების წყება დამატეხა თავს, შაქრის დეფიციტის დროს ის სიტკბო ხაღდად გამოადგება ნრეგადასული შხამით გადავსებულს. თურმე, წლებია ამ ფარულ გესლს აგროვებდა და ჩასაფრებული თავდასხმის მომენტს გულმოდგინედ არჩევდა. ექს რითმების კავალერი დიდი ხანია სულხან საბას საჭურისი პერსონაჟის, რუქას სიბრძნით ხელმძღვანელობს, სიკეთის წილ „მოუჭირე გველოს“ პოლიტიკას აწვება, აქაოდა მადლიერება საჩემო საქმე არ არისო. ვირტუალური გვერდის დაარსებამ ისე გააყოყოჩა, ხალხის ლანძღვის ფონზე მისი თავხედობით გაბეზრებულმა ადამიანებმა გვერდი ორჯერ დაურეპორტეს, ყველას თავს ისე ამეტებდა და ერის მამის ტიტულს ხაფად ითხოვდა: ზედ გყვებით, გაპიარებთ და დამაფასეთო, ამპარტავნულად იმეორებდა. არადა, თავდაპირველად ამ გვერდს ინკოგნიტოდ მართავდა, რაც არასასურველი ადამიანების ლანძღვისას ჩრდილში ტოვებდა: რამდენიც გინდა იავკაცე, პასუხისმგებლობა მოხსნილია, საქმე რომ იქამდე მივა, უძაღლო ქვეყანაში პოეტებს პოეზია რის გვერდზე რომ ეძებენ, კომენტარი ზედმეტია.

ჭახნაკიას ავკაცობის ამსახველი პოსტი სათაურით; **„ინკოგნიტო ადმინის ცნობა არის ადვილი“** ღიად გამოვაქვეყნე, (2017 წელს) რაც მან უპასუხოდ გაატარა, რადგან ტროლების ფაბრიკა ჯერ კიდევ არ ჰყავდა შემოკრებილი, მის ნაცვლად რომ ებრძოლათ და ნამომსეოდნენ. სხვისი ხელით ნარის გლეჯვა ხომ არაკეთილსინდისიერი ხალხისთვის ყველაზე მომგებიანი პოზიციაა. „ისინდის“ დაარსების შემდეგ ჭახნაკიამ ჩემი ლექსები თავის გვერდზე უნებართვოდ გამოაქვეყნდა. აგრეთვე ჩემი კრიტიკული პუბლიკაციებიც, რაზეც კვლავ მივუთითე, რომ არ მსურდა მის გვერდზე ჩემი ნაბრევის ხილვა. ის კი მაინც თავისას არ იშლიდა, ჯიუტად ცდილობდა ჩემს ველზე თავის დამკვიდრებას. ჩემი დღეობის მოსალოც პოსტებს მაინც აქვეყნებდა. ეთიკას ვიცავდი და მადლობას ვუხდიდი. მას ხომ არ მივბაძავდი, გამელანძღა, თუმცა როგორც ჩანს, ეგონა, ამგვარი ქცევით ნერვებს დამანყვეტდა ან თავისი ელექტორატის რიგებში ჩამრიცხავდა, მაგრამ მისი ნამოქმედარი კარგად მახსოვდა და სათოფეზე ამიტომ არ ვიკარებდი, რაც აცოფებდა და ჩემი ყურადღების მიპყრობას გეზმიმართულად და მაამებლურად ცდილობდა, თითქოს არაფერი

მოხდარა. ერთხელ პირადში მთხოვა, რომ ბლიც ინტერვიუზე დავთანხმებოდი, რაზეც უარი განვუცხადე. ცხადია, საკმაოდ თავაზიანად. მოკლედ, ჩემდამი გაუნელებელი ინტერესი და ყურადღება რომ დისტანციურად გავუქარწყლე, ამას ვერ ეგუებოდა. რეზო ამაშუკელის თემაზე გამოქვეყნებული პასკვილების საქმე ჟურნალში რომ გავახმაურე, აი მაშინ გამძვინვარდა და გადაწყვიტა პოლიტიკური მხრიდან წამომპარვოდა. თანაც გაქანებული ნაცია და მე რომ ნაცქოცეთს ჩემს მწვავე პუბლიკაციებში სისტემატურად ვაკრიტიკებ, ეს ძალზე აღიზიანებს ამ „სამართლიან პასიონარს“, მაშ როგორ! ეგლა აკლია სამშობლო პარტიებზე წინ დააყენოს! წრეგადასულ ამბიციას ცალკე ვერ უმკლავდება და თავის გვერდზე უმეტესობას ამუნათებს: აბა ვინ როდის ამოიღეთ ხმა, როცა საქართველოს სჭირდებოდაო და ა. შ. თან სვეცკებთან ბილწისტყვაობასაც მოშნათ მისდევს, „პრადვინუტობა“ რომ გაინაღდოს. პროტეოსია, სულ სხვადასხვანაირ სახეს აჩენს, სად როგორ სჭირდება, იმის მიხედვით ირგებს ნიღბებს. ამაზე სულ მეცინება, რადგან ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ამ ტიპის არსებაზეა ზედგამოჭრილი. და აი, ოცნება აიხდინა და წლობით ნალოლიავები შურისძიების სცენარი გაათამაშა: ჩემ მიერ აღებული პოსტი ისე უცებ ქურდულად გადაიტანა თავის გვერდზე, თან ცილისმწამებლური ნარწერით ებრაელების მოძულედ გამომაცხადა, რაც სუფთა წყლის პროვოკაციაა და ამისთვის მართლა პასუხისგებაშია მისაცემი ნებისმიერი, ვინც დაუსაბუთებლად გაკერებს ყალბ იარლიყს! ცილისწამების მუხლი ნაცებმა საგანგებოდ ამოიღეს კანონიდან და ეს მედროვე ამით სარგებლობს! და რადგან ჩემი ნააზრევი წიგნიერმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, კეთილი ინებოს და დაამტკიცოს, სად როდის რომელ ნაწარმოებში ვერჩი ებრაელებს! ჩემი რელიგიურ-ისტორიული რომანი **„ვარსკვლავმორბედი“**, რომელიც ცნობილმა მწერლებმა უმაღლესად შეაფასეს, სწორედ ქართველებისა და ებრაელების მეგობრობის თემას ეძღვნება, თუმცა ჭახნაკიას რაც აწყობს, იმას ჭრის და კერავს, აბა სიმართლეს ხომ არ დაწერს! ეგლა აკლია წიგნები წაიკითხოს, ამის დრო სადა აქვს, მაშინ ჭორებსა და სიცრუეს ვიღა ააგორებს?! ფუჰ, მართლა რას არ კადრულობს ის, ვინც წესით უფროსი კოლეგებისგან მაგალითს უნდა იღებდეს. აზრების ასეთი მძვინვარე ცვლა ზუსტად იმის ნიშანია, რომ მედროვე კარიერისტი მწერლუკები ავტორიტეტულ მწერალთან განგებ შეჯახებით ქულებს იწერენ. იმის ნაცვლად, რომ წლების წინ გზა დავულოცე და მისი წიგნის რედაქტირება თავს ვიდე, (იმდენჯერ მთხოვა, უარი მეუხერხულა!) ამ უმადურმა პროვოკატორმა სიკეთის წილ სამაგიერო ასე გადამიხადა, რადგან თავის გვერდზე ნალანძღ ქალბატონებს გამოვესარჩლე და მისი ყალბი პასკვილები გამოვააშკარავე! თანაც დრო როგორ შემირჩია, ლიბერასტული აბრუნდით ანტისემიტად გამომაცხადა, მისი ჭრელი პუბლიკის აზრი არ მაინტერესებს, მაგრამ ის ხალხი, ვიც მე წლებია მიცნობს და მის ცილისწამებას აყვება ან არ გააპროტესტებს, ახლოს აღარ გამეკაროს! რაც თავი მახსოვს, ეროვნულ მწერლობას ვიცავ ამგვარი ანასხლეტებისგან და დროა, ყველამ საკუთარი პოზიცია პატიოსნად გამოხატოს. 1. მოვითხოვ ამ ცრუ ადამიანმა ჩემი პოსტი, რომელიც უნებართვოდ გამოაქვეყნა ცილისმწამებლური წარწერით, თავისი გვერდიდან აიღოს, ეს საავტორო უფლებების დარღვევაა. ცილისწამება კი ცალკე უმძიმესი დანაშაულია და ამისთვის აუცილებლად მოეკითხება. პოპულიზმით დაავადებული პროვოკატორები ყველაფერს კადრულობენ, სინდისი და მადლიერება არ გააჩნიათ და თავისი ურდოს მეშვეობით წვრილმან ანგარიშსწორებას ეწევიან! ეს საზოგადოების ლუსტრაციაა, ამიტომ პოსტი ჩემს გვერდზე საგანგებოდ დავტოვე რათა გამოხმაურებები და კომენტარები წამეკითხა. არც ერთი სოლიდური და ჯანსაღი მწერალი ამ ცილისწამებას არ გამოხმაურებია, თუ რამდენიმე ჩემს მეგობარ კოლეგას არ ჩავთვლი, ვისაც ჭახნაკიას პარტიული ტროლების წყევლის არ შეეშინდა და სოლიდარობა გაბედულად გამოხატა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი, ამ არსებების „იგავმიუწვდომელ სიბრძნეზე“ ვიცინე, ტროლებს რას ვერჩი, ისინი არ მიცნობენ და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზით მცდარ წარმოდგენას აყოლილები ნერვების დასაოკებლად ილანძღებიან. რა ქნან, საამისოდ იმდენი კომპლექსი დაუგროვდათ, ჭახნაკიას გადაგდებულ სატყუარას ლიფსიტებივით აჰყვნენ. ამ საგიჟეთში და სიძულვილის ნიაღვარში საღად მოაზროვნე უცნობების სწორი კომენტარებიც ერია, მთავარი დამრტყმელი ფალავანი კი არც მეტი და არც ნაკლები, ეკლესიიდან განკვეთილი ყოფილი დეკანოზი ილია ჭიღლაძე აღმოჩნდა, რომელმაც დაშნყევლა, სულ პუტინისტი, ნაძირალა და წყეული მიწოდა, ლიბერასტების მიერ დაზომბირებულ ი.ჭიღლაძეს რომ დაენახა, მისი ბოდვების კითხვისას როგორ ვხარხარებდი, ლონდონის რომელიმე პრესტიჟულ ფსიქიატრიულში გააქანებდნენ, კაკულიასავით წყევლამ და ანათემამ რომ არ გაჭრა. პირიქით, ჭახნაკიას ნაც ბანდაში ისეთი პოპულარობა მოვიხვეჭე, ესენი ადრე თუ გვიან ჩემი კაბის სიგრძის გაზომვისა და ფრჩხილზე ნასმული ლაქის თვალიერების გარდა სტატიებსაც ნაღდად წაიკითხავენ, პუტინისტი ნაცისტის აჩრდილის პორტრეტი რომ სრულად წარმოიდგინონ. ანტირეკლამა რეკლამის უკანონო შვილია, მაშ როგორ და არსებობის უფლებას ვუნარჩუნებ. აბა ჭიღლაძის მსგავს ქრისტიანულ ჰუმანიზმს რომ ვავლენდე, აქამდე ჭახნაკიას ნანატრ საბას პრემიას ხომ გავინაღდებდი, ამათთვის დამითმია ლიბერასტული კოზირები სანამ დროა იბაირამონ, დიდი დღე მაინც არ უწერიათ, რადგან მსოფლიო კონსერვატიულ დღის წესრიგზე გადადის და ამ უშეღავათო შერკინებისას ვისაც სამშობლო უყვარს, მის თავისთავადობას ბოლომდე განუხრელად დაიცავს! იმდენი ბრძოლა გამომივლია, ამათი ლიბერასტული შხამი მაკაჟეს, ჭახნაკიას კონტიგენტს რა ჭკუაც მოეკითხება, წყევლასა და ლანძღვაში მკაფიოდ გამოჩნდა, რაც ფეხზე მკიდია. ამათ რომ მაქონ, თავი მაშინ მექნება მოსაკლავი სწორედ. კოლეგების რეაქციაა საინტერესო, ვინ რას წარმოადგენს, სწორედ ამგვარ ომში ვლინდება, როცა ეროვნული ფასეულობების დასაცავად დაუღალავად მებრძოლ კოლეგას, რომლისგანაც ბევრს უანგარო სიკეთე ახსოვს და პირში წყალს იგუბებს ან „სხვის საქმეში არ ერევა,“ ცხადია, ქართული გათიშულობის სენი მორევია, რაც ყველაზე საგანგაშოდ ქვეყნის ბედზე აისახება. ძალა ერთობაშია, თორემ როგორც აქამდე ვიცავდი სამშობლოსა და ეროვნულ ღირებულებებს, მეტი შემართებით დავიცავ, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს, სიმართლე ჩემს მხარესაა, რაც ბრძოლას მავალდებულებს, რათა შინაური და გარეული მტრები მიეჩვივნონ, რომ ნამდვილი ქართველები ეროვნული ინტერესების დასაცავად ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან, სათანადო რეაქციის გამოხატვა კი მათ სინდისზეა, ვინც პატიოსანია და სხვის ძრომას გაგებითა და პატივისცემით ეკიდება. ასე რომ ბრძოლა ბოლომდე საქართველოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე!

კომენტარები:
დიანა მეტონიძე

ფაქტები სად არის? ფაქტებით ისაუბრეთ, თქვენი ცილისმწამებლური სათაური მხოლოდ ააშკარავებს,რომ სუბიექტურ აზრს ეყრდნობით,რაც

სხვა თუ არაფერი, „პოპულარობის" მიზნით ხორციელდება და ჯანსაღი, რეალისტური მსჯელობის დონემდეც კი ვერ მიდის. პოეზიარი-ავტორთა წარმოჩენა. P.S. მგონი გირჩევნიათ ისევ გირჩის ციტატები აზიაროთ, როგორც იკვეთება, კრიტიკა თქვენს სფეროს არ წარმოადგენს.

მარინა თექთუმანიძე: ახლა მე რომ არ მლანძღოთ, წინასწარ გეტყვით ჩემს განწყობას ამ ყველაფრის მიმართ. მიყვარს უკრაინა და ბედნიერი ვიქნები პუტინისა და მისი ხელისუფლების იქ დასამარებით. ნურც ებრაელთა მოძულედ ჩამთვლით. ქართველების მერე თუ რომელიმე ერი მიყვარს, ეს ებრაელი ერია. „ებრაელთა სკოლაში" (67-ე) ვმუშაობდი და დღეს ჩემი უახლოესი მეგობრები ებრაელები არიან. რაც ფბ-ში ვარ, არასოდეს არავინ გამილანძღავს საპირისპირო აზრის გამო. თქვენი ნებაა არ მოგეწონოთ იკას ეს სტატუსი, შეიძლება საპირისპირო აზრიც გამოთქვათ, მაგრამ ამხელა სიძულვილით? ქართველი გძულთ და სხვას შეიყვარებთ? ვიკამათოთ, მაგრამ დავინდოთ ერთმანეთი შეურაცხყოფების გარეშე.

ინგუ ჭუმბურიძე ჭახნაკია: შენ მალავ ჩემს კომენტარებს, მაგრამ შენგან განსხვავებით არ დაუმალავს იკა ქადაგიძეს თავის აზრი. რასაც ფიქრობდა, ის თქვა და ამისთვის საკუთარი „პლატფორმა" ანუ გვერდი გამოიყენა. შენ შემოგივარდა სახლში? გაიძულა წაკითხვა? ვინმე მონიშნა? არა და არა! ჰოდა, მას თუ იმის გამო ამუნათებ, რომ ვიღაც ეროვნების, აღმსარებლობისა და პოლიტიკური შეხედულების გამო, ვერ ან არ მიიღო. შენ რას აკეთებ? იგივეს! იგივეს აკეთებ და, მისი განსხვავებული მოსაზრების გამო, „სახრჩობელაზე" აგყავს ადამიანი და მოუწოდებ შენგან მართულ ბრბოს, რომ აღსრულებაში მოიყვანოს შენ მიერ წამოწყებული საქმე. რის გამო აკეთებ ამას? „ეშმაკის ქვა" წაკითხული გაქვს? „ნატვრის ხე"? ყველამ შენნაირად რატომ უნდა იფიქროს? შენ, მე და ყველა ვალდებული ვართ მივიღოთ იკა ქადაგიძე ან ნებისმიერი ადამიანი ისეთი -როგორიცაა! ამას ვერ აკეთებ? ჰოდა, ამიტომ ხარ ცრუ პატრიოტი! ამიტომ ხარ მოძალადე... ამიტომ!

ლელა მეტონიძე

აქ ებრაელების სიძულვილს ვერ ვხედავ, ის მხოლოდ აღნიშნავს... წერს რასაც ფიქრობს და მიუხედავად ჩემი „შეხედულებისა"ამ უდავოდ განსწავლულ ქალბატონზე თუ რუსებს დავესესხები Лёгкая неприязнь к ней რასაც აქ წერს, სრული ჭეშმარიტებაა!

ქეთი სვანიძე: ბოდიში, ვინაა ებრაელების მოძულე?

ჭახნაკია: მონიშნა მარინა თექთურმანიძე

„უკრაინის პრეზიდენტი ქრისტიანი არ გახლავთ (ებრაელია), ის არც სლავია, რომ რუსებისა და უკრაინელების შეჯახება ადარდებდეს!" - ომის ქარ-ცეცხლია, რომელშიც ქართველებიც ბრძოლობენ და იღუპებიან. ამ დროს, როცა გამოხვალ და იტყვი ხაზგასმით,უკრაინის მთავარსარდალს ფეხებზე ჰკიდია, რომ უკრაინელი ბავშვები და ხალხი იხოცება, რადგან ის არის სლავი ქრისტიანი და არის ეროვნებით ებრაელი იუდეველიო, ეროვნებაზე ხაზგასმა და სიძულვილის გამოხატვა არის წმინდა წყლის ანტისემიტიზმი. ცალკე თემაა მისთვის იაფფასიანი კომენდიანტის წოდება და დაბრალება ,თითქოს ომში ჩართვისკენ მოგვიწოდებდა, ესაა მტკნარი სიცრუე. ამას ემატება საქართველოს დამქცევი მთავრობის ხოტბა, რომელიც კრემლის ინტერესების ღია გამტარებელია და ახალისებს პროპუტინისტური ალტ. ინფოს ლომების მხეცობებს. არცერთი სიტყვა მართლმადიდებელ პუტინზე, რომელიც შეიჭრა მშვიდობიან უკრაინაში ხალხის დასახოცად, ისევე როგორც 2008 წელს საქართველოში. თქვენ კი ამ უსამარცხვინოეს წერილს კითხულობთ და აქეთ გვამუნათებთ, რატომ გამოხატავთ ხისტ გულისწყრომას წერილის ავტორისადმიო, ესაა ბუნებრივი რეაქცია ღირსეული ადამიანებისგან. არცერთი სიტყვა არ გითქვამთ მის ამ ამორალურ საქციელზე, ყველაფერი მოგეწონათ, დასაგმობი არაფერია შიგ? ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

ნანა ობოლაძის კომენტარი:

გუშინდელი კომენტარი აღარ ჩანს აქ გავიმეორებ-ბრალდება ებრაელთმოძულეობის ამ წერილის მიხედვით გაუმართლებელია და მაინტერესებს, რატომ ასეთი არამართებულობა?! მწერლობა ყოველთვის ემსახურება სიმართლეს ნათელი თვალითა და სუფთა გულით. მართალია ლიბერალური ქარიშხალი მძვინვარებს, მაგრამ კონსერვატორ მწერალს, ეროვნულ ღირებულებათა დამცველს ფესვები ღრმად აქვს გადგმული - როგორც იკა ქადაგიძეს და ეს ქარიშხალი ვერ არხევს. მწერალი პოლიტიკურ თამაშს როდიდან თამაშობს? დღეს რომ ჩვენი ერი დანაწევრებულია უამრავ პოლიტ. პარტიად, ერთმანეთს უსმენენ, ერთმანეთს უპირისპირდებიან და მტრად ეკიდებიან, ესაა საგანგაშო და ვისაც ეს ქვეყანა თავისად მიაჩნია, ამ თემას წუხს და მით უფრო ხელოვანი და მწერალი. და აქ რა ხდება? ვის წისქვილზე ასხამთ წყალს? რა სირცხვილია! რას ჰგავს ეს ყველაფერი?!

გიო შიშნიაშვილის კომენტარი(წაშლილი) იკა იმდენად ღირსეული პიროვნებაა, ღლიცინით ვერაფერს დააკლებთ. წერილის წაკითხვით თავი არავის შეუწუხებია, ისე ტყუიან, ამის ნაცვლად ჯობდა წერილი წაეკითხათ და აზრი სხორად გამოეტანათ.

22 მარტი, 22:24-ზე

37თქვენ, კახა შალამბერიძე, გიო შიშნიაშვილი და 34 სხვა

30 კომენტარი

კახა შალამბერიძის კომენტარი:

მე ერთი ვიცი, სწორედ ეს **„სამარცხვინო ბოძი" - მოვლენა, როგორც ასეთი, არის საბჭოთა!** რა უფლება გაქვს ვინმე გააკრა, ვინ გაგამწესა მსაჯულად... ყველაზე დიდი უსამართლობა, (უსამართლობამ გადამაწყვეტინა ამ კომენტარის დაწერა) ამორალიზმი ისაა, როცა მოძალადე, კაცთმოძულე გიკითხავს მორალს!!! ძალადობის, სიძულვილის დაგმობის უფლება გაქვს მანამდე, ვიდრე ძალადობის სურვილი თავად არ გაგიჩნდება!!!. რაც იქ ვნახე, ეს არის ტიპიური ძალადობა და სიძულვილის ენა, აღარ ვლაპარაკობ, გარეგნობაზე ჩაცმულობაზე ქილიკს, რაც სწორედ მათ ხდით სასაცილოდ, ეს არის წარმოუდგენელი ამორალიზმი, მითუმეტეს ქალზე ქალების მხრიდან! სწორედ ესაა, ნეობოლშევიზმი, ფსევდოლიბერალიზმი, ლიბერალური ფაშიზმი, რაც აგრერიგად დამახასიათებელია დღევანდელი ვითომლიბერალებისთვის - გაუთავებელი ლაპარაკი „ბულინგზე" თავად „მებულინგეებისგან", იარლიყების მიკერება, სიძულვილი... დიახ, იარლიყების მიკერება და ეს, „ებრაელთ მოძულე" რა არის, თუ არა იარლიყის მიკერება?!, თან თავშივე მითითება! ეს ხომ პირდაპირ მოწოდებაა, აი საზიზღარი, მიდით მიესიეთო! არადა ტექსტში სულ სხვა რამაა, ავტორმა მიუთითა ეროვნება, იმისთვის რომ გაეხსენებინა დედაბრის შესანირის ცნობილი იგავი... შეიძლება ვიდავოთ კონტექსტის კორექტულობაზე, არაკორექტულობაზე, მაგრამ ვიდაოთ ადამიანურად! თუმცა ეს არაა მთავარი, მთავარი ისაა, რითიც დავინყე... ცალკე თემაა, ახალგაზ-

რდა კაცისგან, მასზედ უფროსი ქალბატონის ასე ეგრეთნოდებულ „სამარცხვინო ბოძზე" გაკვრა... მიუგდო ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს, რა დამნაშავეც არ უნდა იყოს, გავეშებულ შეპყრობილებს, ვიმეორებ შეპყრობილებს საჯიჯგნად, ჩასაქოლად ეს არაადამიანურია, მაგრამ კაცისგან ქალის ასე გამოჭენება, არაა კაცური, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ... მე გულწრფელად ვურჩევდი აიღოს ის პოსტი და საბჭოური, ეს რაღაც „სამარცხვინო ბოძი" და მორჩება ეს დავაც... უნდა მორჩეს... ჩვენ წინ ბევრი ქარტეხილები და განსაცდელები გველის ერთად!..

არ ვაპირებდი ამ თემაზე აღარაფრის თქმას, მაგრამ რახან მომნიშნეთ, ვალდებული ვარ გიპასუხოთ **(ჭახნაკიას მომხრე ქ-ნს, ესთერ ჯანაშვილს მიმართავს)**... პირველი ის, რომ „სამარცხვინო ბოძი" შეიძლება კი არა, ძალიან ცუდად ჟღერს და არავის, არავის აქვს უფლება გადაწყვიტოს და გააკრას ვინმე ამ ბოძზე... მითუფრო თავისი გემოვნებისა და შეხედულებების მიხედვით... და თქვენ რატომ ენდობით ბრმად ამ ცალმხრივ აზრს ინფორმაციის მისაღებად? იქნებ შეცდომით განვდით?.. მაგალითსაც მოგიყვანთ აქვე: ვნახე და იმ სამარცხვინო ბოძზე გაკრულია აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, საქართველოში ერთერთი განათლებული და ღირსეული პიროვნება, ზვიადის თანამებრძოლი და ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი, რომელმაც ბოლომდე უერთგულა და რა? სამარცხვინო ბოძზეა იმიტომ, რომ პოლიტიკური შეხედულება არ ემთხვევა თქვენსას? ამის გამო? რომ მიშა არ უყვარს და არ ეთაყვანება? მოიცათ, დემოკრატია რა არის? განა ისრაელში ასეა, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო ვინმეს სამარცხვინო ბოძზე აკრავენ? არა მგონია, ხომ ხედავთ აპრიორი შეცდომაში შეიძლება შეგიყვანოთ თქვენმა ინფორმატორმა... ახლა მეორე, თემოს კაცთმოძულეობაზე, თუ სწორად წაიკითხეთ კომენტარი, მე თემოზე არ ვამბობ ამას, მე იქ მეკომენტარეებზე ვლაპარაკობ, რა გარეგნობა და ჩაცმა, ქალი ჯვარს აცვეს, რა არ უთხრეს და თუნდაც იგივე, პოლიტიკური შეხედულების გამო ვის აქვს უფლება? ეპაექრე, ედავე, ეპოლემიკე, მაგრამ ღირსებით!!! და თუ ვინ ემსახურება ეროვნულ საქმეს, ესეც ცალმხრივად მისადგომია? ანუ მე რომ თემოსგან პოლარულად განსხვავებული აზრი მაქვს, მე ვის ვემსახურები თქვენი აზრით? არაეროვნულს?... არაა ასე, ჩემო ესთერ და არც ისეა, რაც ბრძანეთ, სამარცხვინოაო ჩვენი პოზიცია... ახლა მე რომ ავდგე და გითხრათ, სამარცხვინოა ისრაელის პოზიცია, როცა სანქციებს არ ეუერთდაო, მართალი ვიქნები?! ვინ მთელი მსოფლიო, ჩამოგითვალოთ რამდენი ქვეყანა არ შეუერთდა სანქციებს? ვერ დავტევ... ჩემმა პატარა ქვეყანამ ბევრი გაიღო, სწორედ ამის ახსნას ცდილობდა იკა ქადაგიძე და ამიტომ გაუსვა ებრაელობას ხაზი, როცა დედაბრის შესანირი ორი ლეპტის მაგალითი მოიყვანა... ზოგს მოსწონს მთავრობა, ზოგს არ მოსწონს, მერე რა? ისრაელშიც ასე არის მე მგონი და არ უნდა გიკვირდეთ... ახლა კი, ომის დროს უნდა გადავდოთ მოწონება არ მოწონება და ერთად ვიყოთ... რასაც ვერ ვხედავ სამწუხაროდ... როცა მხარეს წარმოადგენ, ვერ ხარ ობიექტური, როცა, იმ ბოძის არ იყოს, ინფორმაციას ვიღებოო? ვერ იქნები ობიექტური...კაცმა ორივე მხარე უნდა მოისმინოს და მერე გააკეთოს დასკვნა, ოღონდ ობიექტური განწყობით და არა წინასწარვე სუბიექტურად შემართულმა... და ნახავთ რომ სულაც არაა მთელი მსიოფლიო ისე როგორც ოპოტელევიზიები გვეუბნება, მათ ჩართვაშიც კი რამდენიმე ლაფსუსი გაეპარათ... თემო ჭახნაკიაზე კი მე ის ვთქვი, რომ ქალი ასე გამოაჭენოს, გააკრას, მიუსიოს, ეს რა არის? რა ქვია ამას? გეკითხებით, ახალგაზრდა კაცისგან მოსაწონია ეს?! არა, ქალებს ასე არ ექცევიან... და ბოლოს, „სამარცხვინო ბოძი" სამარცხვინოა, არავის არა აქვს ამის უფლება, საბჭოურია ეგ!.. მე და თქვენ ხალხს ერთი მსაჯული გვყავს მხოლოდ!.. პირდაპირობაა ზუსტად დასაფასებელი, რის მიტევებასაც ითხოვთ

Ester, არა მგონია მართებული იყოს, ქალბატონი იკას გვერდი ჩვენ საპოლემიკო ველად გავიხადოთ, ამიტომ მხოლოდ ერთს გიპასუხებთ, ჩემთვის ქალი - დედა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მას განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ვეპყრობი, ასე გამზარდეს, ასე მასწავლეს და ასე ვასწავლი მეც ჩემ შთამომავლებს... და ერთიც, საჯარო პირიო, მოდი, ახლა მე რომ ავდგე და კონტექსტიდან ამოვგლიჯო ამავე წერილიდან თქვენი სიტყვები, როგორც მე მაწყობს და მერწმუნეთ, ამის ნიჭი მაინც მაქვს, თავსართად დავურთო, უფრო ზედა თავსართად კი „ქართველთმოძულე" ან რაიმე მსგავსი და ჩემ გვერდზე ამ ფორმით განვათავსო, სახელწოდებით „სამარცხვინო დაფა" ეთიკური იქნება? დამიჯერეთ გამოჩნდება ხალხი, ვინც სასწაულ კომენტარებს დადებს, ეს არ იქნება ხალხის მოსევა?.. და მე არ ვამბობ რომ ვინმე ხელშეუხებელია, მე ვლაპარაკობ ფორმაზე...

P. S. პირადში მიპასუხეთ, არ მძინავს...

გაზიარებულია აუდიტორიასთან „საჯარო"

მარეხ ბეჟანიშვილი

ამბავი ცუდად მოკვარახჭინებული ცილისწამებისა (გაზიარებული საკუთარ ფეისბუქ გვერდზე)

ქართველების დიდ ნაწილს კონსტრუქციული და არგუმენტირებული კამათი რომ არ შეუძლია, არც ახალია და არც გასაკვირი. წაკითხულიდან შინაარსის გამოტანაც დიდ პრობლემად არის ქცეული, რადგან სხვისი აზრი საერთოდ არ აინტერესებთ. თუმცა, წაკითხვასა და შინაარსის გამოტანას ვინ ჩივის, არც კი კითხულობენ ტექსტებს, ისე მიაწებებენ ხოლმე საკუთარი განწყობებითა და რწმენა-წარმოდგენებით შექმნილ იარლიყს. სამაგიეროდ, ურთიერთბრალდებები, ცილისწამება, ლანძღვა-გინება, წყევლა და გაქილიკება გამოსდით „შესანიშნავად".

რატომ დამჭირდა ეს შესავალი? - გუშინწინ პოეზიარის გვერდის ადმინისტრატორმა თემურ ჭახნაკიამ თავის გვერდზე უნებართვოდ გამოაქვეყნა ცნობილი მწერლის, მებრძოლი კრიტიკოსისა და ჟურნალ „ისინდის" რედაქტორის, იკა ქადაგიძის პოსტი. სტატუსების უნებართვოდ გაზიარება ვის უკვირს სოციალურ ქსელში, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან იკამ თავისი გვერდიდან პოსტი 7 წუთში აიღო, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის არევის გამო. ამასობაში კი თემურ ჭახნაკიამ ტექსტის დაკოპირება მოასწრო. გამოდის, რომ ჩასაფრებული იყო. მან იკას ტექსტს წინ ცილისწამება წაუმძღვარა, თითქოს იკა ებრაელების მოძულეა, დასამოწმებლად კი კონტექსტიდან ამოგლეჯილი წინადადება მოიყვანა მისივე ტექსტიდან.

უნდა გენახათ, ეს „ებრაელების სიძულვილზე აღშფოთებული" მისი დამქაშები კომენტარებში როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქართველთმოძულეობაში! საერთოდ, მავანთა მხრიდან ქართველების სიძულვილი და უშვერი ლანძღვა კარგახანია „პრადვინუტობად" და სამშობლოს ერთგულებად ითვლება; ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველთა დიდი ნაწილი მთელს ძალასა და ენერგიას ხარჯავს თვისტომის ლანძღვა-გინებასა და წყევლა-კრულვაზე, მის მიმართ აგრესიისა და ღვარძლის ფრქვევაზე,

ცილისწამებასა და იარლიყების მიწებებაზე, მაშინ, როცა ქვეყნისთვის სასიკეთო და სასარგებლო საქმეებზე ან შეგნებულად დუმან, ან გააფთრებით ცდილობენ ამ საქმეების დაკნინებასა და გაუფასურებას. განსაკუთრებით ეროვნული ცნობიერების ხალხს ერჩიან, რომელთაც ნამდვილად უყვართ საკუთარი ქვეყანა და ამას საქმითაც ამტკიცებენ, და რომელთათვისაც უცხოა ორმაგი სტანდარტები. იკა ქადაგიძის წინააღმდეგ აგორებული ცილისმწამებლური კამპანია კი ყოველგვარ ზღვარს იყო გადაცილებული. სწორედ ამის გამო ვეხმაურები ამ ინციდენტს, რადგან ვინც იკას იცნობს, კარგად იცის მისი პირდაპირობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის ამბავი. მას არასოდეს სჩვევია ზურგს უკან საუბარი და ვინმეს სალანძღავად ხალხის გაქეზება, სათქმელს ყოველთვის პირში ეუბნება ოპონენტს და ყოველთვის ურყევად დგას ეროვნულ პოზიციაზე სიტყვითაც და საქმითაც, რაც ამ „პრადვინუტებს" აღიზიანებთ.

ჩემთვის ყოვლად გაუგებარი და მიუღებელია, რას ემსახურება ეს ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებები და საკუთარი განწყობების სხვაზე მიწერა იმ მიზნით, რომ სხვების საშუალებით გაუსწორო ადამიანს ანგარიში და ამისთვის ყველაფერი იკადრო.

საერთოდ, ვისაც თავისიანი სძულს, მისი მხრიდან სხვების სიყვარული და გულშემატკივრობა ჩემს თვალში ფარისევლობაა.

დროა, ასეთ სამარცხვინო ქმედებებს ბოლო მოეღოს და საზოგადოებამ საკადრისი პასუხი გასცეს ცილისმწამებლებსა და წამქეზებლებს, რათა ნამდვილად დემოკრატიულ და სამართლიან სახელმწიფოში ვიცხოვროთ და არა ფსევდოდემოკრატიულ, სიძულვილით გაჯერებულ გარემოში, რომლის ატანაც უკვე შეუძლებელია.

23.03.22.

გთავაზობთ მარსიანის ახალ წერილს, რომელიც სოციალურ ქსელში გარკვეულ მიზეზთა გამო არ აქტიურობს, თუმცა მან საგანგებო სტატია მოამზადა ახლახან იკა ქადაგიძის მიმართ აგორებული ცილისმწამებლური კამპანიის პასუხად, რომელსაც მისი თხოვნით ვაქვეყნებ. (გაზიარებული იკა ქადაგიძის ფეისბუქ გვერდზე)

მარსიანი

ცილისწამებითა და დასმენით ჭახრაკობა

(გამოხმაურება პოეზიარის ადმინისტრატორ თ. ჭახნაკიას პასკვილზე)

მინდა გამოვეხმაურო არაჯანსაღ აჟიოტაჟს ცნობილი მწერლისა და გამორჩეულად მებრძოლი კრიტიკოსის იკა ქადაგიძის ერთ-ერთი წერილის გარშემო, რომელიც პოეზიარის ადმინისტრატორმა თემურ ჭახნაკიამ ჩუმად, უნებართვოდ თავის გვერდზე გადაიტანა წარწერით „ებრაელების მოძულე". ვინც იკას შემოქმედებასა და პიროვნებას იცნობს, მისადმი ასეთი ბრალდების წაყენება სრულიად წარმოუდგენელია. მე კარგად ვიცნობ იკას მრავალწლიან საბრძოლო პერიპეტიებს, რომელთაც ის ეროვნული მწერლობისა და ტრადიციული ღირებულებების დასაცავად უკომპრომისოდ ანარმოებს. სწორედ ამიტომ მას ქართული მწერლობის ჟანა დ'არკი უწოდეს. მე, როგორც იკას თანამებრძოლი, ჩართული ვარ ამ პოლემიკებში და მიუხედავად არაერთი მწვავე დაპირისპირებისა მისი ოპონენტების მხრიდან, ასეთი, ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული უსამართლო ბრალდება აქამდე არავისგან მსმენია: ეს, პირდაპირ უნდა ითქვას, დასმენის ტოლფასი განაცხადია, როგორსაც ძალიან ხშირად მიმართავდნენ თვით ბ-ნ ჭახნაკიას მიერ არაერთგზის „ჩაქოთილი" ბოლშევიკ-ჩეკისტი კრიტიკოსები.

საინტერესო იქნება იმის გარკვევა, თუ რა მოტივით დაუპირისპირდა ასე დაუნდობლად ბ-ნი ჭახნაკია იმ მწერალს, რომელსაც, წესით, დიდ პატივს უნდა მიაგებდეს, ჯერ ერთი, როგორც გამორჩეულად აღმატებულ შემოქმედს ქართულ ლიტერატურაში და მეორეც, პირადად მასზე ამაგის მქონეს: იკა ხომ მისი პირველი წიგნის რედაქტორობას უყოყმანოდ დასთანხმდა. მე მახსოვს, რომ მისი ინიციატივით მოხდა შეხვედრა და გაცნობა იკასთან და ჩემთან, და როგორი მოკრძალებითა და აღფრთოვანებით მოგვმართა ამ ახალგაზრდა კაცმა - "თქვენ, გენიოსმა მწერლებმა, დიდი პატივი დამდეთ, დრო დამითმეთ და მხარდაჭერა გამოხატეთ ჩემისთანა ყველასათვის უცნობი ახალბედას მიმართო".

მართლაც, მისი ნაწერები ერთობ დილეტანტური იყო. არადა, სოციალურ ქსელში თავის თავს „რითმების კავალერი" შეარქვა და ამ სტატუსით აქვეყნებდა ლექსებს, რომლებიც მეტისმეტად მოიკოჭლებდა სწორედ რითმებში (და არა მარტო რითმებში), ბარბარიზმებითაც იყო გაჯერებული, და ამიტომ, იკას ამ ტექსტების გვარიანი ჩასწორება მოუხდა. პირდაპირ რომ ვთქვათ, წინასიტყვაობის დაწერა იკას მიერ გამოირიცხა ამ ლექსების საერთო დონის გამო. როგორც ჩანს, იკასთან მისი დაპირისპირების მოტივი აქედან იღებს სათავეს;

მე მშვენივრად მომეხსენება, რაოდენ უშურველ დახმარებას უწევდა იკა წლების განმავლობაში თავის კოლეგებს ლიტერატურული საღამოების მოწყობით, რადიოგადაცემებში მიწვევითა და პოპულარიზაციით, აგრეთვე საქებარი კრიტიკული სტატიებით. და რაკი იკას ზედიზედ გამოცემულმა სამმა კრიტიკულ-ესეისტურმა კრებულმა თავისი სიმწვავით, სიმართლითა და პროფესიონალიზმით დიდი აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა ლიტერატურულ წრეებში, ბევრ კოლეგას, მანამდე მისგან არაერთგზის დავალებულს, მადა ჭამაში მოუვიდა და უნდოდათ, იკასთვის დამახასიათებელი ავტორიტეტული შეფასებებით სრულფასოვნად განმზადებულიყვნენ საპარნასედ.

დღეს ჩვენს ლიტერატურას არნახულად მოეძალა დილეტანტიზმი და პროვინციალიზმი, და რაც უფრო მაღალია ამ სანუკვარ თვისებათა ხარისხი, მით უფრო ზღვარდაუდებელია მარგინალთა ამბიციები: იმდენად დიდია აზარტი საოცნებო ორბიტაზე გასვლა-დამკვიდრებისა, უკვე ყოველგვარი მორალური ბარიერის გადალახვა ხდება მავანთა მიერ: ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ავტორმა თავის მიერ არჩეულ რედაქტორს, რომლის ლექსებსაც თავის გვერდზე საკუთარი სურვილით განათავსებდა და გენიალურს უწოდებდა (რაც იკამ გააპროტესტა კიდეც), საბოლოოდ არცკი აჩუქა მისი რედაქტორობით გამომავალი წიგნი! რას მოწმობს ეს ყველაფერი? არ ჰგავს ეს ბოღმის გულში ჩადებასა და წლობით ტარებას და ყოველ მარჯვე შემთხვევაში ჩასაფრებულის პოზიციიდან შურისძიებლური აქტის განხორციელებას?

სოციალური ქსელი ამგვარი მოღვაწეობისათვის ფრიად ხელსაყრელი სივრცეა და ბ-ნმა ჭახნაკიამ მწერლებისა და მკითხველების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად 2016 წელს დააარსა თავისი გვერდი „პოეზიარის" სახელწოდებით. თითქმის ერთი წლის განმავლობაში იგი ინკოგნიტოდ მართავდა ამ გვერდს და საკმაოდ ბევრი პიროვნება შემოელანძღა. ინტერნეტსივრცის სავალალო თავისებურება ის არის, რომ ყველას ეძლევა საშუალება, ანონიმურად გაუსწოროს ანგარიში თავისთვის არასასურველ პერსონებს და თვითონ უსაფრთხოდ დარჩეს

ჩირგვებში შემალული. იკამ, როგორც რედაქტორმა, კარგად რომ იცნობდა მისი წერის მანერასა და ლექსიკას, ამ, რბილად რომ ვთქვათ, თვალშისაცემად არათავაზიან და არაკეთილსინდისიერ ადმინში ადვილად ამოიცნო ყოფილი რითმების კავალერი და სპეციალური პოსტით **„ინკოგნიტო ადმინის ცნობა არის ადვილი"** ამხილა იგი (ეს სტატუსი იკამ თავის გვერდზე 2017 წელს გამოაქვეყნა). ურყევი ფაქტების წინაშე ბატონმა ჭახნაკიამ თავი ვერ იმართლა და იძულებული გახდა, „პოეზიარის" გვერდზე საკუთარი ვინაობა გაემჟღავნებინა, მაგრამ ყოველივე ამის გამო მას კიდევ უფრო გაუმძაფრდა ანტაგონიზმი მართლისმთქმელი და შეუპოვარი მსჯავრმდებლის მიმართ, თუმცა ღიად დაპირისპირებას მაინც ვერ ბედავდა.

ყოფილი რითმების კავალერის ვირტუალური გვერდი „პოეზიარი" მისი ფარული კომპლექსების კვაზიტირანულ სივრცედ იქცა და შეწუხებულმა ინტერნეტმომხმარებლებმა, რომლებმაც მისგან არაერთგზის იწვნიეს უსაფუძვლოდ ქედმაღლური, შეურაცხმყოფელი თავდასხმები, ადმინისტრაციასთან ეს გვერდი ორჯერ დაარეპორტეს და გააჩერებინეს, თუმცა გვერდის ზომიერებადაკარგულ მეპატრონეს ამან ჭკუა მაინც ვერ ასწავლა და მისი სამფლობელოს მარგინალიზაცია მეტად დაჩქარდა: როგორც დემოკრატიულ დასავლეთში შეიჭრნენ ველური მიგრანტები, ამ გვერდზეც ისე მოიყარეს თავი ნაირგვარმა გაურკვეველმა სუბიექტებმა, სხვადასხვა პარტიულ სექტებს მიკედლებულმა ქალბატონებმა, ცხოვრებაში ხელმოცარულობის გამო აგრესიით შეპყრობილებმა, ბილნსიტყვაობის მოყვარულმა კაცებმა, ნაციონალური მოძრაობის, გირჩისა და მევახშეთა პარტიის მეხოტბეებმა და მომხრეებმა, ყველგან რომ დაძაბულობის შექმნა სურთ და ა. შ. ამგვარი ხალხის მოძალებამ ჯანსაღად მოაზროვნე ავტორები შეავიწროვა და მათი რიცხვი შეამცირა. და ეს ყველაფერი განგებ კეთდებოდა, რათა ამგვარი დესტრუქციული ელემენტების მეშვეობით ჭახნაკია თავისთვის არასასურველ პერსონებს გასწორებოდა აკრძალული ილეთებითა და ხროვისთვის დამახასიათებელი განურჩეველი სისასტიკით. ეს კონკრეტული ცილისწამება სწორედ ამის დასტური გახლავთ. მსგავსი ინსინუაციები რომ პოეზიარის გვერდისთვის გამონაკლისი არ არის, თუნდაც იმ ფაქტის გახსენება იკმარებს, რომ ერთ ინტერნეტბატალიაში ცნობილი პოეტის, რეზო ამაშუკელის სახელს ამოეფარნენ, თითქოს ის აკრიტიკებდა ორთაბრძოლაში ჩაბმულ ერთ-ერთ მხარეს (არადა აწ განსვენებულმა ბატონმა რეზომ მაშინ განაცხადა, საერთოდ არ ვიცნობ კრიტიკის ობიექტსო).

ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში სწორედ ზემოხსენებული ტიპის დესტრუქციული ელემენტები მონაწილეობდნენ, რომლებიც თავიანთ კომენტარებში ფაქტების მოტანის ნაცვლად რაღაც გაუკუღმართებული პერვერსიული განაცხადებით ოპერირებდნენ. სერიოზული მწერლები თუ საერთოდ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები ამ ვაკხანალიაში არ ჩართულან, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. თუმცა ისიც ხაზგასასმელია, ზემოთხსენებული ჩაურევლობა და წაყრუება ამ მახინჯი მოვლენებისადმი პილატეს ნელთბილ პოზიციას წააგავს და ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი კრიზისის გამომხატველია. განა იკა ქადაგიძე ამგვარ შემთხვევებში მათ მსგავსად იქცეოდა და ვინც დასაცავი იყო, მთელი თავისი შესაძლებლობებით არ იცავდა? განა ესაა მწერლური სოლიდარობა და ორმხრივი ურთიერთმხარდაჭერა? ესაა იმ მრავალწლიანი ამაგის გამოძახილი, რაც კოლეგების მიმართ იკას გამოუჩენია, საპასუხო მადლიერების გამოხატვა? იკას თავისი ლიტერატურული მიღწევებისა და აღიარების საპირწონედ შეუძლია გულმშვიდად იყოს და თავისი წარმატებებით დატკბეს, მაგრამ როცა ქვეყანას ასე უჭირს, ჩვენი კლასიკოსების მსგავსად გამუდმებულ ბრძოლაშია ჩართული ეროვნული ფასეულობების დასაცავად. ამიტომაც დააარსა ყველაზე მებრძოლი და ეროვნული ჟურნალი "ისინდი", რომელსაც მისი წევრები თვითონ ვაფინანსებთ ჩვენი მწირი შესაძლებლობებით, რათა რომელიმე პოლიტიკურ ძალას არ მივეკედლოთ და პოლიტიკოსების დირექტივებით კი არა, საკუთარი ეროვნული შეგნებით ვიხელმძღვანელოთ, რაც, როგორც ჩანს, კონფორმისტულად განწყობილი მწერლების უმეტესობას გულზე მწარედ ხვდება, რადგან თვითონ მსგავსი ძალისხმევისთვის არც გაბედულება, არც სურვილი და ალბათ არც შეგნება გააჩნიათ. პოეზიარის ბოსმა საკუთარი რესურსის სიმცირე რომ გაიცნობიერა და ბელეტაჟიდან ცათამბჯენს რომ ვერ შესწვდა, დამხმარე ძალად მოიხმო ევროპული მასშტაბით მოდერნიზებული ექსდეკანოზი ი. ჭიღლაძე, რომელიც ამჟამად ლონდონშია ჩასანგრებული: აქ წარმოგიდგენთ ამ დემოკრატი მამაოს ფრაზეოლოგიას, რაც მან თავისთვის სრულიად უცნობი (მახდილოსნის) მისამართით გააჟღერა: **„ავადმყოფი, ნაძირალა, წყეული, პუტინოიდი და პუტლერისტი (ნახეთ რა სიტყვათქმნადობაა!), ნაცისტკა ხარ!"**

არაერთხელ გამკვირვებია, თანამედროვე ულტრალიბერალური ლექსიკა როგორ ერთიერთში ემთხვევა ლენინურ-ტროცკისტული ბოლშევიზმის ლექსიკას, ეს ჭეშმარიტად "ნულოვანი ტოლერანტობის" კლასიკური გამოვლინებაა, აგრერიგად რომ დაგვამახსოვრა თავი არცთუ შორეულ წარსულში, და რომლის მობრუნება ჭახნაკია-ჭიღლაძეებს ესოდენ ეოცნებებათ და ეთნევათ!

აქ მოყვანილი ფაქტები, როგორიცაა ცილისწამება, სხვისი ნაწერის უნებართვოდ სხვაგან განთავსება და გაყალბება, შეურაცხმყოფელი გამოთქმები, დაუნდობლობა პიროვნების მიმართ განსხვავებული აზრის გამო, ყველა ნორმალურ ქვეყანაში სამართლებრივი თვალსაზრისით დასჯას ექვემდებარება. სხვათაშორის, წინა ხელისუფლებამ კონსტიტუციიდან კანონის ის მუხლები ამოიღო, რომლებშიც ცილისწამებისა და სამშობლოს ღალატისათვის მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული, დღევანდელმა ხელისუფლებამ კი ეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედება არ გამოასწორა, რაც, პრაქტიკულად, დაუსრულებელი განუკითხაობისა და დაუსჯელობის სინდრომის არსებობას განაპირობებს და დესტრუქციულ ელემენტებს ხელფეხს უხსნის ქვეყნისა და ერის საზიანო ქმედებათა განსახორციელებლად. რატომ უნდა განიცდიდნენ მუდმივ პრესინგებსა და ბულინგებს ამგვარ ელემენტთაგან ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები, რატომ არავინ იღებს ხმას, როცა ასეთი რამ უკვე სახიფათო სიხშირით ხდება ქვეყანაში? საქართველო ხომ ჩვენი საერთო სამშობლოა და როდემდე უნდა ეწირებოდეს მისი კეთილდღეობა ერთმანეთს დაპირისპირებული ძალების ვიწროპარტიულ ინტერესებს?!

ქართველებო, ვიკმაროთ ამდენი ურთიერთგაუტანლობა, თორემ დავით გურამიშვილის პოეზიიდან ცნობილი, ერთმანეთთან მოჩხუბარი ორი მამლის ბედი არ გავიზიაროთ, ორივეს რომ ძაღლმა ჰკიდა პირი, და საკუთარი თავის გასაპიარებლად შექმნილი ვირტუალური სივრცეც ოხრად არ დაგვრჩეს!

P. S.

ბ-ნი თ. ჭახნაკია ჩემს ნაწერებსაც უნებართვოდ დებდა თავის გვერდზე, რაც მგონი არ უნდა იყოს ეტიკეტის მიხედვით გამართლებული: მე ხომ

უნდა მკითხონ, მაქვს თუ არა სურვილი, ამა თუ იმ სალიტერატურო სივრცეში ჩემი ტექსტების განთავსებისა. უმადურობაში რომ ბრალი არ დამდონ, აქვე მინდა მადლობა მოვახსენო ბატონ ჭახნაკიას მისი ერთი პოსტის გამო, რომლითაც ჩემი ლექსების კრებულის: **„ლომის ზოდიაქოს"** გამოცემასა და მის პრეზენტაციას გამოეხმაურა, მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ მის ტექსტში ერთი ფრაზა დაზუსტებას მოითხოვს. აი, ეს ფრაზა: „მოდით, დააფასეთ ერთი კარგი ადამიანის წყალობით გამოიცა გია ბენიძის წიგნი". ჯერ ერთი, ამ წიგნის გარეყდაზე ავტორი მოიხსენიება არა როგორც „გია ბენიძე", არამედ „მარსიანი". მაგრამ ამას მოვეშვათ, რაც მთავარია, ის "ერთი კარგი ადამიანი", რომლის ძალისხმევითაც გამოიცა ჩემი წიგნი, სწორედ იკა ქადაგიძე გახლავთ. იკას დამსახურებაა, რომ ჩვენი ბათუმელი ავტორის, პაატა სურმანიძის (ფსევდონიმით „პოეტ პოეტიშვილის") აქტიური ჩართვით დამფინანსებელი გამოუჩნდა ჩემს წიგნს - ისრაელში მცხოვრები ქალბატონი, პოეტი ჯენი ჩხეიძე.

ახლა ვიკითხოთ, რა განზრახვით დამალა ბატონმა ჭახნაკიამ იმ „ერთი კარგი ადამიანის", ანუ იკა ქადაგიძის ვინაობა თავის ვითომდა კეთილმოსურნე პოსტში: ამგვარ შემთხვევებში ხომ პირიქით ხდება და კეთილი, მადლიანი საქმის სულისჩამდგმელს მაქსიმალურად წარმოაჩენენ. ასეთი შეგნებულად ნახევარტონებში გამოვლენილი „მხარდაჭერა", რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოდ გამოიყურება და შეფარული მიზნის მაპროვოცირებელ ქმედებას ნააგავს... მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

მარსიანი
23.03.2022

იკა ქადაგიძე
23 მარტი, 22:47-ზე·

დღეს სწორედ იმ წერილს ვაქვეყნებ, რომელიც 7 წუთში მოიპარეს, დაამახინჯეს და ცილისწამების, ბრალდების იარაღად მევე შემომიბრუნეს. იგი ახლაც უნებართვოდ დევს „პოეზიარის" გვერდზე" და 16 პირს უკანონოდ აქვს გაზიარებული, რაც სულ მცირე, ცილისწამების კვალდაკვალ საავტორო უფლებების სრული ხელყოფაა. ჩემს უმწვავეს წერილთაგან ყველას თავისი განუმეორებელი საბრძოლო ისტორია გააჩნია, თუმცა **„ქვრივის ერთი ლეპტა"** სახარების იგავისეული სათაურით როგორც პირდაპირი, აგრეთვე სიმბოლური მნიშვნელობით ყველაზე მასშტაბურად ავლენს უზნეო და ღმერთდაკარგული ადამის მოდგმის ბოროტგამზრახველობას, რასაც უდანაშაულო ადამიანები გამიზნულად ეწირებიან. ომი ყველგან და ყველასთან კი დაუშვებელია, ვინაიდან ბოლო სიტყვა უფალს ეკუთვნის. ჩემი წერილის თავგადასავალი მოწმობს რაოდენ აღრეულია ფასეულობები და სულიერ კრიზისში მყოფ კაცობრიობას გულმოწყალება და სიყვარული რამდენად აკლია, რამდენად დაუოკებელია სიმართლის მთქმელის გამეტების ხარისხი, რამდენად სასტიკია მავნე პროპაგანდით დაზომბირებული ბრბო, რამდენად გამარგინალებულია ჯამბაზად ქცეული ხელოვანების უმრავლესობა, რამდენად მიუღებელია კონფორმისტული საზოგადოებისთვის მებრძოლი პიროვნება, ვისთვისაც მარადიული ღირებულებები ფასეულია და მათ დასაცავად ბოლომდე მედგრად იბრძვის. რამდენად ყალბია და ძალადობრივი ლიბერასტული დემოკრატია, რომელიც განსხვავებულ აზრს ცეცხლითა და მახვილით ძირკვავს და ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს რეპრესიებს უწყობს.

ლიბერალიზმი რომ ბოლშევიზმის ტყუპისცალია, გონებაგამჭრიახი, გაბედული და კეთილსინდისიერი მოაზროვნეები დიდი ხანია ამის თაობაზე შეთანხმდნენ. ზუსტად 100 წლის წინ პროლეტარმა მწერალმა იაკინთე ლისაშვილმა კლასიკოსი მწერალი და მამულიშვილი მიხეილ ჯავახიშვილი რასისტული თეორიის ქადაგებაში დაადანაშაულა და იმდროინდელ პარტოკრატებთან არაერთგზის დააბეზღა. 37 ხლის რეპრესიები კარს იყო მომდგარი და მიზანში ამოღებულ „არასაიმედო თანამგზავრ" ჯავახიშვილზე ჩეკა კბილებს ილესავდა. პროლეტპროვოკატორმა ლისაშვილმა ბუმბერაზ შემოქმედსა და თავგანწირულ ერისკაცს დრო ზუსტად შეურჩია და ბეჯითად დაასმინა. ის ამგვარად შემორჩა ლიტერატურის ისტორიას... და რადგან შესავალი გამიგრძელდა, მრავალტანჯულ წერილს გთავაზობთ, რომელიც ნაც, გირჩ და მევახშეთა პარტიულმა სექტანტებმა მეორედ მოსვლად აღიქვეს, თუმცა კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ბრძენ ნინაპრებს უთქვამთ და რადგან დღესაც სამშობლოს სიყვარულსა და დაცვას კრძალავენ, ეს მეტად მავალდებულებს ჩემი მრავალჭირგამოვლილი საქართველო დავიცვა, მსოფლიოს მშვიდობა ვუსურვო და ყველაზე წინ მამული დავაყენო. „საქართველო უპირველეს ყოვლისა" ვისაც გულს არ უძგერებს, ამ წერილის წასაკითხად ამაოდ ნუ მოცდება...

ქვრივის ლეპტის მადლი

ომმა უამრავი სპეკულაციის წყარო წარმოშვა, რაც ადამიანური ბუნების რთულ წინააღმდეგობრიობაზე მიუთითებს. და მაინც ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი-კრიტიკულ ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნისა და მისი მოსახლეობისადმი გამოხატული მართებული პოზიციაა. დრო ამ საკითხის აქტუალობას ჯეროვნად გამოკვეთს, თუმცა სანამ ფრონტისთვის თანმდევი ვნებათაღელვა დუღს და განსაცდელში მყოფი ადამიანების მოუთოკავ ემოციებს მავანნი თავის სასარგებლოდ ირგებენ და ათამაშებენ, ერთი „დეტალის" დაზუსტება აუცილებელია, რათა „დემოკრატიული" დასავლეთის მიერ მართულ გეიმემორანდუმზე ხელმომწერი პარტიების უსინდისო და უსაფუძვლო ბრალდებებს ობიექტური პასუხი გაეცეს. ნაცროვა და მისი სატელიტები ჩვენს მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს ხომ დღეიადაგ თავის უცხოელ ბოსებთან აბეზღებენ, ოღონდ ძალაუფლება კვლავ ხელში ჩაიგდონ და უფსკერო ჯიბეებში დიდძალი ფინანსები ჩაიჩხრიალონ. მოკლედ, ეს დესტრუქციული ძალა შემოდგომიდან მოყოლებული (ნაცების ბელადის აქ შემოპარვა სწორედაც ამის მაჩვენებელია!) საქართველოში მეორე ფრონტის კერის გახსნას გააფთრებით ცდილობს და ოცნების მთავრობის ამჟამინდელ დაბალანსებულ პოლიტიკას ხელაღებით გმობს. უკიდურესად დაძაბულ ფონზე მთავრობის მხრიდან უკრაინაში გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარებების სერია საგანგებოდ ნაყრუებულია. ვინც ომის გაჩაღებას ითხოვს, მას გულში რაც უდევს, ცხადია. ეს იგივეა, ნაბან წყალს ბავშვი გადააყოლო. სიმართლე მტერსაც არ უნდა დაუკარგო. სწორედ ამიტომ ფაქტები ცხადყოფენ, რომ უდიდესი წნეხის ქვეშ მოქცეული ოცნება სწორად იქცევა და საქართველოს დამღუპველ ომში ჩათრევას ეწინააღმდეგება. ეს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვაა, რაც სხვის ხარჯზე საომრად აღერღილი დასავლეთისა და მისი აქაური გოშიების გაავებასა და უსასრულო რისხვას იწვევს. ამიტომ საგანგებოდ იჩქმალება ის სოლიდარული აქტები, რაც ამ პერიოდში უკრაინის დასახმარებლად ხორციელდება მაშინ, როდესაც ზელენსკი ხაზგასმული უპატივცემულობით გვექცევა, მთავრობასა და ხალხს ამრეზით ულრენს, ოდიოზურ ულტიმატუმებს უყენებს და მხოლოდ ნაცების პარტიას ეხმატკბილება.

მოკლედ, საქართველოს სახელწიფოდ კი არ მიიჩნევს, საომარ პოლიგონად განიხილავს, რომელმაც მტერს თავი უპირობოდ უნდა შეაკლას, თანაც ისე, რომ ზეპირ მადლობასაც არავინ უწყალობებს! ამას გვავალდებულებენ რა ხანია... პოლიტიკურ ჭრილს რომ თავი გავანებოთ, ცალკე საკითხია: ჩვენ-ქართველობამ ამ იაფფასიანი კომედიანტის უსაფუძვლო გულისწყრომა რით დავიმსახურეთ? გასაგებია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ქრისტიანი არ გახლავთ (ის არც სლავია, რომ რუსებისა და უკრაინელების შეჯახება ადარდებდეს!) და ქვრივისა და ერთი ლეპტის იგავი არ წაუკითხავს, სადაც ქრისტე აცხადებს, რომ მდიდრების მიერ გაღებულ საბოძვარზე გაცილებით მნიშვნელოვანი უკანასკნელი ლეპტაა, რასაც შეჭირვებული ქვრივი მოყვასის დასახმარებლად უანგაროდ და თავის საზარალოდ გასცემს. აქედან გამომდინარე, ნაცების მომხრეებო, თანამგზავრებო და ფეხის ხმასაყოლილო უნიჭო სნობებო, თუ თქვენი ქრისტიანობა ფასადურ ხასიათს არ ატარებს, კარგად შეიგნეთ და შეისმინეთ, რომ საქართველოს მიერ გამოვლენილი სოლიდარობა უკრაინისადმი სწორედაც სახარების ამ იგავის ტოლფასი ქმედებაა, რასაც მამონას ოქროს კვერთხის ეშხით ასე ჯიუტად უგულებელყოფთ და ძალავთ. მოხალისეების თემაზე აღარ ვსაუბრობ. როგორც გაირკვა, პარტიზანულ რაზმებში ქართველების რიცხვი ყველას აჭარბებს. ერთი მუჭა ქართველობა აქაც ავანგარდშია! მეტი რა გნებავთ?! ეს სტატისტიკაც არ გაკმაყოფილებთ და საქართველოს ამ ჯოჯოხეთურ ომში უყოყმანოდ გადაშვებისკენ მაინც ჯიუტად მოუწოდებთ, რაც ჩვენს გენოციდს მოასწავებს. 2 მილიონიც აღარ დავრჩით, წესიერად რომ გამოხშირო და უკანასკნელ კაცამდე სხვას ხომ არ შევაწყდებით?! რაო, ეს არ გსმენიათ? პირიქით, ყველაფერი საგულდაგულოდაა გათვლილი და ქართველების წმენადას ამიტომაც ითხოვთ სხვის კარზე დაწინაურებული მაღალანაზღაურებადი მანქურთები! კეთილი ინებეთ და გვიპასუხეთ: ამდენ ომგამოვლილებს სამარის კარამდე ვინ გვდია?! სიმართლე ჯიუტად ღაღადებს: ჩვენ არასდროს არავინ დაგვხმარებია და ამის მიუხედავად ყველაზე მეტ სოლიდარობას ვიჩენთ და დაჩაგრულებს უშურველად ვეხმარებით, რასაც ვიმედოვნებ- ამ უმადური, სულგაყიდული ავანტიურისტებისგან განსხვავებით უფალი აუცილებლად შეამჩნევს და სამშვიდობოს გაგვიყვანს, უძველესი ქრისტიანული ქვეყანა რომ გადარჩეს და დროთა განმავლობაში მართებული პოლიტიკის წყალობით სათანადოდ გაძლიერდეს და ოდინდელი დანიშნულება დაიბრუნოს...

22.03.22.

47თქვენ, გიო შიშნიაშვილი, დიანა მეტონიძე და 44 სხვა

16 კომენტარი

იკა ქადაგიძე

არსებობს ერთი ღრმაშინაარსიანი რომანი: **„სიცრუე და ჯადოქრობა“**, რომელიც დიდი ირანელი მწერლის (სხვათა შორის ნობელიანტია და თანამედროვე მწერლებისგან განსხვავებით აწ გაუფასურებულ პრემიას თავის დროზე ნამდვილად იმსახურებდა), ნოდუშანის კალმის ნაჯადოქრალია და ეჭვიც არ მეპარება, ჩვენი წიგნიერი საზოგადოების თვალთახედვის არეში ვერასდროს მოხვდება. პანდორას ყუთის გადამკიდე კოლეგებს სხვისი ნააზრევის წასაკითხად სად სცალიათ, გასული საუკუნის თვალსაჩინო აღმოსავლელი ავტორი ფეისბუქზე დაარსებული ჩეკისტური „პოეტური გვერდების“ ადმინების მითითების გარეშე დამოუკიდებლად აღმოაჩინონ და დააჭაშნიკონ. მთავარი მათი „ნაღვაწის“ უსასრულო გაპიარებაა, სხვები, თუნდაც კლასიკოსები, დაე წყალსაც და მეწყერსაც წაუღია, რაც ნაკლები იცი, უკეთ გძინავს პრინციპს კონფორმისტული სიმდგრადით მისდევენ. მთავარი ამოჩემებული ობიექტისთვის ბრბოს ძიქსევის ორგანიზებაა და რადგან კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზის მეშვეობით მტრის ხატი ცნობილია, პარტიული ტროლების ფაბრიკა აგნიასდა და ამყრალდა რომელია! აქ ამოფრქვეული ვერდიქტების სერია ნებისმიერი კალიბრის ფსიქიატრებისთვის უნიკალური მასალაა, თანაც უფასოდ!

მოკლედ, კვაზიბესო ჟღენტის ჩეკისტური პოეზიის გვერდზე განთავსებული ხროვის კომენტარებს რომ ვეცნობოდი, სხორედ ეს წიგნი გამახსენდა, ვინაიდან დიდი მწერალი თავისი თანამედროვე პოეტების გალერეის შექმნისას მათ ისე ახასიათებს, ტოლსტოის საკმაოდ ხისტ და მტკივნეულად მძაფრ შეხედულებასაც აჭარბებს. რუსი კლასიკოსის ცნობილი გამოთქმის თანახმად ხომ მწერლები ამქვეყნად ყველაზე საზიზღრები არიან, მათში სიძულვილი იმდენად მძლავრობს და ა. შ. ზუსტ ციტატას თუ დაგუგლავთ, ეგებ იქ წააწყდეთ. და რადგან ოკუპანტის ხსენება ნაცქოცურ ორბიტაზე კონიუნქტურულად არასახარბიელო და სარისკოა დასავლეთიდან დაძალებული უკრაინიზაციის გამო, თქვენის ნებართვით კვლავ ირანელ კლასიკოსს დავუბრუნდები, რომელიც თავისი ქვეყნის პოლიტიკურ-ლიტერატურული შრეების აღწერისას სხვადასხვა საზოგადოების ფენების დახასიათების ფონზე ყველაზე მაღალ ელიტას-სახელოვნებო ნრიდან-კერძოდ, პოეტებს ჯალათებად მოიხსენიებს და ამას ისე ვირტუოზულად ახერხებს, აღტაცებანარევი სარკაზმს გულიდან ვერაფრისდიდებით ამოირეცხავ. რომანის დინამიკური შინაარსი გვამცნობს, ეს ზემოდან ნებადართული პოეტები თავიანთ მსხვერპლს მისივე ახლობლის ხელით როგორ კლავენ და ამას იმდენად მზაკვრულად მოიმოქმედებენ, ამის წაკითხვა სწორედაც ერთ რამედ ღირს. კლასიკა კლასიკაა, რაც პოლიტიკურ ორიენტაციებად დაყოფილ ამხანაგ მწერლებს პირწმინდად ავიწყდებათ. ყველაზე საინტერესო „დეტალი“: პოეტების დაუნდობლობის აღწერისას სახელოვანი შემოქმედი მრავლისმეტყველ ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს გვთავაზობს: დეტალურად ყვება ორგანიზებული დანაშაულის დაგეგმვის დროს მეთაურის ბრძანებების შემსრულებელი ქალები როგორ სისასტიკეს ავლენენ. არადა, ვინც ჩვენს დღევანდელ ოდიოზურ პაექრობებს აკვირდება, სწორედ ეს ფაქტორი ეცემა თვალში: გავეშებული, სახედაკარგული მდედრებისა და გადედლებული ნაკაცრების ნრეგადასული აგრესია, სხვისი აზრის მიუღებლობა, პათოლოგიური ეგოცენტრიზმი, ცუდმედიდობა და სიძულვილი, გამეტების ხარისხი და ნრეგადასული ბილნიტყვაობა, სიბეცე და სრული უვიცობა, რაც არაადამიანობის უპირველესი ნიშანია. უახლესი პარალელი-ცილისწამების თემას ასე რომ ეხმიანება: რაც იმ ყოველმხრივ ორიენტაციადაკარგულმა არსებებმა პოეზია რის გვერდზე იკადრეს, სწორედაც ამგვარი ავადმყოფური კომპლექსების გამოძახილია; ჩემი მხრიდან დავამატებ: რადგან ინტერნეტსკინჰედებს ფეიქებით სარგებლობა უყვართ რაოდენობის ხელოვნური გაბუქვის მიზნით, არც იმ „წვრილმანს“ გამოვრიცხავ, ქალების ნიკს ამოფარებული დაკომპლექსებული ქალაჩუნები სხვისი სქესის საფარველქვეშ რომ აქტიურობდნენ რათა სქესთა შორის არსებული ანტაგონიზმის თემა ცალკე აეგორებინათ, მოძველბიჭო ტიპების „გაიასნების“ კვალდაკვალ თუმცა „ქალური შურის“ მაგალითები კაბის სიგრძის გაზომვის, ფრჩხილის ლაქისა და ბოლოს ტრილიაჟის (რომელიც სხვათა შორის არც თუ უხარისხოა მათი ნაბოდ-

ვარისგან განსხვავებით) საკითხით მანიპულირება ეს ხომ ამ ჭ კლასის გვერდის მესვეურთა მდაბიობასა და სულმოკლეობას ადასტურებს, ისევე, როგორც განკვეთილი ვითომ სასულიერო პირის ისტერიული ნყევლა. ვერაფერს იტყვი, სარომანედ მაგარი მასალა, ეგაა, ეს ქიმიური ნარჩენები ისე მრავლადაა, მათი გაუკვდავება მოსაბეზრებელია, პოეზია რის ერთ-ერთი დამქაშთაგანი ნლების წინ ამგვარი სცენარებით ახდილად ამაყობდა: სამიზნედ ცნობილ და ავტორიტეტულ მწერალს ვირჩევთ და ელექტორატის მრავალრიცხოვნების წარმოსაჩენად ფეიქებით თავად ვაქტიურობთ, რომ ხალხს შევაძულოთო; ჰოდა, ის 160 არსება, ცილისმწამებელმა რომ ძლივს შეაკოწინა და მომასია, ვინძლო 15, ჰა.ჰა 20 ქალადგადაცმული მიზანტროპი კაცი; რაო ვითომ ასე „გართობას" იუკადრისებენ თუ სინდისი შეაწუხებთ. დღეს დემოკრატიული არჩევანი ხომ სქესის გაუკულმართების მოთხოვნას თავს გვახვევს და ეს „პრადვინუტები" ამ საქმეში აშკარად პიონერები არიან. პიონერი ჯალათი პოეტები თავისი დედალ-მამალი თუ ლგბტ ხროვით, თვალისდაუხამხამებლად სასიკვდილოდ რომ გაგიმეტებენ. მართალია ნოდუშანი, იმდენად მართალი, რომ დაუსრულებელი ნეგატივით დაზაფრულ მტერ-მოყვარეს ვუფრთხილდები და შესაფერისი ციტატების დამოწმებას თავს ვარიდებ. ვინაიდან უამრავი ნიუანსის ერთბაშად გათვალისწინება თვით ტროლების ფაბრიკის ჩეკისტებსაც არ გამოსდით... ნელთბილებს რაც შეეხებათ, უზადო ანალიტიკური ნიჭით გამორჩეული ირანელი მწერალი მათ შესახებ რას წერს, ეს კეთილი ინებონ და ამხანაგმა კოლეგებმა თავად გაარკვიონ. რაც ისეირეს, ეყოთ; ეგაა, ყველა ჩვენგანს საზღაურის გადახდა მოგველის, რასაც ზოგი ღვთის, ზოგი კი ემმაკის წინაშე ვერ აიცდენს...

როსტომ შამუგია

წერილი გამოქვეყნდა ბ-ნ როსტომ შამუგიას ფეისბუქ გვერდზე

24. 03 21 სთ.

შავს ლუდსა,წითელ ღვინოსა
განა სუყველას სმა უნდა...

ფრიად უარყოფითად ვაფასებ ცნობილი მწერლის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსის-იკა ქადაგიძისადმი აზვირთებულ კამპანიას, რასაც სათავე გაუჭრა ახალგაზრდა პოეტ თ. ჭახნაკიას ინსინუაციით დახუნძლულმა წერილმა...

ეს ყურით მოთრეული „ფაქტი" ჩემთვის გახდა საცნაური ინტერნეტსივრცის მეოხებით და უნდა გამოვტყდე-დიდად გაოგნებული დავრჩი, უფრორე იმის გამო, რომ ქალბატონ იკას ბრალდება ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული, ისტორიულად მეგობრული ერისადმი სიძულვილი...

იკა ქადაგიძისადმი წაყენებული ვაგლახად გამომცხვარი ეს „ბრალდება" მისი უშველებელი უსაფუძვლობის გამო, რბილად თუ ვიტყვით, ძალუმად უმართებულოა და უსუსური, უფრო უკეთ კი - სიცრუეა...ამადაც, ამ დიატრიბის გასაბათილებლად დახარჯული დრო (თუნდაც წუთები), დასტურ მენანება...

ჩიტი ბდღვნად ხომ უნდა ღირდეს...

რაც ჩემი საკმაოდ ხანმოთეული თავი მახსოვს, მუდამ ვიყავი სიმართლისა და სამართლიანობის ქომაგი შეძლებისდაგვარად... ალბათ, ჩემი ხასიათის ამ თავისებურებამაც განაპირობა - ორიოდე ფრაზით ჩემი მორალური მხარდაჭერა ეგრძნო ქალბატონ იკას, ოლონდაც, კვლავ და კვლავ, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე...

აქვე, ბარემ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ იკა ქადაგიძე სხვათა შემწეობისა თუ ქომაგობის გარეშეც, მისი მაღალნიჭიერი პოლემისტური უნარის მეოხებით, იოლად ისტუმრებს მტერსა თუ მოყვარეს, ბარე ორი ათეული ნელიწადია და ეს ცნობილი ფაქტია ლიტერატურული საზოგადოებისთვის... და თუკი მაინც მოვინადინე ორიოდე სიტყვით იკასადმი თანალმობა, მერწმუნეთ, რომ ეს მარტოოდენ კორპორაციული ნამუსიანობის გამოხატულებაა და სხვა არაფერი...

ვსარგებლობ სიტუაციით და ერთ ფრიად ნიშანდობლივ მომენტზეც მსურს ყურადღების მიქცევა- ვინც ასე თუ ისე, თვალს ადევნებს ლიტერატურულ პროცესებს, უთუოდ ყველა დამემოწმება, რომ ბოლო ორი ათეული ნლის განმავლობაში იკა ქადაგიძემ სამწერლო სარბიელზე თავი გამოიჩინა, არამარტო ნიჭიერებით, არამედ მებრძოლი პატრიოტული პოზიციით, სამართლიანობისა და ჰუმანისტური იდეალებისადმი პატივმდებლური დამოკიდებულებით, პრინციპებისა და ფასეულობათა გულდაგულ დაცვითა და ერთგულებით, რაც ესოდენ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ზოგადად, შემოქმედის მოღვაწეობაში...

სწორედაც, იკა ქადაგიძის ამ მრავალწახნაგოვან პიროვნულ თვისებათა (ღირსებათა!) გათვალისწინებით, კატეგორიულად და პრინციპულად ვგმობ იკას მიმართ ინტერნეტსივრცეში განფენილ დიატრიბას, რომელიც საფუძველშივე კანთიელად მცდარია და ვფიქრობ, ქვებუდანობას უფრო უხდის ხარკს, ვიდრე საკაიკაცო ზნეშეუმუსვრელობას, რის დეფიციტსაც საზოგადოება განიცდის, ჩვენდა დიდად სათავზაროდ...

.....

P. S.... და ეს ყოველივე ორმაგად გულსაწუხარია, რამეთუ, შენივე ახალგაზრდა კოლეგა, შენ მიერ მისდამი გამოჩენილი კეთილგანწყობის სანაცვალოდ,ფინთი აბრუხდებით გიპირისპირდება...საწუხარია ესე ყოველი, მეტიც, სამარცხვინოცაა...აკი, ამადაც გვმოძღვრავდა გენიოსი:- ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...

.....

მარეხ ბეჟანიშვილი: მარსიანის წერილი ჩემს კედელზე გამოვაქვეყნე, სადაც კი არ გალანძღა თემურ ჭახნაკია, არამედ გააკრიტიკა. მასაც შეუძლია კონსტრუქციული კრიტიკით გამოეხმაუროს. მეც გამოვეხმაურე მის პოსტს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არავის გავუქეზებივარ; იმიტომ გამოვეხმაურე, რომ იკაც ჩემი მეგობარია და „სიმართლეც ჩემი მეგობარია". რაც შეეხება იკას იმ წინადადებას, რომელიც კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი, ანტისემიტიზმი რატომ უნდა ამოეკითხათ, როცა კონკრეტულად ერთი პიროვნების შესახებ არის ნათქვამი? ვინც განწყობებს მოიშორებს და ობიექტურად წაიკითხავს, თავადაც მიხვდება, რომ ერთ ადამიანს ეხება და არ განაზოგადებს.

თქვენ და 8 სხვა

18 კომენტარი

ზაზა მალულარიას კომენტარი „პოეზა რის" გვერდის დანიშნულებაზე

* ვატყობ, რომ **„სლავა უკრაინი"**-ს ბღავილი და გულზე მუშტების ბრაგაბრუგი ძაან ტრენდული და პონტური გახდა საზოგადოების ერთ ნანილში. ასევე ტრენდული გახდა ფრაზები: –„აბა მივჩმორდეთ?! პუტინს ერთი ადგილი მივცეთ?! ქართველ მეფეებს რომ მასე ეფიქრათ, ახლა ვიარსებებდით?! ზელენსკი გმირი არაა?!" და ა.შ. ჯერ ერთი, ქართველ მეფეებს რომ ასე ცხელი თავებით ეფიქრათ, ბიზანტიასავით კაი ხუთი საუკუნის გადაშენებულები უნდა ვიყოთ ნესით დღეს, მეორეც, სიფრთხილე და

პასუხისმგებლობის ქონა საკუთარი მოსახლეობის მიმართ ჩმორობა და რუსეთისთვის ერთი ადგილის მიცემას არ ნიშნავს და მესამე, ზელენსკის მთავრობის ამჟამინდელი მოქმედებები გმირობა კი არა შესანიშნავი მაგალითია იმის, თუ როგორი არ უნდა იყოს „ხალხზე მზრუნველი" ხელისუფლება. რანაირი გმირობაა საკუთარი ერის განირვა დასავლური ინტერესების სასარგებლოდ, ვერ ვხვდები... და ბოლოს: საქართველოს ხელისუფლებამ ბოლოდროინდელი ნაბიჯებით დაამტკიცა, რომ საკუთარი ქვეყნის ბედი მისთვის სულერთი არ არის და ისეთ დაპირისპირებაზე, რომელიც საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მის არსებობა-არარსებობის საკითხს, მოზომილი და კონსტრუქციული პასუხები აქვს... ერთი ზელენსკის და მის გუნდს დაადუღებდეს პუტინი რა! უკრაინელი ხალხიც მაგრად ჰკიდიათ და უკრაინაც ამ ბაიდენის ლეკვებს... წაადგეს ფაქტობრივად ომი რუსეთთან და ჯოჯოხეთში მარტო არ უნდათ წაბრძანება. საქართველოც უნდათ გაიყოლონ თან... გველები!!! ზაზა მაღულარია

ჭახნაკია: ახლა ნახე, არა? დიახ, ეს არის სირცხვილის ბოძი და კიდევ შეემატებიან, ქადაგიძის და ნაჭყებიას მსგავსი ნაძირლები, ამათ რიცხვს მიეკუთვნება ჩიღვინაძე, ეს არაკაცი, რომელმაც ადრე ტყუილი დამაბრალა, ახლა კი ჩემს მლანძღველებს უკრავს კვერს, ეს პირწავარდნილი სეთურის მეხოტბე. შეხი კი მე ვერ გავიგე, რომელ ნავში ზიხარ, დღეს თვალი მოვკარი, ნულუკიანს, ამ გარენარს რომ აქებდი, ესეც დიაგნოზია ჩემთვის. გირჩევ გაერიდო აქაურობას.

იკა ქადაგიძე

ჭ კლასის ჭახნაკიელ ჭინკათა ჭყივილის პასუხად

რა ჰქვია მას, ვინც პოლემიკის პროცესში არგუმენტების მოხმობის ნაცვლად მძვინვარე აგრესიას აფრქვევს, ოპონენტების ფიზიკურ ნაკლს ღვარძლიანად დასცინის, ვაიკრიტიკის არასასურველ ადრესატებს პროლეტარულად ასმენს და სახიფათო, ყალბ პოლიტიკურ იარლიყებს აკერებს, უშვერად ილანძღება და ამგვარი აკრძალული ილეთების გამოყენებით საზოგადოების „დამანდრაჟებას" ჯიუტად ცდილობს, აქაოდა ბურთი და მოედანი ჩემისთანა ბოროტგანმზრახველთა განკარგულებაშიაო. და რაც საგანგებოდ ხაზგასასმელია, ჩეკისტური ყაიდის „პოეტური გვერდის" ყველაფრისმკადრებელი ადმინის ესოდენ ამორალური მეთოდებით დაწყებულ უგვან, ცილისმწამებლურ თავდასხმას „პროგრესული ახალგაზრდების" ქმედებად ასაღებს?! როგორც ჩანს, ჩემ წინააღმდეგ აგორებული ბინძური ანგარიშსწორების კამპანიის თემა ნაადრევად დავხურე; ამ გარემოებამ საავკაცოდ ატროვებული პოეზიარის გვერდის ადმინისტრატორი თ. ჭახნაკია ისე გაათავხედა, სამართლიანი კრიტიკით გაავებული, რევანშისტული განწყობის დასაკმაყოფილებლად ჩემს თანამებრძოლებსა და კოლეგებს მიყოლებით დაერია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეთიკის დაცვის მაგივრად პიროვნების შეურაცხყოფისას უკადრისი მეთოდები თვალშისაცემად დომინირებს, რაც გადაუდებელ ობიექტურ გამოხმაურებას საჭიროებს, ამ ტიპის სინდისგარეცხილმა პროვოკატორებმა საზოგადოებაზე მავნე კონტროლი რომ არ დაამყარონ და ბრბოდ ქცეულ ადამიანებს „მოწინააღმდეგეთა" ჩაქოლვის წყურვილი არ გაუზარდონ და გაუძლიერონ, რის პროვოცირებასაც ჩეკისტური კალიბრის „ჩე გევარა" თავისი ვითომდა პოეტური გვერდის მეშვეობით თანმიმდევრულად ცდილობს. ეს გარემოება ვის წისქვილზეც ასხამს წყალს, ადვილი მისახვედრია მათთვის, ვინც ლიბერასტული ზომბების ლეგიონს ძალით თუ ნებით არ შეერთებია. და მაინც, რაღა ამ გაგანია ომის დროს გაასპიტდა ჭახნაკიელთა ნაც-გირჩი დემაგოგი? როგორ გგონიათ ჩვენი მრავალჭირგამოვლილი ქვეყნისთვის ესოდენ ექსტრემალურ პირობებში ამ პირწავარდნილი პროვოკატორის „ლიტერატურული" გააქტიურება შემთხვევითია? არამც და არამც. უკიდურესად დაძაბული მსოფლიო მოვლენების ფონზე ინტერნეტში მეკობრულად ფესვმოკიდებული კვაზიბესო ჟღენტი მის მიერ დაარსებულ ჩეკისტურ „პოეტურ" გვერდზე ქართული მწერლობის ღვაწლმოსილ და ამაგდარ ეროვნულ მოღვაწეებს ტყუილად როდი ეძგერა და თავის ჭუჭყიან ჭაობში ჭახნაკიელი ჭინკების ჭყივილის თანხლებით ბოლშევიკური სასამართლო პროცესების მსგავსი ლიბერასტულ-ფაშისტური შინაარსის ორგანიზებული თავდასხმები გეზმიმართულად გაუჩაღა, რაც მებრძოლი და ავტორიტეტული ეროვნული მწერლების საგანგებო დისკრედიტაციას ემსახურება და ლიტერატურის ფარგლებს გვარიანად სცილდება. მოკლედ, პოლიტიკური დაკვეთის სურნელი იმდენად მძაღეა, დაკვირვებული და კეთილსინდისიერი საზოგადოება ამ აღვირახსნილი იერიშების სერიაში ნაცებისთვის დამახასიათებელ დესტრუქციულ ანტისახელმწიფოებრივ გამოხდომებს იოლად ამოიცნობს...

ვინც გინდა იყოს, რა უფლებით უვარდება პიროვნებას პირად გვერდზე, იპარავს მის ნერილს, გამიზნულად ამახინჯებს, ყველაზე საშიშ იარლიყს აკერებს და ხანგრძლივი ძურისძიების სამიზნედ შეგულებულ ოპონენტს თავის ხროვას გავეშებით მიუსევს. ჭახნაკია სწორედ ასე „დემოკრატიულად" მოიქცა და ჩემ წინააღმდეგ ირანული ფილმის: „სორაიას ჩაქოლვის" ქართული ვარიანტის უნიჭო გათამაშება სცადა. ამისი ვინტოვკა ხომ პოეზია რის ორმაგი სტანდარტის გამტარებელი გვერდია, ნაც-გირჩ-მევახშეთა ყაიდის ავანტიურისტების საიმედო თავშესაფრად რომ იქცა, თუმცა თანამედროვე ჩეკისტის გულგასახეთქად თვით მის თავზეხელაღებულ სექტანტთა დესტრუქციულ სამფლობელოშიც აღმოჩნდა არაერთი ჯანსაღი ადამიანი, ვინც ჭახნაკიელი ჭინკების წრეგადასულმა ცინიზმმა, ადამიანის გამეტების ხარისხმა და არაადამიანობამ აღაშფოთა და უშვერი ლანძღვა-გინების ნიაღვარში სწორი პოზიციის დაფიქსირება გაბედა. ყველაზე „სახალისო" ის დეტალია, რომ სტატისტიკა ჭახნაკიელმა მამაომ, ყოფილმა დეკანოზმა, მთელ საქართველოში ოდიოზური ანტიეროვნული და ანტიეკლესიური გამოხდომებით ცნობილმა „ღვთისმეტყველმა" ილია ჭიღლაძემ გამოფინა: არიქა, თურმე ანტისემიტ ქადაგიძეს 35 კაცი ემხრობა, 11 გულს უწერს და ეს როგორ შეიძლება, წყეული პუტლერ-ნაცისტი ერთსულოვნად უნდა ჩაიქოლოსო. ეს ფუნდამენტალისტი სასულიერო პირყოფილი ლონდონიდან ყრის ცოფს, აბა „საყრუეთში" ჩამოსასვლელად სად სცალია, მან ხომ უკლებლივ ყველა პუტლერისტი ნაცისტი უნდა აღმოაჩინოს და გააუვნებლოს, მაშ როგორ! ეგაა, ავადსახსენებელ ექსმამაოს ნერვები არ ეყო მდაბიო თავდასხმების ნიაღვრის საპირწონედ ის გამოხმაურებებიც აღენუსხა, რაც მათ „ერთპიროვნულ გამარჯვებას" აქარწყლებდა; ესენი ხომ მუდამ ნაცების ბელადის ყალბ მითს მედგრად მისდევენ და ყველა ჩვენ გვემხრობაო, უტიფრულ ტყუილებს ნარბეუხრელად ავრცელებენ. აქედან გამომდინარე, ჭახნაკიას საბრალმდებლო ორგანოდან საპირისპირო შინაარსის კომენტარები სასწრაფოდ გააქრეს, 100 პროცენტიანი მხარდაჭერის „უტყუარი და საზეიმო" მოცემულობა რომ მათთვის ნიშნეული ტყუილებითა და სიყალბით გაფორმებინათ. ჭირკოდილა ჭახნაკიას ცრუმთხზველობის უნარი არ აკლია, სხვა ღირსებები კი ნურას უკაცრავად, გამჩენმა ისე მოარიდა, ამ გარემოებით გაღიზიანებული ადმინი სიძულვილის ნთხევითა და ერთმანეთში სანახევროდ გადა-

ზელილი ეროვნულ-ლიბერასტული გადახრებით იმ-კვიდრებს თავს. სხვაგვარად ყველა საცობს როგორ მოერგება?!

საბოლოო ჯამში კვაზიბესოჟლენტს თავის სტა-ჟიან დამქაშებთან ერთად შემუშავებული გეგმა ჩაეფუშა: თავის გვერდზე გაპიარებული ცნობილი მწერლები ვერ ამიმხედრა, ძლევამოსილი დემარ-შით ვერ ჩამოატარა, ვინაიდან ჩემი ეროვნული საქმიანობის შესახებ ორი ათეული წელია უმრავ-ლესობას კარგად მოეხსენება, ამიტომ არც მწვა-დი რომ არ დაეწვათ და არც-შამფური, კონფორმ-ისტულად განზე გადგნენ, მოსეირეების სტატუსს არ გასცილებიან, რაც ჭახნაკიას შურისმაძიებლურ ნატურას არ აკმაყოფილებდა. ჩეკისტური გვერდის ზეამბიციურ ადმინის თავისი კუმირის, ზელენსკის დარად მოკავშირეებისგან ქმედითი დახმარე-ბა სწყუროდა, რასაც ვერაფრით ეღირსა. ეგრე სადაა, მთელმა მწერლობამ ვიღაც ჭ კლასის ავყია და ფეისბუქსკინჰედი პროვოკატორის დაკრულზე უპირობოდ იცეკვოს! მრავალინტრიგაგამოვლი-ლი მწერლები მე არ მომემხრნენ და კოლეგიალ-ური სოლიდარობა არ გამომიცხადეს, არადა, მათ საკმაოდ დიდ ნაწილს წლებია ზედ ვყვები და ამ ორპირ კარიერისტს უყოყმანოდ კუდს ნაღდად არ გაუსწორებდნენ, რადგან კარგად ხედავენ, ჩემი ჩათვლით, ვინც მას ხელი გაუმართა, დანასისხლად რომ გადაეკიდა და მადლიერების ნაცვლად პოლი-ტიკურ სასაკლაოზე წარბშეუხრელად ერეკება, რისიც უმრავლესობას არც თუ უსაფუძვლოდ ეშინ-ია. აგერ მტკნარი სიცრუე ურცხვად დააბრეხვა და ანტისემიტად იმიტომ გამომაცხადა, რომ ჩემს წერ-ილში, რომელშიც საქართველოს ეროვნულ ინტერ-ესებს შინაური და გარეული მტრებისგან განუხრე-ლად ვიცავ, ზელენსკის ეროვნება მივუთითე. რაც ფრიად ემცხეთა. სადღაც არ გაემტყუნება, რადგან თავად მანქურთია და ლიბერასტული იდეოლოგის თავგადაკლული ჭანჭიკი ეროვნების გამოკვეთას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. და რადგან ჩემი საპასუხო წერილის გარდა უტიფარ ცილისმწამებ-ელსა და მობოლშევიკო-ლიბერასტ ნაც მაბეზღ-არას მარსიანმა და მარეხ ბეჟანიშვილმა საგანგებო, მიუკერძოებელი ანალიტიკური სტატიებით უპა-სუხეს, პოეტებიდან ჩემი თანაგუნდელი კოლეგე-ბის: მარსიანისა და გიორგი შიმხიაშვილის გარდა კახა შალამბერიძემ სამართლიანი სიმძაფრითა და გაბედულებით ჩამოსწმინდა სირცხვილი თავისივე სქესის ბრექია, ტრაბახა და ეგოისტ ნარცის ვითომ-პატრიოტებს, საკუთარ ლექსებში დავით აღმაშენე-ბლობას ამაყად რომ იჩემებენ და ცხოვრებაში კო-ლეგიალობის გამოსავლენად თითსაც არ ატოკებენ, როგორც იტყვიან, სულის მოსაბრუნებლად კაცს წყალს არ მიაწვდიან. ჭირვეული მატრონების მწერ-ლური სოლიდარობა ოდენ ბუდუარულ ბუტიაობას არ გასცილება. აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ჭახნაკიას მიერ აგორებულ ბინძურ ცილისმ-წამებლურ ომში მეწინავეებად სრულიად ახალ-გაზრდა მწერალი დიანა მეტონიძე და მარეხ ბე-ჟანიშვილი თავგამოდებით ჩაებნენ; დიანასთვის ეს პირველი საბრძოლო ნათლობა გამოდგა, რაც მოწ-მობს, კვიცი გვარზე ხტის! პოეტი ბანოვანებიდან ორი ქალბატონი გამოდგა გამონაკლისი: მარინა თექთუმანიძე, სიმართლის გამომზეურებისთვის ერთი კომენტარი რომ ჩამოაჭრეს და შერისხეს, ნანა ობოლაძის მართებული კომენტარი წაშალეს, ქალბატონები ვახსენე და ბარემ დავაზუსტებ: ამ ცოდვისტრიალში, ავტონომიურ პარტიულ საკო-მენტარო შეტაკებებს გზა ფართოდ რომ გაუხსნა, ჭახნაკიელებსაც აღმოაჩნდათ გულმხურვალე მხარ-დამჭერი და გულის მესაიდუმლე - კრიტიკოსობა-სა და პოეტობაზე პრეტენზიის მქონე ექს აქტრისა სოფიო ღლონტის (მაინც რა უტყუარ დაკვირვებასა და გამოცდილებას ავლენს სულმნათი ნინაპრების სიბრძნე, თუნდაც ღლონტის ღორების გამოთქ-მასთან დაკავშირებით) სახით, რომელმაც ამ ინ-ციდენტამდე კარგა ხნით ადრე „ბულინგის“ გამო ისტერიკაში ჩავარდნილმა მფარველობა მთხოვა და ფეისბუქიდან ნათესავებისა და ყოფილი ბიბ-ლიოთეკის დირექტორის ზეწოლის გამო აღებული კრიტიკული რეპლიკის (რომლის ტექსტის გამართ-ვას თავი ძლივს მოაბა) „ისინდში“ გამოქვეყნება მოიწადინა და რადგან ეს განზრახვაც გადააფიქრე-ბინეს, ისე არტისტულად დაარღვია პირობა და „გადამაგდო,“ მობოდიშების ნაცვლად ჭახნა-კიას ჭინკების ჭაობში გაწევრიანებისთანავე დრო შემირჩია და თავის ბოსების უფასო ადვოკატად გარდაქმნილმა ერთობ კეკლუცად შემომკნავლა; მკითხველი ქალბატონებიდან ჰუმანური და ობი-ექტური მიმართვა გამოაქვეყნა ჩემთვის უცნობმა პიროვნებამ: ინგუ ჭუმბურიძემ, რომელმაც ჭახ-ნაკასეული „სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“ მძაფრად გააპროტესტა. ამასობაში ჩემს მხარდამჭერ კომენ-ტარებს ჭახნაკიელმა ყალთაბანდებმა პოეტ გიორ-გი შიშნიაშვილის ვაჟკაცური გამოხმაურებაც ზედ მიაყოლეს და მკითხველთა სწორი, საღი და მწვავე შეფასებები მცდარი სტატისტიკის გასამყარებლად სასწრაფოდ აორთქლეს. ესეც ლიბერასტული დემოკრატიის სტილი, რაც ყველა სფეროში გაბ-ატონებული მოცემულობაა და 30 წელია ამგვარი განუკითხაობით საქართველოს უფსკრულის პირას ავბედითად აცეკვებს. ჭახნაკიას ჭინკური ფერხუ-ლის წინააღმდეგ როსტომ შამუგიას პრინციპული წერილი ის ნაღმი გამოდგა, რომელმაც უხარისხო „პოეტური გვერდის“ ადმინი ისე გაამხეცა, გამოც-დილ უფროსთაობელ პუბლიცისტს ძველბიჭურად აუხტა, ქადაგიძეს რატომ ესარჩლებით, ეგ ხომ „პროგრესიულად მოაზროვნე ახალგაზრდების მო-ძულეა, თქვენი შვილისნაირების, პაატა შამუგიას, ხვიჩა ყალაბეგაშვილისნაირების და ჩემნაირე-ბის არმიას გადაეკიდა, მისი ღვარძლიანი წერილი ცინიზმი და ზელენსკის ეროვნების ხაზგასმაა(ჭახ-ნაკიას გამოთვლით სამი კაცი არც მეტი, არც ნაკ-ლები, მთელი არმია ყოფილა! ასეთი მათემატიკური გაანგარიშება გენიალურ ევარისტ გალუასაც შეშ-ურდებოდა სწორედ!)...“

ვინც ჩემი წერილი წაიკითხა და არა კონტე-ქსტიდან საგანგებოდ ამოგლეჯილი ტექსტი გან-იკითხა, დარწმუნდებოდა, რომ მე უპირველესად ყოველთვის სამშობლოს ინტერესებს ვიცავ და შე-საბამისად უკრაინის ომის თემას საერთო ფონის ანალიზისას ამ მიმართებით ვეხები; რაც მთავარია: წერისას ეთიკას მუდამ ვიცავ, რაც ჭახნაკიელთა წრეგადასული ბილწსიტყვაობის საპირწონედ წი-თელ წიგნში შესატან იშვიათობად იქცა; ზელენსკის ოდიოზურ ფიგურას კი ნახევარი მსოფლიო როგორც მოიხსენიებს, ეს ჭახნაკიასთანა პროვოკატორებმაც მშვენივრად უწყიან და ეს სატყუარა ჩემს გასა-შავებლად რომ გამოიყენა, ამას ჩვილიც მიხვდება. მეორე, არანაკლებ საყურადღებო დეტალი: თურმე, ზემოთჩამოთვლილი არმიის უბადლო სამეული პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები არი-ან, რომელთაც ჩემისთანა „რეტროგრადი ქალკა-ცა“ (ჭახნაკიას ტერმინია, არ ვუკარგავ, ციტატად მომყავს) აკრიტიკებს. იმას რომ თავი გავანებოთ, რაოდენ დიდი უტაქტობაა მამას განსხვავებულ პლატფორმაზე მდგომი შვილის თემით სპეკულირე-ბა დაუწყო, ჭახნაკიას ადამიანობის ხარისხი უკვე საცნაურია. ვინც სამწერლო პროცესებს თვალყურს სერიოზულად ადევნებს და არა ჭახნაკიას ლიბერ-ასტულ-ჩეკისტურ გვერდზე დეფორმირებულ დეზ-ინფორმაციას ეყრდნობა, რომელიც ლიბერასტების

ტელეკანალიზაციების ვირტუალური გაგრძელებაა და უნყვეტ სიცრუეს ტოქსიკურად აფრქვევს, უთუოდ ეცოდინება, ლიბერასტული არმიის სამეული ეროვნული ღირებულებების შეურაცხყოფისთვის ფაქტებით რომ გავაკრიტიკე, აბა ისე მათთან რა მესაქმება: პრემიებს ვედავები თუ სხვა სიკეთეებს, რითაც ამ კატეგორიის ფავორიტები ყველა დროის მეფის კარზე უხვად სარგებლობენ, რაც თავად ბ-მა როსტომმა მშვენივრად უწყის, ვინაიდან საკმაოდ განათლებული და კეთილსინდისიერი პიროვნებაა და პლატონისა და ჭეშმარიტების ცნობილი ფრაზა ამათგან განსხვავებით წიგნში ამოუკითხავს, შეცდომით კი არ დაუგუგლავს. ცნობისთვის, ობიექტურობის გამოხატვისთვის წლების წინ მადლობა გადამიხადა, სიმართლეს რომ არ ვუღალატე და ლიბერასტ "პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებს (უკვე საცაა 40 წელს რომ მიუკაკუნებენ და მთლად ნიწკვებად ვეღარ დასახელდებიან, აქვე იმასაც დავძენ, არც მე ვარ მათუსალას ასაკის ამათ ფონზე) საქართველოსა და ქართველების უშვერი გინებისა და გახლეჩების გამო საკადრისი პასუხი მოვთხოვე. გასაგებია, რომ კვაზიგულჩვილ ქაბატოებსა და რობინ ჰუდად გადაცმულ პარტიულ კონფორმისტებს მავნე ლიბერასტული ნარატივი: ქართველობის გვრცხვენია! გულზე მალამოდ ეცხებათ და ამ სახიფათო, ანტიეროვნული ლოზუნგის ტირაჟირებისას დიდძალ მაყუთს იჯიბავენ, მაგრამ მათდა საუბედუროდ, ეროვნული ფასეულობების დამცველი მცირედი მწერლები ჯერაც არ გადაშენებულან და ამიტომ დასადუმებლად ბურთს პირში გააფთრებით გვჩრიან და ფაშისტობას გვაბრალებენ, ამდენი შინაგამცემის საპირწონედ საქართველოს დაცვის რომ შეგვეშინდეს! ჭახნაკია კი ლიბერასტული პროგრესის უბრალო პაიკია, ფარულად მედროშეობაზე რომ ოცნებობს, ოღონდ ცალ ხელში მოწამე პრეზიდენტის პლაკატი რომ უკავია, მეორე ხელით გირჩის ზნეწამხდარ პლანაქეშა მანქურთის პორტრეტს დაათრევს, რაც იმგვარი მარაზმია, კანონი რომ კანონობდეს, ამისთვის პასუხს სამართლებრივად მოჰკითხავდნენ! თურმე ამ ორპირ მანქურთებს უნდა დავეკითხო და თუ ნებას დამრთავენ, "პრადვინუტი ახალგაზრდების სტანდარტებით ვიმოძრაო," რასაც ვერასდროს ეღირსებიან! 22 წელია ეროვნული მწერლობის სადარაჯოზე მედგრად ვდგავარ, რაც ჭახნაკიასნაირ ცივსისხლიან კარიერისტებს გულზე ეკლად ხვდებათ. აბა ყველა ზელენ-ზელენს ხომ ვერ დაიყვირებს, საქართველოში ჯერ ჩვენი, ეროვნული ინტერესები უნდა დავიცვათ და შემდეგ სხვებსაც იმისდა მიხედვით მოვექცეთ, როგორც თავად გვეპყრობიან. ამიტომ ამგვარი „რეტროგრადობით" განწმატებული ჭახნაკია ბ-ნ როსტომს უტიფრად „ებლატავება": ჭახნაკიას არცერთი ღირსეული ადამიანი არ გალანძღავს, მხოლოდ ქადაგიძის წაქეზებული ბენიძისნაირი გნომები.." ისემც რა გითხარი, შე მართლა პირნავარდნილო დემაგოგო და ბარონო მიუნჰაუზენ! რაც მარტო საკუთარ გვერდზე უშვერად გლანძღეს და გაგინეს სხვებზე, განსაკუთრებით ხანშიშესულ ქალბატონებსა და ახალბედა ავტორებზე სისტემატური ხისტი თავდასხმებისთვის და ამ მიზეზით ორჯერ დაგარეპორტეს. და რაც ყველაზე ამაზრზენია, ეს უკიდურესად ტენდენციური „შეფასება" - „ბენიძისთანა გნომი" ეს ხომ მარსიანის (ბენიძედ დაცინვით რომ იხსენიებს!) პიროვნული შეურაცხყოფაა, კაცის, რომელსაც სულ რაღაც 5 ნლის წინ გენიოსად აცხადებდა და საკუთარ მდარე გვერდზე მის მაღალმხატვრულ ნააზრევს დაუკითხავად აზიარებდა. მარსიანი ელვარე, მრავალმხრივი ტალანტი რომც არ იყოს, არავის აქვს უფლება ნებისმიერი ადამიანი ფიზიკური მონაცემების მიხედვით დაამციროს და განაქიქოს, მტერიც რომ იყოს, ვინაიდან ეს წრეგადასული ამორალობაა, რასაც კაცობრიობა ოდითგან მკაცრად გმობდა! ესაა ამათი სანაქებო „პროგრესულობა"? ამგვარ საქციელს ყოველთვის სულმდაბლობა ეწოდება და ვერანაირი ლიბერალიზმი ვერ შეცვლის მის მნიშვნელობას, რამდენიც არ უნდა იხტუნონ სულგაყიდულმა დივერსანტებმა სხვისი ქვეყნის დროშის ტარით. რაღაც არ მახსოვს ეს კვაზიბესო ჟღენტი გიგანტად გაეჩინა მამაზეციერს. მარსიანს კი ბარემ ძალიან ბევრი კოჭამდეც ვერ შესწვდება და ეს რომ არაერთხელ გამოსცადეს, ამიტომ ვერასდროს აჰყვნენ სრულფასოვან დისპუტსა თუ პოლემიკაში, რის გამოც აკრძალული ილეთების გამოყენებით სულმდაბლურად დასცინიან, ვინაიდან მისი მრავალმხრივი და მაღალმხატვრული ტალანტის წინაშე, სრულიად უსუსურნი და განიარაღებულნი უძლურებას მისცემიან. შინაგანი გნომობა მოუცილებელი სენია და სანამ ეშმაკს ჩაჭახნაკებული ბოროტგანმზრახველი ადმინი სხვას სამიზნედ ამოირჩევს და უხამსად დასცინებს, მანამ საკუთარ სულში ჩაიხედოს, რათა დარწმუნდეს სინამდვილეში ვინ-ლომია და ვინ სულნამცეცა გნომი! ამის შემდეგ თუ ვინმეს ავყია და ყველაფრისმკადრებელ ჭახნაკიასადმი სიმპატია კვლავ შემორჩენია, თვითმკვლელი გამოდის, რადგან ეს ძალადაპოლონ ბელვედერელი ყველას ისეთი არშინით ზომავს, კომუნისტურ უტოპიას ლიბერასტულად უბრახუნებს და საკუთარი თავის გარდა ვერავის მოინონებს. ცალკე საკითხია საიდან ასეთი ლუციფერული ამპარტავნება, რის საფუძველსაც მისი არც ფიზიკური და მით უფრო, არც გონებრივი მონაცემები რომ არ იძლევა. და თუ მაინცდამაინც მისი ფავორიტი ნაცების ბელადი თუ ფრიად მაღალია სტოლბასავით ან იატაკის ჯოხივით (პოლის ჯოხს რომ ეძახით შინაურულად), იმიტომ დაიპყრო მწვერვალები და ომის დროს მიწაზე გნომივით არ ფორთხავდა! პროგრესულად მოაზროვნე აღარც მთლად წიწკვმა ახალგაზრდებმა მსოფლიოს ისტორია ყურმოკვრით მაინც რომ იცოდნენ, გაახსენდებოდათ, რომ მრავალი გამოჩენილი მოღვაწე და დიქტატორი ტანდაბალი იყო: ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, სტალინი... რაო ვითომ იმიტომ ვერ აზანზარებდნენ მსოფლიოს?! ეჰ! უმეცრება და ღვარძლი რას არ წამოაროშინებს ორიენტაციადაკარგულ სულნამცეცა არსებას, მიზნის მისაღწევად ყველაფერს რომ კადრულობს და მახინჯ სულს უნიჭოდ იქ ჩრის, სადაც არ ეკითხებიან. და თუ ამ ჩემი ცოდვით სავსე პროგრესული პრადვინუტებისთვის კაცი ოდენ სიმაღლით იზომება, ამ ლოგიკის მიხედვით, მათი კუმირი ზელენსკიც გნომი გამოდის (სულ რაღაც 170 სმ-ია, საერთაშორიოს სტანდარტის მიხედვით მაღალი მამაკაცის პარამეტრი- 180 სმ-საა აცდენილი, ეს ცნობისთვის) ასე რომ შერჩევითი სიმართლით ვინც ხელმძღვანელობს, თავისივე სიცრუის ხაფანგში ებმება, ეს უძველესი სიბრძნე კი ყველაზე ვრცელდება. და კიდევ: სხვების სიმაღლის დაუღალავმა მზომელმა „გიგანტმა გულივერმა," შემთხვევით ჩემი უახლოესი ნათესავი ახალგაზრდები(19, 20, 21 წლისები, მათსავით ძალადახალგაზრდები კი არა), რომ იხილოს, ორ მეტრს სულ რაღაც 3-4 სანტიმეტრი რომ აშორებთ, მაშინ გნომის როლში თავად ხომ არ აღმოჩნდება? ამიტომ თავისივე თეორიის მიხედვით სპარტანული წესისამებრ უფსკრულიდანაა გადასაჩეხი?! ეს ჩემი ცოდვით სავსე ფსკერის არსება სიმაღლეს ასე საბედისწეროდ რომ ეპოტინება, თავისი სულნამცეცობიდან გამომდინარე, მიწურშიც ვერ გაიმართება ხეირიანად, ვინაიდან ვინც ადამიანის ფიზიკურ ნაკლს ახდილად დასცინის და უსამართლოდ ამოჩემებულ პიროვნებას გამიზნულად შეურაცხყოფს, იმის ბედი იაფ-

ფასიანი ვირტუალური გვერდის მიღმა ცალსახად გადაწყვეტილია და ვერანაირი პროგრესი ვერ დაიფარავს სულიერი კვდომისა და სიმდაბლისგან...

და ბოლოს ეს ოდენ სავალალოდ ჭრელი და პოლარიზებული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი წაყრუების გაუმართლებელი პოლიტიკა რომ არა, ამ ტიპის ყველაფრისმკადრებელ უზნეო ავანტიურისტებს ამდენი გასაქანი არ ექნებოდათ და მღვრიე წყალში თავად ჩაიძირებოდნენ ვიდრე სხვებზე გალაშქრებას განიზრახავდნენ. ჰოდა, თავად განსაჯეთ: რაც ალხანა, ის ჩალხანაო ნათქვამია, რასაც ისინდურ წესს დავუხვევდრე: ალხანავ და ჩალხანაო, მორჩება თქვენი ხანაო, ამაოდ წარმოიდგინეთ, სიმართლემ დაახანაო...

26.03.2022

იკა ქადაგიძე

ჭ კლასის "პროგრესული ახალგაზრდების ბრალდებების" ანატომია (გამოქვეყნდა ჩემს ფეისბუქ გვერდზე)

მსოფლიო ქარტეხილების გრგვინვის დროს წერას ატანილ მანქურთებს საღერღელი აეშლებათ ხოლმე ეროვნულ და მებრძოლ მწერლებს დრო შეურჩიონ და ცალკე ფრონტის ხაზი გაუხსნან, რაც სინამდვილეში მავანთა მიერ ტრადიციული ფასეულობების მტკიცე დამცველთა გასანეიტრალებლად გაჩაღებული უშეღავათო ომია, ლიბერასტული დიქტატურის შეინღბულ „დემოკრატიულ" არსს მკაფიოდ რომ ააშკარავებს. დესტრუქციული ძალების გააფთრებული თავდასხმები ყველა მიმართულებით განსაკუთრებით მას შემდეგ გახშირდა, რაც ამერიკაში ბაიდენის ადმინისტრაციამ არჩევნების გაყალბების ფონზე ტრამპს ძალადობრივად აჯობა და მსოფლიო ლიბერასტული წესრიგის ყველაზე აგრესიულ ფაზაში გადაისროლა, რაც ჯერ პანდემიის, ხოლო შემდეგ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტად წოდებულ ცივილიზაციათა სასტიკ ომში გადაიზარდა, ახლაც მოურჩენლად რომ მძვინვარებს და უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტისა და ქალაქების ნგრევის საპირწონედ კვლავ ტრილიარდერი ოლიგარქების გამდიდრებასა და მზაკვრული ჩანაფიქრის ახდენას ემსახურება. ნეღან ყველა სფერო შემთხვევით არ მიხსენებია და რადგან ჩემი სამოქმედო ასპარეზი მწერლობაა, თავს ვალდებულად მივიჩნევ უკრაინაში განვითარებული დრამატული მოვლენების ფონზე განსაკუთრებით გაცოფებული ე.წ. მედასავლეთეების-ჩვენში ადგილობრივი ნაც-გირჩ-მევახშეთა მომწერლო ელემენტების სექტის სახით რომ მავნებლობენ, პროვოკაციული გამოხდომები სათანადოდ აღვწერო, რაც ფულიხვეჭია და ანტისახელმწიფოებრივად დაგეშილ მანქურთთა კარგად შემუშავებული სტრატეგიის ამოსაცნობად გადაუდებელ შეფასებას საჭიროებს.

ახლახან საზოგადოება მოწმე გახდა ჩემ წინააღმდეგ აგორებული ბინძური და სახიფათო ცილისმწამებლური კამპანიისა, რომელსაც საეჭვო მსოფლმხედველობის ჭ კლასის პოეზია რის ვირტუალური გვერდის დემაგოგი და პროვოკატორი ადმინი თ. ჭახნაკია აწარმოებდა. მან ჩემი სტატია მოიპარა, დაამახინჯა და ანტისიმეტიზმში ბრალი ურცხვად დამდო. ვინც ჩემს წინამდებარე საპასუხო პოლემიკურ წერილს გაეცნო, უთუოდ ემახსოვრება ამ თანამედროვე ფსევდო ბესო ჟღენტის კალიბრის ჩეკისტი დამსმენის **„საქმენი საგმირონია"**, რაც ფაქტებით ვამხილე; ამიტომ მოკლედ მოვჭრი:

თუ მსოფლიოში მართლა დემოკრატია ჰგიებს, რაც ჩვენში დასავლეთმა 30 წელი ასე რუდუნებით აშენა და გაანოყიერა, მაშინ სადაური წესია, სხვისი უფლებების ახდილი შელახვა და ცილისმწამებლური გამოხდომების სერიის თვითნებური განხორციელება?! და აი, ამ ცილისმწამებლური ბინძური კამპანიის ირგვლივ ატეხილი ვნებათაღელვიდან სამი დღეც არ იყო გასული, პოეზია რის ჩეკისტური გვერდის მომდევნო სამიზნე ცნობილი მწერალი, ორატორი და საზოგადო მოღვაწე ერეკლე საღლიანი აღმოჩნდა. ნეღან უკვე აღვნიშნე, რომ უკრაინა-რუსეთის კონფლიქტად წოდებულ ომში, რომელიც სინამდვილეში რუსეთის ჰეგემონიის შესასუსტებლად და ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად ამერიკისა დ ინგლისის დირიჟორობით წამოწყებული მსოფლიო მასშტაბის დასავლური ომია, მწარე „დემოკრატიულმა" ფლანგმა დრო იხელთა და დირექტივების შესასრულებლად ეროვნულად მოაზროვნე მებრძოლ მწერლებზე გააფთრებული ნადირობა გააჩაღა; ამ "შინაურულ " ფრონტს ლიბერასტული მავნე იდეოლოგიით მონამლული სვეკკი ფულიხვეჭია მანქურთები- მედასავლეთე ნაც-გირჩ-მევახშეთა გეიმემორანდუმზე ხელმომწერი პარტიების მომხრე ტელემწერლები და ჭახნაკიას ტიპის ფსევდოეროვნული დესტრუქციული ელემენტები თანმიმდევრულად კურირებენ. და რადგან მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მტრის ხატად დასახვისას ყველაზე სახიფათო- ანტისემიტის იარლიყი მომანებეს, ერეკლე საღლიანი კი „პატრიოტთა ალიანსის" წევრობის გამო შერისხეს. ჭახნაკიამ უფროს თანამოკალმეს საბრალმდებლო დასკვნად ამ პარტიის ლიდერის ირმა ინაშვილისადმი განკუთვნილი დადებითი შინაარსის წერილი გამოუქვეყნა, თუმცა არც ამ „სამხილს" დასჯერდა და რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართული ქართული ინტელიგენციის მანიფესტისა თუ მიმართვის ხელმომწერთა ვინაობის მძვინვარე შეჩვენების ფონზე ერეკლე საღლიანი, ქართული კულტურის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ფიგურა არც მეტი, არც ნაკლები სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა, რაც რბილად რომ ვთქვათ, მარაზმია, ამ დესტრუქციული ნაცპაიკის ავკაცობას დაუფარავად რომ ააშკარავებს! ცალკე საკითხია ვინ მისცა უფლება ამ დილეტანტ მდაბიო პროვოკატორსა და მდარე ხარისხის მწერლუკას ღვაწლმოსილი უფროსთაობელი კალმოსნები ქვეყნის ღალატში გეზმიმართულად დაადანაშაულოს და პოლიტიკური ვერდიქტით საჯარო რეპრესიები დაუნესოს! მსოფლიო ქარტეხილების დროს მკვეთრი ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებით მწერლებს ომის გაჩაღებისკენ დაუღალავად მოუწოდოს, სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ ხელისუფლებას კრიჭაში ჩაუდგეს, ზელენსკის განდიდების ფონზე პრემიერი უშვერად ლანძღოს და აგინოს, რაც ნაცების პირდაპირი ხელწერაა და დიდი ხანია საქართველოში ომის დაწყებას მიზნად ისახავს, მათ რევანშისტურ ზრახვებს დაუფარავად რომ აშიშვლებს. საქართველოს ომში ჩაბმა რომ ჩვენი კრახით დასრულდება, ამას მწერლობაზე პრეტენზიის მქონე თვითმარქვია ჩე გევარა უნდა ხვდებოდეს, მაგრამ როცა მეგალომანიის უკეთური ჭია ავად გხრავს, იქ საშშობლოს სიყვარული რა მოსატანია! თუ ამ პარტიულ პასიონარ ჭახნაკიას პატრიოტიზმის ცეცხლი გულმკერდს ასე ჰეროიკულად უბუგავს, ვინ უშლის პოეტ თემურ ელიავას მიბაძოს და ოკუპანტებთან საომრად ფრონტის ხაზზე ვაჟკაცურად იბრძოლოს, ვიდრე თავის ჩეკისტურ გვერდზე ეროვნულად მოაზროვნე ღვაწლმოსილ უფროსთაობელ მწერლებს ბოლშევიკური მანერით დაბეზღებისა და ცილისწამების ღვარძლიან და არაადამიანური ციხიზმით აღსავსე „დახასიათებები" გაუშანშალოს და ორმაგი სტანდარტის გამტარებელი კოლეგები და მიამიტი მკითხველები საგაგებოდ გადაჰკიდოს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ამ ნორჩმა კომკავშირელმა აქტივისტმა,

სანამ სხვებს ჯვარზე გააკრავს, კეთილი ინებოს და სოლიდური მწერლებისა და ხამდვილი მკითხველების (და არა ინტერნეტტროლების!) სამსჯავროზე ჯერ თავად წარადგინოს საკუთარი ლიტერატურული ნაზრევი, რამაც ყოვლისმცოდნე ჩეკისტი მსაჯულ-ჯალათის ფუნქცია ასე თვითნებურად აკისრებინა და არასასურველი ოპონენტების „გასაშავებლად“ აკრძალული ილეთების გამოყენების უსასრულო ლეგიტიმაცია მიანიჭა! გავიგოთ ასეთი რა უზარმაზარი დამსახურება მიუძღვის მრავალჭირგამოვლილ საქართველოსა და ერის წინაშე, ავტორიტეტულ და ეროვნულად მოაზროვნე მწერლებს ასე ხელაღებით რომ ებრძვის- თავისი საეჭვო, პარტიული ელექტორატის დახმარებით უშვერად ლანძღავს, ასმენს, ქოლავს და ამაზრზენი, ყალბი იარლიყებით ცილს სწამებს! რაღაც არ მახსენდება, ამავე ბრალდებით ნაცი, გირჩი ან მევახშე პარტიების მიმდევარი „საბას“ პრემიის ლაურეატი მწერლები გამოეჭენებინა, საკუთარ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე ახდილად და ცინიკურად რომ არცხვენენ და დასცინიან, რაშიც გულუხ ფინანსებს იჯიბავენ და ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად! ფაქტია, ეს პროვოკატორი პაიკი შერჩევითი სიმართლის ანბანს წამხდარი პოლიტიკანებივით სრულყოფილად ფლობს, რისი გამოხატულებაც მისი დაჭაობებული სამფლობელოა, მწერლობის საფარველქვეშ ცალსახა პარტიული დავალებით ეროვნული მსოფლმხედველობის მქონე მებრძოლი მწერლების საგანგებო დისკრედიტაციას რომ ბედავს. აკი არც მალავს, რომ თურმე უკრაინის გამარჯვებით საქართველოს ბედი წყდება, რომ ზელენსკი ღირსეული პრეზიდენტია, ნაცების ბელადი ხელშეუხებელი და ა. შ. გასაგებია, ჭახნაკიას „სამართლიანი კვერთხი“ ნაცგირჩმევახშეთა პარტიების მეხოტბეებთან ძირს რატომაა დაშვებული უკრაინის დროშისა და გირჩის ოდიოზური ლიდერის პლაკატის ფრიალის ფონზე! ეს ორმაგი სტანდარტის გამოძახილია, ისევე, როგორც მოწამე პრეზიდენტის სახელს ამოფარება, რაც ამ პირწავარდნილი პროვოკატორისა და გაქექილი ყალთაბანდის ქვებუდან ბუნებას სავსებით ააშკარავებს. ამასობაში ჩამჭრელ კითხვას მივუბრუნდეთ: ეს პოეზიარის „სამართლიანი“ ადმინი მაინცდამაინც იმ კალმოსნებს რატომ ერჩის, ვინც ულტრალიბერალურ იდეოლოგიას არ სწყალობს და გამორჩეულად პროქართული პოზიცია უკავია, რაც წლების განმავლობაში მათი საქმიანობით მყარადაა დამტკიცებული. მაგრამ ჯერ სადა ხართ, თუ მოთმინება არ გღალატობთ და მომყვებით, ჭახნაკიელი „მსაჯულის“ შხამიან საცეცებს იქ წავაწყდებით, სადაც არავინ ელის. როგორც კი ჩვენს მრავალჭირგამოვლილ მამულში მორიგი ფერადი რევოლუციის საექსპორტოდ არაჟნის კონტეინერით უკანონოდ შემოპარული ნაცების ბელადი ოპერატიულად გასკვანჩეს და ვირის აბანოში გამოამწვდიეს, მისი სექტისა და მომხრეების მიერ წამოწყებულმა „ფრი მიმას“ გამათავისუფლებელმა კამპანიამ საღად მოაზროვნე ადამიანების სათანადო რეაქცია გამოიწვია, მათ შორის ეროვნული მწერლების სამართლიანი გულისწყრომა აღძრა, რაც პერიოდულ პრესასა თუ ტელემედიებსა და სოციალურ ქსელში უმალ გახმაურდა. გავოგნდი, როდესაც ჭახნაკიას ჩეკისტური გვერდის საგანგებო ალბომში: „სამარცხვინო ბოძი“ ლანძღვა-გინების წრეგადასულ კორიანტელში სახელმოხვეჭილი მწერალი, მთარგმნელი და ტერენტი გრანელის დაუღალავი პოპულარიზატორი, ბ-ნი ლერი ალიმონაკი აღმოვაჩინე, (ბ-ნი ლერი ისევე, როგორც ერეკლე საღლიანი „ისინდის“ საპატიო წევრი გახლავთ) რომელიც სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის მიერ 12 წლის მანძილზე უსამართლოდ დაპატიმრებული შვილის გათავისუფლებას უშედეგოდ ცდილობდა. თვით პატრიარქიც უძლური აღმოჩნდა უდანაშაულო ადამიანის გამოსახსნელად. კარგად მახსოვს ამ საშინელი ფაქტით გულმოკლული ცოლ-ქმარი სხვადასხვა ინსტანციებში სასოწარკვეთილი როგორ დააბიჯებდა და სამართალს ამაოდ ითხოვდა! იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბ-ნ ლერის, პირუთვნელობით გამორჩეულ პიროვნებასა და ქართული კულტურის თვალსაჩინო მოამაგეს, (პარტიული მიკერძოებით რომ არასდროს დაუჩრდილავს თავისი ავტორიტეტი!) ადრე მცირეწლოვანი ვაჟი რომ დაეღუპა და ამდენი ტრაგედიის მიუხედავად ეროვნული მწერლობის ურთულეს ჭაპანს საყოველთაო უმადურობის მიუხედავად მაინც ერთგულად სწევს. და როდესაც ამდენი განუკითხაობით გაწამებულმა ღვაწლმოსილმა მოღვაწემ ნაცების ბელადის დამცველთა წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა, ჭახნაკიამ თვალსაჩინო უფროსთაობელ მწერალს სწორედ ეს სამართლიანი პროტესტი „არ აპატია“ და თავის ჩეკისტურ გვერდზე კეთილსინდისიერი და სახელმოხვეჭილი უფროსთაობელი მწერალი დაუნდობლად შეურაცხყო და „გამოაჭენა“! არის თუ არა ეს გამიზნული ბოროტგანმზრახველობა, რომელიც ნაცების ნისქვილზე წყალს ასხამს და უახლესი ლიტერატური ისტორიაში სამარცხვინო ლაქად დარჩება?! მეტი ამორალობის წარმოდგენა ხომ ბუნებაში შეუძლებელია! ჩვენდა სავალალოდ თუ ნუგეშის საცემად ფაქტი ყოველთვის უტყუარია და პირუთვნელი მკითხველების რეპლიკაზე (მწერლების უმრავლესობას სამწუხაროდ ეს თვისება არ გააჩნია!): კი მაგრამ ამ ცოდვისტრიალში თავმოყვარე და მიუკერძოებლად მოაზროვნე კალმოსნები რატომ დუმან? თანასწორობასა და დემოკრატიაზე მოჭიკჭიკე მწერლებმა უსამართლოდ გამეტებულ ღვაწლმოსილ და წესიერ კოლეგას სოლიდარობა რატომ არ გამოუცხადეს და ეს სამარცხვინო და სავსებით უსამართლო „ანათემა“ ერთსულოვანი პროტესტის გამოვლენით რატომ არ აღკვეთეს? ნაცხროვის უნიჭო და თავგასულ მომწერლო ელემენტებს მსგავსი ცილისწამებისთვის პასუხი რატომ არ მოსთხოვეს თუ მათგან განირჩევიან?! დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდია! როდესაც ესოდენ უზნეო, დაჭაობებულ გარემოში ეროვნული ღირებულებების დასაცავად უთანასწორო ომში ჩაბმულს შენივე კოლეგები ჩასაძირად მოგესევიან, ეს „დეტალი“ ცხადყოფს, ლიბერასტული იდეოლოგიის შხამი რაოდენ მედეგია და მონინააღმდეგეთა მსოფლმხედველობის მიუღებლობით ბოლშევიკურ დიქტატურას რომ არაფრით ჩამოუვარდება, რაზეც მათი თვალშისაცემად დაუნდობელი-აგრესიული სამოქმედო არსენალი ცალსახად მეტყველებს. ჭახნაკია კომსომოლ-ლიბერასტული ფლანგის მონსტრული სინთეზის ერთ-ერთი პაიკი ხელოვანების გულგრილობით უსინდისოდ სარგებლობს და მავნებლობას ნარმატებით აგრძელებს. ეს ზნენამხდარი „პროგრესისტი“ დარწმუნდა, რომ მის მიერ წამოწყებულ უსამართლო ცილისმწამებლურ ლაშქრობებს მწერლებმა წაყრუების პოლიტიკა დაუხვედრეს და ვინც ხმა აღიმაღლა, მას მტრული იგნორით აგრძნობინეს, რომ „ნეიტრალიტეტის დაცვისას“ ეს გამობრძმედილი მშვიდობის მტრედები ჭახნაკიელი ჭინკების თანამგრძნობ თანადასელებად გაფორმდნენ. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ნაცების ეს მომწერლო ნაშიერი ინტერნეტში დაარსებული ჩეკისტური გვერდის მეშვეობით ანტინაცური პარტიის ნარმომადგენლებს შესაშური აგრესიით ერჩის. ერეკლე საღლიანის „გაშავებისთანავე“ უმალ აქტიურ პუბლიცისტსა და გამომცემელს, ზაურ ნაჭყებიას დაეტაკა და ჩვეული ავყიობით მას „სულგაყიდული შაკალი“ უწოდა. ჩეკისტური გვერდის ჭინკა ადმინის ცინიკური ლექსიკა რა გასაკვირია, ამ მხრივ თავი უკვე იმდენჯერ ისახელა. ბ-ნი ზ. ნაჭ-

ყებია ცოტა ხნის წინ დაარსებული კონსერვატიული მოძრაობის: „ერისა და სახელმწიფოს“ (პარტიის დაამარსებელი ზვიად ტომარაძეა,რომელმაც პანდემიის წინააღმდეგ ორგანიზებული საპროტესტო აქციები წარმატებით გამართა) წევრია და ეროვნული ფასეულობების დაცვისას ნაც-გირჩ-მევახშე სექტანტებს საფუძვლიანად რომ აკრიტიკებს, ეს „დეტალი“ კვაზიტირან ჭახნაკიას მხრიდან ენერგიულ უფროსთაობელ პუბლიცისტზე მორიგი თავხედური თავდასხმის მიზეზად იქცა. ფაქტია, დაუსჯელობის სინდრომის გამოძახილი იმდენად მძლავრია, ნაცი აგრესორებისა და მათი სატელიტების ხროვის თავნებობის ხარისხზე უშუალოდ აისახება. ამ სასტიკ დაპირისპირებაში ერთი „უმნიშვნელო დეტალი“ ამოტივტივდა: ადამიანი იმგვარადაა შექმნილი, უსამართლო ანგარიშსწორებისას ყველაზე მეტად ე.წ. ახლობლების გულგრილი დისტანცირება სწყინს და აღაშფოთებს, თორემ ყალბ პროფილებს აფარებულ ქალაჩუნა ტროლებზე გული ნაკლებად ეთანაღრება, ვინაიდან მათ მიერ ტირაჟირებული სიცრუე სხვების დაკვეთაა და პიროვნულ მომენტს სავსებით გამორიცხავს. კარგი ნაცნობების, მეგობრებისა და კეთილმოსურნე კოლეგების მხრიდან გამოვლენილი გულმხეცობა კი ხაზგასმული უმადურობისა და უპატივცემულობის ნიშანია, რასაც წლების მანძილზე სათავისო გამორჩენის მიზნით იმ დრომდე ნიღბავდნენ, სანამ სჭირდებოდი და როცა ვიღაც პარტიულმა კვაზიჯალათმა ეშაფოტზე აყვანა დაგიპირა, ეს ვითომ მოკეთეები თვალსადახელმუა ტროლებზე კათოლიკე რომის პაპებად იქცნენ და სიკეთის სანაცვლოდ ისტერიული გავეშებით აღავღავდნენ: **„ჯვარს აცვი!“** ფაქტია, ადამიანის ნამდვილი ბუნება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი სრული ლუსტრაცია შეულამაზებლად მხოლოდ ქცევისას მჟღავნდება. ჩემ წინააღმდეგ აგორებულ უბინძურეს კამპანიაში ანაზდად ამ ე. წ. ახლობლის „ვერდიქტი“ აღმოვაჩინე, რომელიც კულტურის ბუნდოვანი სანიტრის ნიკით გამოქვეყნდა და შემდეგი შინაარსისაა: **„ამას ვაბშე როგორ ბეჭდავთ? ეს პიროვნება ქართული ლიტერატურის სირცხვილია და დაკნინება!“** რაზეც მოულოდნელი მოკავშირის მხარდაჭერით გულგაკეთებულმა ჭახნაკიამ ახალი კომენტარით ცეცხლზე ნავთი გადაუსხა: **„შენ ამ ქალკაცასთან (ქალკაცა მე გახლავართ!) და ბენიძესთან (ბენიძე მარსიანის გვარია) არ მეგობრობდი? აი მარსიანის ნამდვილი სახე“.** და ქვემ ჩვენი გვერდიდან მოპარული მარსიანის წერილის ლინკი დაუსართა, რომელშიც ჩემი განუყრელი თანამოაზრე და თანაგუნდელი არგუმენტირებულად მიცავს და მის ცილისმწამებლურ გამოხდომებს ფაქტებით ამხელს. მასასადამე, ამ არაჯასაღ აჟიოტაჟის ფონზე მარსიანის დიდი ხნის მეგობარი და ჩემი კარგა ხნის ნაცნობი ბუნდოვანი ცოფიანვით გამოვარდა სცენაზე, თანაც რა სანიტრულად შემომიტია! ჭახნაკიელი ჭინკების ჭუჭყიან ჭანჭრობს ოდიოზური ნიკით უყოყმანოდ მიეშურა და მძვინვარედ გამოეხმაურა, რაც ამ პიროვნების წინააღმდეგობრივ შინაგან ბუნებას დაუფარავად ააშკარავებს. მხედველობაში მყავს „კულტურის ბუნდოვანი სანიტარი “, რომლის უკან პოეტი გიორგი კახიძე დგას, წლებია ლიტერატურულ საზოგადოებას გ. ბუნდოვანის ფსევდონიმით რომ მოვლენია; ერთი ხანობა, გაქრისტიანების ხანმოკლე პერიოდში (ჭეშმარიტების ეს დაუცხრომელი მაძიებელი ბუდიზმიდან ჯერ ათეიზმში გადავარდა, შემდეგ ქრისტიან დეკანოზს, გურამ ოთხოზორიას მორჩილად შეეხიზნა, თუმცა საბოლოოდ რელიგიური „ხუნდებისგან“ გათავისუფლებული კვლავ თავის მშობლიურ დესტრუქციულ სტიქიას დაუბრუნდა) გიორგი მორჩილის ფსევდონიმის უარმყოფელი სვეტკებისთვის მოდურ „მიმდინარეობას“ - ნონკონფორმისტობას აწვებოდა, მაგრამ ამ მიმართულებით გატაცებულმა პირველობისათვის გამართულ დოღში ცხობილი ავანგარდი ექსძმაკაცები უკლებლივ გადაიმტერა და მარტოდ შთენილმა ახალი ჯგუფის შეკოწიწება რომ გადაწყვიტა და ძველ მეგობარს-მარსიანს მიადგა, ჩემთან გაერთიანდიო, რაზეც დასაბუთებული უარი მიიღო: მარსიანის პასუხი: - მე 5 წელი სრულდება „ისინდში“ ვარ და გუნდური ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე სხვაგან ვერ ვითანამშრომლებო, პირად შეურაცხყოფად აღიქვა და მე გადამეკიდა ისე, რომ ამასწინათ არც კი მომესალმა. იმ მიზეზით შემომწყრა: ჩემთან გაწევრიანება მარსიანს უთუოდ იკამ აუკრძალაო, რაც ცხადია, მტკნარი სიცრუეა. ვინც ბუნდოვანს იცნობს, მისი ექსცენტრულობისა და წინააღმდეგობრივი ბუნების აძბავი მშვენივრად მოეხსენება. იგი მუდამ საკუთარი აღქმებით ხელმძღვანელობს, არავის უსმენს, არც ობიექტურ სინამდვილეს ცნობს და სხვა ადამიანების მოსაზრებები არასდროს აინტერესებს. მის ნატურას ძველი სიბრძნე ზუსტად მიესადაგება: „ფურმა იწველა, იწველა, შემდეგ სათლს წიხლი ჰკრა და რძე მთლიანად დაღვარაო.“ მარსიანთან მრავალწლიანი მეგობრობისას არაერთხელ შევსწრებივარ სიკეთის წილ რამდენჯერ დაუმცირებია და საჯაროდ განუქიქებია „გახუყრელი მეგობარი;“ ოპერაციების შემდგომ გამოსაჯანმრთელებლად დასთან სოფელში სარეაბილიტაციოდ მყოფი მარსიანს ქვეყანა შეუყარა: (მარსიანის და მედიცინის მუშაკია და ძმას წელიწადზე მეტხანს კვალიფიციურად უვლიდა) თავის გვერდზე ოფიციალურად დაარისხა განგაშის ზარი: მარსიანი უპატრონოა, სრულიად არავინ ჰყავსო, რამაც ცხადია უახლოესი ნათესავი- და (სხვებიც) სამართლიანად გაანაწყენა; 5 წლის წინ მან მარსიანი თავის ფეისბუქზე საფუძვლიანად რომ გააშავა, ვეღარ მოვითმინე და იმის მიუხედავად რომ ჩემდამი მეტწილად ხაზგასმულ კეთილგანწყობას ავლენდა (სიმართლეს გაუმარჯოს- 2008 წლის აგვისტოს ომში დედაქალაქს მოწყვეტილი რომ ვიყავი, გასამხნევებელ მესიჯებს სისტემატურად მიგზავნიდა, უფრო ადრე საკუთარი ინიციატივით კავკასიურ სახლში ჩემი შემოქმედებითი საღამო გამართა, სადაც დადებითად დამახასიათა. ვალში არც მე დავრჩენილვარ. ჩემს საავტორო რადიოგადაცემებში ხშირად ვიწვევდი, ღონისძიებებზე მარსიანზე ზრუნვისთვის საჯაროდ მადლობას ვუხდიდი, ჩემს ახლობელ ღვაწლმოსილ უფროსთაობელ კოლეგებთან დაახლოებაში ვეხმარებოდი და ა. შ.), თავაზიანად მივუთითე, რომ მსგავსი ქცევა- მოყვასის დაუნდობელი საჯარო ქილიკი ახალგაქრისტიანებულ სასულიერო პირს არ შეეფერებოდა, ულაპარაკოდ დამბლოკა, თუმცა ამ გარემოებას ჩემთვის ხელი არ შეუშლია 3 წლის წინ მისი ახალი, საკმაოდ საინტერესო ლექსები „ისინდში“ უანგაროდ გამომექვეყნებინა, ვიცოდი რა მისი ხელმოკლეობის შესახებ და პატივს ვცემდი, რომ ფინანსური უსახსრობის მიუხედავად ინტერნეტ-სივრცეში მარსიანის დასახმარებლად არაერთგზის შეაგროვა მისთვის გარკვეული თანხა; სხვათა შორის, ჟურნალის ამ ნომრის წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას (მის გარდა დარბაზში ჩვენი ძველი მეგობარი კოლეგები: „ზღვარის“ წევრები: სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე, აგრეთვე პოეტი შალვა ბაკურაძე იმყოფებოდნენ) ჩემდამი მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვა არ დავიწყებია, როგირც იმის აღნიშვნა, რომ მისდამი კოლეგიალობას ყოველთვის სათანადოდ ვავლენდი და მეძლებისდაგვარად მხარს ვუჭერდი. თავად ჩვენი გამოკვეთილი ეროვნული პოზიცია რომ აღიზიანებდა, არც ეს დაუმალავს, (ავანგარდობას ამიტომ იჩემებდა, რომ ეროვნული ცნობიერებისგან გაუცხოებული იყო)... ამდენი გაუთვალისწინებელი რყევით გაბეზრებული მკითხველი იქედნურად იკითხავს: კი მაგრამ ნუთუ ამდენხნიანი არც თუ ურიგო ნაცნობობის ფონზე მისი მხრიდან მსგავსი გესლითა და ღვარძლით სავსე „ვერდიქტის“ გამოტანა რაიმე ლოგიკურ კონტექსტში გამართლებულია?! ღმერთია მონამე, სხვა ბრალი არ მიმიძღვის ამ ყიამყრა-

ლი სანიტრის წინაშე, რომელიც წიგნების კითხვაზე ცალკე საგანგებოდ აცრილია, მეტიც, სავონაროლას მოწოდებას რეტროგრადული აპლომბით იმეორებს: ცეცხლს მიეცით ყველა წიგნი, ნახატი, კულტურა მოკვდა და ა. შ. და ამავდროულად საკუთარი თავის წარმოსაჩენად ახალი შემოქმედებითი კოლექტივის შეკოწინებას გააფთრებით ცდილობს და ვინც მის ამქარში გარევაზე უარს აცხადებს, ამ სტილის სანიტრული მეთოდებით უსნორდება და უმასპინძლდება! მართლაც ბარაქალა ამგვარ ორგემაგეობასა და „მეგობრული გატანის“ პრეცედენტს; როცა ბინძურ ცილისმნამებლურ კამპანიაში საკუთარი ინიციატივით ხალისით ებმები იმ კოლეგის ნინაალმდეგ, ვისაც შენთვის ცუდი არასდროს გაუკეთებია და ეშმაკის ქვას დაუნდობლად ესვრი და სამარცხვინო იარლიყებს აწებებ, ეჭვს აღარ იწვევს, ვინაა სამარცხვინო და ჯანსაღი საზოგადოებისთვის მიუღებელი პიროვნება! და რადგან ბუნდოვანი არც იმდენად ახალგაზრდა „უბორშჩიცაა“, როგორც ჭახნაკიელი ჭინკა და აღარც ქრისტიანული რწმენა“უბოჭავს „დეჰუმანიზებულ სულს, მაშინ მის მიერ ერთხელ უკუგდებული ბუდისტური სიბრძნის ერთ-ერთი კოდექსი გაიხსენოს, რომლის მიხედვითაც მსგავს უსაქციელობას (რაც რბილად ნათქვამია!) სწორედაც ახლობლებს არ პატიობენ; მას, ვისაც სხვების კარნახის გარეშე, საკუთრივ წლების მანძილზე თავად არაერთგზის უსარგებლია მოყვასის სიკეთით და მადლიერების ნაცვლად საავკაცოდ აღერღილი და გაცოფებული გარეშეებზე შძვინვარედ გერჩის და უფრო დაუნდობლად გიპირისპირდება, არც ერთი რელიგიური მოძღვრება არ შეიწყნარებს, ადამიანად არ მიიჩნევს და აღიარებს! აი ესაა „პროგრესისტ“ ჭახნაკიელთა კრებითი სახე. და ბოლოს, როდესაც მსგავს მუხანათობას ახორციელებ, ღვარძლით სავსე კომენტარი-მოწოდება მოგვიანებით კი არ უნდა გადამალო, თუ ნამდვილად სიმართლეს ემსახურები და უკეთურებას ამხელ, არამედ ბოლომდე მყარად დაიცვა საკუთარი პოზიცია თორემ ჭახნაკიელთა ჭუჭყიან ჭახჭრობში ჩაყურყუმალავებული ფეთხუში სანიტრის უსუფთაო ვხებების ძინაარსი პროგრესისტებსაც და რეტროგრადებსაც ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოსატანად უბიძებს: კურდღელი ვარ ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო...

5.4.2022.

მარსიანი
სანიტრობასაც კომპეტენცია სჭირდება

„პოეზიარის“ გვერდზე ქართული ლიტერატურის ჟანა დ'არკად წოდებულ იკა ქადაგიძეს რომ არნახული ბულინგი მოუწყვეს ჩვენმა ე. წ. ლიბერალებმა, ერთ-ერთი მოწინავე მათ შორის აღმოჩნდა „კულტურის ბუნდოვანი სანიტარი“. აი, მისი ტექსტები, გვერდის ადმინისტრატორ თ. ჭახნაკიასადმი მიმართული“: „ამას ვაფშე როგორ აქვეყნებ საერთოდ!“ “საქართველოს სირცხვილია ეგ პიროვნება და ლიტერატურის დაკნინება“. ბ-ნმა ჭახნაკიამ ასე უპასუხა: „ძენ ბენიძესთან და მაგ კაცქალასთან არ მეგობრობდი? აი მარსიანის რეალური სახე!“ და მიუთითებს ჩემს გამოხმაურებაზე, რომელიც იკა ქადაგიძის დასაცავად დავწერე. ადრესატის მხრიდან ბატონი ჭახნაკიას მიმართვის პასუხი არ ჩანს. არ ვიცი, იყო ეს პასუხი და შემდეგ აიღეს თუ საერთოდ არ ყოფილა. მაგრამ ის ტექსტები, რომლებიც ზემოთ მოვიყვანე, უთუოდ ითხოვს ჩემგან რეაგირებას.

ჯერ ბ-ნ ჭახნაკიას ტექსტი ვნახოთ: ბენიძე ანუ მარსიანი მე ვარ და არ ვიცი, რა „რეალური სახე“ გამოვაჩინე ჩემი გამოხმაურებით, განა სულ ასეთი არ ვიყავი? განა რაიმე ნიღბით ვსარგებლობდი აქამდე? ნიღბები და ცრუ პროფილები თავისკენ მოიკითხონ ინტერნეტულ ბატალიებში ჭიპმოჭრილმა და ათასგვარი ხრიკებით მსხვერპლზე თავდასხმის ოსტატებმა. ახლა კიდევ ეს „კაცქალა“ თუ „ქალკაცა“ რა გამოთქმაა? იკა ქადაგიძისნაირი მებრძოლი ბუნების ქალებს კეთილგანწყობილი ადამიანები ამგვარად არ მოიხსენიებენ, მათ უმალ სიტყვა „ამორძალი“ გაახსენდებათ ალბათ (აკი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჟანა დ'არკს ეძახიან მას). „ქალკაცა“ თუ „კაცქალა“ სუბიექტები უფრო იმ სივრცეში უნდა ვიგულვოთ, სადაც „გამოხატვის თავისუფლებისათვის“ აღლუმების მოწყობით დაკავებული ჯგუფები აქტიურობენ.

ახლა კი „კულტურის ბუნდოვანი სანიტრის“ განაჩენიც ვნახოთ, რომელმაც განსაკუთრებული გულისწყვეტა გამოინვია ჩემში: ნუთუ „საქართველოს სირცხვილი და ლიტერატურის დაკნინებაა“ უკეთესთა შორის უკეთესი პოეტი და ეროვნული ფასეულობებისთვის დასაცავად მებრძოლი პუბლიცისტი? რის საფუძველზე აცხადებ ასეთ რამეს? თუ მის პოზიციას არ იზიარებ, ის მაინც ხომ უნდა განმარტო, კონკრეტულად რაში არ ეთანხმები? ასე დაუსაბუთებელი და დაუნდობელი ბრალდება რომელ ადამიანურ და ქრისტიანულ გაგებას ემყარება ნეტავი?

ისე, „სანიტრობა“ გარკვეული სივრცის დალაგება-დასუფთავებას გულისხმობს და თუ კულტურის (კერძოდ, ლიტერატურის) დასუფთავებას ვიკისრებთ, კარგად უნდა ვიცნობდეთ ამ კულტურას (ლიტერატურას) და ისიც უნდა ვინებოთ, რომ ჯერ საფუძვლიანად გავეცნოთ იმ კონკრეტული მწერლის შემოქმედებას, რომელსაც შეფასებას ვუპირებთ. სხვანაირად მართლაც “ბუნდოვანი სანიტრობა“ გამოგვივა; როცა ქართული წიგნი თვალით არ დაგენახვება, როგორ უნდა დაადგინო, ვინ არის ლიტერატურის სირცხვილი და ვინ - ლიტერატურის სიამაყე?

მე უბრალოდ მიჭირს გავიგო, რამ განაპირობა ესოდენ უსამართლო აგრესია?! ადამიანი ასე რომ გაიმეტო, ან მართლა ობიექტურად უნდა იყოს ამის ღირსი, ან რაღაცის გამო მის მიმართ ბოღმა უნდა გქონდეს გულში. და მე მახსენდება ერთი ისტორია: ბუნდოვანმა იკა ფეისბუქში დაბლოკა იმის გამო, რომ იკამ გააპროტესტა მისი ერთი პოსტი, რომელშიც მე ვიყავი მოხსენიებული უდიერად. მაგრამ ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და, ასე ვთქვათ, დაძაბულობა განიმუხტა: მოხდა შერიგება, გარკვეული თანამშრომლობაც... თუნდაც ასეთი ფაქტი განვსაჯოთ: იკა ქადაგიძის ჟურნალი “ისინდი“ ყოველგვარი დაფინანსების გარეშე გამოდის, მისი წევრების ჯიბის ფულით და კიდევ იმით, რომ მასში დაბეჭდილი ავტორებიც გარკვეულ თანხას იხდიან, რათა რედაქციის დამოუკიდებელი პოლიტიკა გატარდეს და შენარჩუნდეს. და როცა ასეთ ფონზე რედაქტორი თავისი ინიციატივით გიბეჭდავს ლექსებს და სანაცვლოდ არაფერს იღებს შენგან, განა ეს კოლეგიალური პატივისცემის გამოხატულება არ არის? იკას სხვა დროსაც არაერთგზის გამოუხატავს კოლეგიალური მხარდაჭერა და თვითონაც მსგავსი საქციელით გიპასუხნია. ასე რომ, რაიმე მტრობას ადგილი არ ჰქონია. ჰოდა რა მოხდა, ვითომ მართლა საქართველოსადმი მხურვალე პატრიოტული გრძნობის გამომჟღავნებად უნდა მივიღოთ ეგ, უკაცრავად პასუხია და, “ბუნდოვან-სანიტარული“ დემარში?!

და ბოლოს იმას ვიტყვი, რომ ყველას ჩვენ ჩვენი შეხედულება გვაქვს პოლიტიკურ პროცესებზეც, კულტურულ ფასეულობებზეც, ადამიანურ ურთიერთობებზეც; თუ ვინმე გარკვეულ შემთხვევებში მეგობრულად გვერდში დამდგომია, ათასი ძადლობა მას (ალბათ თვითონაც მსგავსი საქციელით მიპასუხნია), მაგრამ ამგვარი ურთიერთობა არავის გვავალდებულებს საკუთარი შეხედულებების შეცვლას, საკუთარი მისწრაფებებიდან გადახვევას. მე და იკა ქადაგიძეს მეგობრობა, კოლეგიალობა და თანამოაზრეობა გვაერთიანებს და ეს ვლინდება არა მხოლოდ შემოქმედების სფეროში, არამედ ეროვნულ ფასეულობებთან მიმართებაშიც: მაგ-

ალითად, ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანელები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მითვისებას აპირებენ, ჩვენთვის ტრაგედიის ტოლფასია. ვისაც ეს თემა საერთოდ არ აინტერესებს, მიუხედავად თავისი ეკლესიურობისა, ჩვენ ვერც პატრიოტად ჩავთვლით და ვერც ქრისტიანად. ზოგიერთებს ახლა, უკრაინის ომის დროს აღეძრათ „პატრიოტული სულისკვეთება", 2008 წელს კი, როცა რუსული ტანკები და თვითმფრინავები საქართველოს უტევდნენ და ჩვენს სამხედროებსა და მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავდნენ, რაღაც არ დამინახავს, ამ ჩვენს „უკრაინოფილ პატრიოტებს" საკუთარი ქვეყნის მიმართ თანადგომა და მტრისადმი აღშფოთება გამოეხატათ, ის კი არა, „პუტინს ვენაცვალეო" - ამგვარი ტექსტიც კი გვსმენია.

ბოლოს დავამატებ, რომ ვინც ჩვენს შეხედულებებს არ ეთანხმება და მკვეთრად სხვა პოზიციაზე დგას, მან თავისი გზით იაროს და ჩვენ ჩვენი გზით სიარული დაგვანებოს. ღმერთმა ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯოს!

30.03.2022

მარსიანი
ჭახნაკიელების საჭინკეთის
"პროგრესულად მოაზროვნეთა" გასაგონად

უკრაინის თემასთან დაკავშირებული არაჯანსაღი აჟიოტაჟი პოლიტიკური სპექტრის გარდა სამწერლო სივრცესაც მოედო და ერთმანეთს ამ ნიშნით დაპირისპირებული მწერლები ბოლშევიკური პერიოდისათვის დამახასიათებელი დაუნდობელი ქმედებებით გააქტიურა. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან ე. წ. პროდასავლური მიმართულების პარტიათა (ნაც-გირჩ-მევახშეთა) მხარდამჭერი კალმოსნები. ისინი ნეოლიბერალური ტელემედიების მუდმივი ფავორიტები და რუპორები არიან, ქართველობას სამარცხვინო კომპლექსად მიიჩნევენ და ყველაფერს აკეთებენ ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული ღირსების წასაშლელად. თუმცა ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელიც მთლად „საბას" ლაურეატთა დონეზე ულტრამედასავლეთეობას არ იჩემებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ულტრაპატრიოტულიც" უჭირავს საჭიროების შემთხვევაში, რაც ორმაგი სტანდარტების ტიპიური გამოხატულებაა.

ეს ტენდენცია სოციალურ ქსელში განსაკუთრებით ფეხმოკიდებულია. და ამგვარ ატმოსფეროში ჯანსაღ ეროვნულ პოზიციაზე მდგომ და მებრძოლ საკმაოდ მცირერიცხოვან მწერალთა წინააღმდეგ დაუნდობელი ანგარიშსწორების ფაქტები ერთობ გახშირდა. ეს, ასე ვთქვათ, „შუალედური" ფლანგი განსაკუთრებით სახიფათოა ეროვნული დეზორიენტაციის თვალსაზრისით, რადგან პროგრესულობას მიიწერს და მისთვის მიუღებელ პოზიციაზე მდგომთა დისკრედიტაციას ნებისმიერი აკრძალული ხერხის გამოყენებით ეწევა.

ინტერნეტში ამგვარი საეჭვო საქმიანობის საუკეთესო საშუალებაა ე. წ. საზოგადოებრივი გვერდების დაარსება, რაც უმეტეს შემთხვევაში მავანთა პოლიტიკური თუ პირადი ანგარიშსწორების მოქნილი იარაღია.

ახლახან გამორჩეულად მებრძოლი მწერლის, იკა ქადაგიძის წინააღმდეგ სწორედ ზემოთხსენებული „შუალედური" ფლანგის „პროგრესულად მოაზროვნე" ადმინისტრატორმა თ. ჭახნაკიამ გამოიდო თავი: თავის მიერ დაარსებულ გვერდზე „პოეზიარი" იკას წერილი დაუკითხავად გადაიტანა, თანაც წინ ცილისმწამებლური იარლიყი „ებრაელების მოძულე" წაუმძღვარა, რასაც ჭახნაკიას თანამოაზრეთა მხრიდან გააფთრებული, შეურაცხმყოფელი თავდასხმები მოჰყვა: ამ ყალბად ანგაჟირებული სუბიექტების კომენტარებში ცალსახად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ისინი პირდაპირ დავალებით მოქმედებდნენ და არც კი მალავდნენ, იკას ტექსტი რომ საერთოდ არ წაუკითხავთ და არც აინტერესებდათ მისი შინაარსი, რომელშიც ანტისემიტური სრულიად არაფერი იყო და მხოლოდ დღევანდელ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს გარე და შიდა საფრთხეებზე იყო ყურადღება გამახვილებული. ჯანსაღ პოზიციაზე მყოფმა ადამიანებმა ეს სათანადოდ დააფიქსირეს, მაგრამ ჭახნაკიას ხელს არ აძლევდა სიმართლის გარკვევა და მათი კომენტარები დამალა, რაზეც მიუთითეს კიდეც, მაგრამ უშედეგოდ: მას ასპროცენტიანი მხარდაჭერის სურათი სურდა შეექმნა. იკას საპროტესტო წერილის კვალდაკვალ ამ ცილისმწამებლურ კამპანიას სპეციალური წერილით გამოვეხმაურე, რომელიც თავის გვერდზე გამოაქვეყნა ლიტერატურათმცოდნე მარეხ ბეჟანიშვილმა საკუთარ გამოხმაურებასთან ერთად. ბ-ნმა ჭახნაკიამ ისე წარმოადგინა ვითარება, თითქოს ამ სამივე პუბლიკაციის ავტორი იკა ქადაგიძეა, რაც გაუგონარი გამრუდება გახლავთ სიმართლისა: ბოლოსდაბოლოს, ყველას თავისი ხელწერა აქვს და ამის დადგენა გახათლებული კაცისთვის, მითუმეტეს მწერლობაზე პრეტენზიის მქონესათვის, ძნელი არ უნდა იყოს.

მეოთხე გამოხმაურება ბატონ როსტომ შამუგიას ეკუთვნის, რომლის კატეგორიულობამ ისე გააღიზიანა ბ-ნი ჭახნაკია, რომ ამ პუბლიკაციას „იაფფასიანი რეტროგრადული წერილი" უწოდა და თვითონაც კატეგორიულად მოსთხოვა გამოცდილ პუბლიცისტს, რომ იკა ქადაგიძის პოზიციას მკვეთრად გამიჯვნოდა. ნახეთ, თავის ულტიმატუმს როგორი „არგუმენტებით" ხსნის იგი: „ქადაგიძე არის ცრუ და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების მოძულე, თქვენი შვილისნაირების - პაატა შამუგიას, ხვიჩა ყალაბეგაშვილისნაირების და ჩემნაირების... თემურ ჭახნაკიას არცერთი ღირსეული ადამიანი არ გალანძღავს, მხოლოდ ქადაგიძის ნაქეზებული ბენიძისნაირი გნომები."

მკითხველი კარგად ხედება, რა ამოუწურავი არსენალი აქვს ამ „პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდას" ეროვნულ პოზიციაზე მტკიცედ მდგომი უფროსთაობელი კოლეგების რეპრესირებისათვის. კარგად მახსოვს, წლების წინათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გახმაურებული პოლემიკა, რომელშიც იკა ქადაგიძემ „პროგრესულად მოაზროვნე" ხვიჩა ყალაბეგაშვილს ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფისთვის საკადრისი პასუხი გასცა, მაგრამ როგორც „ძაღლის კუდი არ გასწორდების", ისე ამ „პროგრესულების" პრეტენზიებს საკუთარი ქვეყნის მიმართ ბოლო არ უჩანს. დაახლოებით ერთი თვის წინათ ბატონმა ყალაბეგაშვილმა მთელი ინტერნეტსივრცე ააწრიალა იმის განცხადებით, თუ როგორ ავიწროებენ მას ფინანსურად, და ხალხს „დაბეჯითებით ურჩია", ამ ჯოჯოხეთიდან შვილები გაიყვანეთო. აი, ასეთია ამათი „პროგრესული აზროვნება", რომ გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყანა დახმარების სანაცვლოდ გალანძღონ, უცხოელებთან დაასმინონ და მის მომავალ თაობას საქართველოს დატოვებისაკენ მოუწოდონ.

ახლა ვიკითხოთ, განა ამგვარად ზრუნავდნენ საკუთარ ქვეყანაზე ღირსეული მამულიშვილები? ამგვარი „პროგრესული აზროვნებით" მოვაღწევდით დღემდე?

დაე, მომავალმა განსაჯოს, ვინ გნომად შემორჩება ქართულ ლიტერატურას და ვინ - ჰერკულესად, ამის დადგენა ჩვენს „პროგრესისტებს", ვფიშობ, ძალიან გაუჭირდებათ. მითუმეტეს, რომ, როგორც წეღან აღვნიშნე, ამ „პრადვინუტ" აქტივისტებს საგანგებოდ მიაქვთ იერიში ეროვნული ცნობიერების მწერლებზე. ასე აღმოჩნდნენ მათ „მავ სიაში" ლერი ალიმონაკი, აწ განსვენებული რეზო ამაშუკელი, ერეკლე საღლიანი და ზაურ ნაჭყებია. რაკი ამდენის უფლებას აძლევენ თავს, ცხადია, მათ გარკვეული ძალები მფარველობენ და ეს ფრიად საეჭვო „პროგრესულობა" ეროვნულ ცნობიერებასთან ანტაგონიზმში მყოფი იდეოლოგიის გამოხატულებაა, რომელსაც საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს.

28.03.2022

ერეკლე საღლიანი[1]

მედეა

(სვანური ვერსია)

თავი 8

თქვენ გეკუთვნის ყველას,თქვენთან ვარო,
თქვენთან ვარ და მოვედები სივრცეს,
ეს ქვეყანა მე მაგონებს ხაროს,
ეს ქვეყანა მე მაგონებს ზღვის ფსკერს,
თორმეტ ზეკარს ქართან ერთად გავალ,
გავალ ქარზე უსწრაფესი ცხენით,
ერთ საათში გავლევ ერთ დღის სავალს,
ხელებს გავშლი ცაში ავალ ფრენით.
ბედი მიჭერს თავის ჭანგს და საცეცს,
დავეპნევი ჩემს სიყვარულს ავლად,
იმ შხამს, ძირს რომ სპილოსაც კი დასცემს,
მე გარდავქმნი სამკურნალო წამლად.
ქარიშხალი მოდის, მუხის ხეს ხრის
და დაუვლის მუხას ღერა-ღერა,
ახლა უნდა ავუჯანყდე ჩემს სისხლს,
ავუჯანყდე ფუძესა და კერას.
ვეღარავინ მიუყენებს საზომს,
ვარსკვლავთა ცეცხლს, ვარსკვლავების თვალში,
ო, ეს ცეცხლი გადაბუგავს იაზონს,
არგონავტებს ერთიანად დაწვავს.
კი მოუგრეხს აიეტი კისერს,
ბედისმდევარს არ აღირსებს სითბოს
და ხარებიც კაცს უმზერენ ისე,
გულისგულში რქას უყრიდნენ თითქოს.
ავდექი და იაზონს ჩუმად შევხვდი,
ის ხედავდა ჩემში უკვე ქომაგს,
ჩემი კაცი გავაგზავნე მთებში,
ბარამბო რომ დაეკრიფა ბლომად.
მასთან ერთად მატიტელაც კრიფა,
ვაშლისუნაც კრიფა მასთან ერთად,
ცხრა ფოთოლი ჩამოწყვიტა იფანს,
თავქუჩეჩას ვერ მიაგნო ვერსად.
რაც დაკრიფა მოიტანა ჩემთან,
შევაზავე სურნელოვან ზეთში,
ეს ნარევი ვზილე ქალმა ერთხანს
და მალამო მოვუტანე თეფშით.
ხვდება იაზონ ქუთაია ქალაქს,
რომ ეხსნება დასავლეთით კარი,
უკოლხეთოთ საწმისს ძალა არ აქვს,
უსაწმისოდ კოლხეთია მკვდარი!...
ჩემს მალამოს მთელ სხეულზე ისმევს,
უკვდავებას ეზიაროს, ვინძლო,
ტანზე ისხამს აბჯარს, ფარ-ხმალს ისევ,
ღამე სისხამს შორდებოდა იმ დროს.
ცეცხლს გავუჩენ მე რომ ხელი ვახლო,
ავენთები, გავღვივდები მთასთან,
უწყის ზენამ, რომ მე ასე ახლოს,
ვერ განვეწყვე, რა ვქნა, თუკი სამტროდ,
მოჰგავს მამის წინ მარბენალ ბატკანს,
ქე გადასდო დღეს მან თავი სამკვდროდ,
სძლია შიშს და ხარებს უღელს ადგამს.
ყოველ ნაბიჯს ის სიფრთხილით წონის,
ებრძვის ხარებს, ხარები კი არ სძულს,
მოჰგავს იგი საშინელი დროის,
შორეთიდან მომავალში დაძრულს.
მინდა, სწორად რომ გაიგოთ მითი,
თქვენ გგონიათ, სწორად გესმით ვითომ?
ცეცხლს, ხარები გვაშინებდნენ რითიც,
კოლხი კაცი აწრთობინებს ლითონს.
არ ისურვოთ ხიფათის წინ მოხრა,
იაზონსაც ჰქონდა კოლხთა ნდობა,
აქ ისწავლა მან ლითონის დნობა.
აქ ისწავლა მხოლოდ აქ და არსად,
აქ ისწავლა სიკეთეც და ავიც,
აქ კოლხეთის მიწა- წყალზე კაცად
კი შეიცნო იაზონმა თავი.
მე კი ფიქრი, იმედად რომ მივის,
ჩემს სიყვარულს არ დაედოს ხუნდად,
თუ ქალი ხარ, შენ მოყვასის ტკივილს,
ტკივილს ხშირად იტკიებდე უნდა.
საზარელი არის ყველამ იცის,
არესის და ციკლოპების ჭალა,
კაცის ძვლები აქ იწყებენ ლიწინს,
ეს ადგილი საიდუმლოს მალავს.
შედის იაზონ მიწას სახნისს უდგამს,
ერთიანად წვება ბელტზე ბელტი,
გააქვს ხნული ხვავრიელად გუთანს,
სიხარული ბერძნის ჩემსას ერთვის.
ჩვენ ორივე ამ გარემოს შევცვლით,
ორივენი ხელს მის შეცვლას მივყოფთ,
ვერა წვავდა ღადარი და ცეცხლი,
იაზონს, რადგან უვნებელი იყო.
მაქვს მცენარე უკვდავების დარი,
არ უნახავს ის ასურეთს, მისრეთს,
ეს ყვავილი ამოსული არის
წამებული ამირანის სისხლზე.
იხსნა იმან რაც მე წამლად ვწირე,
ვწირე იგი სიყვარულის ნაცვლად,
გველეშაპის გამოპირულ კბილებს
ჩაყრის ხნულში, როგორც დიკას მარცვალს.
კბილებიდან აღმოცენდნენ შემდეგ,
აღმოცენდნენ კაცნი გიგანტური,
მათ დახოცვას გულით ვინატრებდი.
წამოვიდა ციკლოპების წყება,
როგორც დიდი ოკეანის ზვირთი,
იაზონიც უკვე კარგად ხვდება,
იმის გვერდით ბრძოლი განზე ილტვის.
განწირულმა ჩემი რჩევით ლოდი,
გოლიათებს შორის დააგორა,
ხერხი სჯობსო ღონეს, თქმულა ოდით,
გიგანტები გაიხლიჩნენ ორად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

1 **გაგრძელება. დასაწყისი იხ. ''ისინდი'' №13,14,15**

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲝᲡᲘ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔᲖᲔ

ერთი ჩემი აზრით საინტერესო ამბავს მოგიყვებით. ძალიან დიდი ხნის წინ 1973 წელს ზაფხულში სამსახური მქონდა რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგმშენის №1 ტრესტის №6 სამმართველოში, რომლის უფროსი იყო დავით ცერცვაძე, მე მაშინ მშენებელ-ოსტატად ვმუშაობდი მასთან. ობიექტი გვქონდა-თბილისში ვაჟა-ფშაველაზე რესპუბლიკური საავადმყოფო შენდებოდა, რომელიც ზემოთ დასახელებულ წელს უნდა ჩაგვებარებინა საექსპლუატაციოდ; ჰოდა, ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს მშენებლობის ტერიტორიაზე გაჩერდა ჟიგულის მარკის ავტომანქანა და გადმოვიდა ორი მამაკაცი, შევხედე და ორივე ვიცანი: ერთი ცნობილი საბჭოთა ბიზნესმენის ოთარ ლაზიშვილის ძმა მიხეილი (მიშა) და მეორე ჩვენი სახელოვანი მსახიობი ეროსი მანჯგალაძე; მივეგებე რა თქმა უნდა და ვკითხე რა გნებავთ-მეთქი. ეროსის მიშამ დაასწრო და საკმაოდ მედიდური, უკმეხი სიტყვებით მომმართა: ზურაბ ჯორბენაძე სად არიო, მე ვუთხარი, რომ მინისტრი თათბირს ატარებს და როგორც უბნის უფროსი იქ არის-მეთქი, ჩქარა გამომიყვანე ყურებითო, ცოტა შევცბი და ვუთხარი: ჯერ ერთი, ჩემი უფროსია და მეორე, მინისტრთან მე ვერ შევალ და ყურებში ხელს ვერ მოვკიდებ-მეთქი, ამ დროს ჩაერია ბატონი ეროსი და მიშას მიმართა, თავი შეიკავეო, მომიბრუნდა და მითხრა თქვენ ხომ არ დამეხმარებითო, აშკარად მეტყობოდა გაბრაზება; მაშინ ახალგაზრდული ფეთქებადი თავმოყვარეობა მქონდა და მკლავებზე ვიყურებოდი. მოკლედ ბ-ნმა ეროსიმ დამამშვიდა და თვალიც ჩამიკრა. მოკლედ სახლისთვის საღებავები უნდოდა თავისი მღებავებიანად. საღებავები გავატანე. იმ დღეს თვითონ გადმოიღო ჩეხური ლუდის ყუთები საღებავების ჩასაწყობად და თან თქვა, აფსუს რა ლუდი იყოო, თან თევზი და არაყიო. მღებავები ორშაბათს დაიბარა და აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინათ. ორშაბათს ბ-ნ ეროსის მივადექით ვაკეში კინოთეატრ „ყაზბეგი" -ს თავზე. თვითონ გაგვიღო კარი ამ საოცარმა, თავისი საქმის ვირტუოზმა, თავმდაბალმა, მორიდებულმა და საკმაოდ მორცხვმა პიროვნებამ. სახლში სუფთა ანარქია იყო. სამზარეულოში ცარიელი ბოთლების ერთი ასეული იქნებოდა, ოთახის კედლები სხვადასხვა ხელოვნების თუ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა წარწერებისაგან გაშავებულიყო. ბ-ნ ეროსის ვუთხარი, რა უნდა გააკეთონ აჩვენე და მე აგერ ვიქნები მეთქი. მე კარგად მახსოვდა ამ გენიალური მრავალმხრივი ხელოვანის მიერ შესრულებული უამრავი როლები: მაგალითად: „ოიდიპოს მეფე" თუ „ესპანელი მღვდელი" „გვადი ბიგვა" და თეატრალური დიდებული სახეები ოიდიპოსში ხორავას ავადმყოფობის დროს ვერავინ წარმოიდგენდა ასეთი საოცარი ოსტატობით შესრულებულ ურთულეს როლს ოიდ-

იპოსის, როცა იგი სულ 28 წლის იყო, ცაგარელის კომედია „ხანუმა"-ში დაუსრულებელი იმპროვიზირებით შესრულებული თუ „პეპო" - ში განხორციელებული განუმეორებელი როლები. აგრეთვე ის იყო ფეხბურთის შესანიშნავი კომენტატორი, რომელმაც კოტე მახარაძესთან ერთად ტაშკენტიდან მოგვილოცა ფეხბურთში თბილისის „დინამო"- ს პირველი ჩემპიონობა და სხვა მრავალი... ჩვენი იკას მეშვეობით მე შესაძლებლობა მომეცა ნაწილობრივ გადმომეცა ამ განუმეორებელი ფენომენის შესახებ, რომლის შესაძლებლობა მსოფლიოს ნებისმიერ სცენაზე იქნებოდა ერთ-ერთი უდიდესი კაშკაშა ვარსკვლავი ღრმად ვარ დარწმუნებული... ჰოდა, შევუდექი ამ კედლის ზოგიერთი ტექსტის შესწავლას, რომლებიც ზოგიერთ ადგილას ცოტა უცენზურო სიტყვებით იყო გაჯერებული. მაგალითად ავად გაგვიხდა ეროსი, სჭირდა მაგარი ანგინა, ექიმი რომ მოვუყვანეთ, სუყველას დედა გვაგინა და ა.შ. მუშებმა დაამთავრეს ოთახების დათვალიერება და მე გვერდზე გაყვანისას მითხრა, შენ მაგას რომ კითხულობ, ეგენი სულ წასაშლელია, ჰოდა წავშლიო, ისეთი მხატვრული ჟესტიკულაციით გააკეთა, რომ სახტად დავრჩი. რა ამაყი ვიყავი, რომ თეატრისა და კინოს ნამდვილი გრანდის გვერდში ვიდექი. შემდეგ მითხრა, დღეს დასვენების დღეა და თითო ჭიქა დავლიოთ, თუ წინააღმდეგი არა ხართო. წინააღმდეგი კი არა, რომ იტყვიან მეშვიდე თუ მეცხრე ცაზე ვიყავი. მაღაზიაში ერთად ჩავედით და გავაფრთხილე, რომ ფულს მე გადავიხდიდი, მე ვუთხარი, რომ ძალიან გთხოვთ, არაფერი იყიდოთ თქვენი ფულით, თუ არადა წავალ–მეთქი, ვაა, ვა, ეს ვინ ყოფილაო ჩაილაპარაკა მაღაზიის წინ დაახლოებით ჩემი ხნის რამდენიმე ბიჭი იდგა. ამ დროს ყველაზე ახლოს მდგომმა მე მომმართა: სიგარეტი ხომ არა გაქვთო, ეროსიმ დამასწრო და უთხრა მაგას თავი დაანებეთ, მე მაქვსო და მიაწოდა. ესეთი სიგარეტი იყო "ბტ" და სხვა ბიჭებმა ბანი მისცეს, ჩვენთვისაც გამოართვი ერთი. იმ ბიჭმა 5

თუ 6 ღერი ამოულო ბოდიშის მოხდით. შორიახლოს მდგომ ბიჭებზე სიგარეტის ჩამორიგებისას ეროსიმ ჯერ ჩემი კუშტი მზერა დაიჭირა, უცბად გაიმართა რაიმე არ მოხდესო და ისეთი რამე გააკეთა, რომ ყველამ გაიკვირვა და მერე ოვაციების ფონზე გაიცინეს. ეროსიმ ქვედა ტუჩის ბოლო თითებით გამოსწია და საფერფლე ხომ არ გინდათო, ეს იყო საოცარი მოქნილი იუმორი, რომელიც მარტო მას შეეძლო გაეკეთებინა. ამ იუმორით დაძაბულობა განმუხტა და სიცილი და ოვაცია გამოიწვია. შემდეგ ჩვენ ვიყიდეთ, რაც გვინდოდა, ავედით სახლში და ახლა მე გამეცინა: ისე ბ-ნო ეროს, ეს რამ მოგაფიქრებინა - მეთქი, მითხრა: შენი ნათელი სახე მთლიანად უჩვეულო მრისხანებით იყო შეცვლილი და ეს ხიფათი რაღაცით ხომ უნდა გამენეიტრალებინაო და როგორც ვხედავ გამოვიდაო. მე ვერ მოვითმინე, მივვარდი და გადავეხვიე, ვკოცნე და ვკოცნე ეს გენიოსი საყვარელი კაცი...

ბიძინა ფოცხვერაშვილი

ტრიოლეტი-გამოღვიძება

გავყურებ სივრცეს ჩაფიქრებულ პილატესავ-
ით,
ჩემსავე სულში განკაცებულს ველი მესიას.
დილის ვარსკვლავი მარტოობით ვინათესავე.
გავყურებ სივრცეს ჩაფიქრებულ პილატესავ-
ით.
მკრთალი შუქი რომ უსასოომ ვინათესავეთ,
წარსულის მკვდარი შეგრძნებები შემომესია,
გავყურებ სივრცეს ჩაფიქრებულ პილატესავით,
ჩემსავე სულში განკაცებულს ველი მესიას.

2019 წ

ვარდისფერი ტრიოლეტი

აყვავდი ისევ, გაიშალე, როგორც საკურა,
იყავი სხივი არსებობის ბოლო კადრისა.
სანამ სამყარო გიიერებს მნათობ საყურედ,
აყვავდი ისევ გაიშალე როგორც საკურა.
ცრემლი აპკური მიაპკურე სივრცეს სარკულად,
თუ დილამ სევდით განისლული გიუკადრისა.
აყვავდი ისევ, გაიშალე როგორც საკურა,
იყავი სხივი არსებობის ბოლო კადრისა.

2020 წ

საპარასკევო

შემოდის სიწითლე, ვოცნებობ კვირაზე,
უფალო, ბნელეთში გულები გვირაზე,
უთხარი მინდორში ასვეტილ კვიპაროსს,
გვიპაროს სევდა და სული დაგვიფაროს.

მოდი და მტკივნეულ სიზმრებში დაშენდი,
ფერებით ალუბლის და შინდის დაშინდი.
აჩვენე დიდება სამყაროს ბატონებს,
სანამ ზეციერი კიდევ მიგატოვებს.

2020 წ

შემოდგომა

მოდის შემოდგომა, მოდის სივრცეების
გაწითლება.
გრძნობ, რომ სამყაროში შენი არსებობა
არც ითვლება.

ისევ გაიშლება ბაღში საშიშარი ოქტომბერი,
ძველმა მოგონებამ უცებ სინანულის მოგდო ფერი.
გადი ეზოში და თოკზე გადაკიდე ტანსაცმელი.
კარი დახურე და ცოტა უალერსე დასაც მერე.

დილით საწოლიდან თვალი ღრუბლებისკენ
აწი მალე.
ახლა გათენდა და უკვე სახლებზეა ნაწვიმარი.

გავა შემოდგომა, გავა ზამთარი
და გაზაფხული,
და შენ ეგებები ყოველ ჩანაცვლებას
დაზაფრული.

09.09.2020

* * *

მენატრება შორეული მე სოფელი,
საღამოს რომ მოდიოდა მეზობელი...

მდინარეზე წასვლა მინდა სათევზაოდ,
ჩემკენ როდის ამოივლი ნათესაო?

მახსოვს, ჩვენი საწოლები ხეშეში და
შემოდგომა რომ მოვიდა, ხე შეშინდა.

მახსოვს, სახლზე გატოტვილი აივანი,
ზედ მძინარე ვარსკვლავი რომ დაევანა.

სხვაგან ხილი ვერ ვიპოვე ამ გემოსი,
თითქოს შიგნით ყვავილობდა ანგელოსი.

სოფლად ისევ მელოდება ბიძაშვილი,
რომ ნაყოფი დავაბრუნოთ მიწაშივე.

შენი გზებით შევიკერე მე სამოსი.
ვერ მოვედი, უკვე დღეა მესამოცე...

აქ ვიძინებთ სიცივეში, ობლები და
სიზმარიდან გვესმის ხმები სოფლებიდან.

23.09.2020

დეკემბერი

ფოთლები გახმა და გამოჩნდა წიწვები
და შეშაც ბუხარში ხმაურით იწვება.
გარშემო მალულად მომივლის აჩრდილი,
მე სანამ ცვარიან მინდორზე ვიწვები

მომიტანს ვარსკვლავთა კრებას და დეკემბრის
გადამჭკნარ ნაყოფებს ჩამიყრის უბეში,
თვალებში ვედრებით მიმზერს, რომ ეგების
რამე მოისმინოს ჩემგან სანუგეშო.

თანდათან მყარდება ნაცრისფერზე ფონი
სივრცისა, ბურუსმა ცა გაისათნოვა.
მინდოდა მეთქვა, რომ გაცრის პერსეფონე
ყინვიან ღამეებს და გაისად მოვა.

მინდოდა ზაფხულის სხივებით დამეთრო,
ცარიელ ტყეებში მტირალი დემეტრა.
და სანამ ზამთარმა ბაღები მოცვითა,
ამევსო ხელები ბალით და მოცვითა,

რომ ჰქონდეს საგზალი ბნელეთში მიმავალს
იდგეს და შორიდან უყუროს ქალიშვილს
და ტერფებს გაყინულს კაბაში იმალავს,
თოვლში თმებს გაიშლი

2020 წ

გიო კილაძე

რადიო-გადაცემები ბეჭდურად

ილია, ლინკოლნი და კიდევ ბევრი დიდი და პატარა ამბავი

მინდა მოვყვე გადაცემაზე, რომლის ბმულსაც აქვე გთავაზობთ (https://1tv.ge/audio/radio-eqspresi-linkolnidan-iliamde-qishmishis-dueli-da-kidev-bevri-skhva-didi-da-patara-ambavi/). და ვიდრე ამას ვიზამ, მთავარი საქმით დავიწყებ ანუ მადლობას გადავუხდი **მედეა იმერლიშვილს** და **გაგა გობრონიძეს**, რადიო-ექსპრესის ჟურნალისტებს და საუკეთესო ადამიანებს.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათ და რადიო-ექსპრესის მსმენელებს, დასაწყისშივე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა ვუთხრა, ჰო, ეს გამხელა არაა, უფრო აღიარება, და მაინც, თქმაა: ამდენი და ასე გადაცემისთვის არ მოვმზადებულვარ, გულწრფელად გეტყვით, მთელი გადაცემის მანძილზე, განსაკუთრებით, „საინფორმაციო ჭრამდე“ ცოტა არ იყოს შიში ამიტანდა, როგორც გურულები ვამბობთ, შიდაშიგ, ახლა რომ ვფიქრობ უმიზეზოდ და უსაგნოდ.

მედეამ, ჩემთვის და ბევრი ლიტჯეელისთვის ინანა, რომ შემეხმიანა, პირველი, რაც გავაკეთე კიდევ ერთხელ „დავუარე“ რადიო-ექსპრესის გადაცემებს, მშვენივრად დაარქივებულს, თუმცა განსაკუთრებულად მოვუსმინე ჩემ კოლეგას ლევან თაქთაქიშვილს, გემახსოვრებათ, ჩემ კოლეგებს, განსაკუთრებით, ფოტო-მატიანეზე ისაუბრა, ზუსტად ისე, როგორც ჩვევია: პროფესიონალურად და საქმის დიდი სიყვარულით.

პროფესიონალიზმი და საქმის დიდი სიყვარული დამხვდა სტუდიამდეც, სტუდიაშიც და გადაცემა რომ დავასრულეთ მას მერეც... ახლახან ნათქვამის დამამტკიცებელი არგუმენტის მეტი რა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, საჭირო არაა, სასაუბრო თემას შევცვლი და გეტყვით: ერთი კარგი ტრადიცია აქვს რადიო-ექსპრესს: უყვართ ერთმანეთთან გადაბმული თემები, ერთი გადაცემა მახსენდა ხშირად, არაჩვეულებრივი მუსიკით რომ დაიწყო, ედინბურგის ფესტივალით რომ გააგრძელეს მედეამ და გოგამ და დავით კლდიაშვილზე გადავიდნენ მოულოდნელად, მაგრამ ულოგიკურესად.

ასე იყო და სწორედ ამიტომ, მეც შევეცადე... მათსავით კარგად ვერ გამომივიდა, მაგრამ შევეცადე და თემებიდან - თემებზე, გადავედ-გადმოვედი, რა თქმაა უნდა ბიბლიოთეკის და განსაკუთრებით, განათლების პლატფორმის საზღვრებში, თუმცა საუბარში ქიშმიშიც ჩაერია, დუელიც და კიდევ „ბევრი დიდი და პატარა ამბავი“...

თუმცა, ვიდრე ამას გავაკეთებდი, სიტყვა ექსპრესზე ვთქვი ორიოდ სიტყვა... მოგეხსენებათ ექსპრესი ინგლისური სიტყვაა - უცნობილეს ლე-

ქსიკონში, რომლითაც დავიწყეთ ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონთა ერთიანი ბაზის შენება. სიტყვას ორი განმარტება აქვს;

1. სამგზავრო მატარებელი, რომელიც დადის დიდი სისწრაფით და, ჩვეულებრივ, გაჩერებების გარეშე და

2. ითქმის აგრეთვე სამგზავრო გემზე, სარეისო ავტობუსზე, რომლებსაც აქვს ცოტა გაჩერება.

სულ ახლახან თქმული, რომ წავიკითხე, გაცემების არქივი ყურით... (რადიოზე ვსაუბრობ) გულით, ანუ გულისყურით ვუსმენდი, გავიფიქრე, ლოგიკური იქნება ზემოხსენებულ ორ განმარტებას მესამე განმარტებასაც თუ დავამატებთ: რადიო-ექსპრესი და უკვე მეოთხეც - ბიბლიო-ექსპრესი...

სწორედ ბიბლიო-ექსპრესით (ხომ გახსოვთ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოვიკი გვაქვს) ვეცადე მემოგზაურა განათლების პლატფორმასა და მის გარეთ... თუმცა, მანამდე, დეკემბრის ლამის მიწურულს ისე რა მომასვენებდა, ერთი დიდებული ადამიანი რომ არ გამეხსენებინა, ყველაფერი გვერდზე გადავდე, ინანას კითხვის პასუხი დავუგვიანე, მოვუბოდიშე, და ვიდრე განათლების პლატფორმაზე, კოლექციებზე ვისაუბრებდი გავიხსენე რევაზ ინანიშვილი. დეკემბერში დაბადებული და დეკემბერშივე, უსაშინლესი წლების დასაწყისში გარდაცვლილი დიდი მწერალი, რომელსაც ვერც გარდაცვალებისას და ვერც მერე ჩემი მოკრძალებული აზრით ვერ მივაგეთ სათანადო პატივი.

მე რომ მკითხოს კაცმა, მწერლის გახსენება ბიოგრაფიაზე უფრო მისი შემოქმედებითაა დასაწყები... და მეც, ბატონი რეზოს უამრავი მოთხრობიდან ერთი ჩემთვის უსაყვარლესი მოთხრობიდან მინდა დავიწყო, პირველი ნოველაა მე რომ გამოხმაურების დაწერა მომანდომა მასწავლებლის მოუთხოვად და მეც დავწერე და მახსოვს დღევანდლამდე, ნოველა" ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?!" და ჩემი დაწერილიც, რომელიც, ბუნებრივია, ახლოსაც ვერ მივა ქალბატონი ლალი დათაშვილის საოცარ განხილვასთან...

ნოველას ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონიდან მცირე ამონარიდი აქვს წამძღვარებული ამ არაჩვეულებრივ ნოველას; ამ მცირე ამონარიდის შესახებ ქალბატონი ლალი წერს: "მწერალი ეპიგრაფიდანვე გვამზადებს გამორჩეული სულიერი ღირებულების პერსონაჟთან შესახვედრად" და აგრძელებს " ენციკლოპედიაში აღნიშნული გვარი, გამქრალი არისტოკრატული ოჯახი მკითხველში მათდამი პატივისცემასა და უკვალოდ გარდასული მშვენიერების გამო წუხილს აღძრავს"...

რომ იტყვიან, უკეთესად ვერ იტყვი!...

არც ვაპირებ, დროა დადიან-ვიტგენშტეინისა პარასკევა ალექსანდრეს ასულზე (1847-1919) - რუსი გენერლის - ფერდინანდ კარლოს ძე ვიტგენშტეინის მეუღლეზე ვთქვათ სულ რამდენიმე სიტყვა. არა, არა, უმჯობესია "ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე"-ს " მივაკითხოთ და წავიკითხოთ მეც, და ჩვენმა მსმენელებმაც...

მაშ ასე: 1892 წლის 28 იანვარია, მიმდინარეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ქშწკგ საზოგადოების) სხდომას, რომელზეც თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ, ვის?! ვის და პარასკევა დადიან-ვიტგენშტეინისას და ვინ თავმჯდომარეობს აღნიშნულ კრებას? რა თქმა უნდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქშწკგ საზოგადოების ოთხი დამფუძნებელთაგან (უნდა ჩამოვთვალოთ, სიამოვნების და აუცილებლობის განცდით; ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი)... არ ყოფილა საზოგადოების არც პირველი და არც მეორე თავმჯდომარე...



ქშწკ საზოგადოებას გადაცემაში არაერთხელ გავიხსენებს, ახლა „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?!" მინდა დავუბრუნდე...

არ გეგონოთ შინაარსის მოყოლას ვაპირებდე, სულ სხვა რამეზე მივიქცევ მსმენელების ყურადღებას... ეპიგრაფსა და ერთ საოცარ კითხვაზე... რის შემდეგაც პირდაპირ ილიას მატიანეზე გადავალ და ლამის გადაცემის ბოლომდე ილიათი დავასრულებ... ილიას პიროვნებასაც გავიხსენებ, ბევრ ფაქტსა და მოვლენას.

გადაცემის ბოლოს კი, რეზო ინანიშვილის კიდევ ერთ ნოველას გავიხსენებ. მართალია სათაურში ცრემლია ნახსენები, რაც სრულებით არათანხვედრაშია წინასაახალწლო დღეებთან, მაგრამ ის ცრემლები ჯერ ერთი ლამაზებია და მეორეც... რამდენადაც მახსოვს მწერალი საახალწლო მოთხრობად მოიხსენიებს...

დროა, ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ მნიშვნელოვან ამბავზე გიამბოთ.. პირდაპირ კავშირში რომაა რადიოსთან...

სხვათაშორის Medea Imerlishvili-ს წაკითხული „ბედი ქართლისაც" არის ჩვენს რადიო-არქივში. http://www.nplg.gov.ge/.../stat.../saskolo/bedi-qarTlisa.htm

წარმოგიდგენიათ? მთელი პოემა, მაგრამ ამ მნიშვნელოვან ფაქტზეც ვერ შეჩერდება ჩვენი ბიბლიო-ექსპრესი და ქრისტინეს გაიხსენებს... "ქრისტინე" კი მოგეხსენებათ არა მხოლოდ ეგნატე ნი-

ნოშვილის მოთხრობაა, არამედ, პირველი ქართული მხატვრული ფილმი. გადაღებულია 1916-18 წლებში და რომელსაც გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1893-ში ეცნობა ილია და როცა იმ ეპიზოდს კითხულობს, სადაც ქრისტინე აკვანში ტოვებს ბავშვს და თბილისში მიდის, კითხვას წყვეტს და ამბობს, რომ ქართველი დედისთვის ასეთი ქცევა არადამაჯერებელია.

და რა არის დამაჯერებელი? დამაჯერებელია და ფრიად სარწმუნოც, რომ შორეულ 1861-ში ამერიკის ელექტორატმა პრეზიდენტის პოსტზე, რიგით მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი აირჩია... აირჩია და, რომელმაც, გარდა იმისა, რომ წარმატებით უძღვებოდა ქვეყანას ყველაზე რთული შიდა კრიზისის პერიოდში (მოგეხსენებათ, ამერიკაში სამოქალაქო ომის დროა...) მოახერხა და ამერიკაში მონათმფლობელობა დაასრულა... დაასრულა და რომ იტყვიან საჯარო ბიბლიოთეკებს საფუძვლიანად მიხედა... რაზეც ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ერთი მეტად საინტერესო სტატიაც მოწმობს, რომლის ერთი ნაწილი საფუძვლად დაედო http://mastsavlebeli.ge/ -ზე გამოქვეყნებულ ჯერჯერობით ერთადერთ სტატიას, სახელწოდებით "საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი: საჯარო ბიბლიოთეკა — სკოლა" 2016 წლის 29 იანვარს მოხდა ეს ამბავი. მადლობა კოლეგა Rusishvili Macaco, დახმარებისა და რაც მთავარია თანადგომისთვის სტატიისთვის საჭირო აბზაცების თარგმნისას...

ილიაც ბევრს თარგმნიდა... ძირითადად რუსულიდან... ფრანგულიდანაც თუ არ მეშლება და მაინც ძირითადი თარგმანი ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნილი **„მეფე ლირია“**...

დავუბრუნდებით ლირსაც, თუმცა მანამდე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის **„განათლების პლატფორმაზე“** უნდა ვესაუბრო ჯერ რადიო-მსმენელს და მერე მკითხველსაც...

მთავარი მიზნით დავიწყოთ, ისტორიასაც გადავწვდეთ და სტრუქტურასაც...

დავიწყებ იმით, რომ „განათლების პლატფორმა" უკვე შვიდი წელია ინტერნეტ—სივრცის კუთვნილებაა. ოფიციალური წარდგინებაც გვქონდა და არაოფიციალურიც. პირდაპირ ვამბობ ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელებული ერთადერთი პროექტია, რომელსაც იდეის გაჟღერებისას არანაირი კრიტიკა არ გამოუწვევია და დღეს ერთ—ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. „განათლების პლატფორმა" ორ ძირითად მიმართულებას აერთიანებს, პირველი გადაცემის დასაწყისში ვახსენე, აქაც განვმეორდები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა" და მეორე, საკუთრი განათლება დაწყებული სასკოლო განათლებიდან დამთავრებული უმაღლეს განათლებამდე.

ყველაფერი „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონთა ერთიანი ბაზის“ შექმნის იდეით დაიწყო და, მინდა არ მინდა, უნდა ვაღიარო, ბევრ ჩემი კოლეგისთვის მეორედ თუ მესამედ დაწყებული კარგი საქმის მორიგი უშედეგო გაგრძელებად ჩაითვალა. არაფერს ვამბობ ინტერნეტ—ტელევიზია GeoLibTV-ის, ინტერნეტ—რადიოს, სამოქალაქო განათლების ერთიანი ბაზის „მამარდაშვილის“ კოლექციის ქვეკოლექციებად დაშლისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ **„ებლიტფოს“**, **„ებლიტფოს“** ბაზაზე კრებულების **„საუბრები ლიტერატურაზე“** გამოცემების იდეების გაჟღერებასა და სხვებზე. ყველაფერი ამის ფონზე, მომავალი ციფრული პლატფორმის საბაზისო რესურსის **„სასკოლო ლიტერატურის“** იდეის კოლეგების მხრიდან ამგვარი მიღება სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ჩემთვის და ჩემი კოლეგა ნათია შენგელაიასთვის. სწორედ ნათია ახორციელებდა პროექტის უშუალო ადმინისტრირებას არასრული სამი წლის განმავლობაში. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა დასაწყისშივე წარმატებული იდეის შეიძლება ითქვას ასპროცენტიანი მხარდაჭერა, როგორც კოლეგების, ასევე მომხმარებლების მხრიდან. შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით არ მოგვისმენია არც ერთი უარყოფითი აზრიც კი „სასკოლო ლიტერატურის “ საიტის შექმნასთან დაკავშირებით.

სულ სხვა ვითარება იყო პროექტის განხორციელებასთან, განსაკუთრებით მის დიზაინთან, საძიებო სისტემასთან, ნაწარმოებთა შერჩევასთან, შერჩეულ ნაწარმოების საიტზე განთავსებასთან დაკავშირებით. საიტის ინტერნეტში განთავსებიდან დღემდე იყო და დღესაც არის წინადადებები, მოსაზრებები, შეკითხვები და რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შენიშვნები, რომელთა უმრავლესობა გამოთქმულია კოლეგების, განათლების სფეროს ცნობილი ექსპერტების და არა, საიტის პოტენციურად უშუალო მომხმარებლების — მოსწავლეები, მასწავლებლები — მიერ. ამასთან, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა გამოთქმულ შენიშვნათა და დასმულ შეკითხვათა რაოდენობა, შეიძლება ითქვას მომხმარებლის გამოვლენილი შეცდომების, ასევე დასმულ კითხვათა რაოდენობა პირდაპირპროპორციულია ახალდადებულ ნაწარმოებათა რაოდენობისა და უკუპროპორციულია საიტის აუდიტზე დახარჯულ დროის.

დრო კი მოგეხსენებათ ულმობელია რამ არის, მაშინაც კი, როცა თვლი, რომ განუზომლად ბევრია...

(გაგრძელება იქნება)

ნინი ივანიძე

ლირიკა

მე ვუყურებდი რუსთაველს,
ჩვენ შორის მხოლოდ მტკვარია.

ვინა სთქვა ნეტავ ვიცოდე რომ მოყმე
უკვე მკვდარია?
სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჯერ
კიდევ საკითხავია.

მესხის ქალი ვარ ამაყი, აწყვიტას სახლი-კარია.[2]
ხერთვისს შემიპყრეს ლეკებმა, **ერკოტას**
ვლოცავ მადლიანს.

ვის განაჩენი გამოაქვს, ვინ მხედავს
ისევ დარდიანს?
საყევარასთან მივედი ნანგრევებს ვხედავ
შავ კლდიანს.

ტოლოშის ხიდი გადვკვეთე, ვერ მივაკვლიე სახლს
მზიანს.
ნასოფლარები მიყურებს, ხავსი მედება და მღლიან.

მე, შოთა, შალვა დავჯექით და ლექსიც
შემოგვლევია.
მიმიღე ჩემო მესხეთო, გულს დარდი შემომრევია.

აღარც შოთა მყავს, არც შალვა,
დადეში შემომრჩენია,
გზები, მრავალი შენს იქით არცერთი ჩემი მგონია.
ვერვინ ვერ მპოვოს ცოცხალი,
შენ მყავდე გადამრჩენია.

***

ავხორცია ყოველი, ავხორცი ვარ მეც.
სახელცვლილი მოხველი, ვერ მოეგე გონს.
განდეგილი ყვავები დამძიძგნიან ხორცს.
დამტოვებენ მხოლოდღა ძვალშიშველა მძორს.

არც აწმყოში ვიქნები, არც წარსულის დროს.
მშიერ-მწყურვალს დამტოვებთ
არ მომაწვდით პურს.

როს მოფრინდეთ ყვავებო, როს მიმაგდოთ მუნ.
არ ძალმიძდეს სიტყვა თქმა შევცქეროდე moon-ს.
სენი კვლავ შემეყრება, რა განკურნავს მუნს.
ავად ქნილი ვიქნები, არ მომაწვდით პურს.

ავხორცია ყოველი, ავხორცი ვარ სულ.
როს, ყვავებო, მოფრინდეთ, ამგლიჯავდეთ სულს.

***

არც ყვავილი ვარ, არც ტურფა, არც ვეტრფი
არვის ბედს.
და თუ ბედია ქმედება, მაშინ ბრალს მე ნუ მდებ.

უკეთურია ყოველი, კეთლშობილად ჟღერს.
და ასე რატომ დავტოვე, ის შუაღამის ტყე?
ნეტავი ვისთვის ვიქნები განდეგილი და ტყვე?
სხივებს მთვარისას შევფიცე, არ ვიპოვიდი მზეს.
ვერ ვიპოვიდი ვერაფერს, სინათლე რისთვის მდევს?
ედემის ბაღში გხედავდე, ყვავილებს ვისთვის კრეფ.
ამაო არის ქმედებაც, უსინათლობა დენს!

***

დაღამდა ლაზარეთს, რეკავენ სხვა ზარებს.
გიხმობენ შორეთში, გიხმობენ ამ ღამეს.
შენ, ჩემო ლაზარე, დილემებს რა დალევს.
შენს ჭიქას არავინ, არავინ არ დალევს.

გიხმობენ ლაზარეთს.

წარიტაცეს სული შენი ლაზარე.
დაცემულნი მიგვიწვიეს ლაზარეთს.
განიზრახე, მიაშურებ ნაზარეთს,
დაიბრკოლე ქმედითობა დაგაღამდა ლაზარე.
ლაზარიუს, ლაზარიუს, ლაზარე.

2 სოფლის სახელწოდება

ვანო გელაშვილი

- მეარღნე ლუკა -

ნოველა ეძღვნება ჩემს მეგობრებს; -
ადრევე წასულს ამ ქვეყნიდან,
გურამსა და ზაირას.

მზე ჩავიდა სახალისოდ,
მზე ამოვა სახვალისოდ -

ეს ამბავი დიდიხნის წინათ მოხდა, ჩემი მოთხრობის გმირი ლუკა, მაშინ სულ ახალგაზრდა კაცი იყო: შორეულმა ნათესავმა, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, თავისთან მიიპატიჟა: ჩამოდი ქალაქს, დაგათვალიერებინებ, აქაურობას ნახავო. ლუკაც ჩავიდა, - მაშინ ქალაქი დიდი არ იყო, არც ხალხმრავლობით გამოირჩეოდა.

ჩვეულებრივი, პატარა და ლამაზი, ქუჩებში ტრამვაიები დარიხრიხებდნენ, ისიც მთავარ მაგისტრალებზე. ტროლეიბუსები, ჯერ არ იყო ქალაქში, მეტროზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ხალხი მეტწილად ფეხით დადიოდა, ეტლები და ფაეტონები კიდევ იყო შემორჩენილი, ოღონდ ორთქმავლების გამბული კივილი ისმოდა ხშირად. დილით ქარხნის საყვირის გამაყრუებელი ხმაური აღვიძებდა ქალაქს, გეგონება ცა ჩამოინგრაო, ისეთი ხმაური ჰქონდა ამ საყვირს. ხალხი კისრისტეხით გარბოდა სამსახურში, ფაბრიკა, ქარხნებში და სხვადასხვა დაწესებულებებში, - სკოლებში, ინსტიტუტებში, უნივერსიტეტში სტუდენტები - მიიჩქაროდნენ.

ხალხი მუშაობდა, ბაზრები, დუქნები, მაღაზიები, ერთი სიტყვით ცხოვრება დუღდა.

თბილისის ახლომახლო სოფლებიდან, გლეხობა ჩამოდიოდა სხვადასხვა პროდუქტებით დატვირთული სახედრებით მძიმედ დააბიჯებდნენ ქუჩებში: ისმოდა შეძახილები: „ყვავილების მიწაა“, „მუშა კიტრებიი“, „პამიდორიი“, „ქორფა მწვანილი, პატარძლის დაკრეფილი“, „მაწონიი, მაწონიი“ და სხვა...

დადიოდა ლუკა, ქალაქის ქუჩებში და ყველაფერს აკვირდებოდა, მისთვის უჩვეულო იყო აქაურობა სოფელთან შედარებით, სოფელი და ქალაქი, როგორც ცა და დედამიწა, იმდენად დიდი იყო სხვაობა. ლუკას ნათესავი კათოლიკურ ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდა და, კვირაობით ამ ეკლესიიდან მუსიკალური ხმები გამოდიოდა, რომელიც გალობასთან ერთად მართლაც ზეციურ ზმანებად მოგეჩვენებოდათ, - ლუკამ ნათესავს შეჰბედა და ჰკითხა: - „თუ ძმა ხარ, ამიხსენი რა საკრავის ხმა გამოდის ამ ეკლესიიდან“ — „ეგაო ორღანიაო, თუ გინდა წაგიყვან და მოგასმენინებო“, - ლუკას გაუხარდა, კიო, წამოვალო. - ეზოში რომ შევიდნენ, ეკლესიის ღია კარებიდან მართლაც და სასიამოვნო ხმა გამოდიოდა - ლუკამ ქუდი მოიხადა და შიგ ფრთხილად შევიდა, კარებთან შეჩერდა, სულგანაბული უსმენდა ეკლესიის კედელზე მიდგმულ ამ უცნაურ სხვადასხვა სიდიდის სიმსხო სპილენძის მილებს, რომელიც კაცის ფეხის დაჭერით პედალზე, მუსიკალურ ხმას გამოსცემდა.

„დიდება შენდა ღმერთო“, ეს რა უცნაური საკრავიო, ასეთი რამ თუ არსებობდა ქვეყანაზე არ ვიცოდიო, გაიფიქრა.

რამდენჯერაც ჩამოდიოდა ლუკა თბილისში, იმდენჯერ აუცილებლად შედიოდა ეკლესიაში და უსმენდა ორღანს.

ერთხელ ლუკა ნათესავმა მუშტაიდის ბაღში წაიყვანა სასეირნოდ, კვირა დღე იყო, შემოდგომის თბილი და სასიამოვნო ამინდი იდგა. ხალხი, ბავშვები სხვადასხვა გასართობ სანახაობებთან ტრიალებდნენ, - საბავშვო პატარა მატარებელი ქშენითა და კივილით უვლიდა ბაღს გარშემო. ლუკას თავი თავის სოფელში ეგონა, იქაც ხომ მასეთი მატარებელი ამოდის მოსახვევებში. აგერ, პარაშუტიდან მხტომელმა გააკვირვა, აქაო გოგოებიც ხტებიანო. ჰოვო, - აბა რა, თუ გინდა წამო და გადმოხტიო, - შესთავაზა ნათესავმა - არაო, - მერეო. გულში ეშინოდა და ვერ ამჟაღვნებდა ლუკა, იდგა და უყურებდა ჰაერში დაკიდებულ პარაშუტისტს და ზედ დაბმულ მხტომარე ბიჭს, რომელიც ნელნელა ეშვებოდა ძირს.

- უცბად ორღანის მუსიკის ხმა მოესმა - ამან სულ გააკვირვა ლუკა - ბიჭოს! აქაცა უკრავენო? მიიხედ-მოიხედა, ეგონა ეკლესიას დაიანახავდა, მაგრამ არა - ბაღის ერთ კუთხეში, სკამზე უცნაურად ჩაცმულ კაცს, უცნაურად დაჭრელებული ყუთი ედგა წინ, რკინის სახელურს ატრიალებდა და სხვადასხვა მუსიკალურ ხმას გამოსცემდა. ბიჭოს! ეს რაღაა, იქ ეკლესიაში ვეებერთელა სპილენძის მილებიდან დაბლა მჯოდმარე კაცი ფეხების მოძრაობით და თითებით კლავიშებზე დადებით უკრავდა, თითქოს პიანინო იყოს, მაგრამ არც პიანინოა, პიანინო უნახავს ლუკას, თბილისელი ნათესავის სახლში, თითიც კი დაუკარებია, მაგრამ ეს? - სახელურს ატრიალებს და! - საოცრებაა პირდაპირ, „ვინ დაიჯერებს სოფელში, ბიჭებს რომ მოვუყვები“ - ფიქრობდა გაოგნებული ლუკა.

ამასობაში უცნაურად ჩაცმულმა კაცმა დაკვრა დაამთავრა, ქუდი მოიხადა და ხელზე შემორტყმულ ვერცხლის ქამარში გაჩრილი წითელი ხილაბანდი შეიხსნა, შუბლი მოიწმინდა, საზოგადოებას გადახედა, რომელიც მას „საკრავ ყუთზე“ ხურდა ფულს უყრიდა, ზოგი კი ქაღალდის ფულსაც უდებდა. უცნაურად ჩაცმულ კაცს, რომელსაც ზოგიერთი ძია კოლას რომ უძახდა, უღიმოდა და თავის დაქნევით მადლობის ნიშნად თავს უკრავდა.

გაკვირვებულმა ლუკამ, ნათესავს, რომელსაც ვიტალი ერქვა, ჰკითხა: „ამიხსენი თუ ძმა ხარ, ეს

კიდევ რა საკრავიაო“ - ვიტალიმ კოლასაკენ გაიხედა და უთხრა: „ეს არღანია, ის დიდი კი ორღანიო“, - „ჰოო“, - მაგრამ მათ შორის არავითარი მსგავსება რომ არ არიო, - ეგაო, დიდი ისტორია�ო, სახლში აგიხსნიო. თუ გინდა წამო ძია კოლას ვეტყვი და არღანს და მის მოწყობილობას გიჩვენებსო, კიო, მივიდნენ. „კოლა ძია, ეს ახალგაზრდა სოფლიდანაა ჩამოსული, ძალიან აინტერესებს არღანი და მისი მოწყობილობაო“.- დიდი სიამოვნებითო, არღანზე დაყრილი ხურდა ფული მობოჭა, საგულდაგულოდ ტყავის პატარა ტომსიკაში, რომელიც ვერცხლის ქამარზე რომ ეკიდა, ჩაიყარა, თან მოსულებს თვალის შეპარვით ათვალიერებდა და გაიფიქრა - „ყოველ შემთხვევაში, ფული არ გამტაცონ და არ გაიქცნენო“. არღანის გადასაფარებელი, რომელიც ლამაზად იყო მოქარგული, ოთხად დაკეცა, გვერდზე გადადო, მერე ფრთხილად არღანს აბზინდები შეახსნა, სახურავი ახადა, - „აი ნახეთ, ეს ბარაბანია, ეს ხორკლები კიდენა ფოლადისაა, ბარაბანის ტრიალის დროს, რომელიც სხვადასხვა რეგისტრშია განლაგებული, აი ამ სპილენძის ფირფიტებს ეხება და მუსიკალურ ხმას გამოსცემენო“.

„აი ნახეთო“, - კოლამ სახელური გაუკეთა, მერე იქ რაღაცა გადართო, დაატრიალა და არღანიც აჟღერდა. გაოცებული ლუკა, თავდახრილი არღანს დიდხანს ჩასჩერებოდა, თავი აიღო და გაოცებისაგან ხან კოლას შეხედავდა და ხანაც ვიტალის. - „ეშმაკის ბორბალია ჩემა მზემ, სასწაულია ღმერთმანი, ეს რომ სოფელში მომცა - ჰაი, დედასა რა კარგი იქნებაო!“.-ჩაილაპარკა.

- „რაო, რაო, მოგეწონა“ - თუ გინდა გაყიდინებო, უთხრა კოლამ, როდესაც ლუკას გაოცებულ თვალებს შეხედა.

- რა ეღირებაო - შებედა ლუკამ, კოლა ჩაფიქრა, ვიტალის გადახედა, მერე „კინტაური“ ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა, ლუკას შეხედა და ჩაილაპარაკა: სოფლად - ჰმ, ბევრი, ბევრი ერთი ძროხის ფასი, კიდენა თავისი რაღაც რაღაცეებითა, ჯო და ხბოცა მიუმატეო. „ძროხა თავისი ხბოთიო?“, - გაიკვირვა ლუკამ, - „რა იყო შე კაცო, ამ თანხას ერთ წელიწადში აანაზღაურებ - ქორწილებში, დღესასწაულებზე, დაბადების დღეზე, წვეულებებზე, სოფელში ხილი და სხვა. აი, ხომ ხედავ ერთი საათის მოსულიც არა ვარ და უკვე ნახე, რამდენი ფული მოვაგროვეო“, - „აქა ქალაქია, ხალხი ბევრია, სოფელში კი...“, - გულში გაიფიქრა ლუკამ.

„ჩამოხვალ ძმაო, მიგიყვან ხელოსანთან, კარგი კაცია, დაგიმზადებს, დაკვრასაც გასწავლის, მერე მიდი და იხეირე“.

ლუკა სკამზე ჩამოჯდა, სადღაც შორს გაიხედა, - ის ერთი ძროხა დაინახა თავის ხბოსთან ერთად, რომელიც ეხლა სოფლის ნახირთან ტყეში მზიან ადგილას წამოწოლიყო და მადლიანად იცოხნიდა, გვერდზე მოწეული ხბოთი, რომელიც ყურების ბარტყუნით აბეზარ ბუზებს იგერიებდა.

კოლა დაკვრას განაგრძობდა, მუშტარს თავისკენ მოუხმობდა, ცნობისმოყვარე ბავშვები მართლაც არ აკლდა. - ჰმ, - ძროხა თავისი ხბოთი ძილშიც კი ელანდებოდა, თავისი დედის საყვარელი ნიშა ძროხა. ამას ვინ გაიმეტებს გასასყიდად. ხშირად წარმოედგინა თავისი თავი არღნით ხელში, გარს რომ უამრავი ხალხი ესია - აბა ლუკა, დაუკარი ჩემი „ზაკაზია“ - მიდი გადართე, რას უყურებ მაგას, შენ გეუბნები, - აბეზარი მუშტრებიცა ყავდა ლუკას, ისიც კოლასავით, დინჯად, აუჩქარებლად რთავდა ერთი ხელის მოძრაობით, სახელურს საჭირო ნოტაზე - ისიც როგორც კოლამ ასწავლა...

თავი მეორე

ლუკა ასე, 20-21 წლისა გახლდათ, მაღალი, სუსტი, ოდნავ პირქუში შესახედაობისა, სინამდვილეში კი ალალი, გულღია და ზედმიწევნით პატიოსანი იყო. უმამოდ გაზრდილს, მასზე უფროსი და გათხოვილი ყავდა, მისი პატარა ძმა მიტო კი ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი იყო. დედა საბედა, ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურებოდა, გამრჯე და საზრიანი ქალი იყო, მთელი ოჯახი მის მარიფათზე იყო დამოკიდებული. ის კი არადა სოფელში მას „ოთარაანთ ქვრივის“ სახელი ქონდა გავარდნილი. ყველაზე გამკითხავი, სუსტის დამცველი, ათასნაირი ლოცვების მცოდნე საბედა სოფლის საყვარელი ქალი იყო. ამ მთიან სოფელში „ახალი ცხოვრება“, ფეხს იკიდებდა, „კოლექტივად“ მონათლული. სოფლის ახალგაზრდა ბიჭები, ახლად გაყვანილ ვიწრო ლიანდაგიან რკინიგზაზე მუშაობდა, - კომკავშირი თავისაკენ ეწეოდა გოგო-ბიჭებს, ღამის სკოლაც დაარსდა სოფელში, სადაც განუსაზღვრელი ასაკის ხალხი სწავლობდა. ქოხსამკითხველოში ჟურნალ-გაზეთებს რიგრიგობით კითხულობდნენ.

სოფელი საკურორტო ზონაში იყო და სწორედ აქ, დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმის მშენებლობა განიზრახა მთავრობამ, რკინიგზაც აქვე ახლო ჩაუდიოდა.

ლუკა სწორედ ამ მშენებლობაზე მოეწყო მუშად, ბეტონს ურევდა და საძირკველში ასხავდა - თბილისში ნახული იმ „ყუთის“ ხმა, სულ ყურში უწიოდა და თავიდან არ გამოსდიოდა. ფული უნდოდა დაეგროვებინა, თუთუნის მოწევასაც შეეშვა, აბა მეწველ ძროხას მართლაც ხომ არ გაყიდდა - დაფიქრებული და დარდიანი გამოიყურებოდა.

დედა ამჩნევდა მასში რაღაცა ცვლილებას, მაგრამ ფიქრობდა: „საქორწილო კაცია, შეიძლება შეყვარებულიცაა, - დროა დავაქორწილოო“, ერთხელ დროცა იხელთა და სიტყვაც გადაუკრა: შვილო, ლუკა, ეგება ვინმე გინდა ცოლად შეირთო, მოიყვანო, მითხარი, ნუ მოგერიდება, - ლუკამ შორს დაიჭირა, რას ამბობ დედი, ვერა ხედავ სახლი გვაქვს დასამთავრებელი, მერე კიდევა... ლუკამ აღარ დაამთავრა. გულში რასა ფიქრობდა კიდევ ლუკამ, დედამ ხომ არ იცოდა?

არავისთვის არ გაუმხელია არღანი უნდოდა ეყიდა თუ არა, სახლიც ახალი დაწყებული ჰქონდა, აბა რა ექნა. თორემ ცოლის მოყვანა და ოჯახის შექმნა მართლაც კი უნდოდა.

- ერთი ცქრიალა, ცისფერთვალება გოგო მოსწონდა, ისეთი კისკისი იცოდა, რომ სოფელში, ზედმეტსახელად „ცქრიალას“ ეძახდნენ. ლუკა დილით სამუშაოზე წასვლისას მისი სახლის სიახლოვეს უნდა გაევლო, მცინარა ამ დროს შინაურ ფრინველებს აპურებდა ხოლმე, საკენკს უყრიდა, ქათმებს, ინდაურებს, პატარა გოჭებს აპურებდა, ყველას თავისი სახელით მიმართავდა, ისეთი ხალისით, რომ ერთი ყურად ღირდა: „მამლაყინწავ, შეეშვი მაგ ვარიკას, აქეთ მოდი შე სასიკვდილევ, შენ კიდევ ცინგლიანი ცხვირი რომ ჩამოგიშვია ფხორავ, შეეშვი ეზოს ფხაჭვნას ფრთებით, ემანდ საკენკი მიირთვი, შენ კიდებ ჭიჭყინა პატარა გოჭო ფეხებში ნუ მედები, მოდით, მოდით, ჯუჯი, ჯუჯი, პატარებო, საყვარლებო, ეს კიდე როგორ კოჭლობს საცოდავი“, - კოჭლ ქათამს ხელში აიყვანდა და ისე

აძლევდა საკენკს.

ასე ყოველდღე, ლუკა თავჩაღუნული ორღობეში ისე მიიპარებოდა ხოლმე, რომ თითქოს რაღაცა დანაშაული ჰქონდა - დანაშაული კი, ცქრიალას დანახვა იყო, გულში ჩადებული რაღაცა აწვალებდა, გოგონას კისკისი, მისი ცისფერი თვალები აღელვებდა. განგებ ფეხს აუჩქარებდა ხოლმე, რატომღაც მალე გასცლოდა ცქრიალას სახლს, აჩქარებულ გულს დაიოკებდა, მოსახვევში გაუხვევდა, ცალგვერდად უკან მოიხედავდა, ხომ არ მიყურებსო - დამშვიდებული განაგრძობდა ხოლმე გზას, მაგრამ ცქრიალას ხმა და კისკისი მაინც სწვდებოდა მის სმენას. გოგონა განგებ ხმამაღლა ეძახდა ფრინველებს, ხანდისხან სასიმღერო მელოდიასაც მიაყოლებდა. ხმა წკრიალა, ლამაზი ჰქონდა, მის ცისფერ თვალებს, მოხდენილ ტანსა და ორ გრძელ ნაწნავს, მართლაც რომ შეეფერებოდა ეს სახელი ცქრიალა - სინამდვილეში ნატო ერქვა. ვიღას ახსოვდა ნატო, ნატალია, ცქრიალა და მორჩა. ნატოს მშობლები არა ჰყავდა, მამის მშობლებთან იზრდებოდა, დედა მის მშობიარობას გადაჰყოლია, მამა რკინიგზის მშენებლობისას ხიდიდან ჩამოვარდნილა, დაშავებულა და ადრევე ახალგაზრდა კაცი გარდაცვლილა.

რკინიგზის ხელმძღვანელობამ ოჯახისათვის პენსია გამოყო და ნატო ამ პენსიის წყალობის ცხოვრობდა მოხუც ბაბუა ნიკალასა და ბებო პოლექსიასთან ერთად. ბაბუა და ბებო ჯერ კიდევ ჯანზე იყვნენ, ოღონდ ერთადერთი შვილის, გივის დაკარგვა ჰკლავდათ და ადარდებდათ. ერთადერთი მათი ნუგეში ნატო იყო, მათი სიხარული, მათი ბედნიერება.

ნიკალა ბაბუა ფიქრობდა: „მეტი გზა არ არის, ვინმე ზედსიძეთ უნდა შემოვიყვანოთო, ჩემს ცქრიალას შვილები, მე კიდევ შვილიშვილები მეყოლებაო და ასე გაგრძელდება ჩემი დაკარგული გივისა და ჩემი გვარის შემდგომი ცხოვრებაო“.

ამასვე ფიქრობდა ბებო პოლექსიაც, რომელიც ზრუნვას და ყურადღებას არ აკლებდა მათ ერთადერთ სიხარულსა და „მარგალიტს“- ნატოს. ისიც გრძნობდა ამას და ორმაგად უხდიდა სიყვარულით, შველოდა თავის მოხუცებს, თავს ევლებოდა.

ნატომ საშუალო დაამთავრა და ახლა რაიონში სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდა, მომავალში ექიმობაზე ოცნებობდა. ნატო ფიქრობდა: „მოხუცდებიან ჩემი ბებრები, ვინ მოუვლის მათ თუ არადა მე“. გათხოვებაზე კი საერთოდ არცა ფიქრობდა, ერთი კია, რომ ლუკა რაღაცნაირად აეკვიატა.

ლუკა მშენებლობაზე მთელი გულისყურით მუშაობდა, საღამოს კი ღამის სკოლაში დადიოდა, ანგარიშის სწავლა უყვარდა, საქართველოს ისტორიით ინტერესდებოდა. დავით აღმაშენებლის ბრძოლები დიდგორთან, გიორგი სააკაძემ ტაშისკართან, 10 000-იან კაციანი არმიით, 60 000-იანი თურქთა არმია გაანადგურა, მერე ერეკლე მეორის ბრძოლები ასპინძაში, რომელმას საარაკო გამარჯვება მოიპოვა, 20 000-იანი არმიით სრულიად გაანადგურა 80 000-იანი თურქთა და ლეკთა ლაშქარი. სულ რაღაცნაირი დამოკიდებულებაც ჰქონდა ყველაფერი სიძველისადმი, ყველა ნანგრევ ციხეს თუ ეკლესიას მოფერებით შესცქეროდა. ხელის შეხებით ეფერებოდა თითოეულ გათლილ ქვას, ჩუქურთმას, ორნამენტს. წარმოიდგენდა იმ მშენებელს, რომელიც ქვას ქვაზე ადებდა, თლიდა, ამშვენებდა, ქმნიდა, ლამაზ შენობებს, მათთვის „შენობას“, ჩვენთვის კი ისტორიულ ძეგლად, რომელსაც დღეს ჩვენ ასე ვეფერებით.

სანატორიუმის მშნებელობის დროს რუსი ინჟინერი, პროკოფი გაიცნო, პროკოფი ლუკას რუსულ ენას ასწავლიდა: „შენაო რამდენი ენაც გეცოდინება, იმდენი კაცი იქნებიო.“, „რანაირადაო“ - გაუკვირდა ლუკას, „იმნაირადაო“, - ეტყოდა ხოლმე პროკოფი, აგერ-აგერ მთავრდება სანატორიუმის მშენებლობა, ლუკაც თითქმის ამთავრებდა თავის საკუთარი სახლის მშნებლობას, ხელოსნები ჰყავდა, ლუკა აჩქარებდა ხელოსნებს, ზამთარი დგება და კარში არ დამტოვოთო.

უმცროსი ძმა წამოიზარდა, ლუკას წამოეშველა, სწავლასაც გულს უდებდა, თავისუფალ დროს მიტო სახლის მშენებლობას დასტრიალებდა, - მოსწონდა დურგალ ვასოს მიტოს დაინტერესება ხელოსნობისადმი. ათამამებდა, ზოგიერთ ინსტრუმენტს, იარაღს ანდობდა. მიტოც ფიქრობდა: „გავიზრდები და აუცილებლად სახლების მშენებლობას ვისწავლი ვასო ძიასავითაო.“

ლუკას, ნატოს ცქრიალა თვალები და ის თბილისური „იაშაკი“, არღანი არ ასვენებდა, დღედაღამ ფიქრობდა ეს ორი სურვილი როგორმე აესრულებინა.

თავი მესამე

ერთხელ სამუშაოდ მიმავალ ლუკას, ბაბუა ნიკალაც შეხვდა - „გამარჯობა, ლუკა“, - „გაგიმარჯოს ბაბუა ნიკალა“, - უპასუხა ლუკამ, „შენს კაცობას, საღამოს გამოვლისას ერთი შემოიარე, საბძლის კოჭია ჩამოვარდნილი, შემეშველე, გამასწორებინე, სულ ხუთი წუთის ამბავია“. - კიო, როგორ არაო ბაბუა ნიკალა, ადვილი საქმეა, ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა ბოსტანში მოფუსფუსე ნატო. შვილი, კოჭლი ქათამი დაიჭი, დაკალი, მაინც კვერცხს არსდებს, - მუშა გვეყოლება, გავუმასპინძლდეთ. ცქრიალამ წინასწარ იცოდა ვინ „მუშა“ იქნებოდა. „ისეთ ხაჭაპურებს დავაცხობ, რომ თითები ჩაიკვნიტოს, თანაცა თაფლიან კვერებსაც.“ - ფიქრობდა ცქრიალა, ნატო.

ნიკალა ბაბუა სხვა ამბავსაც ფიქრობდა: „ე, ბიჭი ჭკვიანია, გამრჯე ჯეელი ჩანს, - ჩემს ოჯახს ზედსიძედ გამოადგება, მოვიდეს, ახლოს გავიცნოთ, ნატოს აზრიც საინტერესოა.“, თორემ იმ კოჭის აწევას თვითონაც შეძლებდა, პოლექსიასაც გაუზიარა ეს აზრი: „სწორი ხარ ნიკალა, ჩვენ ვბერდებით, გოგოს კი პატრონი უნდაო, არა სჯობია წინასწარ ვიცოდეთ ვინ იქნება?“ - ჰოვოო.

„ნიკო ბაბუა, აჰა მოვედი,“ - შესძახა საღამოს სამუშაოდან წამოსულმა ლუკამ, „ჰოო, მოდი, მოდი“ - მიეგება ბაბუა ნიკალა, „აბა წამო, ძელი ავწიოთ“, - კარგად დაამაგრეს, მერე კიდევ რაღაც რაღაცეები გააკეთეს, ბეღლის ჩამოვარდნილი კარებიც გაამაგრეს, ბაბუა ნიკოს უხაროდა ლუკას მოხერხებულობა, „ყველაფერი რომ გამოსდის ხელიდანო“ - ჩაილაპარაკა ნიკომ.

სამუშაოზე ინჟინერი პროკოფი ხელმარჯვე ოსტატსაც კი ეძახდა ლუკას, უქებდა მოხერხებულობას და გარჯას. „აჰა, ესეც ასე, - გაიხარე, ეხლა ხელები გადავიბანოთ, ცოტა წავიხემსოთ, თორემ დილიდან ლუკმა არ გადამსვლია“ - იცრუა ნიკო ბაბუამ, - „აჰ არა, არა მშია, სახლში მელოდებიან“, „წახვალ კაცო, რა იყო, როგორ იქნება პური არა ვჭამოთ, ეგ როგორ იქნება“ - ცხარობდა ბაბუა

ნიკალა. „ნატო!“, -„ჰო, ბაბუ ეხლავე“, მხარზეპირსახოც გადაკიდებული, წყლიანი თუნგითა და საპნით ხელმომარჯვებული ნატო გამოჩნდა. თავპატიჟი აღარ დასჭივრებია ლუკას, - ხელები დაიბანა, პირსახოცით ისე შეიმშრალა ხელები, რომ ნატოსათვის სახეში არ შეუხედავს, ბაბუა ნიკომაც დაიბანა ხელები.

„აბა, შევიდეთ სახლში“, „მობრძანდი ლუკა, შვილო“ - შემოეგება პოლექსია ბებო, „რა იშვიათი სტუმარი ხარ, ხანდისხან შემოგვირბინე ხოლმე, გაგვახარე მოხუცები, ჩემი გივის შემდეგ სტუმარი გვენატრება.“ ლუკამ თავდახრით ბოდიში მოუხადა, „სახლი, სამუშაო, ათასი წვრილმანია გასაკეთებელი, მაპატიეთ“. უნებურად სუფრას გადახედა ლუკამ, რომელსაც ჩიტის რძეც არ აკლდა, ხაჭაპურებს ისეთი სურნელი ასდიოდა, რომ ძალაუნებურად ნერწყვი მოგადგებოდა, ეხლა მრგვალად მოხარშულ დედალს არ იკითხავთ? მართალია ცალი ფეხი არ უჩანდა, მაგრამ ეს რა საკითხავია. არყის მომცრო გრაფინი გამომწვევად იყურებოდა, შიგ შინდის მურაბის წვენი გაერიათ და უცნაურად, ლამაზად კიაფობდა ბუხრიდან წამოსულ ანარეკლ ცეცხლის ალზე. ღვინის სველი ხელადა, ყელში ჩალაგაჩრილი სუფრის თავში თამადასავით წამოსკუპებულიყო. ნიკო პაპას ეზოში ტალავერი ქონდა, გივის ხელით გაშენებული, გულდაგულ სათითაოდ მტევანი დაუკრეფიათ, დაუწურავთ და ღვინო დაუყენებიათ. ისე, კაცი ვერ გაიგებდა რა ჯიშს ყურძენი იყო, მაგრამ ამ მაღალმთიან სოფელში გახარებული ვენახი მართლაც საკვირველი გახლდათ, ცოტა სიმჟავე გადაჰკრავდა, მაგრამ დასალევად არაუშავდა რა სუფთა და გემრიელი დასალევი იყო, გივის უყვარდა, ამ ხელადითა და ყანწით დალევა, „მისი მოგონება იყოს“, ნიკო პაპამ ყანწი გამოცალა და ლუკას გადაულოცა, „ეგრე იყოსო“, შესანდობარი ფეხზე ადგომით დალიეს ორთავემ.

პოლექსია ბებო თვალცრემლიანი შესჩერებოდა ბუხრის თავზე დაკიდულ გივის გადიდებულ სურათს.

„აბა ჰე, ჩემო ლუკა, შემოვუსხდეთ ახლა ამ პატარა და მცირე მაგიდას, არაფერზე დაგვემდურო, ცქრიალას ნახელავია, რაც მოტანილია, სულითა და გულითაა ნაბოძები.“, „რა მცირეზეა ლაპარაკი, მეფის საკადრისი სუფრაა“, დარცხვენით ჩაილაპარაკა ლუკამ. „მიირთვით, მიირთვით“ - სკამი მოუმარჯვა ნატომ, „ჩამოჯექით“, დანა, ჩანგალ-თეფში და ხელსახოცი დაულაგა წინ ლუკას.

ორიოდე ჭიქის შემდგე ლუკამაც ცოტა მოილხინა, გაიხსენა ქალაქური ამბებიც, დაძაბულობაც მოეხსნა, დაწვრილებით მოყვა არღნის მოწყობილობაზე, ორღანზე, ნიკალა და პოლექსია სულგანაბული უსმენდნენ ლუკას. იქით სამზარეულოში მყოფი ნატო ხანდისხან თვალს გამოაპარებდა და ყურადღებით უსმენდა ლუკას. ქალური გუნებით ხედავდა ლუკას, - მის ახლად აშლილ ულვაშებს, ლამაზად გადავარცხნილ ქოჩორს, ოდნავ გაუპარსავ პირსახეს, გრძელ თითებსა და მართლაც სანდომიან ღიმილს, რომელიც ძალზე უხდებოდა ლუკას. შეზარხოშებულ ლუკას, წაღიღინებაც კი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა, სამაგიეროდ ნატომ, ცქრიალამ, კედელზე დაკიდებული დიდი წითელი ბაბთით დაბნეული გიტარა, ჩამოიღო, თავიდან წაკრული თავშალი გადაიძრო, გიტარა მოიმარჯვა, ოდნავ ჩაფიქრდა, მერე ყელი მოიღერა და ისეთი წკრიალა ხმით იმღერა „ჩემო ციცინათელა“- რომ ლუკას რატომღაც ტირილი მოუნდა - მღეროდა ცქრიალა მოხდენილი ხმით, ლამაზი თვალები უღიმოდა, მხიარული სახით, აღაჟღაჟებული ლოყებით, - ნაწნავები წინ გადმოეყარა, ლუკას ლამის გული წაუვიდა, უნდოდა წამომდგარიყო, მისულიყო, მუხლებზე დავარნილს დაეკოცნა და ახლავე ხელი ეთხოვა, ასეთ სიტკბო და სიხარული თავის დღეში მას არ განუცდია...

იმ დღიდან ნატო, მისი გულის დარდი, მისი ოცნება, მისი ტკივილი იყო. ნატო და სხვა არავინ! - კარგა გვარიანი დრო გასულიყო, კარგად შეზარხოშებული ლუკა წამოდგა, მადლობა გადაუხადა მასპინძლობისათვის, - თუკი რამეში მოხმარება დაგჭრდებათ, ნუ მოგერიდებათო - ოდნავი ბარბაცით სახლისაკენ წავიდა, ორნაირად მთვრალი, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, გვიანი შემოდგომა იყო, მთაში ამ დროს ძალზე კრიალა უღრუბლო ცა იცის, იქ მთის გადაღმიდან ვეებერთლა მთვარე ამოდიოდა, ლუკა შეჩერდა, დააკვირდა - შიგ გაღიმებული ნატოს სახე აშკარად ჩანდა.

იმ ღამეს ლუკას ძილი არ მოჰკარებია, მეორე დღეს კვირა იყო და სამუშაოზე არ მიდიოდა, დაისვენა.

დილით რაღაც სასწაულ ხასიათზე გამოეღვიძა, ასეთ ბედნიერი დღე არასდროს გათენებია. თვალებგახელილი ერთხანს, ჭერს მისჩერებოდა, იქაც ნატოს სახე იყო გამოხატული, - მართალია ნაღვინებს ცოტა თავი უხურდა, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა. თვალწინ ნატო-ცქრიალა ედგა, გიტარით ხელში, მის ორ დიდ ნაწნავითა და რაღაც უძირო ლურჯი თვალებით. ახლაც კი ცხვირში სცემდა იმ ხაჭაპურების სუნი ნატოს, რომ გამოეცხო, გემოს არ იკითხავთ? უნდოდა წამომხტარიყო, დედისათვის ეამბნა ყველაფერი, - მოეთხრო ნატო-ცქრიალაზე, ნიკო ბაბუაზე, პოლექსია ბაბოზე - გამომჟღავნებულიყო, - ეთქვა ყველაფერი, რომ მზად იყო დღესვე მოეყვანა ნატო, მაგრამ გაჩერდა, თავი შეიკავა - აჩქარება აქ არ ივარგებსო. ყველაფერი გასათვალისწინებელი იყო: სახლი ჰქონდა დასამთავრებელი, ფული იყო საჭირო და სხვა. თუ ნიშნობას ჩაატარებდნენ არ იქნებოდა ურიგო, უცბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში: ეგებ მამის ძმასთან პეტოსთან გადასულიყო და მისი დახმარებით დაენიშნათ და მერე ქორწილზეც ეფიქრათ. თავისი აზრი მოეწონა ლუკას, - სწრაფად წამოხტა, ჩაიცვა, საუზმესაც არ გაეკარა და ისე გავარდა კარში, ცალი ფეხით ხის სკამი დაეჭირა“. პეტო, მისი მამის ძმა იყო, ცალი ფეხით კოჭლობდა, ავტოავარიაში მოყოლილს მუხლს ქვევით პროტეზი ჰქონდ, მაგრამ ისე დადიოდა თითქოს არაფერიაო, არ იმჩნევდა, - სოფელში ჭკვიან და მშრომელ კაცად იცნობდნენ. დიდად ესიამოვნა პეტოს ძმისშვილის დანახვა. სახლში შეიპატიჟა, ის იყო საუზმის საჭმელად ჯდებოდა, - „მოდი, მოდი, სიდედრს ეყვარები“, - „სადა ჰყავს ნატო დედა“, გულში ჩაილაპარაკა ლუკამ. ლუკას უარი არ უთქვამს, მაგიდასთან დაჯდა, ახლად გამომცხვარი, მჭადი, ყველი, კომბოსტოს მწნილი, პატარა გრაფინით არაყი და მინდვრის წითელი ნიგზვით შეზელილი ლობიო. „წუხანდელი ნაქეიფარი ვარ, - ლუკამ ჭამის დროს, სადღეგრძელოებთან ერთად პეტო ძიას, ნატოს შესახებ ყველაფერი უამბო.

გაგრძელება იქნება...

სანდრო ნებიერიძე

რომელიღაც ქალაქელი მტრედი
მატარებლის სადგურის
ჭერში რიკულზე
შემოჯდომას ლამობს,
მაგრამ ვერ ეტევა და
ფართხალით ფრინდება.

მის შემხედვარეს
ულვაშებში
ჩამეღიმება.
„განა რამდენჯერ
უნდა დაეცე,
რომ წამოდგომა ისწავლო?"
ვფიქრობ და,
გაელვებასაც ძლივს ასწრებს ფრაზა,
ისე ვეცემი მე თვითონ.
უხერხული ღიმილით და
მტვრის მორცხვი ფერთხვით
ვიწევი ზეზე, გონებაში კი
უსიამოვნო სიმჟავე მძმარავს.
გაურკვეველ აზრებს
დიდი ხნის წყალის და
ქარბუქის ჩავლით
დავუბრუნდები
სხვა კაცად.
დიდი ხნის ფორთხვის,
დიდი ხნის ვარდნის,
დიდი ხნის ცრემლის და
ვაების შემდეგ
სახეზე ვეღარ გამკრავს
ისევ იგივე ღიმილი.
სანაცვლოდ ამის -
მოღუშულ წარბებს და
ურიცხვ იარას
ბინა დაუდევთ მზერაში.
ისევ რომ ვეცემი,
კუშტად ვაგრძელებ -
დაკოჭლებული - სვლას.
დაცემა, უკვე ჩემად ქცეული,
უკან აჩრდილად მომყვება.
„ნუთუ ის მტრედი
ვერასდროს ხვდება,
რომ ვერ შეჯდება
მაღალ რიკულზე?" —
ვფიქრობ ანაზდად
და ჩემთვის უკვე
კარგად ნაცნობი
ბორძიკიც მოდის.
სისხლით მოსვრილი
მუხლიც და თეძოც
სულ აღარ მტკივა.
მაგრამ ვაი რომ,
მომენატრება
ის არქაული,
დანავიწყარი,
სულ, სულ პირველი დაცემა:
ცრემლით და ოხვრით,
პრიალა ტყავზე
გაოცებული პირველი ჭრილით,
და იმ შეგრძნებით,
რომ ამ დაცემამ
გამაძლიერა.
მომინდება რომ
იმ მტრედად ვიქცე,
სადგურის მაღალ რიკულზე
ჯიუტად
ჩამოჯდომას რომ ლამობს
და მეუფლება სასოწარკვეთა -
ყალბი და ძალით გამონვეული.
გამოწრთობილი
ტკივილით, ცეცხლით,
გმირი უგმირო,
ყოველი ავის წინ
შეუდრეკელი,
ღამის უკუნში
სიგარეტს ვქაჩავ.
ჩემს გაბოლებულ
კვამლის ღრუბელში
მოჭუტულ თვალით
შევიხედები
უკუნი ცისკენ
უღიმილო ღიმილით
და ლოცვით ვიტყვი:
„იესო ქრისტე,
ძეო ღვთისაო,
ვპოვე მე იგი
ჭეშმარიტება.
მე შენი მესმის -
ახლა კი ვხვდები,
თუ რაა, როდესაც
ღმერთად ქცეული
კაცობას ნატრობ".
შავ სიბნელეში
შეიფრთხიალებს
რომელიღაცა
მტრედი.
მე კი, სახლისკენ
ხველებ-ხველებით
შებრუნებული,
ბოლო წამს
გადავიფიქრებ ძილს

და მორიგი ღერის
გასაბოლებლად
შევყოვნდები.
„არაუშავს, რო რამეა დაზღვევა
დამიფარავს"
ვფიქრობ და
უემოციოდ
ჩამოვკრავ ასანთს.

***

„ნეტავ, როგორია ჯოჯოხეთი?" —
სამყაროს ცენტრიდან
ცოტა მოშორებით
ვდგავარ და ვფიქრობ.
ირგვლივ კაცნი და
შუქი მოციმციმე
ანათებს ვიწრობს.
ხმაური, ვნება,
და შამანური
როკვა და ცეკვა,
და შამპანური
რომსა და მესკალს
ეპაექრება,
და ესპანური
ულვაში ჩემი
შენს მოელვარე
ერთდება თმებთან,
როგორც მამაცი
ტორეადორის
აფრა ატლასის -
შავ ბუღას რქებთან.
თორე ადონისს
წავართმევ შენს თავს!
კაცთა ათასის
სუნთქვა და თრთოლი,
ცრუ გრალის თასის
ოხშივრის ბოლი
არ შემაშინებს.
შესული როლში,
მოვკიდებ მაშინ შენს
ნაზ კისერს ხელებს,
ყავისფერ თოლში
უნდობლად დაგიშენთ
მაგ ისრებს გრძელებს
მე და ამური,
და მეწამული
სიზმარით გეტყვი:
„შემოგეჩვიე -
ჩემო პატარა.
განგებამ ურიცხვი
უცხო გზით მატარა
უდაბნოდ - და სიცხით
მევსება მათარა.
შენ შემიფარე
როდესაც მათ არა,
და შენ მომეცი
ნავსაყუდელი.
გთხოვ რომ გამიგო -
შენ ჩემგან კარგს
და არა ცუდს ელი,
მაგრამ მე მარტო
კაცი ვარ, შენ კი
ევაც და მაცდური,
ლამაზი გველიც,
ინიც და იანიც
და მოშუშება
მჭირდება იარის.
ამიტომ, გვედრებ -
გთხოვ რომ დამახრჩო,
ანდა დამისვი
ხანჯალი დამასკოს,
რომ ვერ მოვასწრო
იმის თქმა: მიყვარხარ."
ირგვლივ ღრეობენ
გაცი და გაიმი,
არმაზი, მითრა.
და ერთ სიტყვასაც
არ მაცდი გითხრა-
უეცრად კვდები.
მიესვენები,
როგორც თოლია
ჩემი შუქურის.
გარშემო ბოლია.
შენი უკუნის
გარღვევა მინდა-
ხელში გიტატებ.
და უსასოოდ
გავიმეორებ
კერპთა ციტატებს,
ვლოცავ ძველ ღმერთებს:
„ოჰოი, ჰელიოს! —
შეგთხოვ ამ ერთხელ,
მიბოძე ეგ შენი
ფრთიანი ეტლი!"
აღარც ნაკლები,
და აღარც მეტი -
ცის კაბადონზე
ჩანს ფაეტონი.
და მეც წაგიყვან
ვით ეხნატონი
ჩემს ნეფერტიტის.
გზად ცაშიც მოვასწრებ
მალულად ტირილს.
უკან ვიტოვებთ
კაცთა და ვნებათ.
ღამეც დანებდა.
სამყაროს ცენტრიდან
საკმაოდ შორს ვარ.
მეც დროს ვიხელთებ,
და ბოლო ლოცვას
სადღაც აღვავლენ.
ვიღაცას ვკითხავ:
„ნეტავ, როგორია სამოთხე?"
და ნაჩქარევად
პირჯვარსაც სამ-ოთხჯერ
რომ გადავიწერ - ჩამეძინება.
და ჩემი კითხვაც, გაცბუნებული,
ფანჯარას აღებს და
სიგარეტს მოსწევს.
შენი ბაგე კი
გადამეხსნება,
როგორც ზღვა წითელი -
შენს პირად მოსეს.

დიანა მეტონიძე[3]

ორი სიმპტომი

VII

აკაკიმ სკალპელი ფრთხილად გადადო და სისხლიანი ხელთათმანები გაიხადა. როგორც წესი, წარმატებული ოპერაციის შემდეგ სახეს ბედნიერი ღიმილი უფარავდა, მაგრამ იმ დღეს ასე არ მომხდარა.

ლილეს მდგომარეობის სიმძიმე და მოსაცდელში საწყალობლად მოკალათებული დალის ხილვა დიდი სიხარულის განცდასაც კი ნაფლეთებად უქცევდა.

საბოლოო დიაგნოზის დასმის შემდეგ, მეოთხე კვირა დაწყებულიყო. პაციენტს სახე მეტად გაუფერმკრთალდა და თავსაც უფრო სუსტად გრძნობდა. გულის დონორის პოვნა რომ საძნელო საქმეს წარმოადგენს, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ გულმტკივანი დედის ცქერა მდგომარეობას მეტად ართულებდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, ეს ექთნის გამოძახება და პაციენტის მუდმივი მეთვალყურეობა გახლდათ.

-ძალიან დაღლილი ჩანხართ,-მიუგო ექიმმა დალის–ყავას ხომ არ ინებებთ?

-არა, გმადლობთ,-დალის ხმაში დაღლა გამოერია-როგორ არის?

-ძალიან სუსტადაა,- ქალს მზერა აარიდა-თუ ოცდაოთხ საათში დონორი არ გამოჩნდება, მას დავკარგავთ.

დალი ფეხზე წამოდგა. უკვე იმდენჯერ იტირა, რომ ცრემლებიც კი აღარ ჰქონდა დარჩენილი. ამ ყრუ, შინაგან ტკივილს ვეღარც კივილითა და ვეღარც ვაებით განკურნავდა. ცხოვრებისაგან სამუდამოდ დაღდასმული დედის უსიცოცხლო მზერა მისწვდა.

-მე მივდივარ.

-კი მაგრამ შეიძლება ხვალამდე ვეღარც მიაღწიოს!-ექიმმა ქალს თვალი გაუსწორა-დარწმუნებული ვარ, მისი ბოლო სურვილი თქვენი იქ ყოფნა იქნებოდა.

-არა, ეს უკვე მეტისმეტია!-უეცრად მთელი ხმით იყვირა-განა არ ვიცი, რომ მას ჩემი იქ ყოფნა ენდომებოდა? განა არ ვიცი ეს ყველაფერი, მაგრამ მეტის ატანა აღარ შემიძლია! გესმით ჩემი? თხუთმეტი წელი, თხუთმეტი წელია, რაც ამ დღეში ვარ და წარმომიდგენია, ის რას განიცდის! წარმომიდგენია, როგორ სტკივა, როგორ ეშინია! წარმომიდგენია, როგორ სურს სიცოცხლე, რომელიც ახლიდან დაბადებას ჰგავს, მაგრამ განა ამაზე საშინელი რამ არსებობს? იმაზე საშინელი, როდესაც ცხოვრება გწყურია, მაგრამ უძლური ხარ! მახსოვს ვუთხარი, ბოლო წამამდე არ დავიჯერებ, რომ გკარგავ-მეთქი, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა! მე არ შემიძლია კიდევ ერთხელ შევიდე საოპერაციო ოთახში „სადაც თხუთმეტი წელი გავატარე! მე არ შემიძლია მეჭიროს ჩემი შვილის ხელი, რომელიც ყინულივით ცივი და უსიცოცხლოა! მეგონა შემეძლო, მაგრამ არ შემიძლია! აღარც ერთი წყეული წამით! ანდაც როგორ შეიძლება დედა მზად იყოს შვილის დასამარხად? არა ნამდვილად არ შემიძლია! აქაურობას რაც შეიძლება უნდა გავშორდე, მშვიდობით!

3 გაგრძელება. დასაწყისი იხ. ''ისინდი'' № 16

VIII

ღამის სამი საათი რომ შესრულდა, ექიმი კვლავ ლილეს საწოლთან იდგა. პაციენტი იმდენად დასუსტდა, რომ თვალებსაც ვეღარ ახელდა.

„ამაღამ ყველაფერი დასრულდება“-გულში გაუელვა ექიმს.

-აკაკი ექიმო! აკაკი ექიმო!-დერეფნიდან გამყინავი ხმა მოისმა.

აბულაძე გაბრუებულივით მიიჭრა კართან და აქოშინებულ ექთანს შეეჩეხა.

-რა ხდება, აღარ იტყვი?-ლამის დაუყვირა.

-დონო..რი, დონნნოორი!-აქოშინებული ექთანი სულს ძლივს ითქვამდა-დონორი გამოჩნდდა!

აკაკის თვალწინ ყველაფერი დატრიალდა. ალბათ რომ გეკითხათ ცხოვრების ყველაზე დასამახსოვრებელი წამიო, ამაზე უკეთესს ვერაფერს გაიხსენებდა.

-სასწრაფოდ დალის დაურეკეთ!-უეცრად გამოფხიზლდა-საოპერაციო გაამზადეთ!

IX

ოპერაციამ საუკუნოდ გასტანა. ექიმი თვალებით დალის ეძებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ქალი ჯერ არ მოსულიყო. ახალი გულის გადანერგვის შემდეგ შედეგი სწრაფადვე უნდა მიეღოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში პაციენტს დაკარგავდნენ.

აკაკისნაირი შესანიშნავი ქირურგისათვის ეს პროცედურა საძნელო საქმეს არ წარმოადგენდა და არაერთხელ შეუსრულებია კიდეც, მაგრამ ამჯერად ყველაფერს გაასმაგებული სიფრთხილით ეკიდებოდა.

თხუთმეტწლიანი ურთიერთობის შემდეგ პაციენტს კი არა, მტერს შეეჩვევა ადამიანი!

გადანერგვის ოპერაციის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს საოპერაციოში სუნთქვა ყველას შეეწყვიტა.

ლილეს გულისცემის ხმის გაგონება ერთი იყო და ექიმმა სიხარულისაგან იყვირა. დამხმარეებმა აბულაძე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს და სისხლიანი ხელთათმანები მოიხსნეს.

თხუთმეტწლიანი ბრძოლის შემდეგ ლილემ სიკვდილი დაამარცხა! თხუთმეტწლიანი უიმედო გამომეტყველების შემდეგ აკაკი დალის ეტყოდა, რომ მათ ეს შეძლეს!

X

ამ ამბიდან ორი კვირის თავზე ლილე უკვე მშვენივრად გამოიყურებოდა.

-დედის ნახვა მინდა!-ემუდარებოდა ექიმს-საწყალი ქალი ალბათ სამტრედიაში, დეიდაჩემთან გადაბარგდა. რომ დამინახავს, ალბათ ჭკუიდან შეიშლება!

-თავს თუ უკეთ გრძნობ, ვფიქრობ შეგიძლია ინახულო,-აკაკიმ ლილეს გაუღიმა-ყველაფერი ცუდი უკვე უკან დარჩა, ბედნიერება ყველამ დავიმსახურეთ!

-აუცილებლად ვნახავ და რამდენიმე დღეში შეთანხმებისამებრ კვლავ გეწვევით დამატებით ანალიზებზე. დედას თქვენთვის ბევრი რამ ექნება სათქმელი!–

ამრიგად ლილე ექიმს გამოემშვიდობა და თავი ისე იგრძნო, თითქოს თხუთმეტი წლის შემდეგ პირველად გასცდა საავადმყოფოს. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და იმ წამს, ეგონა, რომ ახლიდან დაიბადა. იმ წამს შეიგრძნო თხუთმეტივე დაკარგული წლის ბედნიერება და სილაღე!

***

მეორე დღის საღამო ხანს კოკისპირულად გაწვიმდა. საავადმყოფოში დაბრუნებული ლილეს ტანსაცმლიდან წყალი წურწურით ჩამოდიოდა.

-ასე ძლიერ მოგენატრეთ?-სიცილით მიუგო აკაკიმ და მზერა გაუსწორა-ექთანთან მიდი, მშრალ ტანსაცმელს მოგცემს და ჰო მართლა, დალი სად არის?–

-დედა გარდაიცვალა.

10.08.2020.

თამაზ თაგუაშვილი

(ტომ ანიგინი)

უადამიანესის დაგადება[4]

***

საცეკვაო დარბაზში სხვადასხვა დროის მუსიკა და ცეკვა ერთმანეთს ცვლიდა. უკვე ორი საათი იყო, რაც ანა და ჰარი თავდავიწყებით, შეუსვენებლად ცეკვავდნენ. ლამაზი წყვილი შესანიშნავად ცეკვავდა, ისე კარგად და ისეთი გრძნობით, რომ რამდენჯერმე ტაშიც კი დაიმსახურეს.

–ანა, მოდი ცოტა შევისვენოთ, აივანზე გავიდეთ - შესთავაზა ჰარიმ.

–კარგი ჰარი, გავხედოთ ჩვენს ანტარქტიდას, ახლა ძალიან ლამაზი იქნება.

მართლაც, ვარსკვლავებისა და მოციმციმე ავტომფრენების სხივების ანარეკლი არაჩვეულებრივ თეთრ გარემოში ფანტასტიკური სანახავი იყო.

ჰარიმ ანას ხელი გულზე მიიდო, თვალებში ჩახედა და უთხა: -ანა, შენდამი სიყვარულის ქიმიური რეაქცია გუშინ საღამოდან დამეწყო, ახლა კი გული სავსე მაქვს შენი სიყვარულით. შენ გელოდი ამდენ ხანს. გამოგიტყდები, ჯერ ქალი ბოლომდე არც შემიცვნია. მხოლოდ ასეთი დიდი გრძნობის შემდეგ მინდოდა, რომ ეს მომხდარიყო. მე შენი ვიქნები და შენ ჩემი იყავი სამუდამოდ. ჩვენ ორნი ვიქნებით ერთი, ხოლო ეს ერთი გახდება მრავალი. დილანდელმა შემთხვევამაც დამარწმუნა,რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულნი.

ანამ მხიარულად გაიცინა.

-ალბათ თქვენ გასწავლიდნენ,რომ აზრები მოკლედ და ზუსტად გადმოგეცათ, არა?

-დიახ.თქვენ როგორ გასწავლიდნენ?

-ო,ეს მთელი ხელოვნებაა. მერე შენც გასწავლი...

ანა რამდენიმე წამი ჩუმად უყურებდა ჰარის.შემდეგ ღიმილით უპასუხა: -სიმართლეს გეტყვი, ჰარი, მეც შეგამჩნიე გუშინ საღამოს, შორიდან მეც მომეწონე, ხოლო დილანდელი შემთხვევის შემდეგ მეც სულ შენზე ვფიქრობდი. ცეკვის დროს კი დავრწმუნდი, რომ შენ ის ხარ, ვისაც მე ველოდი. გამოგიტყდები, რომ არც მე არ შემიცვნია ბოლომდე კაცი. მეც მინდოდა, რომ ეს დიდი გრძნობის შემდეგ ყოფილიყო. მეც ისეთი გრძნობა მაქვს,რომ ერთად ბედნიერები ვიქნებით.

-ორმოცდახუთი დღის შემდეგ ოცი წლის ვხდები. თანახმა ხარ,რომ ამ დღეს შევერთდეთ ოფიციალურად?

-თანახმა ვარ.

-ეხლა შემიძლია გაკოცო?

ანას გაეცინა.

-რომ არ გეკითხა,ალბათ შეიძლებოდა,ახლა ორმოცდახუთი დღე მოგიწევს ლოდინი.

-არა უშავს, ამდენი ხანი მიცდია და კიდევ მოვიცდი.

-კარგი ბიჭი ხარ, ჰარი. არ შევცდი შენში-უთხრა ანამ,ფეხის წვერებზე აიწია და ჰარის აკოცა.

–ახლა კი უნდა წავიდე, ჰარი, ხვალ დილით ადრე მივემგზავრები ანტარქტიდიდან.

–ხვალ? ასე სწრაფად?

–ჩვენ უკვე ათი დღეა, აქ ვართ. დარჩენილი დასვენების დღეები მინდა მშობლებთან გავატარო.

–ანა, ჩვენ ალბათ კიდევ ორი კვირა ვიქნებით აქ, შემდეგ კი ჩამოვალ შენთან, შენ მშობლებსაც გავიცნობ,თუ ნებას დამრთავ.

-რატომაც არა?! ჩემს პატარა და-ძმასაც გაგაცნობ-ძალიან საყვარელი არსებები არიან.

ჰარიმ მიაცილა ანა და თავის ოთახში დაბრუნდა. ის ბედნიერი იყო.

***

დილის ცხრა საათზე კოორდინატორის დარბაზში გაისმა მე-5 საათის ხელმძღვანელის ხმა.

–ღრმადპატივცემულო მეი, შემოვიდა ინფორმაცია, რომ ჰარის შეუყვარდა ხელოვნების ისტორიის კურსდამთავრებული გოგონა და აპირებს მასთან შეერთებას.

–როდის?

–როდესაც ოცი წლის გახდება, ე.ი. ორმოცდაოთხი დღის შემდეგ.

–ძალიან კარგი. გოგონასაც მიუჩინეთ შეუმჩნევლად დაცვა.

–უკვე მივუჩინეთ.

მეი კმაყოფილებით გადაწვა სავარძელში.

სიყვარული!–აი, რა აკლდა ჰარის და მოვლენათა მთელ ამ ჯაჭვს.

ისიც მოვიდა! მას ეჭვი აღარ ეპარებოდა თავისი და თავის თანამოაზრეების არჩევანში, და რომ ასეთი იყო უზენაესი შემოქმედის ნებაც!

ის ლაბორატორიის ხელმძღვანელს დაუკავშირდა.

–ლაბორატორიის ხელმძღვანელი ალი გისმენთ, ღრმადპატივცემულო მეი.

–აღდგენითი სამუშაოები როგორ მიდის?

–საკმაოდ კარგად. ტვინის გარკვეული ნაწილი აღვადგინეთ და უკვე ფუნქციონირებს, სხეულის კუნთოვანი ქსოვილის აღდგენაც წარმატებით მიდის. ჯერ ძილის ფაზაში გვყავს.

–რა ინფორმაციას ასხივებს ამ ეტაპზე მისი ტვინი?

–გავიგეთ, რომ ის იყო ოცდაორი წლის გეოლოგი, პროფესიონალი მოთხილამურე, აღმსარებლობით ქრისტიანი. ანტარქტიდაში ერთ-ერთი ექსპედიციის დროს მისი მეგობარი განსაცდელში ჩავარდა. მან მოახერხა მისი გადარჩენა, მაგრამ თვითონ დაიღუპა.

–რამდენიმე დღით თუ შეიძლება სრულად აღდგენის დაჩქარება?

–ვფიქრობ, ეს შესაძლებელია.

–ერთი დღით ადრე მაცნობეთ მისი გამოღვიძების დრო.

ჯერჯერობით ყველაფერი კარგად იყო. დედამიწაზე, მთვარეზე და მარსზე ადამიანთა ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდიოდა.

---

4 გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისინდი“№ 15,16

***

მე-12-ე საათის ხელმძღვანელი თავისი საყვარელი ცხენით ჯირითობდა,როდესაც შეტყობინება მიიღო.

„თქვენი მითითებისამებრ ჩავატარეთ ჰარის პიროვნების შესწავლა. ბავშვობიდან გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა და ძლიერი ნებისყოფით. საინტერესო დეტალები: მიუხედავად იმისა, რომ ღრმადპატივცემული მეის შვილიშვილს,ატონს მანამდე უკვე დამთავრებული ჰქონდა „საფრენი აპარატების ინსტიტუტი“, ისიც იმავე წელს შევიდა „ადამიანის განვითარების ინსტიტუტში“, როდესაც ჰარი. გარდა ამისა, ჰარის გენომი ყველაზე უფრო სრულყოფილია, რაც კი ოდესმე გვინახავს. „მეთორმეტემ ცხენი შეანელა და სახლისკენ მიმართა.“ ცხადია, რომ მეიმ სპეციალურად ჰარისთან დასაახლოებლად ურჩია ატონს ინსტიტუტში შესვლა და ხელი შეუწყო მათ დამეგობრებას.. ისიც ცხადია, რომ იცოდა მისი გენომის სრულყოფილებაზე. რას იძლევა ეს? გენომი ხომ ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე იცვლება?რაში შეიძლება ეს გამოიყენონ? ახალგაზრდა ნიჭიერ კადრებს არჩევენ თავიანთი პარტიისთვის, თუ კიდევ რაღაც სხვაა?გასარკვევი ეს არის...“

3. აღდგენილი გოგონა

დილის ათი საათისთვის მეიმ ექიმის ხალათი ჩაიცვა და აღდგენილი გოგონას ოთახში შევიდა.

გოგონამ თვალი გაახილა, ცოტა ხანს ჭერს შეჰყურებდა, შემდეგ ოთახს მოავლო თვალი. მეი შეამჩნია.

–ოჰ, მე ცოცხალი ვარ, მომისწრო მაშველმა ჯგუფმა?

–შეიძლება ასეც ითქვას. დილა მშვიდობისა, მე ექიმი მეი ვარ. თქვენ რა გქვიათ?

– მე აია მქვია. როგორ მიპოვა მაშველმა ჯგუფმა? რამდენი ხანია აქ ვარ? საერთოდ სად ვარ? – კითხვას კითხვაზე სვამდა აია.

–დაწყნარდით აია, მთავარია თქვენ ცოცხალი ხართ, უსაფრთხო ადგილზე, ერთ-ერთ საუკეთესო სავაადმყოფოში იმყოფებით. თქვენთვის დროს ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უკეთესი იქნება, თუ სასეირნოდ გამომყვებით პარკში. ჩაიცვით და მორიგე მედდა ჩამოგაცილებთ. საუბარიც იქ გავაგრძელოთ.

გამოსულ აიას მეიმ ხელკავი გამოსდო და პარკისკენ წაიყვანა.

-როგორ გრძნობთ თავს, სიარული ხომ არ გიჭირთ?-ჰკითხა მან

-თავს მშვენივრად ვგრძნობ, გამოძინებული და დასვენებული ვარ, სიარულიც ძალიან მსიამოვნებს. არაჩვეულებრივი პარკია, რამდენი ხილია! შეიძლება ატამი მოვწყვიტო და შევჭამო?

-რა თქმა უნდა, თქვენი ორგანოები ჩვეულებრივად ფუნქციონირებენ.მიირთვით რაც გნებავთ და რამდენიც გნებავთ. მოგიწყვიტოთ?

–ჩემი ხელით მირჩევნია.

-იცით, ანტარქტიდის ყინულის სამარხის შემდეგ ჩემი გონს მოსვლა და ასეთ ლამაზ პარკში სეირნობა ფანტასტიკად მიმაჩნია.

–დიახ, აია, თქვენი პოვნა და გამოღვიძება მართლაც ფანტასტიკურია,უფრო სწორად,ფანტასტიკური რეალობაა.

–ამით რისი თქმა გსურთ?

–მოდით, მოკრიფეთ ხილი, სკამზე ჩამოვჯდეთ და ყველაფერს აგიხსნით.

აიამ მონყვიტა რამდენიმე ატამი და მეის გვერდით მიუჯდა.

–ექიმო მეი, მე თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ, როდის შემეძლება აქედან წასვლა?

–დიახ, თქვენი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ ორი-სამი დღე კიდევ გაჩერდებით აქ ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ.

–ამ შემთხვევაში იქნებ ტელევიზორი შემომიტანოთ ჩემს ოთახში–დასვენების დროს ძალიან მიყვარს ტელევიზორის ყურება. მშობლებსაც მინდა დავურეკო,ალბათ უკვე მელოდებიან სახლში და ნერვიულობენ.

–ვიცი, თქვენ გიყვართ შემეცნებითი პროგრამები, მელოდრამები და ფანტასტიკა. თქვენი საყვარელი მსახიობებია რობერტ დე ნირო და ....

–საიდან იცით, ჩემი რომელიმე ანკეტა წაიკითხეთ?

–ანკეტა? არა, მე უბრალოდ თქვენს აზრებს ვკითხულობ–ტელევიზორის ხსენებაზე თქვენში ეს ასოციაციები აღიძრა.

–თქვენ რა, ტელეპატი ხართ?

–გარკვეული აზრით კი. მოდით, ეხლა მე რაღაცეებს გეტყვით, ეცადეთ ყურადღებით და მშვიდად მომისმინოთ.

–გისმენთ, ექიმო მეი.-

–და მაინც, კიდევ ერთხელ გთხოვთ ყურადღებასა და სიმშვიდეს. ასევე, პირობა მომეცით, რომ არ შემაწყვეტინებთ. კითხვებზე შემდეგ გიპასუხებთ.

–პირობას გაძლევთ.

–თქვენ გგონიათ, რომ მაშველთა ჯგუფმა მოგნახათ და გადაგარჩინათ.

–დიახ.

–და გგონიათ, რომ ისევ XXI საუკუნეში ხართ.

–ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა.

–ძვირფასო აია, უნდა გითხრათ, რომ თქვენ მრავალი წლის შემდეგ შემთხვევით გიპოვნათ მოთხილამურეთა ჯგუფმა ყინულში და ჩვენ აღგადგინეთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, გაგაცოცხლეთ.

–თქვენ ხუმრობთ მისტერ მეი!

–არა, სრულიად სერიოზულად გელაპარაკებით. ჩვენ აღარ ვატარებთ აღდგენით ოპერაციებს, მაგრამ თქვენს შემთხვევაში გამონაკლისი დავუშვით.

–მისტერ მეი,–აიას ხმაში გაბრაზებული ნოტები გაისმა–კი მიყვარს ფანტასტიკა, მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ თქვენი ეს ხუმრობები დავიჯერო. გთხოვთ დამარეკინოთ ჩემს მშობლებთან!

–ძვირფასო აია, დაწყნარდით, თქვენი მშობლები დიდი ხნის გარდაცვლილები არიან. მე რა თქმა უნდა ველოდი თქვენგან ასეთ რეაქციას, მაგრამ რაც მოგახსენეთ, სრული სიმართლეა და ამას ახლავე დაგიმტკიცებთ.

მეიმ გოგონა ავტომფრენთან მიყვანა, სადაც ჯო როკ-ენ-როლის ცეკვაში ვარჯიშობდა.

–ჯო, გაიცანი 21-ე საუკუნის ადამიანი, მშვენიერი ქალბატონი აია.

–ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა ქალბატონო აია. მე ნანორობოტი 01 ვარ. სახელად ჯო. 0 აღნიშნავს, რომ ჯერ ამ კლასის რობოტი არ ყოფილა, ხოლო 1 კი-ჩემს პირველობას. სხვათა შორის, ამ კლასში ჯერჯერობით ერთადერთი ეგზემპლარიც ვარ. მზად ვარ გემსახუროთ.

-კიდევ ერთი ხუმარა გამაცანით,მისტერ მეი?! სულაც არ ვარ ხუმრობის ხასიათზე!

-გესმის,ჯო?!, ისე გავხარ ადამიანს,რომ ველარც კი გარჩევენ მისგან.როგორ დაუმტკიცებ აიას,რომ რობოტი ხარ?

-თქვენ, ადამიანებს, ჯერ კიდევ იმდენი პრობლემა გაქვთ,რომ სულაც არ მახარებს თქვენთან მსგავსება. ქალბატონო აია, მთხოვეთ რამე ისეთი,რის გაკეთებასაც ადამიანი ვერ შეძლებდა.

აიამ მიიხედ-მოიხედა და თვალი მოჰკრა ბანანის მაღალ ხეს. ქარვისფერი დახუნძლული ბანანები მიმზიდველად უმზერდნენ.

-მისტერ ჯო,ხომ არ ახტებოდით და ბანანს ხომ არ მომიწყვეტდით?

-რა თქმა უნდა უნდა, ქალბატონო აია, ახლავე. რო-

გორც ვხვდები, მეი ისე გაერთო თავისი ლექციებით, რომ ხილი არც კი შემოგთავაზათ...

ჯო ჩაიკუზა, შემდეგ წამს ზამბარასავით გაიშალა და რამდენიმე მეტრზე ახტა. ნახტომშივე მოწყვიტა ბანანების რამდენიმე კუნწულა და ისევ რბილად დახტა.

-ინებეთ.

–გმადლობთ, ჯო,-ძლივს ამოღერღა გაოცებულმა აიამ.

-კიდევ რას მთხოვთ?

-საკმარისია, ჯო. ეხლა ცოტა ხნით ქალაქი დაგვათვალიერებინე ზემოდან.

–დიდი სიამოვნებით, მეი.

აია განცვიფრებული უყურებდა ზემოდან ქალაქს, მის მაღალ, ლამაზ შენობებს, ჰაერში მფრენ ავტომფრენებს. ასეთი რამ მას მხოლოდ ფანტასტიკურ ფილმებში ენახა! „ნუთუ ეს ცხადშია და არ მესიზმრება?“–გაიფიქრა მან.

–დიახ, ეს ცხადშია და არა სიზმარში.კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს საუკუნეში–გამოეხმაურა მის ფიქრებს მეი.

–კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს საუკუნეში!–მხიარულად გაიმეორა ჯომ.

–ვინ ხართ თქვენ, ექიმო მეი?–როგორც იქნა ხმა ამოიღო განცვიფრებულმა აიამ.

–მე საათების ხელმძღვანელთა კოორდინატორი მეი ვარ.

–ეს რას ნიშნავს?

–თქვენს საუკუნეში ალბათ მსოფლიოს პრეზიდენტს მიწოდებდნენ.

–ღმერთო ჩემო, გასაგებია...

–ჯო, დავეშვათ, დღეისთვის საკმარისია, ახლა ქალბატონმა აიამ უმჯობესია ცოტა დაიძინოს, დაისვენოს, რომ მიღებული ინფორმაცია უკეთ აღიქვას.

–რა დამაძინებს მისტერ, ... ბატონო პრეზ...

–დამიძახეთ უბრალოდ მეი, როგორც ჩემი მეგობარი ჯო მომმართავს. იმედი მაქვს, ჩვენც დავმეგობრდებით.

–კარგით, მეი, მაგრამ ვშიშობ, რომ ახლა არ დამეძინება. თავში უამრავი აზრი და კითხვა მიტრიალებს.

–დაგეძინებათ, აია–მეიმ თვალებში შეხედა აიას, რამდენიმე წამი უყურა. აიამ თვალები დახუჭა და დაიძინა. ჯომ ფრთხილად აიყვანა იგი ხელში, შეიყვანა ოთახში და საწოლში ჩააწვინა. აიას ღრმა, მშვიდი ძილით ეძინა. მეი ალის დაემშვიდობა.

–ექიმო ალი, გოგონას ხვალამდე ეძინება, რომ გაიღვიძებს ალბათ ჩემი ნახვა მოუნდება. შემატყობინეთ. ნახვამდის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

როსტომ შამუგია

რამ დამტანჯა

ვერ მიცნა ჩემმა სწორფერმა,
ქალამ ჩემ დროსამ, ხნისამა:-
-რამ დაგაბერა? -ის მითხრა:--
ბიჭო, მზემ ჩემის ძმისამა!..
ი ვ ან ე წ ი კ ლ ა უ რ ი
(რამ დამაბერა?)

დამტანჯა უთაურთათვის
ამაოდ თავის მობმამა;
უწინ დალესი გვშხამავდა,
დღეს--სოროსი თუ ობამა...
ლამის ჭკუიდან შევირყე,
მომსპო ამგვარმა ყოფამა;
პედერასტების კასტისა
არ გაიკვირტოს მოდგმამა;
შემშალა ქვებუდანების
ლაღობა --- ურჯუკობამა;
ზნეობრიობის გაქრობამ,
მავანთა ჩუკენობამა...
ამ ქედძაღლების ტატყანმა,
უაზრო გნიასობამა;
გული დანესტრა გონჯების
წარაუგონოდ მკობამა;
ამ უსახურთა კასტისა
გაალმასებით ხოტბამა
გარყვნილებათა სიჭრელემ,
წელში გამტეხა, ძმობამა...
ვეღარ მიშველა ბიბლიამ,
ვერცა --- რუსთველით ტკბობამა...
დამტანჯა ახლობელთაგან--
ნაყვედრალ თანალმობამა
სული წაბილწა ეთერში--
უკმეხობ--ღინცილობამა;
ვაჟა--ფშაველას გენიის-
უმეცართაგან გმობამა;
ილიასა თუ ყაზბეგის
როყიოდ ნაძრახობამა....
დამტანჯა ჟამკარარეულ
ქალ--ვაჟთა უხამსობამა:---
ქალების გაბოზებისა--
სითამამედა ხმობამა;
ჭიპ--ძუძუების სიშიშვლით
ეთერში მარაზმობამა;
ჭიპქვემოთ მოზაიკურმა--
სატანურ ,,ნაკოლკობამა”;
ოთხ და ხუთ ნაქმარობითა
უტიფრად ტინგიცობამა...
დამტანჯა საყურიანი
კაცების ხუნტრუცობამა,
კაცადკაცობის სამუქფოდ--
სიმურდლე-- წუნკალობამა...
გადააჯიშა სამყარო--
არჯალმა ჟამოხრობამა:--

კაცები-- ყალთაბანდობამ,
უშრომობ--უფულობამა,
აისით--დაისამდისა--
წყაროსთან უქმად სხდომამა,
ბანქოთი დროის მოკვლამა,
მეტადრე-- გაჩხერობამა...
ამგვართა გამოისობით:--
ოჯახთა ქესატობამა;
ქალთა კახპობით ნაშოვნი
დოლარით პეიტრობამა...
დამტანჯა უნდილ მოძმეთა
დიახაც, უბირობამა,
საეჭვოდ მიძილქუშებამ,
ხან კიდევ-- უძილობამა...
დამტანჯა ამდენ ლიზღობის
გარშემო ლოხ--ლირწობამა;
გადაბერწებულ ქალ--ვაჟთა
ლირფობა---ქერქეტობამა;
მამულში ახალუხლების--
უასულ --- უძეობამა,
ოჯახურ ლიბოს რღვევამა,
მეჩხერმა ფუძეობამა...
დამტანჯა კანთიელადა--
კაცთა ღირსების კვდომამა,
ნაბიჭვართაგან სულსა თუ--
ღვინოში ჩაშარდობამა...
გულღრძოთა ხელგამოღებით
ჭერ--ფუძის ჩამომხობამა...
დამტანჯა, უღვთოდ დამტანჯა--
მოძმეთა ულმერთობამა:--
ერის გაქრობის მაცნემა--
ქართველთა უშვილობამა!..
ნიჰილიზმისა დათესვამ,
უშქართა ჩურუქობამა...
გამიპარტახა სამშობლო
ტიალმა ჟამყრუობამა,
პედერასტების თარეშმა,
თახ-სირთა ღორღალობამა...
გამიბელეშა ქვეყანა
მუზმუზელათა ხროვამა;
თემშარის ქვაბავაზაკთა--
ბანკირთა აბრაგობამა...
დამტანჯა თითლიბაზთაგან--
ვითომ, მამულზე ბჭობამა;
ამ ბედასლობის მზირალი--
ლამის გამგუდოს ბოღმამა...
...არ გაიხაროს აროდეს
ქასქანჯიელთა მოდგმამა...
წალეკოს მათი ნაგრამი--
ჩვენი მამულის ცოდვამა!!!..

მარეხ გეჟანიშვილი

რეცენზია ემზარ ხვიჩიას წერილზე

„ისინდის“ მკითხველისთვის ემზარ ხვიჩიას სახელი უკვე ცნობილია – ჟურნალის მე-15 ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „თამარ მეფე და რუსთველი“, წინამდებარე ნომერში კი გთავაზობთ მის წერილებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, რომლებიც 2022 წლის თებერვლიდან სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა სოციალურ ქსელ ფეისბუქსა და პორტალ For.Ge-ზე. აქვე ვიტყვი, რომ ემზარ ხვიჩია ორივე წერილში ეყრდნობა მეცნიერულ თეორიას, რომელთა ავტორიც თავადაა.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ არაფერს დავწერ, რადგან ემზარ ხვიჩიას წერილებში გამომწვევი მიზეზებისა თუ მოსალოდნელი შედეგების ზუსტი და მეცნიერული ახსნა და შეფასებაა მოცემული, რომელთაც ვერაფერს დავამატებ. ჩემს რეცენზიაში მოკლედ ავხსნი, თუ რას ეხება მისი თეორია – კვანტური რელატივისტური ნოოლოგია და ოპტიმალიზმის დოქტრინა, რომელზე დაყრდნობითაც მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესს მოეძებნება მეცნიერული ახსნა, მათ შორის უკრაინასა თუ მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში განვითარებულ მოვლენებს.

ემზარ ხვიჩიას კვლევის მთავარი შედეგი, მოკლედ რომ ითქვას, არის თვითკმარი არსებობის ლოგიკის აღმოჩენა. ამ მეცნიერული სიახლის მეშვეობით დღეს უკვე შესაძლებელია საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონთა განსაზღვრა ანუ ისტორიული პროცესის ლოგიკის დადგენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებათმცოდნეობის სფეროში მიღწეულია ის, რაც ფუნდამენტური ფიზიკის სფეროში ერთიანი ველის თეორიის შექმნა იქნებოდა.

ემზარ ხვიჩიას თეორიის მიხედვით ირკვევა, რომ ცივილიზაცია ერთიანი თვითრეგულირებადი სისტემაა, ერები კი სისტემური ფუნქციის ელემენტებს წარმოადგენენ. ამასთან, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მიმდინარე პროცესები და ერებს შორის ურთიერთობები გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება; არსებობს ოთხი თვისებრივი ტიპის ერი, რომელთა თანაარსებობა აუცილებელია თვით ცივილიზაციის, როგორც ერთიანი თვითკმარი სისტემის არსებობისათვის. მე-20 საუკუნის შუაწლებამდე ოთხივე ნოოტიპის ერთა თანაარსებობის აუცილებლობა არ არსებობდა, ხოლო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ ეს აუცილებლობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მსოფლიო გაერთიანდა ერთ (ეგეოსურ) ცივილიზაციად. ვინაიდან მსოფლიო ერთიან ცივილიზაციად ჩამოყალიბდა, ყველა შემდგომდროინდელი და ამჟამად მიმდინარე კონფლიქტი არა ცივილიზაციათა, არამედ ერებს შორის კონფლიქტებად უნდა ჩაითვალოს. ეს კონფლიქტები გლობალიზებულ ცივილიზაციაში სტაბილიზაციის რეჟიმის ძიების პროცესის სიმპტომს წარმოადგენენ.

აქვე შევნიშნავ, რომ ის პროცესები, რომელთაც დღეს გლობალიზაციის სახელით მოიხსენიებენ, სინამდვილეში გახლავთ გლობალიზაციის დესტრუქციული, მონოპოლარული რეჟიმის დამყარების მცდელობა, რომელიც კაცობრიობისთვის ყველაზე უარესი რამ არის, რაც შეიძლება დღეს დაემართოს, რადგან „მონოპოლარული



ემზარ ხვიჩია

უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი და საქართველო

უკრაინელი და ზოგიერთ სხვა ეროვნების მაღალჩინოსანი პოლიტიკოსების მხრიდან საქართველოს გამკილავი, გამომწვევი განცხადებები უსამართლობისა და უმადურობის გამოხატულებად მიიჩნია ქართული საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა და არა უსაფუძვლოდ. ცხადია, ამგვარი საქციელი საქართველოს ომში ჩათრევის წინასწარ შემუშავებული გეგმის არსებობაზე მეტყველებს, მაგრამ, ამასთანავე, შესაძლებელია არ მოვეკიდოთ უარყოფითად ამ გამოწვევებს, რადგან მათში იკითხება საქართველოსგან რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინი, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების განვითარებაზე ქართველი ერის გადამწყვეტი გავლენისუნარიანობის რწმენა თუ ინტუიციური ნვდომა, რაც არ არის უსაფუძვლო: მსოფლიო საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობაზე ქართველ ერს მართლაც შეუძლია ფუნდამენტური კონსტრუქციული გავლენის მოხდენა.

საქმე ისაა, რომ, როგორც არაერთ ადრეულ პუბლიკაციაშიც აღმინიშნავს, მსოფლიო საზოგადოება 1990-იანი წლებიდან იმყოფება ისტორიულად უპრეცედენტო მდგომარეობაში, რაც ოთხივე ნოოტიპის ერის მუდმივად აქტულიზებულ მდგომარეობაში მყოფობის, ცივილიზაციური ფაზების ცვლის გავლენისგან მათი დაზღვეულობის უზრუნველყოფის მოთხოვნის, ანუ მართვის მანიის ეფექტის პირდაპირი ინსტიტუციური რეალიზაციის ამოცანის დამყენებელია. ამ ამოცანის გადაწყვეტა იქნება ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირება და ქართული საზოგადოება მართლაც არის გაკიცხვის ღირსი, რადგან აყოვნებს ამ ნაბიჯის გადადგმას.

ოთხივე ნოოტიპის ელემენტების ერთდროულად აქტუალობის შემთხვევაში კონფლიქტების აცილება შეუძლებელია ოთხი ნოოტიპის სისტემური ერთიანობის მომენტის აქტუალიზაციის გარეშე, რაც მართვის მანიის ნოოტიპის ერების ფუნქციაა. ასე რომ, შესაძლებელია ბრალეულობა უფროც დავამძიმოთ: ქართველ ერს თავისი ცივილიზაციური ფუნქცია რომ სრულფასოვნად შეესრულებინა, უკრაინაში მიმდინარე კონსფლიქტის და, ასევე, არაერთი წინანდელი კონფლიქტის აცილება არ იქნებოდა ძნელი საქმე.

მართალია, ქართულმა სამეცნიერო სკოლამ უკვე შეიმუშავა პროგრამა - ოპტიმალიზმის დოქტრინა - რომლის ინიციირებაც მსოფლიო საზოგადოების მიმდინარე მდგომარეობასა და პრობლემებს პასუხობს, მაგრამ ამით ქართველი ერის ამოცანა შესრულებულია მხოლოდ სანახევროდ, რადგან ხსენებული პროგრამის ინიციირებისთვის ქართულ სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია და არც ახლა აკეთებს რამეს, რაც სისტემის მხრიდან ჩვენი ერის მიმართ დესტრუქციული, მილევის რეჟიმში ჩამყენებელი დამოკიდებულების საფუძველია.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ არსებულ ვითარებას ახასიათებს მოჯადოებული წრის ეფექტად იდენტიფიცირებადი მომენტიც, ანუ გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ მსოფლიო საზოგადოება იმკის მის მიერ ქართველი ერის შესაძლებლობების იგნორირების, ქართულ საზოგადოებაზე, მისი განვითარების შემფერხებელი ზემოქმედებისა და მისი ნოოტიპური ტრანსფორმაციის მცდელობაზე გამიზნული ზეწოლის საფასურს, შესაბამისად რუსეთისა და დასავლური სამყაროს მხრიდან.

დაბოლოს, იმის აღნიშვნაც ღირს, რომ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი 2004 წელს გამოქვეყნებულ ჩემს მონოგრაფიაში წარმოდგენილი თეორიული პროგნოზით შესაძლო ხდომილებად გათვალისწინებული მორიგი მოვლენაა, როგორც გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის (2008 - 2027 წწ.) გამოხატულებათაგანი, 2008 წლის გლობალური ფინანსური სისტემის კრიზისის, ე. წ. არაბული გაზაფხულის, „ისლამური სახელმწიფოს“, თურქეთის „განდგომის“, ჩინეთის აღმავლობის, იდეოლოგიური

რეჟიმი მსოფლიო საზოგადოების განვითარების უნარს საწყის ეტაპზევე ოთხჯერ შეამცირებს. ახლო პერსპექტივაში კი, თუ ამ რეჟიმის სტაბილიზაცია მოუხერხდებათ, უღრმესი სტაგნაციის ჩიხში გამოამწყვდევს მთელს მსოფლიოს“ (ე. ხ.).

ცხადია, უკრაინის კონფლიქტიც განპირობებულია გლობალური სიტუაციის კონტექსტით და ეს ფაქტი გლობალური კონტექსტის არაოპტიმალურობაზე მეტყველებს. ჩვენს საზოგადოებაში ამ კონფლიქტის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, რაც განწყობების გავლენით აიხსნება. თუმცა, თუ განწყობებს მოვიშორებთ და მოვლენებს ობიექტურად შევაფასებთ, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა აღარ იქნება.

რა იგულისხმება გლობალური კონტექსტის არაოპტიმალურობაში? – როგორც უკვე აღვნიშნე, რამდენიმე ათეული წლის წინ დადგა ოთხივე ნოოტიპის ერთა თანაარსებობის ინსტიტუციური უზრუნველყოფის აუცილებლობა. ეს კი პარადიგმების ცვლის გარეშე შეუძლებელია, რადგან ერები და სახელმწიფოები ნეოლითური რევოლუციის შემდეგ დღემდე მოქმედებენ საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის შესაბამისად. ამასთან, ერთი რომელიმე ერის მიერ მონოპოლარული/მონომოდალისტური რეჟიმის დამყარების მცდელობა თანამედროვეობის მოთხოვნის საწინააღმდეგოა და რომც მოხერხდეს, უკიდურესად დესტრუქციული შედეგის მომტანი იქნება არა მხოლოდ მთელი მსოფლიო საზოგადოებისთვის (გლობალიზებული ეგეოსური ცივილზიაციისთვის), არამედ თვით მონოპოლარული რეჟიმის „ავტორი“ ერის არსებობისათვის.

დაბოლოს, დავამატებ, რომ ემზარ ხვიჩიას 2004 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში (ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია) პროგნოზირებულია მას შემდეგ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები. ამასთან, 2014 წელს იგი წერდა, რომ უკრაინის მოვლენები რუსეთსა და გერმანიას (ანუ პერსპექტივაში მთელს ევროპას) შორის კონსტრუქციული კავშირის გაღრმავების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ინიციირების მცდელობა იყო, რაც დღეს მიმდინარე მოვლენებმა დაადასტურა.

პრინციპების იმპერატივიზაციის, ავტარკიზმისკენ მიდრეკილებების, განსხვავებულობათა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ზრდის და სხვა მსგავსი ნოოტიპური მახასიათებლების გამოვლენების გვერდით.

***

უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის არსში გასარკვევად აუცილებელია რუსი და უკრაინელი ერების წარმოშობისა და მათი ურთიერთობის წინაისტორიის გათვალისწინება. უკრაინელებს რუსები რუსი ერის დეზორიენტირებულ ნაწილად, ანუ მაინც თავისიანებად მიიჩნევენ, რაც დიდი შეცდომაა, მაგრამ, თუ სამხედრო მოქმედებები სწრაფად დასრულდება, ეს ილუზია დარჩება, ხოლო თუ კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდება, მაშინ თანდათან ცხადი გახდება, რომ უკრაინელებსა (ცხადია, იგულისხმება არა რუსული დიასპორის წარმომადგენლები უკრაინაში) და რუსებს შორის გადაულახავი უფსკრულია. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებული იმედის გაცრუება კი შეიძლება უდიდეს სისასტიკეს დაედოს საფუძვლად.

რუსებსა და უკრაინელებს შორის ნოოტიპური სხვაობაა, რადგან რუსი ერი ძლევის მანიის ნოოტიპისაა, უკრაინელი ერი კი – ფორმის მანიის ნოოტიპისა. კიევის რუსეთი რუსეთის სივრცეზე ეგეოსური ცივილიზაციის გაფართოების გამოხატულებად ჩამოყალიბებულ ძლევის მანიის ნოოტიპის ერს წარმოადგენდა. მისი ნოოტიპური მემკვიდრე თანამედროვე რუსი ერია. ისტორიული კიევის რუსეთის სივრცეზე ფორმის მანიის ეფექტის განვითარებას ბიძგი მისცა ჩინური ცივილიზაციის (1260-იანი წლებიდან) გავლენამ და მოგვიანებით გააძლიერა დასავლეთევროპული ცივილიზაციის გავლენამ, რისი გამტარებელიც თანამედროვე უკრაინის სივრცეზე იყო ფორმის მანიის ნოოტიპის პოლონელი ერი. ამ პროცესს ხელს უშლიდა უკრაინის სივრცეზე ჩამოყალიბებული კაზაკთა ეთნოსი - კიევის რუსეთის ნოოტიპურ მემკვიდრედ, ანუ რუსი ერის ნაწილად, იდენტიფიცირებადი ელემენტი.

კიევის რუსეთის ყოფილი სივრცის დანარჩენ ნაწილზე ფორმის მანიის ეფექტის განვითარება გამოიხატა მოსკოვის რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს და, შემდეგ, რუსეთის იმპერიის ინსტიტუტის აღმავლობაში. ძლევის მანიის ნოოტიპის რუსი ერი კი დარჩა ეგეოსური ცივილიზაციის ელემენტად და შეეკედლა პერიფერიულ რეგიონებში ჩამოყალიბებულ კაზაკობის ინსტიტუტსა და რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მომცველ, რუსული თემის („ობშჩინას“) ინსტიტუტს და იმპერიის ხანამდე ძირითადად მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდა, იმპერიის ხანაში კი ეგეოსური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების თანადროული ფაზების თანხვედრილი ასპექტის ხელშეწყობით რუსეთის იმპერიასთან, რომელიც ეგეოსური ცივილიზაციის სივრცეზე დასავლეთევროპული ცივილიზაციის გავლენის გავრცელების ამსახველ, ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენს წარმოადგენდა, გარკვეული თანამშრომლობის რეჟიმში გადავიდა, რაც გაგრძელდა XX საუკუნის დასაწყისამდე. თანამედროვე უკრაინის სივრცეზე ფორმის მანიის ეფექტის დომინანტიზაცია, ანუ უკრაინელი ერის ჩამოყალიბება, შეიძლება ვერც მომხდარიყო რუსეთის იმპერიის ხელშეწყობის გარეშე, რაც ეკატერინე II-ის ხანაში უკრაინიდან კაზაკების მასობრივ დეპორტაციაში გამოიხატა. ასე რომ, შესაძლებელია ფორმის მანიის კლასის უკრაინელი ერის სტაბილიზაცია რუსეთის იმპერიის დამსახურებად, უკრაინელი ერი კი რუსეთის იმპერიის და სტალინური იმპერიის (ასევე, ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენის, თუმცა უკვე ეგეოსური ცივილიზაციის შემადგენლის) მემკვიდრედ დასახელდეს. ანუ არაა შემთხვევითი ის, რომ რუსეთის იმპერიისა და საბჭოეთის შემადგენლობაში უკრაინის ტერიტორია მხოლოდ ფართოვდებოდა და არც ის, რომ 1950-იან წლებში საბჭოთა ელიტაში ქართველები (ქართველი ერის არაპირდაპირი თვითგამოხატვის აქტის ინიციატორთა ჯგუფი), სწორედ, უკრაინელებმა ჩაანაცვლეს, რაც, სხვათა შორის, მნიშვნელოვან შეფერხებად იქცა ქართველი ერისთვის.

ასეთი წინაისტორიის პირობებში, ბუნებრივია რუსი და უკრაინელი ერების იდენტიფიკაციის, მათ შორის გეოგრაფიული და ეთნიკური საზღვრების დადგენის პრობლემურობა. ველიკორუსი და მალორუსი ეთნოსების არსებობა ბევრს არაფერს გვეუბნება რუს და უკრაინელ ერებს შორის გამყოფი ხაზის შესახებ - ერი არ არის ეთნიკური ფაქტორით განსაზღვრული ფენომენი. ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების უმტკივნეულოდ და კონსტრუქციულად გადაჭრა ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირების გარეშე შეუძლებელია, რასაც ადასტურებს მიმდინარე მოვლენებიც. თუმცა, კონფლიქტის გადავადება (იქნებ ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირებამდეც კი) მაინც შესაძლებელი იყო.

საქმე ისაა, რომ გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომით მიღებული უპირატესობა (ვერ დავასახელებთ უფრო ქმედუნარიან ელემენტს, ვიდრე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში ფორმის მანიის ერია) უკრაინელ ერს უკრაინაში რუსი ერის დიასპორის დასუსტების აგრესიის ფიზიკური სიმპტომების გამოვლენის გარეშე განხორციელების, რუსული დიასპორის ახალი თაობების სრულად უკრაინიზაციის შესაძლებლობას ანიჭებდა. საამისოდ საკმარისი იქნებოდა მათთვის სათანადოდ გააზრებული საგანმანათლებლო პროგრამის შედგენა, განათლების რუსულ ენაზე მიწოდების და უკრაინული ენის მხოლოდ სასწავლო საგნად დამტკიცების შემთხვევაშიც კი. დღეს კი სრულიად საპირისპირო ტენდენციის - უკრაინელთა ახალი თაობების რუსიფიკაციის - შესაძლებლობის დამყარებისკენ მიდის საქმე.

რუს ერთან უშუალო დაპირისპირების აცილება უკრაინელ ერს მისცემდა შესაძლებლობას ესარგებლა ამ, მსოფლიო ბაზარზე სამრეწველო ნედლეულის უმსხვილეს მიმწოდებელთან უშუალო მეზობლობით განპირობებული უპირატესობით: ნედლეულის იოლად ხელმისაწვდომობა, ტრანსპორტირების სიიაფე წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი რესურსია, რაც ფორმის მანიის ნოოტიპის ერის მთავარი ცივილიზაციური ფუნქციის - მწარმოებელი ერთეულის სტატუსის - რეალიზაციის უმთავრესი ასპექტია.

ამგვარ შესაძლებლობას კარგად იყენებს ბელორუსი ერი, რომელმაც შეინარჩუნა და განავითარა ფორმის მანიის პარადიგმის საფუძველზე მოწყობილი წარმოების საბჭოური სისტემა. უკრაინის მსგავსად, ბელორუსის მოსახლეობის უმრავლესობა ფორმის მანიის ნოოტიპის ერს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, რუსი ერისადმი დამოკიდებულების მიხედვით ის უკრაინელი ერისგან რადიკალურად განსხვავდება. ეს აიხსნება იმით, რომ ამავე ნოოტიპის პოლონელი ერის პირისპირ, რომელთანაც ორივე დასახელებულ ერს პრობლემური ტერიტორიული საკითხები აქვს, ბელორუს ერს, უკრაინელი ერისგან განსხვავებით, ძლევის მანიის ნოოტიპის ერისგან მხარდაჭერა სჭირდება.

ამ გარემოების ხელშეწყობით რუსეთსა და ბელორუსს შორის ურთიერთობა ოპტიმალურია სამხედრო ასპექტითაც. მაგ. ის ფაქტი, რომ რუსეთი დაეხმარა ბელორუსს უკანასკნელი არჩევნების შემდეგ გარეგანი (ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ფრონტის მხრიდან) ზეწოლის მოგერიებაში, ფორმის მანიის და ძლევის მანიის ნოოტიპის ერებს შორის ურთიერობის იმ მოდელის შესატყვისია, რომელსაც ოპტიმალიზმის დოქტრინა ითვალსწინებს. კერძოდ, ოპტიმალური წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტია ფორმის მანიის ერების ძლევის მანიის ერთა სამხედრო ინფრასტრუქტურის ელემენტების ბუფერით ერთიმეორისგან დაზღვევა. ასე რომ, არც უკრაინელი ერისთვის იქნებოდა ზედმეტი რუს ერთან სამხედრო შეთანხმება. მაგ. რადგან სევასტოპოლის რუსული სამხედრო ბაზა ფორმის მანიის ნოოტიპის თურქი ერისგან და, საზოგადოდ, სამხრეთიდან შესაძლო აგრესიისგან უკრაინის დაზღვევის საშუალებაა, ოპტიმალური გადაწყვეტილება იქნებოდა სევასტოპოლის რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურის ელემენტის მუდმივად განთავსებისთვის დათმობა. გარდა ამისა, ფორმის მანიის ნოოტიპის სხვა მეზობელი ერე-

ბისგან ურიერთდასაზღვევად ოპტიმალური იქნებოდა რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურის ელემენტების გახლაგება დნესტრისპირეთსა და ლვოვის ოლქში, რითაც რუსი ერი აინაზღაურებდა უკრაინის რუსული დიასპორის ნოოტიპური ტრანსფორმაციით ნაგულისხმევი პოზიციის შესუსტებას.

ოპტიმალური წესრიგის პირობებში ფორმის მანიის ნოოტიპის ერის სახელმწიფოს პერიფერიულ რეგიონში განთავსებული ძლევის მანიის ნოოტიპის ერების სამხედრო ინფრასტრუქტურული ერთეულები იმოქმედებენ მხლოდ ამ ერის მიმართ მოსაზღვრე სახელმწიფოს აგრესიის აღსაკვეთად და არ მიიღებენ მონაწილეობას თავად ამ ერის აგრესიულ ქმედებაში მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რა დროსაც ამოქმედდება აგრესიის ობიექტის სივრცეში ლოკალიზებული ამგვარიგე ინფრასტრუქტურული ელემენტი.

ეს პრინციპი აუცილებელია ძლევის მანიის ნოოტიპის ერების კოლექტიური წარმომდგენლობითი სამხედრო ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად გავრცელებისთვის ერებს შორის სასაზღვრო ზონების გლობალურ ქსელში, რაც სამომავლოდ სამეზობლო სამხედრო კონფლიქტების სრულად აღკვეთის, ან სასაზღვრო ზონებში ლოკალიზაციის, სახელმწიფოთა სიღმეებში ვერ შეღწევის მაინც, უზრუნველყოფის პირობაა.

სხვათა შორის, ძლევის მანიის ნოოტიპის ერის უმთავრესი ცივილიზაციური ინსტიტუციური ფუნქციის რაობა (ბუფერული ფაქტორის ეფექტის რეალიზაცია) გვკარნახობს აზრს, რომ უკრაინის მხრიდან მებრძოლ უკრაინის ეთნიკურად უკრაინელ (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს) მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ძლევის მანიის ნოოტიპის პიროვნება, ანუ რუს ერთან ასოცირებადი (რუსად იდენტიფიცირებადი) იყოს - ეროვნება არა ცნობიერი, არამედ განწყობისეული ფაქტორით განსაზღვრული თვისებრიობაა პიროვნებისა.

უკრაინულ ეთნოსში ძლევის მანიის ნოოტიპის ელემენტი რუსი ერისგან დამოუკიდებელი წარმოშობისაც კი შეიძლება იყოს, როგორც, რუსეთის იმპერიის სახით, ფორმის მანიის კასტური ეფექტის ფენომენის დომინირების სივრცეზე ფორმის მანიის ნოოტიპის უკრაინელი ერის დამცავ ფაქტორზე მოთხოვნილების აქტუალობის შედეგი, ანუ წარმომავლობით დასავლეთევროპული ცივილიზაციის ელემენტი, რუსი ერის ნოოტიპური კონკურენტის ჩანასახის ნაშთი. უკრაინაში საგულვებელია, ასევე, ფორმის მანიის ნოოტიპის ებრაელი ერის დიასპორისგან ამავე მექანიზმით გამოყოფილი ძლევის მანიის ნოოტიპის ელემენტის არსებობა, რომლის ჩამოყალიბებას დამატებით ებრაული დიასპორისთვის თვით უკრაინელი ერის წინაშე თავდაცვითი რეაქციის აქტუალობაშიც ჰქონდა საფუძველი.

უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის უშუალოდ რუსულ-უკრაინული ასპექტის განხილვა შეიძლება დავამთავროთ იმ მოთხოვნის შეფასებით, რომლის დაუკმაყოფილებლობაც გამოცხადდა სამხედრო მოქმედებაზე გადასვლის განმაპირობებელ გარემოებად. იგულისხმება რუსეთის მიერ უკრაინის სამხედრო მიუმხრობლობის დაცვის გარანტიის მოხოვნა, უკრაინისა და ნატოს ბლოკის მხრიდან. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლადაც კი, თუ ავსტრიის მაგალითს გავიხსენებთ, რომლის მიუმხრობლობითი სტატუსი, სწორედ, რუსეთის სამართალწინამორბედად მიჩნეულ, საბჭოეთისთვის მისაღები პირობებით იქნა დამყარებული და საბჭოური ოკუპაციისგან დამხსნელი გახდა ავსტრიისა, ვერ ჩაითვლება ვერც შეურაცხმყოფლად და ვერც განვითარების შემფერხებლად.

ამრიგად ის, რომ უკრაინამ აირჩია რუსეთთან კონფრონტაციის გზა, ვერ ჩაითვლება უკრაინელი ერის ინტერესებით ნაკარნახევ აუცილებლობად. ეს მიგვანიშნებს, რომ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში რუსეთ-უკრაინის ურთიერობის ასპექტზე უფრო მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორი, გლობალური კონტექსტი.

***

მსოფლიოს მიმდინარე მდგომარეობის გლობალური კონტექსტის მთავარი ასპექტი მონომოდალისტური გლობალიზმის ნოოტიპურ მოდუსებს შორის ბრძოლაა, როგორც აქამდე გამოქვეყნებულ ტექსტებში აღმი-

ნიშნავს. მონომოდალისტური გლობალიზმის სამი მოდუსი არსებობს-ფორმის მანიის, ძლევის მანიისა და ცხრომის მანიის სათანადონი. თითოეული მათგანი დანინაურებული იყო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, დასავლეთევროპული და ეგეოსური ცივილიზაციების კონკრეტული ფაზების ხელშეწყობით, მას შემდეგ, როცა ეს ცივილიზაციები გლობალიზაციის ზღვარზე დადგნენ. 1928 წლამდე ბატონობდა კომუნისტური (ბოლშევიკური) მონომოდალისტური გლობალიზმი, რაც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეის პოპულარობაში გამოიხატა (მარქსიზმი, ტროცკიზმი). ეს მონომოდალისტური გლობალიზმის ძლევის მანიის ნოოტიპური მოდუსია; შემდეგ გაბატონდა ფორმის მანიის სათანადო მოდუსი-სოციალისტური მონომოდალისტური გლობალიზმი, ვარიაციული სახესხვაობებით-სტალინიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი, ფაშიზმი. მისი დომინანტის შერყევის პირობები შეიქმნა 1948 წლიდან, გლობალიზებულ ეგეოსურ ცივილიზაციაში მეხუთე ორმაგი ეფექტის ფაზის დადგომით, რის შემდეგაც ამ მიმდინარეობამ დასავლურ სამყაროში, ფაქტობრივად, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სახით განაგრძო არსებობა, თუმცა სტალინური მოდელი სახელმწიფოსა და საზოგადოების მოწყობისა, დასახელებული ცივილიზაციური ფაზის გავლენით, მონომოდალისტური გლობალიზმის ძლევის მანიის ნოოტიპური მოდუსის რეაქტუალიზაციის რესურსად იქნა გამოყენებული - მესამე სამყაროში რევოლუციის ექსპორტმა სტალინიზმის გავრცელებაში ჰპოვა გამოხატულება, რადგან მესამე სამყაროს ერების უდიდესი ნაწილი ფორმის მანიის ნოოტიპის მიეკუთვნებოდა. ამიტომ მონომოდალისტური გლობალიზმის მოდუსებს შორის შეჯიბრში მდგომარეობის ცვლა თვალსაჩინო გახდა მხოლოდ გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის მესამე, ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომით, რაც 1968 წლით თარიღდება. ამ ფაზის ხელშეწყობით, 1980-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოში გაბატონდა ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმი, ანუ ცხრომის მანიის ნოოტიპური მოდუსი მონომოდალისტური გლობალიზმისა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა ელემენტმა - ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით საბჭოეთის საგარეო პოლიტიკის უპირობო უკანდახევის კურსზე სტაბილიზაციამ, რისი სისტემური მნიშვნელობაც საბჭოეთში უკრაინელი ერისგან (და ფორმის მანიის ნოოტიპის სხვა წარმომადგენლებისგან) ინიციატივის მიტაცების მცდელობაში მდგომარეობდა და საქართველოს საკითხის საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემად გადაქცევა მოჰყვა შედეგად. ქართული ელემენტი დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალიზმის ამ მოდუსის აქტივობებში, მნიშვნელოვან საკადრო რესურსად გამოდის, როგორც უკრაინის მაგალითზეც გამოჩნდა.

ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმი არის მონომოდალისტური გლობალიზმის ყველაზე ადვილგავრცელებადი მოდუსი. ამის ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ, ცხრომის მანიის პარადიგმის მიხედვით, ურთიერთობა და გაერთიანება სინთეზის პროცესად, სინთეზისკენ მიმართულ აქტად წარმოიდგინება, სინთეზის პროცესის ობიექტს კი ადვილად შეიძლება გაუჩნდეს ილუზორული მოლოდინი სინთეზის შედეგში არსებობის სრულფასოვნად და განვითარებით გაგრძელებისა, მაშინ როცა, ძლევის მანიის პარადიგმის მიხედვით ურთიე-

რთობისა და გაერთიანების არსი ურთიერთდამსგავსებაში, განმასხვავებელი მახასიათებლების გალევაში მდგომარეობს, ფორმის მანიის პარადიგმის მიხედვით კი ურთიერთობა ფაქტობრივად თანაკვეთის აცილებაა, რის გამოც ფორმის მანიის სათანადო მოდუსის მონომოდალისტური გლობალიზმის უპირატეს რეალიზაციად იქცა სტალინიზმი, ანუ არა ფორმის მანიის ნოოტიპის რომელიმე ერის აქტიურობის პროდუქტი, არამედ ეგეოსური ცივილიზაციის ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის რეალიზაციის გამოხატულება ძლევის მანიის ნოოტიპის რუსი ერის დომინირების სივრცეზე და მართვის მანიის ნოოტიპის ქართველი ერის ინიციატივით.

ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის მთავარი გამწევი ძალა, ცხადია ცხრომის მანიის ნოოტიპის ერებს შორის გამოკვეთილი ლიდერი, ამერიკელი ერია. ამერიკაში აქვთ სათავე და ამერიკის მიერ ფინანსდება არასამთავრობო სექტორის სახელით ცნობილი იდეოლოგიზირებული ქსელიც და სამიზნე საზოგადოებაში ლიბერალიზმის გავლენის გავრცელების თანაგზა-გამკვლევი და ლიბერალიზაციის ხარისხის შესაფასებელი უნივერსალური ტესტფაქტორი - ლგბტ და ქვიარ პროპაგანდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად ნოოტიპური მონომოდალიზმი არ არის ახალი ფენომენი - ეს არის ნეოლითური რევოლუციის ხანიდან მთელს დედამიწის ნოოსფეროში გაბატონებული, ლოკალური მეორეული ცივილიზაციების (მეორეულ ნოოცენოზების) ფორმირებისა და მათი ურთიერთასიმილაციის გზით ცივილიზაციური წარმონაქმნების მასშტაბის ზრდის კონსტრუქციული პროცესის მამოძრავებელი პარადიგმის - საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის - გამოვლინება ახალ მასშტაბში. მაგრამ, სწორედ, მასშტაბი - გლობალურობა - განაპირობებს ნოოტიპური მონომოდალიზმის დესტრუქციულობას სადღეისოდ: ლოკალური ცივილიზაციების თანაარსებობის პირობებში ერთი ცივილიზაციის სივრცის ნოოტიპური გაერთგვაროვნება-მონომოდალიზაცია ახალ ცივილიზაციურ ფაზაში საჭირო ნოოტიპური ელემენტის მეზობელი ცივილიზაციიდან შემოსვლის, ანუ ცივილიზაციათა ურთიერთშერწყმით ცივილიზაციური წარმონაქმნების მასშტაბის ზრდის ხელშემწყობი პირობა იყო, მანამ სანამ გაფართოების გასაქანი არსებობდა.

მონომოდალისტური გლობალიზმი წმინდად დესტრუქციული მოვლენად იქცა ეგეოსური ცივილიზაციის გლობალიზაციის შედეგად დედამიწის ნოოსფეროს ფენომენური გამთლიანების დასრულებით, რაც მოხდა XX საუკუნის შუაწლებში, მაგრამ 1990-იან წლებამდე მაინც რჩებოდა გარკვეული რესურსი ახალ პარადიგმაზე გადასვლის, ანუ ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირების, გადავადების გასამართლებლად - „მეოთხე წინაპირობის“ შესრულების მოლოდინი. პარადიგმის განახლების ეს რესურსი ამოიწურა გლობალური ელექტრონული საინფორმაციო ქსელის შექმნით - ინფორმაციის მატერიალური მატარებლის გარეშე, შეუზღუდველი ოდენობით და მასობრივი ხელმისაწვდომობით გავრცელების შესაძლებლობის უზრუნველყოფით: გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის ფაზების ცვლასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მაწარმოებელ მთავარი ცენტრების რომელობის ცვლაზე ადამიანთა დიდი მასების გადაადგილებით რეაგირების სისტემური აუცილებლობის მოხსნა მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის, ანუ მსოფლიო საზოგადოების ნოოტიპური დიფერენციაციის სიმპტომატიკის გაღრმავება-სტაბილიზაციის აუცილებელი პირობაა.

სამწუხაროდ, მსოფლიო საზოგადოება თავისი მდგომარეობის ამ ცვლილებას მისი იდენტიფიკაციისთვის საჭირო თეორიული ცოდნის გარეშე და, მაინცდამაინც, ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის აღმავლობის ეტაპზე შეხვდა. ამან დიდი გასაქანი მისცა მოძველებული პარადიგმის ინერციას და, შედეგად, დესტრუქციის განვითარებას. არაა გასაკვირი, რომ დღეს ამ ინერციის შეჩერება, შესაბამისი ცოდნის უკვე არსებობის მიუხედავად, შეუძლებელად თუ არა ძალიან ძნელად გადასაწყვეტ ამოცანად ესახებათ საქმეში მეტნაკლებად ჩახედულ პირებსაც კი. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოება, რომ ლიბერალისტურ მონომოდალისტურ გლობალიზმს გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის ფაზების ცვლის გავლენით სხვა ნოოტიპური მოდუსის მახასიათებლებიც შეემატა, როგორც სინთეზის ახალი ფაქტორები: მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზაში (1988 -2007 წწ.), ძლევის მანიის ეფექტის სიმპტომი - ძალის გამოყენების ლეგიტიმაცია, რასაც ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ინტერესების გასატარებლად იყენებს (რაც ქართულმა საზოგადოებამ საკუთარ თავზე გამოსცადა. იგულისხმება ამერიკის მიერ, რუსეთთან შეთანხმებით, საქართველოში ე. წ. ვარდების რევოლუციის აქტით ძალადობრივი რეჟიმის დამყარება და მისი დამნაშავეობრივი პოლიტიკის სრული და ყოველმხრივი მხარდაჭერა); ხოლო მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის შენაძენია ფორმის მანიის ეფექტის სიმპტომი - იდეური პრინციპების იმპერატივიზაცია, რასაც, ასევე, ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმის ინტერესების გასატარებლად იყენებს (რაც, პრეზიდენტ ობამას მიერ, ლგბტ პრინციპების მთელს მსოფლიოში დომინანტურ საკანონმდებლო პრინციპებად დაკანონების ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანად გამოცხადებაშიც აისახა). ასე რომ, ლიბერალიზმის პრინციპები იქცა სამომავლო ორიენტირად, რომელთა რეალიზაციისკენ მისწრაფების სახელით, მიმდინარე სიტუაციით ნაკარნახევ ქმედებებში ნებისმიერი იდეური გადახრების დროებით ზომად დასახვა და გამართლებაა შესაძლებელი. 2048 წლამდე, ანუ გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომამდე ამგვარი გადახრების პრაქტიკა უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდება.

დღეს ლიბერალისტური მონომოდალისტური გლობალიზმი, მისი დომინირების გათვალისწინებით, საზოგადოდ, გაიგივებულია გლობალიზმთან, მიჩნეულია გლობალიზმის ერთადერთ მოდუსად და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფენომენის მოწინააღმდეგე ძალად, თუმცა სინამდვილეში ის მსოფლიო საზოგადოების ცხრომის მანიის ერთ ერად ჩამოყალბების, მსოფლიოს პოლიტიკური ინსტიტუციის ცხრომის მანიის ერის სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობამდე დაყვანის მცდელობის გამოხატულებაა (ანუ მაინც ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებს ვერ სცილდება), ხოლო ფორმის მანიის და ძლევის მანიის ნოოტიპების ერები თავდაცვითი რეაქციის რეჟიმში არიან ჩაყენებული, რაც უნებლიედ ეროვნული სახელმწიფოებრობის ფენომენის დამცველების როლში აყენებს მათ.

ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს იმას, რომ დღეს ცხრომის მანიის ნოოტიპის ლიდერი, ამერიკელი ერი და, საზოგადოდ, დასავლური სამყარო - ცხრომის მანიის ეფექტის დომინანტს დაქვემდებარებული ნაწილის კაცობრიობისა - გლობალური მონოპოლარული რეჟიმის დამყარება-სტაბილიზაციის მცდელობის პოლიტიკის გამტარებელი ძალის როლში ევლინება მსოფლიო საზოგადოებას, ხოლო რუსი ერი, ძლევის მანიის ნოოტიპის ბუფერული ფუნქციის გათვალისწინებით, ისახება გლობალური მონოპოლარული რეჟიმის დამყარების მთავარ შემფერხებლად, როგორც ნოოტიპური ასპექტით (რაც გაუცნობიერებელია საზოგადოების მიერ), ასევე, სამხედრო-პოლიტიკური თუ სხვა ასპექტებით (რაც გაცნობიებულია). გამოდის რომ, რუსი ერი, მისდა უნებურად, მეტად კონსტრუქციულ პოზიციაშია ჩავარდნილი: ოპტიმალურია ნოოტიპური კვადრომოდალიზმი, ერის ოთხი ნოოტიპის არსებობის გათვალსწინებით, რაც სამხედრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ასპექტებით მრავალპოლუსიანობას (მულტიპოლარიზმს) ნიშნავს, რადგან ყოველი ნოოტიპის არაერთი ერი შეიძლება არსებობდეს.

P. S.-ის სახით, გთავაზობთ ემზარ ხვიჩიას წერილს, რომელიც ამა წლის 7 სექტემბერს გამოაქვეყნა სოციალურ ქსელ ფეისბუქში:

მიუხედავად უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით კონტინენტური ევროპის ქვეყნების პოზიციების სრული დესტრუქციულობისა, შეცდომა იქნება შექმილი მდგომარეობის არალოგიკურ, სპონტანურ ხდომილებად მიჩ-

ნევა. 2008 წლიდან მთელს მსოფლიოში და თვით ევროპაშიც მოვლენები ჩემეული, 2004 წელს გამოქვეყნებული პროგნოზის შესაბამისად, გლობალიზებული ეგეოსური ცივილიზაციის მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის გამოხატულებად ვითარდება. კერძოდ, ეს ნიშნავს, განსხვავებების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ბატონობას და, რადგან გასხვავებებს შორის უდიდესი ნოოტიპური განსხვავებებია, ლოგიკურია განსხვავებული ნოოტიპების ერებს შორის განხეთქილების გამოვლენა და განვითარება უმთავრესი შემდგენელია მიმდინარე მოვლენებისა. მაგ ევროპის შემთხვევაში, ჯერ ცხრომის მანიის ნოოტიპის ინგლისელი ერი გაერიდა ფორმის მანიის ნოოტიპის ევროპელი ერების გერმანელი ერის გარშემო შემოკრების ტენდენციას, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ცხრომის მანიის ნოოტიპის ფრანგი, ჰოლანდიელი და ბელგიელი ერების მსგავსი მოქმედება, მაგრამ რადგან ძლევის მანიის ნოოტიპის რუსი ერისგან გამიჯვნა უფრო ინტენსიური ალტერნატივა აღმოჩნდა და მოვლენების განვითარების მთავარ მაგისტრალურ მიმართულებად იქცა რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის დაპირისპირება, რამაც შეიძლება ჩაითრიოს მთელი დანარჩენი მსოფლიოც, რაც ლოკალური განხეთქილებების განვითარებას შეაფერხებს.

ეს კი ავტორის მიერ ექსკლუზიურად **„ისინდისთვის“** მოწოდებული წერილია:

სამხედრო კამპანიის მსვლელობამ აჩვენა, რომ პირველ ეტაპზე კიევის მიმართულებით წარმოებული მოქმედებები ემსახურებოდა უკრაინის ძალების დაქსაქსვას, 2014 წლის შემდეგ საფორტიფიკაციო ნაგებობებით საგანგებოდ გამაგრებული აღმოსავლეთის რაიონებში მათი კონცენტრაციის აცილებას, რისი მიღწევითაც რუსეთს ყირიმისკენ სახმელეთო დერეფანის გაჭრის საშუალება მიეცა. კიევზე შეტევით შესრულდა პოლიტიკური ხასიათის ზონდირებაც (დაზვერვითი ამოცანაც) - შემოწმდა ახლანდელი ხელისუფლებისადმი უკრაინის მოსახლეობის მხარდაჭერის ხარისხი, რაც სამხედრო-პოლიტიკური კამპანიის ამოცანების ოპტიმიზაციისთვის მნიშვნელოვანი პირობაა. ზონდირების კერძო მომენტად შეიძლება ჩაითვალოს პრეზიდენტ პუტინის მიმართვაც უკრაინელი სამხედროებისადმი, ხელისუფლების დასაუფლებლად მათი ნაქეზების მცდელობა, თუმცა, ამასთანავე, ამ მომენტმა უკრაინელების ეროვნული იდენტიფიკაციის საკითხში რუსების წარმოდგენების ილუზორულობაც გამოავლინა: ფორმის მანიის ნოოტიპის ერში, როგორიცაა უკრაინელი ერი, სამხედრო ელიტა ვერ აიღებს პოლიტიკურ ინიციატივას (ეს არ მომხდარა მესამე რაიხის შემთხვევაშიც კი), ასეთი რამ მხოლოდ ძლევის მანიის ნოოტიპის ერში შეიძლება მოხდეს, სადაც ოპტიმალურიცაა, რასაც რუსეთის სინამდვილეც ადასტურებს. ხოლო ვინც ფიქრობს, რომ რუსეთს გაურთულდა სამხედრო კამპანიის წარმოება, შორსაა მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური ასპექტის გაგებისგან, პოლიტიკური ასპექტი კი მთავარია. რუსეთს არ სჭირდება სამხედრო კამპანიის სწრაფად დასრულება რამდენიმე მიზეზის გამო: 1) ნელი მოქმედების პირობებში შეუმჩნევლად მიმდინარეობს ეროვნული წმენდა - რუსების მიერ დაკავებული ტერიტორიები თანდათან იცლება ანტირუსულად განწყობილი ელემენტებისაგან, რაც აუცილებელია ამ ტერიტორიების საბოლოოდ მისათვისებლად; 2) ომის პირობებში თვით რუსეთის მოსახლეობაც უფრო მეტი გაგებით ეკიდება ეკონომიკური სანქციებით გამოწვეულ პრობლემებს, რაც მინაგანი სტაბილურობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია რუსეთისთვის; 3) უკრაინის სრულად დაპყრობის შემთხვევაში რუსეთს დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა უკრაინის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და, ამასთანავე, ომის დასრულების პირობებში შემცირდებოდა თავად რუსული საზოგადოების მომთმენლობა ცხოვრების პირობების გაუარესების მიმართ; 5) ახლოვდება ზამთარი, რაც რუსების უპირატესობას გაზრდის; 6) ზამთრის პირობებში მოსალოდნელია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში უკრაინის მოვლენებისადმი და რუსეთისადმი დამოკიდებულების რადიკალურად შეცვლა; 7) რუსი ერისთვის, მისი ნოოტიპის გათვალისწინებით, მიუღებელია ბლიცკრიგი, უპირატესობა ეკუთვნის გამოფიტვაზე გათვლილი ხასიათის სამხედრო კამპანიას.

შექსპირული ჩანახატები[5]

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ჰამლეტი

ცალკე განხილვას მოითხოვს მონოლოგი, რომელშიც ჰამლეტი შემდეგ გამანადგურებელ შეფასებას აძლევს საკუთარ დედას:

„ოჰ, ნუღარა,ნუ მაგონდები!
არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!
(თარგმანი ივანე მაჩაბლის)

ეს კარგად ცნობილი, მოარულ ფრაზად ქცეული ადგილია, მაგრამ ჩემი აზრით, ეს თარგმანი გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს. მართლაც, ორგინალში ეს ადგილი ასეა გადმოცემული

''Let me not think on't:
Frailty, the name is women!

სიტყვა ''think'', ჩემი აზრით, არ შეიძლება ითარგმნოს, როგორც მაგონდები (რემემბერ). გარდა ამისა ''Frailty'' ითარგმნება როგორც სისუსტე, ცვალებადობა, არამუდმივობა, ამაოება, სიმყიფე, სინაზე. ამიტომ მისი არარაობად (nonentity, worthless) თარგმნა საკმარისად გაძლიერებაა ამ სიტყვის. მე მგონი უმჯობესია `Frailty'' კონტექსტიდან გამომდინარე, ითარგმნოს როგორც ცვალებადობა, რადგანაც ამ მონოლოგში ჰამლეტი აღნიშნავს, რომ ძალიან მალე მოხდა კლაუდიუსის და გერტრუდას ქორწინება - ერთი თვეც არ გასულა რაც გარდაიცვალა ჰამლეტის მამა და ამიტომ უფრო უპრიანია აღინიშნოს გერტრუდას ხასიათის ცვალებადობა. ალბათ მაჩაბელიც გრძნობდა იმას, რომ არარაობა ძალიან ძლიერი ფორმაა (ჰამლეტი მაინც ბოლომდე ვერ წირავს დედას - არ უნდა მას არარაობის ''იარლიყი მიაწებოს''!) და ამიტომ დაამატა ''უნდა გერქვას'', თუმცა ორგინალში უნდა (must) არ არის! მახსენდება, რომ ბ - ნმა აკაკი ბაქრაძემ ხელნაწერის ნაკითხვისას გამოთქვა ვარაუდი, რომ ''Frailty'' მეთარგმნა როგორც ''გაუტანლობავ''. მე მგონი, ესეც კარგი თარგმანია!

ახლა კი განვიხილოთ მთლიანი მონოლოგის სრული ჩემეული თარგმანი

ჰამლეტი
ნეტავ შეეძლოს ჩემს ძლიერ სხეულს
სწრაფად გადნობა და ნამად ქცევა,
ნეტავ შემოქმედს არ დაედგინა
საკუთარ თავზე ხელის აღება
უმძიმეს ცოდვად! ო ღმერთო, ღმერთო!
როგორ ამაო, მოძველებული, მოდუნებული
და მოსაწყენი
მეჩვენება მე წუთისოფელში ადამიანის
ყველა განზრახვა!
ფუ ამ ქვეყანას! ის ხომ ბაღია მიტოვებული
სად სარეველა ბალახის მსგავსად
ბოროტება და უხამსობა ბატონობს ყველგან!
აი აქამდე მივედი კიდეც!
სულ ორი თვეა რაც აღარ არის,
მაგრამ ორი თვეც კი არ გასულა!
ბრწყინვალე მეფე! ის ამას ჰგავდა
როგორც ტიტანი წააგავს სატირს.
ისე უყვარდა მას დედაჩემი,
რომ ციურ ქარებს ნებას არ რთავდა

5 გაგრძელება. დასაწყისი იხ. ''ისინდი'' № 11,12,14,15

ოდნავ უხეშად შეხებოდნენ მის სათნო სახეს.
ო ცა და მიწავ! უნდა მახსოვდეს?!
ესეც მას როგორ ეხვეოდა, თაყვანსა სცემდა,
თითქოს შიმშილი ემატებოდა
მომეტებული დანაყრებისგან!
თავს რად ვიტანჯავ ამაზე ფიქრით:
ცვალებადობავ, შენი სახელი დედაკაცია!
ნაკლულო თვეო! არ გაუცვეთავს ჯერ ფეხსაცმელი
რომლითაც კუბოს მიაცილებდა საკუთარი ქმრის
ნიობესავით ცრემლებით სავსე!
ო ახლა ის კი...! ო, ღმერთო ჩემო!
შეუგნებელი პირუტყვიც კი
იგლოვებდა უფრო ხანგრძლივად!
ვისზე გათხოვდა? ბიძაჩემზე, მამაჩემის
ერთადერთ ძმაზე,
მაგრამ ისე გავს ის საკუთარ ძმას,
როგორც მე ვგავარ თავად ჰერკულესს!
და სულ ერთ თვეში,დიახ ერთ თვეში!...
ჯერ არ გამქრალა ჩამოწითლებულ ქუთუთოებზე
მისი თვალთმაქცი ცრემლების კვალი!
ის დაქორწინდა ასე სულსწრაფად,
რომ შეებილწა სისხლის აღრევით ქმრის სარეცელი!
არ შეიძლება ამ ყველაფერმა
სიკეთე მოგვცეს ჩვენ მომავალში!
გულო გაიპე,რადგან ენა უნდა დადუმდეს!

ეს არის ჰამლეტის ერთ-ერთი პირველი გამოჩენა პიესაში და იგი შესაშური დეტალებით გადმოგვცემს თუ რა მოხდა: გარდაიცვალა ხელმწიფე და დედამისი ძალიან მალე, სულ რაღაც ერთ თვეში („შეუგნებელი პირუტყვიც კი იგლოვებდა უფრო ხანგრძლივად“!) გათხოვდა და მერე ვისზე, საკუთარ მაზლზე! ეს იმდენად თავზარდამცემი ფაქტია, რომ იწყება ჰამლეტის „გამოფხიზლება“! კერძოდ, მისთვის მთავრდება ბავშვობისა და პრინცად ყოფნის „ოქროს ხანა“ და ჰამლეტი საკუთარ თავს და მთელ სამყაროს უსვამს გამაოგნებელ კითხვებს, რადგანაც თვითონაც გაოგნებულია მომხდარით! მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის სრული „დაუნდობელი“ სიმართლე: ჰამლეტმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ბიძამისმა მოკლა საკუთარი ძმა და ხელში ჩაიგდო ტახტი და მისი დედა! (ჰამლეტი ჯერ არ შეხვედრია მამის აჩრდილს!). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკვე ამ მონოლოგიდან იწყება ჰამლეტის უფრო ჩაღრმავებული შეცნობა სინამდვილის, მის ფარულ, სასტიკ მხარეებთან „შეჯახება“, ხოლო მოგვიანებით კი იგი მაღლდება „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგის დონემდე!

***

ძალზე შთამბეჭდავია ოფელიას მონოლოგი, რომელშიც აღწერილია მისი სულიერი მდგომარეობა ჰამლეტის „სიგიჟესთან“ დაკავშირებით

ო, რა ბრწყინვალე ჭკუა-გონება ბნელმა მოიცვა!
დიდგვაროვანის, მხედრის, სწავლულის
მზერა, მახვილი და მეტყველება
დიდი იმედი ამ დიდებული სახელმწიფოსი;
ზნეობისა და გემოვნების კანონმდებელი,
მისაბაძთ შორის მისაბაძი
და ყველაფერი, ეს ყველაფერი ძირს დაენარცხა
და ახლა უკვე ქალთა შორის
ყველაზე უფრო უბადრუკმა და უბედურმა,
ვინც შეისუნთქა თაფლივით ტკბილი
აღქმის სურნელი
უნდა ვუყურო გასაოცარ და მეფურ გონებას
ახლა გაბზარულ ზარივით რომ ჟღერს
უსიამოვნო, გაუმართავი ჰანგებით სავსე
და ამ უბადლო სახეს პრინცისას
შეშლილობისგან ასე დატანჯულს და განაწამებს!
ო, ღმერთო ჩემო! რას ვხედავდი მე ამ თვალებით
და რასა ვხედავ ახლა ჩემს თვალწინ!

მიუხედავად შედარებით მცირე ზომისა, მონოლოგი საოცრად „ტევადია“. მართლაც, მისი კრიტიკული ანალიზისას, შემდეგი მოსაზრებები შეიძლება გამოითქვას:

1.მთელ პიესაში მხოლოდ ამ მონოლოგიდან ვიგებთ (მიუხედავად იმისა, რომ ეს მიჯნური ქალიშვილის - ოფელიას სუბიექტური შეფასებებია!) თუ როგორი ენერგიული, სიცოცხლის მოყვარული, „ზნეობისა და გემოვნების კანონმდებელი“ ადამიანი იყო ჰამლეტი მამის სიკვდილამდე, ხოლო მელანქოლიური და დეპრესიული განწყობები მხოლოდ მამის სიკვდილის (განსაკუთრებით კი აჩრდილთან შეხვედრის!) შემდეგ გამოავლინდა, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი მის მიერ დაგეგმილი, ღრმად შენიღბული „სიგიჟის პროგრამისა“!

2. ჰამლეტმა შესანიშნავად გაართვა თავი შეშლილობის ინსცენირებას, რადგანაც შეყვარებული ოფელიაც კი დაარწმუნდა მის „სიგიჟეში“, რაც აუცილებელი იყო. მართლაც ოფელია, ხომ პოლონიუსის, ხელმწიფის პირველი კარისკაცის, ქალიშვილია და ამიტომ ძალიან სახიფათო იქნებოდა თავად ჰამლეტისათვის, რომ ოფელიას არ დაეჯერებინა მისი „შეურაცხადობა“.

3. ამ მონოლოგში მხოლოდ შექსპირისათვის დამახასიათებელი გასაოცარი და „მომნუსხველი“ მჭერმეტყველებით გადმოცემულია ოფელიას შეგრძნებები, ის აუტანელი სულიერი რყევები, რაც მან განიცადა ჰამლეტის შემყურემ: „რას ვხედავდი მე ამ თვალებით და რასა ვხედავ ახლა ჩემს თვალწინ“!). ამიტომ ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სწორედ ყოველივე ამან მიიყვანა თავად ოფელია უკვე ნამდვილ სულიერ აშლილობამდე! (ამას ემატება, რა თქმა უნდა, პოლონიუსის დაღუპვაც, თუმცა პიესიდან არ ჩანს იცოდა თუ არა ოფელიამ, რომ მამამისი ჰამლეტს შემოაკვდა ხელმწიფის ნაცვლად!)

***

მე ყოველთვის მაინტერესებდა უარყოფითი გმირის შინაგანი სამყარო, მისი სულის „ანატომია“, რადგანაც ამ გმირმა ყველაზე უკეთ იცის, რომ „დინების“ წინააღმდეგ მიდის, არასწორად იქცევა, მაგრამ მაინც აგრძელებს საკუთარ ქმედებებს!რა არის ამ „არარაციონალური“ ქცევის მიზეზი?! რა შინაგანი სიმართლე აქვს ამ ადამიანს?! ეს საკითხი საკმაოდ დაწვრილებით მაქვს განხილული შექსპირის „რიჩარდ III„-ის მაგალითზე (იხილეთ „ისინდი„ 6,7).„ჰამლეტში„ კი მთავარი უარყოფითი გმირი, რა თქმა უნდა, ხელმწიფე, კლაუდიუსია. ამიტომ საინტერესოა გამოვიკვლიოთ მისი სულიერი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის ანუ კაენის ცოდვის - ძმის მოკვლის, სამეფო ტახტის და გერტრუდას ხელში ჩაგდების შემდეგ. პიესაში ხელმწიფის პირ-

ველი სინდისის ქეჯნა „შემთხვევით„ გამომჟღავნდება, როდესაც პოლონიუსი ოფელიას მოუწოდებს ჰამლეტს გაესაუბროს,ხოლო თვითონ და კლაუდიუსმა მალულად უნდა მოისმინონ ეს საუბარი, რათა დაადგინონ ნამდვილად შეურაცხადია თუ არა ჰამლეტი, თუ უფრო სერიოზულ მოვლენასთან აქვთ საქმე - ჰამლეტი თავს იგიჟიანებს გარკვეული ჯერ-ჯერობით მათთვის უცნობი მიზეზის გამო, რაც სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს ხელმწიფისათვის. პოლონიუსის ეს ინიციატივა, მისი ერთგულების მორიგი დემონსტრირება, რა თქმა უნდა, უღირსი საქციელია და სწორედ ეს ზეგავლენას ახდენს კლაუდისის ფსიქიკაზე

პოლონიუსი:

ოფელია შენ აქ იარე ,ჩემო ხელმწიფევ,
ჩვენ აქ მოვთავსდეთ.
(მიმართავს ოფელიას)
გთხოვ გამომართვა აი ეს წიგნი,
ვითომ კითხულობ,
რითაც შენიღბავ შენს მარტო ყოფნას,
მაგრამ ამისთვის გასაკიცხი ვართ,
რადგან ჩვენ ხშირად სათნო სახით
და ღვითსმოშიშარი საქციელით
თვით ეშმაკსაც კი შევაცდენ ხოლმე
ხელმწიფე:
(გვერდზე)
ო, ეს ხომ მართლაც მართალი არის!
როგორ გაწკეპლა ჩემი სინდისი მისმა სიტყვებმა!
ფერ-უმარილით გათხუპნული მეძავის ლოყა
არ არის ისე ამაზრზენი, ვით ჩემი ცოდვა
ღრმად შენიღბული მოქარგულ ენით:
ო, ძალიან ვარ დამძიმებული!

კლაუდიუსის ამ მცირე მონოლოგიდანაც კი კარგად ჩანს, თუ როგორ დაძაბულ, ზამბარასავით „დაჭიმულ“ ფსიქოლოგიურ (დამნაშავისათვის დამახასიათებელ!) მდგომარეობაში იმყოფება ხელმწიფე და საკმარისია მცირედი გარეგნული ბიძგი (რომელიც უშუალოდ მის დანაშაულს არ ეხება!), რომ „ზამბარა განთავისუფლდეს ამ დაჭიმულობისაგან“ ანუ ცოდვილმა აღიაროს საკუთარი ცოდვა თუნდაც მხოლოდ თავისთვის!

მეორე მონოლოგში კი უკვე კულმინაციას აღწევს ხელმწიფის აღსარება, როდესაც ჰამლეტის მიერ ოსტატურად დაგებული ცნობილი ხაფანგის სცენის შემდეგ (დამნაშავე კლაუდიუსი სცენაზე ზუსტად იმ ქმედებას ხედავს, რაც მან ჩაიდინა - ბაღში მძინარე მსახიობ ხელმწიფეს, ყურში საწამლავს ასხამს მეორე მსახიობი!) მთელი ძალით ცდილობს მოინანიოს საკუთარი ცოდვა და თან ხსნის იმ მიზეზებს, რისთვისაც ეს მკვლელობა ჩაიდინა

ხელმწიფე:

ო, საზარელი ცოდვა მამძიმებს,
ზეცამდე აღწევს მისი სიმყრალე,
მე უძველესი წყევლა მხვდა წილად -
ძმის მოკვდინება,
არ შემიძლია ლოცვა-ვედრება,
თუმცა სურვილი და ნებისყოფა მისკენ მიბიძგებს,
მაგრამ ეს მძიმე დანაშაული, ჩემს სურვილს ანგრევს
და იმ კაცივით, ვინც განიზრახა ორი საქმის ერთად დაწყება,
ვერ გადავწყვიტე რომლით დავიწყო,
ვდაგავარ უძრავად და ორივეს არაფრად ვაგდებ;

ჩემი ძმის სისხლით კიდევ უფრო რომ გამესვარა
შეჩვენებული ეს ჩემი ხელი,
ვერ განბანდა მას ღვთიური ზეცა
და ვერ აქცევდა თოვლივით თეთრად?
მაშ შეწყალება რისთვის არსებობს
თუკი ის ცოდვებს არ მიუტევებს?
მაგრამ ლოცვას ხომ ორი რამ ძალუძს:
რომ შეგვაჩეროს ჩვენ დაცემამდე
და მოგვიტეოს თუკი დავეცით!
აღვაპყრობ მზერას, ვილოცავ კიდევ,
ჩემი ცოდვა ხომ წარსულმა შთანთქა,
მაგრამ რა ვთხოვო მამაზეციერს?
„გთხოვ მომიტეო ეს საშინელი კაცისმკვლელობა?“
ამას ვერ შევთხოვ, რადგან მე კვლავ ვფლობ
ყველაფერ იმას, რის გულისთვისაც ჩავიდინე მე ეს მკვლელობა:
სამეფო გვირგვინს, ჩემს დიდებას და
ჩემს დედოფალს!
შეიძლება კი მას მიეტეიოს,
ვინც დამტკბარია ცოდვის სურნელით?
გახრწნილი სოფლის ორომტრიალში,
ცოდვიანობის მოოქროვილ ხელს
ხელეწიფება მართლმსაჯულების უგულველყოფა,
მაგრამ იქ ზევით, ასე არ არის
ცბიერება ხომ იქ არ არსებობს
და ყველაფერი ხალასი არის,
ხოლო თავად კი უნდა ვამხილოთ
ჩადენილი ჩვენი ცოდვები!
მაშ რა ვიღონო? როგორ მოვიქცე?
ვცადო რა ძალუძს მონანიებას ან რა არ ძალუძს?
ბედკრულო ყოფავ! ო, გულო ჩემო სიკვდილზე შავო!
მახეს გაბმულო, ო ჩემო სულო,
როგორ გინდა, რომ თავი დაიხსნა
მაგრამ სულ უფრო რომ იხლართები?!
ო, ანგელოზნო მიშველეთ რამე!
მაშ მოიდრიკეთ, ურჩო მუხლებო,
ფოლადის სიმით ნაქსოვო გულო
ისე დარბილდი როგორც ჩვილის სუსტი ძარღვები
და შესაძლოა ყველაფერი რომ გამოსწორდეს!
(განმარტოვდება და მუხლს მოიდრეკს)

როგორც ამ მონოლოგიდან ჩანს, კლაუდიუსი გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც კარგად იცის, რომ „შეიძლება კი მას მიეტიოს, ვინც დამტკბარია ცოდვის სურნელით?“ ანუ მას არ უნდა დათმოს ის, რისთვისაც ეს ცოდვა ჩაიდინა (სამეფო გვირგვინი, დიდება და დედოფალი!) და თან ცოდვის

მიტევებაც სწადია! მაგრამ ხელმწიფე სიტყვიერად მაინც იბრძვის, საყვედურის გამოთქმასაც კი ბედავს: „მაშ შეწყალება რისთვის არსებობს, თუკი ის ცოდვებს არ მიუტევებს?“, რათა რაიმე გამოსავალი იპოვოს! ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, კლაუდიუსი მაინც ღრმად მორწმუნე ადამიანია, რადგანაც მტკიცედ წამს, რომ იქ ზევით ყველაფერი წმინდა და ხალასია და იქ არ ჭრის ადამიანური მართმსაჯულება, რომლის მოსყიდვაც „მოოქროვილი“ ხელით ადვილად შეიძლება!

P.S. საინტერესოა როგორ მოიქცევა კლაუდიუსი ლოცვის, ამ „წუთიერი სისუსტის“ გამოვლინების შემდეგ! ცხადია უშუალოდ ეს ლოცვა განპირობებული იყო ხაფანგის სცენის ზემოქმედებით, მაგრამ ხელმწიფე ჭადრაკის ენით თუ ვიტყვით ცუნცვაგის მდგომარეობაში იმყოფება ანუ იძულებითი სვლები უნდა გააკეთოს თავის გადასარჩენად! ამიტომ ლოცვის შემდგომ, იმის გამო, რომ მან კარგად გაიაზრა საკუთარი მდგომარეობის გამოუვალობა, იგი კიდევ უფრო საშიში ადამიანი ხდება. კერძოდ, დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს საკუთარ ძმის შვილს ჰამლეტს, რომლის მამა მოკლა და დედა კი ჰამლეტის ბიცოლა გახადა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

Lucius Annaeus Seneca [1]

ლუკიუს ანნეუს სენეკა

De Vita Beata

ბედნიერი ცხოვრების შესახებ

თავი XVII

[1] ამრიგად თუ ვინმე, ვისაც სჩვევია ფილოსოფიად დაიღვაროს, იკითხავს: „რატომ ხარ უფრო ძლიერი და გამბედავი მაშინ, როცა საუბრობ, ვიდრე ცხოვრებაში? რატომ ემორჩილები ზემდგომის სიტყვებს და ფულს შენთვის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევ? სიძნელეებს რატომ განიცდი? მეუღლის ან მეგობრის სიკვდილის გაგებისას ცრემლებს რატომ ღვრი? სახელზე რატომ ზრუნავ ანდა ავი სიტყვები შენს სულს რატომ ეხება?

[2] რატომაა შენი მამული უფრო მოვლილი, ვიდრე ამას ბუნებრივი საჭიროება მოითხოვს? შენი საკუთარი წესებით რატომ არ სადილობ? რატომაა შენი სახლის შემკულობა უფრო მდიდრული? რატომ ისმევა შენთან ღვინო, რომლის ასაკი შენსას აღემატება? ჩიტების გალიები რატომ გიდგას? რატომ რგავ ხეებს, რომლებიც არაფერს გაძლევს ჩრდილის გარდა? შენი ცოლი ყურებზე მთელ ქონებას რატომ ატარებს? ანდა მონები, რომელთაც შენ სასწავლებლად აგზავნი, ძვირფას ტანსაცმელში რად გამონყობილან? მაგიდასთან მომსახურება შენთვის ხელოვნება რატომაა? რატომ ლაგდება [მაგიდაზე] ვერცხლეული არა შემთხვევითი განლაგებით, არამედ წესისამებრ? ან წასახემსებლის დასაჭრელად ცალკე ადამიანი რატომ გყავს?“ ამ ყველაფერს შეგიძლია სხვა შეკითხვებიც დაუმატო: „რატომ გაქვს სამფლობელო ზღვის გაღმა? რატომ გაქვს იმაზე მეტი ქონება, ვიდრე შენ თვითონ იცი? შენ არც ის იცი, რამდენი მონა გყავს — ეს ან სამარცხვინო უდარდელობაა, თუკი ისინი მეტისმეტად მცირერიცხოვანნი არიან, ან გადაჭარბებული ფუფუნება, რადგან მათი რიცხვი იმაზე მეტია, ვიდრე შენს მეხსიერებას ძალუძს დაიტიოს.“

[3] რაღაც დროის შემდეგ შენს ლანძღვას მეც გავიზიარებ და ჩემს თავს გაცილებით მეტს დავაბრალებ, ვიდრე შენ ფიქრობ. ახლა კი ამას გიპასუხებ: „მე ბრძენი არ ვარ — და თუმც ამით ვკვებავ შენს არაკეთილმოსურნეობას — არც ვიქნები. ამიტომ გამორიცხულია და ჩემგან ნუ მოითხოვ, რომ საუკეთესოთა მსგავსი ვიყო — მე მხოლოდ ის შემიძლია ცუდზე უკეთესი გავხდე. ჩემთვის საკმარისი იქნება, რომ ყოველდღე ჩემს მანკიერებათაგან თითო მაინც ჩამოვიშორო და შეცდომები თავიდან მოვიშორო.

[4] სიჯანსაღისთვის ჯერ არ მიმიღწევია და შეიძლება ვერც მივაღწიო. ნიკრისის ქარისთვის უფრო მეტ ტკივიგამაყუჩებელს ვიღებ, ვიდრე განსაკურნებელ წამალს. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ტკივილი უფრო იშვიათად შემომიტევს და ნაკლებად შემანუხებს. მაგრამ თქვენს ფეხებთან შედარებით, მე, საპყარიც კი, ნამდვილი მორბენალი ვარ. ამას ჩემი პირით კი არ ვამბობ — რადგან მე თვითონ ყველა მანკიერების ფსკერზე ვარ — არამედ იმათი პირით, ვისაც ცხოვრებაში რაღაც გაუკეთებია.

თავი XVIII

[1] შენ ასე მეტყვი: „შენ ისე არ ცხოვრობ, როგორც მსჯელობ“. სწორედ ამით დაუპირისპირდნენ ყველაზე არაკეთილმოსურნე არსებანი და საუკეთესოთა მიმართ განწყობილნი პლატონს, ეპიკურს, ძენონს. რადგან ისინი ჰყვებოდნენ არა იმის შესახებ, თუ თავად როგორ ცხოვრობდნენ, არამედ იმაზე, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ. მე ვსაუბრობ კეთილშობილების და არა საკუთარი თავის შესახებ და როცა მანკიერებას აუგად ვიხსენიებ, უპირველეს ყოვლისა, ჩემს საკუთარს ვაძაგებ.

[2] როცა შევძლებ, ვიცხოვრებ ისე, როგორც საჭიროა. მე არც ის გესლი დამაბრკოლებს, რომელთაც სხვათა მიმართ ანთხევთ და თავს იღუპავთ. მე მუდამ შევაქებ იმ ცხოვრებას, რომელსაც თავად ნაკლებად მივდევ, მაგრამ ვიცი, რომ უნდა მივდიო. მუდამ ვეთაყვანები კეთილშობილებას, თუნდაც მას უზარმაზარი მანძილი მაშორებდეს და მხოლოდ ხოხვით თუ შევძლებ მივყვე.

[3] ღირს კი ველოდო მას, ვინც უვნებელი იქნება თქვენი არაკეთილმოსურნეობის მიმართ, ვისთვისაც წმინდა და ხელშეუხებელი არ იქნება არც რუტილიუსი,[1] არც კატონი[2] ? იქნება კი ადამიანი, რომელსაც შეაწუხებს, რომ მეტისმეტად მდიდარი გამოჩნდეს იმათ თვალში, ვისთვისაც კინიკოსი დემეტრიუსი[3] არასაკმარისად ღარიბია, ხოლო კაცი, რომელიც მკაცრია და ყოველგვარი ბუნებრივი სურვილის წინააღმდეგ მებრძოლი, უფრო ღატაკი და უქონელი ჩანს, ვიდრე სხვა კინოკოსები. [კინიკოსებმა] აიკრძალეს რაიმე ქონების ფლობა, ხოლო ამ ადამიანისთვის თხოვნაც კი წარმოუდგენელია. და აი ეს კაცი თქვენთვის საკმარისად ღარიბი არ არის! ხედავ? მისი საქმე კეთილშობილების კი არა სიღარიბის ცოდნა იყო.

თავი XIX

[1] ეპიკურელმა ფილოსოფოსმა დიოდოროსმა რამდენიმე დღის წინ თავისი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე, მაგრამ სხვებს არ სურთ აღიარონ, რომ როცა მან ყელი გამოიჭრა, ეს ეპიკურეს სწავლების გავლენით იყო. ზოგიერთს მის ნამოქმედარში შეშლილობის დანახვა სურს, ზოგს — შემთხვევითობისა და დაუფიქრებლობის. ამ დროს [დიოდოროსი] ბედნიერი იყო, სიკეთის მომტანი ცოდნით სავსე. ის საკუთარი თავის მოწმე გახდა, რომ ამ ცხოვრებისაგან უნდა წასულიყო; ხოტბა შეასხა სიმშვიდეს და ცხოვრების ნავსადგურში მშვიდ ღუზად ჩაეშვა. მან თქვა ის, რაც თქვენ, მისმა არაკეთილმოსურნეებმა ისე გაიგეთ, თითქოს თქვენც იგივე უნდა გაგეკეთებინათ: „ვიცხოვრე და მივყევი იმ გეზს, რაც ბედმა მომცა“[4].

[2] სხვისი ცხოვრებისა და სხვისი სიკვდილის შესახებ ხალისით მსჯელობთ, ხოლო თუკი გიხსენებენ რომელიმე კაცის სახელს, რომელსაც რაიმეს გამო განსაკუთრებით აქებენ, ყეფას დაიწყებთ, როგორც პატარა ძაღლები უცნობის დანახვისას. თქვენთვის ხელსაყრელია, კარგ ადამიანად არავინ მიიჩნიოთ, თითქოს სხვისი

კეთილშობილება დაყვედრება ან დამუნათება იყოს თქვენი შეცდომებისათვის. სიძულვილს შეუპყრიხართ, სხვის ბრწყინვალებას თქვენს სიბინძურესთან ურევთ და არც კი გესმით, საკუთარ თავს ამით რამხელა ზიანს აყენებთ. მაგრამ თუ ისინი, ვინც კეთილშობილებას ესწრაფვიან, ხარბ, ავხორც და პატივმოყვარე ადამიანებად უნდა ჩავთვალოთ, ვიღას შეადარებთ მათ თქვენ, ვისთვისაც თავად კეთილშობილების სახელიც კი საძულველია?

[3] თქვენ უარყოფთ, რომ მავანი უფრო წინ დგას იმასთან შედარებით, რასაც ამბობს და არც საკუთარი ნათქვამის შესაბამისად ცხოვრობს. რა არის საკვირველი, როცა საუბარია ძლევამოსილზე, უზარმაზარზე, რაც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება? ისინი ცდილობენ, თავი გაითავისუფლონ ჯვრისგან, რომელზეც თითოეული თქვენგანი თავის სამსჭვალს აჭედებს. როდესაც ისინი დასასჯელად მიჰყავთ, ყველას ერთ ძელზე ჰკიდებენ. ისინი კი, ვინც თავად სჯიან საკუთარ თავს, იმდენ ჯვარზე გაეკვრებიან, რამდენზეც მოისურვებენ. ზოგი სიამოვნებას იღებს ავსიტყვაობითა და ქილიკით. შეიძლება დამეჯერებინა კიდეც, რომ ისინი გათავისუფლდნენ თავიანთი მანკიერებებისგან, ძელზე გაკრულნი მაყურებლებს რომ არ აფურთხებდნენ!

თავი XX

[1] „ფილოსოფოსები არ მისდევენ იმას, რასაც ამბობენ!“. პირიქით, ისინი ძალიან ბევრსაც მისდევენ, რასაც ამბობენ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ამაში ღირსეული აზრი დევს. მათი ნამოქმედარი მათივე ნათქვამის საპირწონე რომ იყოს, ისინი უმაღლეს ბედნიერებას მიაღწევდნენ. ამავდროულად, არ შეიძლება, არაფრად ჩააგდო კეთილი სიტყვები და კეთილი აზრებით სავსე სული. სცადო სასარგებლო საქმეთა აღსრულება, თუნდაც შედეგის გარეშე, უკვე საქებარია.

[2] განა გასაკვირია, რომ უმაღლეს მწვერვალზე ამსვლელნი ხშირად ვერ აღწევენ მას? მაგრამ თუ კაცი ხარ, დააფასე ის, რომ მართალია ბევრჯერ დაეცნენ, მაგრამ ბევრჯერ სცადეს. ჭეშმარიტად კეთილშობილური საქმეა, მრავალი მცდელობა გასწიო არა საკუთარი შესაძლებლობებით, არამედ საკუთარი ბუნების ძალით. ეს ნიშნავს, შენს სულში ჩაიბეჭდო ის, რისი განხორციელებაც უზარმაზარი სულიერი ძალის მქონე ადამიანებსაც არ შეუძლიათ. შენ თავს ეს პირობა მიეცი:

[3] „სიკვდილს იმავე სახით შევხვდები, რა სახითაც მოვისმენ მის შესახებ. ტანჯვით, შრომითა და მონდომებით (როგორიც არ უნდა იყოს ის) ჩემს სულს ჩემსავე უდრეკ სხეულს დავუმორჩილებ. შევიძულებ და არად ჩავაგდებ სიმდიდრეს — იმასაც, რაც მაქვს და იმასაც, არ მაქვს. არ იმით გავიხარებ, თუ სადმე სხვაგან იქნება და არც იმით თუ ჩემს გარშემო იქნება მიმოფანტული. არც ფორტუნა შემაწუხებს, ჩემთან მოვა თუ არა, ამას მნიშვნელობა არ ექნება. ყველა მიწას ისე შევხედავ, როგორც ჩემს საკუთარს, ხოლო ჩემსას ისე, როგორც ყველასას. ისე ვიცხოვრებ, თითქოს ვიცოდე, რომ სხვებისთვის ვარ შობილი და საგანთა ბუნებას მადლიერების თვალით შევხედავ: ამაზე უკეთ როგორ შეძლებდა ჩემს საქმეებს ზრუნვას?

[4] მე ერთს მიძღვნა ყველა, ყველას კი - მე ერთი. იმას, რაც მექნება, არც ხელმომჭირნედ შევინახავ, არც უთავბოლოდ გავფლანგავ. ვირწმუნებ, რომ არაფერი მაქვს იმაზე მეტი, ვიდრე ის, რაც სიკეთით და გონივრულად გავეცი. ჩემს სიკეთეს არც რიცხვებით დავითვლი, არც გავზომავ, არც ავწონი, იმის გარდა, რასაც [სიკეთის] მიმღები დააფასებს და შეაფასებს. ჩემთვის ბევრი არასოდეს იქნება ის, რასაც ღირსეული მიიღებს. საყოველთაო შეხედულების გათვალისწინებით არაფერს გავაკეთებ, ყველაფერს სინდისის კარნახით მოვიმოქმედებ.

[5] სმა-ჭამის ზღვარი ჩემთვის იქნება ბუნებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა მუცლის ამოსაყორად ან დასაცლელად. მეგობართათვის სასიამოვნო ვიქნები, მტრებისათვის — მშვიდი, შემრიგებლური და დამთმობი. სანამ მთხოვენ, მანამდე ვეცდები თხოვნა შევუსრულო და ღირსეულ თხოვნას უპასუხოდ არასოდეს დავტოვებ. იმას, რაც ვიცი, ისე გავაკეთებ, თითქოს ხალხი შემომცქეროდეს. მეცოდინება, რომ ჩემი სამშობლო სამყაროა, ღმერთები კი დამცველნი, რომლებიც ჩემს ზემოთ და ჩემს ირგვლივ დგანან, ჩემს ყველა სიტყვასა და საქმეს განსჯიან და აფასებენ. იმ დროს, როცა ბუნება ჩემს სუნთქვას (სპირიტუმ) უკან მომთხოვს ან როცა მას ჩემივე გონი გაუშვებს და გაათავისუფლებს, წავალ (და ამის მოწმე ვიქნები), როგორც კეთილი სინდისის მქონე, სიკეთისთვის მშრომელი, კაცი, რომელსაც არასდროს დაუმცრია ან შეუზღუდავს სხვისი თავისუფლება, მით უფრო — საკუთარი“. ადამიანი, ვინც ამის გაკეთებას ჩაიფიქრებს, მოისურვებს და ეცდება, ღმერთებისკენ აიღებს გეზს, და თუკი ამ გზას ბოლომდე ვერ გააგრძელებს „დიადი საქმის აღსრულებისას დაეცემა...“

[6] თქვენ კი, ვისაც სიკეთე და სიქველეც გძულთ და მათზე მზრუნველიც, ახალს არაფერს აკეთებთ. სნეული თვალები მზეს უფრთხიან, ღამის ცხოველები დღის ნათელს გაურბიან, მათ მზის ამოსვლა აძრწუნებთ და თავიანთ სამალავებს ესწრაფვიან, სინათლით დამფრთხალნი ნაპრალებს აფარებენ თავს. იღმუვლეთ, კარგ ადამიანთა საზიანოდ პირი ავარჯიშეთ, ფართოდ გააღეთ და მწარედ უკბინეთ. უმალ კბილებს მოიტეხთ, ვიდრე კბენას მოახერხებთ.

თავი XXI

[1] რატომ ხდება, რომ ის, ვინც ფილოსოფიას სწავლობს, ასე მდიდრულად ცხოვრობს? რატომ ამბობს, რომ სიმდიდრე სძულს და თავად ფლობს მას? რატომ ფიქრობს, რომ ცხოვრება საძულველია და მაინც ცხოვრობს? რატომ თვლის, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვას მნიშვნელობა არ აქვს და მაინც მას უთმობს ყველაზე მეტ ყურადღებას და თავისთვის საუკეთესოს არჩევს? რატომ ფიქრობს, რომ გაძევება უბრალოდ სიტყვაა და ამბობს: „განა რამე ცუდია ადგილის შეცვლაში?“, მაგრამ ამ დროს, თუ შეძლებს, სამშობლოში დაბერება ურჩევნია. მიიჩნევს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივ და ხანმოკლე წლებს შორის განსხვავება არ არის და მაინც, თუკი ხელს არაფერი უშლის, ცდილობს, სიცოცხლე გაიხანგრძლოვოს და ღრმა სიბერეშიც მხნეობა შეინარჩუნოს?

[2] ამბობს, რომ ყველაფერი საძულველი უნდა იყოს, მაგრამ ისე კი არა, რომ საერთოდ არაფერი გააჩნდეს, არამედ ისე, რომ შემაწუხებელი არ იყოს. ამ [ყველაფერს] თავიდან კი არ იშორებს, არამედ მშვიდად და უზრუნველად შეჰყურებს, თვითონ როდის გაეცლებიან. თვით ფორტუნასთვისაც კი სად უფრო ხელსაყრელია თავისი სიმდიდრის დაუნჯება? — ცხადია იქ, საიდანაც ისე აიღებს, რომ დროებითი პატრონის ჩივილი და წუწუნი არ მოისმინოს.

[3] მარკუს კატონი ყოველთვის აქებდა კურიუსსა და კორუნკანიუსს და იმ დროს, როცა ვერცხლის რამდენიმე პატარა ფირფიტის ფლობა ცენზორის თვალში დანაშაულად ითვლებოდა. თუმცა, თავად მას 40 მილიონი სესტერციუმი ჰქონდა — ნაკლები, ვიდრე კრასუსს და მეტი, ვიდრე ცენზორ კატონს. ამ თვალსაზრისით მან თავის დიდ პაპას გადაასწრო და თუმცა კრასუსს დიდად ჩამორჩებოდა, უფრო მეტი ქონება რომ ჩავარდნოდა ხელში, ცხადია, უარს არ იტყოდა.

[4] ისიც უნდა ითქვას, რომ ბრძენი არ მიიჩნევს, რომ შემთხვევითობის ძღვენს არ იმსახურებს. მას არ უყვარს სიმდიდრე, მაგრამ ურჩევნია ჰქონდეს, ვიდრე არ ჰქონდეს. ის [სიმდიდრეს] თავის სახლში იღებს და არა თავის სულში. არ უარყოფს, რაც აქვს, თავს უყრის და სურს, რომ ეს ქონება სიკეთის საყრდენ მასალად გამოიყენოს.

თავი XXII

[1] განა შეიძლება საეჭვო იყოს, რომ ბრძენისათვის სულის შესაძლებლობათა გაშლისა და გაფართოებისათვის საჭირო მასალა მეტად მოიპოვება სიმდიდრეში, ვიდრე უქონლობაში. სიღარიბე მხოლოდ ერთი გზით ეხმარება სიკეთეს — რომ ადამიანი არ გატყდეს და სასოწარკვეთამ არ შეიპყროს. სიმდიდრე კი ფართო სარბიელს აძლევს თავშეკავებას, გულუხვობას, ხელგაშლილობას, მოწესრიგებულობას, დიდსულოვანებას.

[2] ბრძენს არ შერცხვება თავისი პატარა სიმაღლისა, მაგრამ მაინც ისურვებდა, რომ უფრო მაღალი ყოფილიყო. მან სუსტი სხეულით და ცალი თვალითაც შეიძლება

თავი კარგად იგრძნოს, მაგრამ მაინც არჩევდა ძლიერი სხეული ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ის გაცილებით ძლიერია იმით, რაც აქვს. ცუდ ჯანმრთელობას აიტანს, კარგს — ინატრებს.

[3] არსებობს რაღაცეები, რაც თავისი არსით უბადრუკი და უმნიშვნელოა. მათი წართმევა უმაღლეს სიკეთეს არავითარ ზიანს არ მიაყენებს. მაგრამ მათ შეუძლიათ სიხარული და სიხალისე მოიტანონ, რაც, თავის მხრივ, სიკეთისგან მომდინარეობს. ამრიგად, სიკეთე ბრძენზე კარგად მოქმედებს და ახალისებს მას, როგორც მეზღვაურს ზურგის ქარი, როგორც ნათელი დღე და ზამთარსა და სიცივეში მზიანი ადგილი.

[4] ის, ვინც ბრძენია — ვგულისხმობ ჩვენებს, ვისთვისაც ერთადერთი სიკეთე სიქველეა — აღიარებს, იმ საგნებს ან მოვლენებს შორის, რასაც უმნიშვნელოს ანდა განურჩეველს უწოდებს, მაინც არსებობს რაღაც, რაც სხვებზე აღმატებული ან უფრო ფასეულია. მათ შორის ზოგიერთი პატივდებულია, ზოგი კი საკმაოდ პატივდებულიც. რომ არ დაიბნე, დავაზუსტებ — სიმდიდრე ნამდვილად მეტად პატივდებულია.

[5] შენ ასე იტყვი: „მაშინ რატომღა დამცინი, თუკი სიმდიდრეს შენთვისაც იგივე ადგილი უჭირავს, რაც ჩემთვის?“ გინდა იცოდე, რატომ არ აქვთ მათ ერთი და იგივე ადგილი და მნიშვნელობა? თუკი სიმდიდრე ხელიდან გამომეცლება, თავად ჩემს გარდა ჩემგან ვერავინ ვერაფერს წაიღებს. შენ ეს გაგაოგნებს: მოგეჩვენება, რომ ქონების დაკარგვით საკუთარ თავსაც დაკარგავ. ჩემთვის სიმდიდრეს უმნიშვნელო და უკანასკნელი ადგილი უჭირავს, შენთვის კი უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი. [ჩემი] სიმდიდრე ჩემია, შენ კი სიმდიდრეს ეკუთვნი.

თავი XXIII

[1] ამრიგად, შეწყვიტე სიმდიდრის აკრძალვა ფილოსოფიისათვის — ბრძენისათვის სიღარიბე არავის მიუსჯია. დაე, ჰქონდეს ფილოსოფოსს დიდი ქონება, მაგრამ არც სხვისთვის წართმეული, არც სხვის სისხლში ამოსვრილი, არც ვინმესთვის უსამართლობის მიყენების ფასად მოპოვებული. დაე, ის არ მოეტანოს ბინძურ მოგებას და მისი შემოსავალიცა და გასავალიც ერთნაირად პატიოსანი იყოს; არავისთვის არ მიეყენებინოს ვნება, გარდა ბოროტი ადამიანისა. რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ გაზარდე ქონება: სიმდიდრე, რომელიც ყველას სურს მისი იყოს, მაგრამ მის პატარა ნაწილზეც კი ვერ იტყვიან, რომ მათი საკუთრებაა, სამარცხვინო კი არა, პატივსაცემია.

[2] ასეთი პატიოსანი გზით მოპოვებული ქონება თავისგან არ განაგდებს ფორტუნას კეთილგანწყობას, [მფლობელს] არც ზედმეტად გააამაყებს, არც გააწითლებს. მას ნამდვილად ექნება საამაყო, როცა სახლის კარს გააღებს, ხალხს თავისი ქონების ხილვის ნებას მისცემს და იტყვის: „თუ ვინმე რამეს თავისად იცნობს, თან წაიღოს!“. ის კაცი, ვინც ამ ნათქვამის შემდეგ იმდენივე ქონებას შეინარჩუნებს, ნამდვილად მდიდარი და დიადია. სხვაგვარადაც ვიტყვი: კაცი, რომელიც აუღელვებლად შეძლებს თავისი ქონება ხალხის დასანახად გამოიტანოს, თანაც დარწმუნებული იყოს, რომ არ აღმოჩნდება ადამიანი, ვინც ამ ქონებაში რაიმე თავისას აღმოაჩენს და ხელს დაავლებს, ის გაბედული და აშკარად მდიდარია.

[3] ბრძენი თავის სამყოფელში არ გააჩერებს ერთ დენარიუმსაც კი, რომელიც უპატიოსნო გზითაა მოპოვებული. ის დიდ სიმდიდრეს, ფორტუნას ძღვენს და სიკეთის ნაყოფს არ უარყოფს და უკუაგდებს. მართლაც, კარგად დახვედრასა და მიღებაზე მათ უარი რატომ უნდა ეთქვათ? დაე მივიდნენ და ღირსეულად უმასპინძლებენ. ბრძენი არც იტრაბახებს და არ დამალავს — პირველი ცარიელი და ფუტურო სულის ნიშანია, მეორე — მფრთხალისა და უბადრუკის, რომელსაც სურს დიდი სიკეთე სულის ყველაზე ღრმა ჯურღმულში ჩამალოს — და როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ყველაფერს სახლიდან არ განაგდებს.

[4] [ბრძენი] იტყვის: ან „უსარგებლონი ხართ“ ან „მე სიმდიდრით სარგებლობა არ ვიცი და არ შემიძლია“. მას შეუძლია გრძელი გზა ფეხითაც გაიაროს, მაგრამ თუ შესაძლებლობა ექნება, მაინც ოთხთვალას ან ეტლს აირჩევს. ასევე ღარიბი კაციც მდიდრად ყოფნას მოინდომებს, თუკი ამის არჩევანი და შესაძლებლობა ექნება. ფილოსოფოსიც შეიძლება მდიდარი იყოს, მაგრამ ეს სიმდიდრე მისთვის მსუბუქი იქნება, როგორც ფრთოსანი არსება. არც დაუშვებს, რომ ან სხვებს ან თავად მას ამან რაიმე სიმძიმე მოუტანოს.

[5] როგორ, სხვებს აჩუქებსო? — ამაზე დაცქვიტეთ ყურები? უბეში რა დამალეთ? ის [სიმდიდრეს] უძღვნის კარგ ადამიანებს, ან მათ, ვისაც შეუძლია კარგი გახდეს. ის ძღვენს არიგებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდასმით აარჩევს და გაიაზრებს; მხოლოდ ამის მერე დაურიგებს ყველაზე ღირსეულთ. თანაც არც იმას დაივიწყებს, რომ პასუხი უნდა აგოს როგორც გაცემულის, ისე მიღებულის შესახებ. უძღვნის მხოლოდ მართებული და ღირსეული მიზეზით, რადგან უმიზეზო და დაუფიქრებელი ძღვენი სამარცხვინოა და უბადრუკი. მისი ჯიბე იქნება გახსნილი და არა გახეული — მისგან მრავალი გავა და არაფრით შეივსება.

თავი XXIV

[1] ის, ვინც ჩუქებას იოლ საქმედ მიიჩნევს, მწარედ ცდება: მისი მთავარი სირთულე სწორედ გააზრებულად დარიგებაა და შემთხვევითი და დაუფიქრებელი მიმოფანტვა. აი კაცი, რომლისგანაც დავალებული ვარ, იმას ვალს ვუბრუნებ, ამას ვეხმარები, ის მებრალება; აი, ღირსეული კაცი, რომელსაც მხარს დავუჭერ და დავეხმარები, რომ სიღარიბეში არ ჩავარდეს. იმას, ვინც მუდამ ისაკლისებს, არაფერს მივცემ, რადგან რამდენიც არ უნდა მივცე, მისთვის მაინც ნაკლები და არასაკმარისი იქნება. ვიღაცას შევთავაზებ, ვიღაცას ძალით მივაჩეჩებ ხელში — ასეთ საქმეში უყურადღებობა და გულგრილობა დაუშვებელია. ზოგჯერ საჩუქარზე მეტად სახელის შექმნა არაფერს შეუძლია.

[2] შენ ასე იკითხავ: „როგორ? იმიტომ უძღვნი, რომ [სარგებელი] მიიღო?“ ყოველ შემთხვევაში, რომ ვჩუქნი, ამას ზიანი არ მოაქვს. ზოგადად, სჯობს საჩუქრები ისე უძღვნა, რომ შესაძლებელი იყოს რაიმე დაგიბრუნდეს, მაგრამ მოთხოვნა საჭირო არ იქნება. წარმოიდგინე, თვით მდიდარი კაცის სახლსაც კი რამდენი შესაძლებლობა აქვს სიკეთის გასაკეთებლად!

[3] რომაელები რატომ მოვიხსენიებთ [გულუხვობას], როგორც ისეთ აზრებსა და მოქმედებებს, რომლებიც თავისუფალ ადამიანს ახასიათებს (ლიბერალიტას)? ბუნება მიბრძანებს, სარგებელი მოვუტანო ადამიანებს. რა მნიშვნელობა აქვს, ისინი თავისუფალნი არიან თუ მონები? თავისუფალ [მოქალაქედ] დაბადებული თუ გაგაზატებული? რა მნიშვნელობა აქვს ეს თავისუფლება კანონის ძალით აქვს მოპოვებული თუ მეგობრობის? სადაც არ უნდა იყოს ადამიანი, იქ ყოველთვის არის კეთილის საქმის ადგილი. ამგვარად, შესაძლებელია ფულისა და სიმდიდრის დარიგება და ხელგაშლილობაში „გავარჯიშება“ ისე, რომ ადამიანი თავის [შინაგან] საზღვარს არ გადასცდეს. და ეს არა იმიტომ, რომ თავისუფალ ადამიანებს სჭირდებათ, არამედ იმიტომ, რომ თავისუფალი სულისგან მომდინარეობს და მისი სახელიც აქედან მოდის (ლიბერალიტას). ბრძენი ადამიანის გულუხვობა არასოდესაა განკუთვნილი სამარცხვინო ან უღირსი ადამიანებისათვის. ის არ ქრება და არც იფიტება, და როცა ღირსეულ ადამიანს შეხვდება, თითქოს სისავსიდან იღვრება.

[4] იმ პატიოსან, ღირსეულ, გამბედავ და მამაც ადამიანთა საუბარი, რომლებიც სიბრძნეს ესწრაფვიან, უმართებულო ან არასწორი ახსნის გზაზე არასოდეს გაგი-

ყვანს. მაგრამ, თავდაპირველად, ეს გაითვალისწინეთ: ერთია ის, ვინც სიბრძნე ესწრაფვის, მეორე — ვინც მიაღწია სიბრძნეს. პირველი მათგანი ასე გეტყვის: „ჩემი სიტყვები და საუბარი შესანიშნავია, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალ ბოროტებას შორის ვტრიალებ. ახლა ნუ ეცდები, ჩემივე წესების აღსრულება მაიძულო. რადგან ახლა სწორედ იმით ვარ დაკავებული, რომ საკუთარ თავს ვქმნი, ჩემს სახეს ვიქმნი ისე, რომ ლამის მიუწვდომელ მაგალითად ვაქციო. თუ მივაღწევ იმას, რაც მიზნად მაქვს დასახული, მაშინ შეგიძლია მოითხოვო, რომ ჩემი ნათქვამი ჩემივე ნამოქმედარს შეესაბამებოდეს.“ მეორე ადამიანი, კი ვინც უკვე მიაღწია ადამიანური სიკეთისა და სიბრძნის მწვერვალს, სხვაგვარად მოგეპყრობა და ასე გეტყვის: „როგორ აძლევ თავს უფლებას, განსაჯო ადამიანები, რომლებიც შენზე უკეთესი არიან? თავად მე (და ეს არის საბუთი ჩემი სისწორისა და მართებულობისა) უკვე ვიწვევ უსიამოვნო დამოკიდებულებას უღირს ადამიანებში.

[5] მაგრამ იმისთვის, რომ შენ კარგად გაიგო, თუ რატომ არ მშურს არც ერთი მოკვდავის, მოისმინე, რაზე რას ვფიქრობ და როგორ ვაფასებ. უარვყოფ, რომ სიმდიდრე სიკეთეა — რომ ყოფილიყო, ის შეძლებდა, ადამიანები კარგები გაეხადა. რადგან იმას, რაც ცუდ ადამიანებში მოიპოვება, არ შეიძლება კარგი ვუწოდოთ — მე ამას კარგს ვერ ვუწოდებ. სხვა შემთხვევაში ვაღიარებ, რომ [სიმდიდრე] სასარგებლოა და გამოსადეგი ცხოვრებისეული საჭიროებისათვის.

თავი XXV

[1] გამოდის, მე და თქვენ ერთნაირად მივიჩნევთ, რომ ადამიანს შეიძლება სიმდიდრე ჰქონდეს. მაგრამ მოისმინეთ, რატომ არ ვთვლი, რომ ის სიკეთეა და რატომ მაქვს მისდამი თქვენგან განსხვავებული დამოკიდებულება. დამსვი ყველაზე მდიდრულ სახლში, სადაც ყოველდღიური გამოყენების საგნებიც კი ოქროსა და ვერცხლის იქნება. მე ამით არ ვიამაყებ, რადგან ეს საგნები, თუნდაც ჩემს გარშემო იყოს, მაინც ჩემს გარეთაა. წამიყვანე სუბლიკიუსის ხიდზე და ღარიბებს შორის ჩამაგდე. სირცხვილით თავს არ დავხრი, თუნდაც მათხოვართა შორის ხელგაწვდილი ვიჯდე. განა იმისთვის, ვინ შეიძლება მოკვდეს, სულერთი არაა პურის ნატეხი აქვს თუ არა? მაშასადამე რა გამოდის? ბრწყინვალე სასახლეს ვარჩევ ამ ხიდს.

[2] ჩამსვით ბრწყინვალე ნივთებსა და ფუფუნების საგნებს შორის. თავს უფრო ბედნიერად არ ჩავთვლი იმის გამო, რომ ჩემი წამოსასხამი რბილი ქსოვილისაა, ხოლო ჩემი თანამეინახენი მეწამულ ქსოვილზე წამოწოლილან. ჩემი საწოლი შეცვალე: უბედური ნამდვილად არ ვიქნები იმით, თუ ჩემი დაღლილი კისერი ერთ ხელურ ჩალაზე მოისვენებს ან თუ ცირკის ტომარაზე წამოვწვები, რომლის გარღვეული საკერებლიდან ჩალა და თივა ამოჩრილა. მაშასადამე, რა გამოდის? ნამდვილად მირჩევნია, პრეტექსტას ტოგაში ვიყო გამოწყობილი, ვიდრე მოშიშვლებული მხრებითა და დაუფარავი ტერფებით ვიარო.

[3] ჩემი ყოველი დღე მხოლოდ ჩემი სურვილისამებრ რომ გადიოდეს, ყოველდღე ახალი სიხარული და სიამე წინას რომ ემატებოდეს, თვითტკბობას მაინც ვერ მივეცემი. მაგრამ ცხოვრების ეს წყალობა საწინააღმდეგოთი რომ შემიცვალო, ჩემი სული ტკივილისა და ტანჯვის დარტყმების ქვეშ რომ აღმოჩნდეს, ყველაფერი მწუხარებამ და შფოთმა რომ შეიპყროს და არც ერთი საათი არ მქონდეს უსიამოვნებების გარეშე, თავს უბედურს მაინც არ ვუწოდებ და არც ერთ დღეს არ დავწყევლი. ყველაფერს ისე გავითვალისწინებდი, რომ არც ერთი შავი დღე არ გამთენებოდა. მაშასადამე, რა გამოდის? მირჩევნია თავშეკავება გადაჭარბებული სიხარულისა და სიხალისისგან, ვიდრე უზომო გლოვისა და ტანჯვის მორჩილება.

[4] სოკრატეს შეიძლება ასე ეთქვა: „ყველა ხალხზე გამარჯვებულად მაქციე, ლიბერის მდიდრულად შემკული ეტლით მზის ამოსვლიდან ტრიუმფით წამიყვანე თებესკენ, დაე ყველა მეფე ჩემთან მოვიდეს თავისი მეფობის უფლების დასაკანონებლად. იმ დროს და იმ წამს, როცა ყველა ღმერთივით თაყვანს მცემს და პატივს მომაგებს, განსაკუთრებით ვიგრძნობ, რომ ადამიანი ვარ. თუ გინდა უცებ, გაუფრთხილებლად ამ უმაღლესი მწვერვალიდან ძირს ჩამომაგდე. ბედისწერის ეს გიჟური და თავბრუდამხვევი ცვლილება უცხო ეტლზე დამაყენებს და ჩემივე თავს „შევიმკობ“ მდიდრული მსვლელობით, როგორც მავანი ქედმაღალი და ველური დამპყრობელი. ამ უცხო ეტლზე დამდგარი თავს იმაზე დამცირებულად არ ვიგრძნობ, ვიდრე ჩემს საკუთარზე. მაშასადამე რა გამოდის? მაინც გამარჯვება მირჩევნია, ვიდრე ტყვედ ჩავარდნა.

[5] ბედისწერის მთელ სამეფოს ზიზღით შევხედავ, მაგრამ თუ არჩევანი მომიწევს, საუკეთესოს ავირჩევ. რაც არ უნდა შემხვდეს, წილად რაც არ უნდა მხვდეს, სიკეთედ გადაიქცევა, მაინც ვარჩევ, რომ უფრო იოლი, უფრო საამო და ნაკლებ საწვალებელი იყოს მისთვის, ვინც რაიმეს სიკეთედ გადაქცევას მოისურვებს. ცხადია, ისეც არ ჩათვალო, რომ სიკეთე შრომისა და გარჯის გარეშე მიიღწევა. ზოგიერთ სიკეთეს დეზები სჭირდება, ზოგიერთს კი — აღვირი.

[6] როგორც სხეული აღმასვლისას მოხრილია და სიარული უჭირს, დაღმასვლისას კი დიდი სისწრაფით ეშვება, ასევე სიკეთეც ხან აღმართზე მიიწევს, ხანაც დაღმართზე. განა შეიძლება ვინმეს ეჭვი გაუჩნდეს, რომ მოთმინება, სიძლიერე, სიმტკიცე და სხვა სიქველენი, როცა ისინი დიდ სიძნელეებს ეწინააღმდეგებიან, იმისთვის რომ ბედი დაიმორჩილონ, მთაზე ზემოთ მიძვრებიან, იბრძვიან და მაღლა მიიწევენ. მაშ რა?

[7] ასევე ცხადი და თვალსაჩინო არაა, რომ ხელგაშლილობა, თავშეკავება და სიმშვიდე დაღმართზე ეშვებიან. პირველ შემთხვევაში ჩვენს სულს ვაკავებთ, რომ ქვემოთ არ დავცურდეთ, მეორე შემთხვევაში კი ვჩქარობთ და უსწრაფესად ვეშვებით ქვემოთ. მაშასადამე, როცა სიღარიბეში ვცხოვრობთ, გვჭირდება ისინი, რომელთაც ბრძოლა იციან და უფრო ძლიერნი არიან, ხოლო თუ ჩვენი ცხოვრება მდიდრულია, [გვჭირდება] უფრო მშვიდი და მოწესრიგებული რამ, რომლის ნაბიჯიც მოზომილია და წონასწორობასაც ინარჩუნებს.

[8] როდესაც გაყოფა ამგვარია, მე სარგებლისა და გამოყენებისათვის ვარჩევ იმას, რისი ცდაც უფრო მშვიდია, ვიდრე იმას, რაც სისხლსა და ოფლს მოითხოვს. მაშასადამე — იტყვის ბრძენი — მე არ ვცხოვრობ იმისგან განსხვავებულად, რასაც ვამბობ. ეს თქვენ გესმით სხვანაირად. თქვენს ყურთასმენას მხოლოდ სიტყვების ხმა აღწევს: რას ნიშნავს ეს სიტყვები, ამას არც კითხულობთ.

თავი XXVI

[1] „მაგრამ რა განსხვავებაა ჩემსა და შენს — ბრიყვსა და ბრძენს შორის, თუკი ორივეს ქონებისა და სიმდიდრის ფლობა გვსურს? „ძალიან დიდი. სიმდიდრე ბრძენი კაცისთვის მონაა, ხოლო ბრიყვისთვის — მბრძანებელი. ბრძენი სიმდიდრეს არაფრის უფლებას არ აძლევს, თქვენ კი მას ყველაფრის ნებას რთავთ. თქვენ, თითქოს მისი მარადიული ფლობის უფლება გქონდეთ, ეჩვევით და ეჯაჭვებით ქონებას, ბრძენი კი ყველაზე მეტად მაშინ ფიქრობს სიღარიბეზე, როცა სიმდიდრეშია ჩაფლული და მისით გარშემორტყმული.

[2] არც ერთ მხედართმთავარს არ გაუჩნდება ზავისა და მშვიდობის იმედი ისე, რომ მაინც არ ემზადებოდეს მანამდე უკვე გამოცხადებული ომისათვის, რომელიც შეიძლება ჯერ არ დაიწყოს. თქვენ მშვენიერი სახლი ქედმაღლობას გინერგავთ — თითქოს ის შეიძლება არც დაიწვას და არც დაინგრეს. სიმდიდრე თქვენს ყურთასმენასა და გულისყურს ახშობს, თითქოს მას შეეძლოს ყველა ხიფათი აგარიდოთ, თითქოს ამ საშიშროებათა გასანადგურებლად ფორტუნას ძალა საკმარისი არ იყოს.

[3] თქვენ ერთობით სიმდიდრით მოცალეობის დროს და ყურადღებას არ აქცევთ მასში ჩაბუდებულ საფრთხეს. ამით იმ ბარბაროსებს ემსგავსებით, რომლებიც ალყაშემორტყმულ ქალაქში არიან ჩაკეტილნი და წარმოდგენაც არ აქვთ ალყისთვის საჭირო იარაღების შესახებ. გაზარმაცებულები უყურებენ მათ, ვინც ქალაქს ალყაში აქცევს და აზრადაც არ მოსდით, რატომ არის ეს იარაღი ასეთი სახითა და ერთმანეთისგან ასეთი დაშორებით განლაგებული. თქვენც იგივე გემართებათ: პირად საქმეებსა და საფიქრალში ჩაფლულნი იმდენად მოდუნებულხართ, რომ ვეღარ ამჩნევთ, ყოველი მხრიდან რამდენი შემთხვევითობა გახვევიათ გარს, რომელთაც ყოველ წუთს შეუძლიათ ძვირფასი ნადავლი პირდაპირ ხელიდან წაგლიჯონ.

[4] თუკი ბრძენს მავანი სიმდიდრესა და ქონებას წარსტაცებს, მას თავისი მონაპოვარი მაინც დარჩება: ის კვლავაც იცხოვრებს აწმყოთი კმაყოფილი და მომავლის რწმენის მქონე. სოკრატე, ან ის ვისაც ადამიანთათვის ასეთივე ძალა და გავლენა აქვს, იტყვის: „ჩემთვის არაფერია იმაზე მეტად სარწმუნო, ვიდრე ის, რომ თქვენი მოსაზრებისამებრ არ ვიცვლიდე ცხოვრების ნირსა და გეზს. ყოველი მხრიდან თქვენთვის ჩვეული საუბარი მესმის, მაგრამ ამას ლანძღვად ან კიცხვად კი არ მივიჩნევ, არამედ საბრალო ბავშვების ზღუქუნად და ტირილად“.

[5] ასე იტყვის ის, ვინც სიბრძნეს ეზიარა, ვისი მანკიერებათაგან თავისუფალი სული სხვებს მოუწოდებს მაგრამ არა იმიტომ, რომ სიძულვილს შეუპყრია, არამედ იმიტომ, რომ მათი განკურნება სურს. [სოკრატე] ამასაც იტყვის: „თქვენი აზრი მე ჩემს გამო კი არა, თქვენს გამო მაღელვებს და მაწუხებს, რადგან სიკეთისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება და მის საწინააღმდეგოდ ჩაკირკიტება, განკურნებისა და გამოსწორების ყველანაირ იმედს სპობს. თქვენ მე ვერ მაწყენინებთ, ისევე როგორც ღმერთებს ვერ მიაყენებენ ვერანაირ წყენას ისინი, ვინც საკურთხევლები შეურაცხყვეს და ამოატრიალეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვა, რომ ბოროტი აზრი და ცუდი ჩანაფიქრი კარგი ვერ გახდება მხოლოდ იმიტომ, ზიანის მოტანა არ შეუძლია.

[6] ამრიგად, თქვენს უაზრო ყბედობას ისე ავიტან, როგორც საუკეთესო და უდიდესი (Optimus Maximus) იუპიტერი პოეტთა უაზრო გამონაგონს, რომლებიც მას ხან ფრთებით წარმოსახავენ, ხან რქებით, ხან მოღალატედ და ხან მაწანწალად, რომელიც ღამეს შინ არ ათევს, ხან სასტიკად ღმერთთა მიმართ, ხანაც უსამართლოდ ადამიანებისადმი, ხან თავისუფალი ადამიანებისა და სულაც ნათესავების გამტაცებლად, ხან მამისმკვლელად, ხანაც მამისეული ან სხვისი სამეფოს დამპყრობლად. განა ამით ისინი აღწევენ რაიმე სხვას, თუ არა ადამიანთა გათავისუფლებას სირცხვილისა და შეცოდებისგან? რაღა შეიძლება იყოს სამარცხვინო, თუკი ღმერთები, ვისიც სწამთ ასეთები არიან?

[7] თქვენი [ნათქვამი] ჩემთვის მტკივნეული არ არის, ისევ თქვენივე სიკეთისთვის გაფრთხილებთ: პატივი მიაგეთ სიქველესა და კეთილშობილებას, ერწმუნეთ მათ, ვინც დიდი ხანია მას მიჰყვება და თქვენს წინაშე ადიდებს — ერთ დღეს ის გაცილებით უფრო დიადი და დიდებული გახდება. ადიდეთ კეთილშობილება, როგორც ღმერთები, ხოლო მისი მასწავლებელნი — როგორც ქურუმები. განადიდეთ ის და რამდენჯერაც იქნება ხსენება ამ წმინდა სწავლებისა, ღვთისმოშიში დუმილით უპასუხეთ (favete linguis)[14]. ეს სიტყვა — ‘”favete”, როგორც მრავალს მიაჩნია, მომდინარეობს არა „favor”—დან, რაც „წყალობას“, „კეთილგანწყობას“ ნიშნავს, არამედ ის სწორედ დუმილს ნიშნავს და მოითხოვს, რათა წმინდა მსახურება წესისამებრ აღესრულოს და არც ერთი ავი სიტყვით არ დაირღვეს. თქვენთვის მეტადრე საჭიროა, ეს შეისმინოთ და დაემორჩილოთ, რათა რამდენჯერაც არ უნდა მოისმინოთ ორაკულისგან, ხმაამოუღებლად და ყურადღებით მიაპყროთ სმენა.

[8] როდესაც მავანი სისტრუმის[15] ცემით დადის და ცრუობს, რომ [ღმერთის] ნებას აცხადებს, როცა მავანი მხრებსა და წინამხრებს აცახცახებული ხელით ისერავს და ისისხლიანებს, როდესაც ვიღაც ქალი გზაზე მუხლებზე მიფორთხავს და გაჰკივის, როცა ტილოში გამოხვეული მოხუცს ხელში დაფნის რტო და დღისით-მზისით ფარანი უჭირავს და გაჰყვირის, რომ რომელიმე ღმერთი განრისხებულია — თქვენ მყისვე ამის სანახავად და მოსასმენად მიეშურებით, ერთმანეთს ამ უტყვი შიშით წამლავთ და ამტკიცებთ, რომ ეს ღვთაებრივია.

თავი XXVII

[1] რას ამბობდა სოკრატე იმ ჯურღმულიდან, რომელიც მისი შესვლის შემდეგ თითქოს განიწმინდა და ყველა კურიაზე[16] უფრო პატივსაცემი გახდა: „რა სიშმაგე, ღმერთებისა და ადამიანებისათვის მტრული რა ბუნება გაიძულებთ სიკეთის ძაგებას და ავი სიტყვებით იმის შეურაცხყოფას, რაც წმინდაა? თუ შეგიძლიათ, კარგი შეაქეთ, თუ არა — თავი შეიკავეთ და გვერდი აუარეთ. და თუკი თქვენთვის ეს ამაზრზენი თავაშვებულობა მისაღებია, ერთმანეთს დაესხით თავს. თუკი თქვენი უგუნურება და სიგიჟე ცამდე უნდა ავიდეს, ვიტყვი, რომ ეს უფრო მეტად ფუჭი და ამაო გარჯა და საქმეა, ვიდრე მკრეხელობა.

[2] ოდესღაც მეც გავხდი არისტოფანეს ხუმრობათა სამიზნე და ეს შემდეგ კომიკოს პოეტთა მთელ რაზმზე გავრცელდა, რომელთაც ჩემს შესახებ გესლიანი ხუმრობა დაიწყეს. ამის საშუალებით ჩემი სიკეთე და კეთილშობილება უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. მისთვის ეს გამომზეურება და გამოცდა სასარგებლო გამოდგა. ვერც ვერავინ გაიგო, რამდენი უნდა ყოფილიყო [სიკეთე] იმ ადამიანების გარდა, რომელმაც მისი ძალა მასზე თავდასხმით იგრძნეს. ქვის სიმყარე ქვის მტეხელზე უკეთ არავინ იცის.

[3] მეც ვდგავარ, როგორც კლდე ზღვაში, რომელსაც ტალღები განუწყვეტლივ ყოველი მხრიდან ეხეთქება, მაგრამ ის ადგილიდან არ იძვრის და არც ამდენი ხნის მანძილზე მუდმივი ზვირთთაცემით იშლება. თავს დამესხით, შემომიტიეთ. თქვენ იმით გძლევთ, რომ ყველაფერს ავიტან. ის, ვინც თავს ესხმის მტკიცე და უძლეველ ადამიანებს, თავის ძალას თავისსავე საზიანოდ მიმართავს. შესაბამისად, უფრო რბილი და დამყოლი სამიზნე ეძებეთ, რომელსაც შეგიძლიათ თქვენი ისრები სტყორცნოთ.

[4] იმის გამო, რომ თქვენ ამის დრო და მოცალეობა გაქვთ, შეგიძლიათ სხვებზე აუგი თქვათ ან ვინმეს შესახებ განაჩენიც გამოიტანოთ: „ეს ფილოსოფოსი ზედმე-

ტად ფუფუნებით ხომ არ ცხოვრობს? ან ასე განცხრომით რატომ სადილობს?". სხვის მუწუკებს ამჩნევთ, როცა თავად წყლულებით ხართ დაფარული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთია ის, ვინც ულამაზესი სხეულის ხალებს ან მეჭეჭებს დასცინის, თავად კი მთელ ტანზე ფუფხი მოსდებია.

[5] დააბრალეთ პლატონს, რომ ფულსა და სიმდიდრეს ეძებდა, არისტოტელეს ის, რომ [ფულს] იღებდა, დემოკრიტეს ის, რომ [ფულს] არაფრად აგდებდა, ეპიკურეს კი ის, რომ ხარჯავდა; მე ალკიბიადესისა და ფედრასთვის დამდეთ ბრალი. თქვენ ყველაზე მეტად ის გაბედნიერებთ, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე ჩვენს მანკიერებათა მიბაძვას ესწრაფვით.

[6] გაცილებით უკეთესი და სასარგებლოა, თქვენს ცუდს მიაპყროთ თვალი, ცუდსა და მანკიერს, რომელიც ყოველი მხრიდან გარს გაკრავთ — ზოგი თუ გარედან [ჩუმად] გეპარებათ, ზოგი შიგნიდან გწვავთ. თუ არ გსურთ საკუთარი მდგომარეობის შესახებ გაიგოთ, ის მაინც შეიგნეთ, რომ იმდენი მოცალეობა არ გქონდეთ, რომ სხვა ადამიანთა ცხოვრებაზე და თქვენზე უკეთესი ადამიანების თუნდაც სამარცხვინო საქმეებზე ენა არ გააჩეროთ.

თავი XXVIII

[1] მაგრამ თქვენ ეს არ გესმით და თქვენი მდგომარეობისათვის შეუფერებელ გამომეტყველებას იღებთ, როგორც ის ადამიანები, რომლებიც ცირკში ან თეატრში სხედან და ჯერაც არ გაუგიათ, რომ მათ სახლში გლოვაა. მე თითქოს სიმაღლიდან ვიყურები და ვხედავ, როგორი ავდარი მოჰყვება თქვენს თავზე ცოტა ხნის წინ დაწყებულ წვიმას ან როცა თქვენი ახლობლები მოვლენ იმისთვის, რომ თქვენივე საკუთრება დაიტაცონ. შემდეგ რაღა ხდება? შეიძლება ამას ვერც კი გრძნობთ, მაგრამ განა საშინელმა გრიგალმა უკვე არ შეარყია თქვენი სულები ისე, რომ ერთ რამეს გაურბოდეთ და მეორეს ესწრაფოდეთ? რომ ხან დიდი სიმაღლეზე აგიყვანონ, ხანაც მთელი ძალით ძირს დაგანარცხონ?

[მომდევნო ტექსტი ნაკლულია][19]

შენიშვნები

1. პუბლიუს რუტილიუს რუფუსი — კონსული ძვ.წ. 105 წელს. სახელგანთმული მხედართმთავარი, ორატორი, იურისტი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. სკიპიო ემილიანუსისა და ლელიუსის მეგობარი, ე.წ. „სკიპიოს წრის" წევრი. იყო ცნობილი სტოიკოსის, პანეტიუსის მოწაფე. სტოიციზმის სწავლებამ ჩამოაყალიბა და განაპირობა მისი ცხოვრებისეული მსოფლმხედველობა. სწორედ ამიტომ, როცა გაძევება მიუსაჯეს, სასამართლოში თავი არ დაიცვა.

2. მარკუს პორტიუს კატონი (იგივე კატონ უმცროსი) — რესპუბლიკის პერიოდის განთქმული მოღვაწის, ასევე მარკუს პორტიუს კატონის შვილთაშვილი — სენატში არისტოკრატიის წარმომადგენელი, იულიუს კეისარის მოწინააღმდეგე. თანმედროვეთათვის და შთამომავლობისათვის ჭეშმარიტი რომაული ხასიათის და ზნეობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ძვ.წ. 49—48 წ.წ. იულიუს კეისრის წინააღმდეგ პომპეუსის მხარეს იბრძოდა. იყო უტიკას (მაშინდელი აფრიკის პროვინციის დედაქალაქი) პროპრეტორი, ჩრდილოეთ აფრიკაში სენეკას გამარჯვების შემდეგ თავი მოიკლა. სენეკასთვის კატონი ბრძენსა და დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა. ცნობებს კატონის სიტყვებისა და მოქმედებათა შესახებ, როგორც ჭეშმარიტი სიბრძნისა და კეთილშობილების მაგალითებს, სენეკა თავის თითქმის ყველა ტრაქტატში იმოწმებს;

3. დემეტრიუსი — სენეკას თანამედროვე კინიკოსი ფილოსოფოსი, გამოირჩეოდა პირდაპირობითა და ცხოვრებისათვის მეტად მწირი მოთხოვნილებები ჰქონდა. პირდაპირი და მამხილებელი საუბრისათვის ნერონმა ის რომიდან გააძევა, მაგრამ ვესპასიანეს დროს მას დაბრუნების უფლება მისცეს.

4.იხ. ვერგილიუსი, ენეიდა, IV, 653;

5.იხ. ოვიდიუსი, მეტამორფოზები, 327—328

6.მანიუს კურიუს დენტატუსი — კონსული ძვ.წ. 290 წელს. ადრეული რესპუბლიკის ხანის საზოგადო მოღვაწე. საბრძოლო გამარჯვებებით, მახვილგონივრული გამონათქვამებითა და ასევე მოკრძალებული და უბრალო ცხოვრებით განთქმული. რომაელ კონსერვატორთა მთელი თაობისათვის ე.წ. „მორეს მაიორუმ" — „წინაპართა ადათი, ზნე-ჩვეულებათა და სამართლის" დამცველის საუკეთესო მაგალითი. ცნობილი იყო იმით, რომ ბრძოლის ველზე არც ერთხელ არ დამარცხებულა და არც ერთხელ არც ქრთამი აუღია და არც რაიმე სხვა სახის ძღვენი მიუღია. როდესაც სამნიტებმა რომაელებთან ომის დროს მისი მოსყიდვა განიზრახეს, უპასუხა, რომ ფული არ სჭირდებოდა, რადგან მისთვის თიხის ჭურჭლიდან მირთმევაც საკმარისი იყო და ოქროს ფლობას იმ ხალხის ფლობა ერჩივნა, რომლებიც ოქროს ფლობდნენ;

7. ტიბერიუს კორუნკანიუსი — კონსული ძვ.წ. 280 წელს — განთქმული ორატორი და მეომარი.

8. ცენზორი (ლათ. ჩენსორ) — უმაღლესი თანამდებობა ძველ რომში. ცენზორი ხელმძღვანელობდა ყოველ 5 წელიწადში მოქალაქეთა ქონების შეფასებას, თვალყურს ადევნებდა გადასახადების აკრეფას, ქონების დაბეგვრას, მოქალაქეობის მინიჭებას, თვალყურს ადევნებდნენ ზნეობისა და მორალის წესების დაცვას. ისინი აღწერდნენ მოსახლეობას და ანაწილებდნენ მათ. ასევე ცენზორები ადგენდნენ სენატორების სიებს, საიდანაც შეეძლოთ ამოეღოთ უღირსი „კანდიდატები". ცენზორებს ასევე შეეძლოთ გაესამართლებინათ მოქალაქე არა იმდენად კანონის შესაბამისად, არამედ ზნეობრივი სამართლის — ე.წ. რეგიმენ მორუმ ან ცურა მორუმ-ის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ხშირად ცენზორებს ზნეობისა და მორალის მაგალითებად მიიჩნევდნენ. ყველაზე ცნობილი ცენზორი იყო მარკუს პორტიუს კატონ უფროსი;

9. სესტერციუმი — ძველრომაული ვერცხლის ფულის ერთეული;

10. მარკუს კორნეულიუს კრასუსი — ტრიუმვირის წევრი, რომის უმდიდრესი მოქალაქე ძვ.წ. I საუკუნეში. მისი ქონება 200 მილიონ სესტერციუმს აღემატებოდა;

11. სუბლიკიუსის ხიდი — უძველესი ხიდი რომში. გადმოცემის თანახმად, ის მეფე ანკიუს მარკიუსუს დროს ააგეს და მშენებლობისას მეტალის არც ერთი საგანი არ გამოუყენებიათ. ხიდი აღდგენა და განახლება, როცა ის ადიდებულმა ტიბრმა დაანგრია, რომაელებმა რელიგიურ მოვალეობად მიიჩნიეს და უმაღლესი ქურუმის ხელმძღვანელობით აღასრულეს. რომაელი ღარიბებისა და მათხოვრების დიდი ნაწილი სწორედ ამ ხიდის ქვეშ ცხოვრობდა და იკრიბებოდა;

12. სახელმწიფო მოღვაწეთა სამოსი ძველ რომში — თეთრი ტოგა თან დაყოლებული მეწამული კანტით;

13. ლიბერი — ნაყოფიერების ძველ იტალიური ღვთაება. მოგვიანებით მას მეღვინეობის მფარველის ფუნქციაც მიენიჭა;

14. შდრ. ჰორაციუსი, ოდები, 3, 1, 2;

15. სისტრუმი — ლითონის დასატყამი ინსტრუმენტი. ეგვიპტური ქალღმერთის, ისისის ქურუმის რიტუალური ატრიბუტი. ისისის კულტი პოპულარული იყო რომში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში;

16. კურია (ლათ. ჩურია) — სენატის შენობა ძველ რომში;

17. არისტოფანე დასცინოდა სოკრატეს თავის ცნობილ კომედიაში „ღრუბლები";

18. სენეკას ტრაგედიების პერსონაჟები;

19. აკადემიური გამოცემებში აქ ტექსტი წყდება;

შოთა ნიშნიანიძე

ბროწეულა წუხელ სიზმარი ვნახე, მზეზე ეგდო

ხვითო,

ბროწეულას სადგური აღარ იყო ვითომ.

ვითომ ჩვენი სახლ-კარი იყო... აღარც იყო...

შეჰფენოდა ჭილყვავი ღობის სარს და ჭიგოს.

ცხრა ღელე და რიონი გადავლახე ცურვით,

ვერ ვიცანი მიდამო... ამომიჯდა გული.

არსად იყვნენ მოყვრები... მეზობლებიც არსად,

ვიღაც უცხო კაცები

არ მიღებდნენ კარსა, ვაი, სადაც დავბერდი,

ველარავინ ვიცან,

დასაკლავი ხარივით ჩავბღაოდი მიწას.

ხავსიანი ჭიშკრები ჩაეკეტათ მაგრად...

ღმერთო, მე ეს სიზმარი ამიხდინე კარგად!

თენგო ავსაჯანიშვილი

ბებერი არწივის ბალადა

•••

დაბერდა მთების არწივი,
ას წელს არს მინატანები,
რო ბოინობდა, მის აჩრდილს
გულზე იხატდნენ ჭალები,
ზეციდან როგორც მზის სხივნი,
ყველგან უწვდოდნენ თვალები,
იყო ლაღი და ამაყი,
უჭრიდნენ ნისკარტ—ბრჭყალები,
თავისი ნანადირევის
სად არ ეფანტა ძვალები,
არწივს ნასუფრალითა
მუდამ ძღებოდნენ სვავები,
მას ეპყრა დაბლა ხევები,
მაღალი ზეცის კარები,
მგელნიც ისევე უფრთხოდნენ,
როგორც შუნნი და კრავები.
ახლა დაბერდა, დაზანტდა,
მხრებით ამ ზეცის მტარები,
ბრჭყალნიც დაუცვდა და ფრთებშიც
დაუცხრა ნიავქარები,
სამი დღეა ფრენს მშიერი,
ლუკმასაც არ გამკარები,
მსხვერპლს ველარ იჭერს ხნიერი,
აღარ აქვს ძველი ძალები, ნადირობს,
ხევებს შამაფრენს
ამ ყოფით განაწამები,
ძირს, ხევში რაღაც დალანდა
საკბილოს მინამგვანები,
ჩაფრინდა ყინჩად მიმსვლელი,
არა ჩუმ—ჩუმად მპარები,
იქ დახვდა ლეში ჯიხვისა,
საშინლად ანამყრალები,
მეტად ანუხებს შიმშილი,
ლეშისკენ იწევს ბრჭყალები,
„შეჭამე!“ — კუჭი აცდუნებს,
ნამებით გადის ნამები,
ან უნდა მოკვდეს შიმშილით,
ან ძმად იგუოს ყვავები.
და უცებ თოფმა იქუხა,
ბინდით დაუვსო თვალები,
ამაიყივლა არწივმა: —
„მსროლელო გენაცვალები,
მაინც არ მაკადრებინე
ვაჟკაცთა არსაკადრები,
არწივის ყოფით ვიცხოვრე
ღმერთსაც არწივად ვბარდები!“
და მოკვდა ბერი არწივი,
საკუთარ სისხლში ნაღები,
ზედ ესხა, როგორც ხმალ—შუბი,
დამცვდარი ნისკარტ—ჭანგები.

დარეჯან ლომთაძე

სხვა ღამე

ამოდის ისევ და მზე არყევს ჩემს ძველ სამეფოს
განათებული ღამეების ძვირფას საძვალეს
და უხილველი უსასრულოს ოდეს განეყოს
წავალ და მსხვერპლად მივერთმევი სადმე სხვა ძალებს

გამძვრება ჩრდილი და უჩრდილო სხეულს მივიტან
სხვა ხილვებში და სხვა სინათლეში
სისხლი გაუშრათ და ღრუბლები არ დასტირიან
და წამწამებზე გაუქვავდათ მნათობის ლეში

დავტოვებ მიწას და დავტოვებ მე ჩემს სიყვარულს
დამრჩება ყვითელ ჭაობებში ყველა ბაყაყი
გადავეჩვევი ზვირთებს ზღვათა, ხმელზე სიარულს
და ცას გავცდები თავმდაბალი, მაგრამ ამაყი

მე არ ამოვჭრი შენს თვალებში მარტებს და აპრილს
და განვეყოფი უცხოსა და უხუცეს გურუს
  არსად წავიღებ დედამიწის ცრემლსა და მარილს
და შევეხლები სხვა ღამეს და სხვა გადახურულს

აღარ გადავშლი გარდახდენილ დღეთა ტაბულებს
და არ გადავრთავ მათ სიხშირეს ახალ რხევებზე
გადიან ჩემი მიწიერი ნავსადგურიდან
და მწვერვალები იწევიან ფეხისწვერებზე

გადადგეს შორით შორეული უდაბნოები
მზერის თაროზე დადებული ნაცნობი ხედი
გემშვიდობებით სამუდამოდ, არა დროებით
ზეთისხილის რტოს მსურს შევაჭრა კვირტივით მტრედი

და „მტრედისფერი“ კვდება ცაზე, ღამე შესრულდა
ჩამოსწყდა სმენას ყრუ კივილი და ყურს საყურე
შავ ხელებს იბანს ბერი ვინმე (თითქოს ეს სურდა)
უღიმის მიწას, მერე ისევ ზეცას აჰყურებს

იღება მქრალად – განიხვნება – და უჩუმესად
წმინდა წიაღში იფოთლება უფერო ფითრი
არტერიათა წყვეტილი თუ უწყვეტი მესსა
და ღმერთად ქცევის ჰიპოთეზა და ჩანაფიქრი

აქ სხვა ღამეა ო, პირ-უცხო და სასურველი
და თრთის (ობობა თითქოს ლამბავს ან ქსელს აკერებს)
ჩვენი უენო და უცნობი ორეულები
არ შემსხვრევიან ვითომ სადღაც სიზმრის სარკეებს

ვით ბიენალეს მიჩვენებენ ზეცისკენ წყეულს
რაღაც ცალსახა და უთქმელი ედრება მაცილს
და იდუმალში ჩალაგებულ ფიზიკურ სხეულთ
ვითვლი და მიმაქვს ჩუმი ლოცვა სიტყვათგან გაცლილს

მივექანები, ამსოფლიურ ღამეს დავტოვებ
(აღწერილია მისი მთვარე ყველა დეტალით)
აღარ მაშინებს უთქვენობა და სიმარტოვე
და საიდუმლოს წამოანთხევს ტრანსცენდენტალი

30. IX. 2009 წ.

მხატვარი: მარისიანი

* * *

ვინ შემოვიდა
აქ ვინ შემოდგა ფეხი
და ვინ დაამხო ლურჯი საუფლო ტყეთა
ჩუმი უენო ცრემლით ივსება ეხი
და სააქაო მზეში მოცურდა ლეთა
აქა ვინ მოვიდა
ვინ გახდა ჩემი ფარდი
და ვის შევყურებ სულის მთოშავს და მთიშველს
აღმართა ხელი და ჩაქრა შარავანდი
გადასძვრათ შარმი და იდგნენ მთები შიშველ
ვინ გაისროლა
ძირს ჩამოვარდა ექო
იღება კარი – ჩუმი სამეფო მკვდრეთის
წავიდა ძერა გადააფრინდა ბექობს
ჩამოითვალა წვიმის ყოველი წვეთი
მიმზერს ქრონოსი და დრო გასმული ძელით
ხენი მიწვდიან ცივსა და ტიტველ მკლავებს
ყურში ჩამესმის რაღაც ნაცნობი, ძველი:
„ჩემო ძვირფასო, კარგად იყავი, მკლავენ“...
ვდგავარ ნაპირზე ამწვანებული შლამის
მოხსნეს ნახატი და ზვირთი სცდება ჩარჩოს
დუმილით სავსე მდუმარებისგან მშრალი
გამოდის ნაპირს და მდუმარებით ახრჩობს
რა სიმშვიდეა. დგანან ხეები შიშველ
და რა შორსაა ელვა სამოთხის ვაშლის
ვდუმვარ, ვივიწყებ იეროგლიფთა ნიშნებს
და ვისმენ მესას ბამბის ყვავილით წაშლილს.

ამორძალი

ზაფხულს ვით დაარქმევს ხველას ჯოჯოხეთის
თუ ყვავილის სენი მოერია მიწას
თუ მზე იტანჯება დროის მეფურ ფერხთით
და სივრცეში ქრება საუკუნოდ იმწამს
მწვანედ დაწყლულებულ მიწას კვირტი სტკივა
სისხლით აფერადდა იარები ხეთა
ეშმა აყურადებს ღმერთის ღვთიურ სიტყვას
და სამოთხის ბაღიც იწვის ჯოჯოხეთად
სად პარიზის ტევრებს და ელისეს მინდვრებს
წყევლით გადმოჰყურებს ლანდი მამა კლოდის
ვიღას ააღელვებს აღსასრული მზისებრ
ამაყ საფლავებზე მარმარილოს ლოდი?
ანდა ამორძალთა დაუნჯებულ ხილვებს
ბრძოლის ველურ ჟინით გახელებულ ვნებას

დააოკებს ვინმე? თუ სამყაროს კიდეს
დიდი ისქანდერი უსამშობლოდ კვდება!
ძაძა, ძაძა მძიმე, დალალები ბნელი
გლოვის ზარი რეკს და გუმბათები თრთიან
ველი დაზამთრებას ვით გაზაფხულს ველი
ეშმას ლიუციფერს თვით ანგელოსს ფრთიანს
ო ჩემს ველურ ყივილს მზედამღვრეულ ფიქრებს
გამოაწრთობს სისხლი ცხელ მახვილთა ლავა
მე ვარ ამორძალი ბრძოლის ველზე ვილხენ
სად ქალური წლები ვაჟკაცურად წავა
მე ვარ ამორძალი და პარიზის ტევრში
წყევლით გადმომყურებს ციდან მამა კლოდი
გადმომყურებს წყევლით ჩრდილთა სიმკრთალეში
ძუძუდ აღმართული მარმარილოს ლოდი

მარიამ ტოხიშვილი

ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი

31 დეკემბრის სუსხიანი საღამო იყო. ყველას სახლისაკენ მიეჩქარებოდა დატვირთული ხელებითა და გადაღლილი სახეებით - თან დაჰქონდა ბნელ კუნჭულში მიმალული, მძიმე სამუშაო დღეებით, ცუდი უფროსებით, ცხოვრებისეული პრობლემებით ან სულაც უამინდობით ჩიხში მოქცეული სითბო და სათნოება (გადამალული ,,კარგი დღეებისთვის" ან საყვარელი ადამიანებისთვის).

მეტროს ვაგონები ხალხით შეივსო. საბოლოოდ პატარა გოგონასთვის, რომელსაც მგზავრები „მაგვიანდება"-ს ძახილით ხელს კრავდნენ და გვერდით წევდნენ, ადგილი აღარ დარჩა; თუმცა არც ეს ჩაუდია გულში; იმ წყენებს მიამატა, ერთად რომ უყრიდა თავს და მერე ცრემლებს ატანდა ან წვიმის შხაპუნა წვეთებს უამბობდა, ან სულაც ნიავს, მის აივანს საღამოობით რომ სტუმრობდა ხოლმე...

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, არაფრით გამორჩეული, სადად ჩაცმული, თითქმის შეუმჩნეველი... მაგრამ თვალები?! - საკმარისი იყო მათი ციმციმისთვის ვინმეს შეესწრო მზერა და... ირგვლივ ყველაფერი ფერს იღებდა , იცვლებოდა...

მაგრამ მხოლოდ „სულის სარკეში" ჩამდგარი უჩვეულო შუქით კი არ გამოირჩეოდა თავისი და-ძმებისა და გარშემომყოფებისგან, არამედ სიკეთის კეთების სურვილით, სულით, ხასიათითა და ადამიანობით; დააბიჯებდა იმავე ქუჩებში, სადაც სხვები დადიოდნენ; ჭამდა იმასვე, რასაც სხვები მიირთმევდნენ; სვამდა იმასვე, რითიც სხვები იკლავდნენ წყურვილს; სუნთქავდა იმავე ჰაერს, რომლითაც სხვები ივსებდნენ ფილტვებს, მაგრამ ის მაინც განსაკუთრებული იყო, ამიტომაც მეგობრების პოვნა უჭირდა - ვერსად ნახულობდა საპასუხო უანგარო სიყვარულსა და ერთგულებას...

ყველაფრის მიუხედავად საზოგადოების მიმართ კეთილგანწყობილი იყო; ყოველთვის ახერხებდა ადამიანებისთვის იმედის ნაპერწკალი გაეღვივა, მაგრამ მისთვის იმავეს არავინ ცდილობდა.

ხალხი საკუთარი ,,მე"-თი იყო შეპყრობილი და შთაგონებული;

ხალხს მხოლოდ აწმყო ადარდებდა;

ხალხს ერთმანეთის შურდა;

ხალხი სამყაროს უარესობისკენ შეცვლით იყო დაკავებული;

ხალხი სხვაზე არ ფიქრობდა და აბა მის არსებობას ვინღა შეამჩნევდა?!

სხივჩამდგარ თვალებს კი ყველასი სჯეროდა. შეიძლება ითქვას, სამყაროს გასანათებლად მოვლენილი ანგელოზი იყო, რომელიც დედამიწის ერთი პატარა ნაწილის გასათბობად გამოგზავნეს, თუმცა მისი სითბო და სინათლე ჯერ არავის სჭრიდა თვალს...

მეორე მატარებლის მომლოდინე ცოტა აღმოჩნდა და იქ მაინც მოახერხა შესვლა. მშობლებთან და და-ძმასთან მიეჩქარებოდა საჩუქრებით ხელში.

მიმოიხედა; აღმოჩნდა, რომ მის გარდა ყველა სკამზე იჯდა და ის მზერა, გაჩერებიდან გაჩერებამდე უაზროდ თვალების ცეცებაში რომ გამოიხატება ხოლმე, თითქმის ყველა მგზავრს მისთვის მიეპყრო... სახტად დარჩა! - არ იყო ჩვეული ყურადღების ცენტრში ყოფნას და უხერხულობა იგრძნო; თავი მორცხვად დახარა; ლოყები დაისისფრად აუკიაფდა; ცოტა დაიბნა კიდეც, მაგრამ წამში გამოერკვა და ერთმა აზრმა გაუნათა გონება - ესარგებლა შემთხვევით და იქნებ...

თავი ასწია, იგრძნო რაღაც კარგის გაკეთება რომ შეეძლო, ხოდა არც აცია, არც აცხელა და გაიღიმა! თვალები ჩვეულად აუციმციმდა საპასუხო ემოციის მოლოდინში...

ჯერ ერთ მგზავრს გაუსწორა მზერა (ცოტაოდენ უარყოფის შიშს თავისებურად მაინც დაენამა სადღაც გულის სიღრმე, მაგრამ ესეც დაძლია),

სახე გაბადრა და უხილავ ძაფებს გულიდან ამოყოლილი სითბო, სინათლე და სიკეთე გაატანა... პასუხად ჯერ გაკვირვებული სახე მიიღო, ალბათ წამიერი ფიქრიც - ,, ნეტავ ვინ არის? რატომ მიღიმის? ნაცნობი ხომ არაა ვინმე? არამგონია, არავის გავს, მოდი მეც გავუღიმებ" - და პირველმა მგზავრმა ,,ვალი დაუბრუნა" თავიდან ნაძალადევად, შემდეგ კი თვალების ციმციმიც ,,გადაედო" და სახე გაუბრწყინდა... როგორ უხდებოდა ნაოჭებით დაფარულ, წამის წინ მოღუშულ სახეს ღიმილი, რომელიც პირბადეშიც ნათლად ჩანდა და იგრძნობოდა...

მერე მეორე მგზავრი;

მესამე;

მეოთხე;

მეხუთე...

განა რამდენი წუთი სჭირდება გაჩერებიდან გაჩერებამდე მგზავრობას? ერთი თუ ორი? და აი სწორედ ამ დროში ვაგონის უდიდესი ნაწილი ბედნიერმა სახეებმა მოიცვა...

ასეთი კმაყოფილი (და ცოტა ამაყიც კი) ცხოვრებაში არასდროს ყოფილა ამ იდეის პატარა ავტორი, ახალი წლის ღამეს უფერული, სევდით დატვირთული ვაგონი ფერადი და სასიამოვნო რომ გახადა.

ჩასვლამდე მხოლოდ ეს ,,უანდერძა" სასიამოვნოდ გაკვირვებულ საზოგადოებას - ,, ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი - ეს ხომ უფასოა!" და სახლისკენ გაემართა ახალი წლის შესახვედრად სახემცინარი.

სულ რამდენიმე დღე დასჭირდა თბილ, გულითად, გადამდებ ღიმილს რომ ყველა ქუჩა მოეცვა და მათ სახლამდეც მიეღწია...

პატარა გოგონამ წიგნის კითხვას დაანება თავი და მეგობრებისგან სახლში დაბრუნებულ მშობლებს შეეგება. სწორედ მათგან გაიგო, და-ძმასთან ერთად, რომ ქალაქს მოედო ამბავი, რომელიც ზღაპარს უფრო გავდა, ვიდრე რეალობას - თურმე მისი ასაკის გოგომ ხალხს ღიმილი აჩუქა მგონი მეტროში, თუ სწორად გაიგეს, თუ სადღაც ავტობუსში... მაგრამ მითი იყო თუ რეალობა, არავინ იცოდა, მთავარი ის გახლდათ, რომ გარეთ ყველას ბედნიერება დასთამაშებდა სახეებზე! - მონათხრობი მართლაც რომ ზღაპარს გავდა ყველასთვის, ამბის ავტორის გარდა...

გულგამთბარ პატარა გოგონას კიდევ ერთხელ გაუნათდა სახე, ჩაჯდა სავარძელში ნაძვის ხის გვერდით და განაგრძო წიგნის კითხვა , რომელსაც ,,საახალწლო სასწაული" ერქვა...

შეშლილი სკვითელის და განდეგილი მამეგის ლექსიკონი

მედგარ ჭელიძე

ლექსის კომპოზიციური სტრუქტურის განხილვისას, ადრე[7], ჩვენ მივუთითეთ, რომ "სავანის" ტექსტის ქრონოლოგიური ორგანიზაციის თავისებურება და ხედვის წერტილის გაორება, ქმნის ლირიკული სუბიექტის ახალგაზრდობისა და მოწიფულობის ხანის პოზიციებიდან დანახული სურათების "ზედდების" ეფექტს. ლექსის ცალკეული ფრაგმენტები იკითხება ერთდროულად, როგორც მოწიფული სუბიექტის რეფლექსია და ასევე, როგორც მის მიერ გახსენებული, ახალგაზრდობის დროინდელი განცდები. სუბიექტის ბიოგრაფიის ახალგაზრდულ პერიოდს, შეესაბამება ცნობიერება, რომელიც პირობითად, აღვნიშნეთ, როგორც "რომანტიკული", ხოლო მოწიფულობის ხანას, მისი ცხოვრების "შემოდგომას" - "კლასიკური". შესაბამისად, ლექსის ცალკეული ეპიზოდების იკითხებოდეს ორ განსხვავებულ ("რომანტიკულ" და "კლასიკურ") დისკურსში, თითოეული ამ თვალთახედვისათვის სპეციფიკური კონტექსტებისა და კოდის გამოყენებით. შეშლილი სკვითელის და განდეგილი მამების ლექსიკონები განსხვავებულია: ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა კონოტაციებია აქტუალური თითოეული ამ ლექსიკონისათვის. ერთი და იგივე რთული ტროპები და სიმბოლური კომპლექსები, სრულიად სახვადასხვა შინაარსის კოდირებას ემსახურება განსხვავებულ დისკურსებში. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ლექსის ცალკეული ფრაგმენტის სხვადასხვანაირად (შეშლილი სკვითელის ან მოწიფული პოეტის პოზიციიდან) წაკითხვის შესაძლებლობას, უფრო სწორედ კი - აუცილებლობას. აქ დროა დავაზუსტოთ, რომ სინამდვილეში, აქტუალური კოდის განმსაზღვრელი დისკურსი არა ორია, არამედ სამი, რაც შეესაბამება განსახილველი ტექსტის სტრუქტურას, რომელიც კლასიკური დიალექტიკური ტრიადის ნიშნებს ამჟღავნებს. როგორც გვახსოვს, ლექსში შეკუმშული სახით მოცემული „ფაუსტური პარადიგმის" ნარატიული ჩონჩხი, შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც დაკარგული ედემის და ახალი ედემის ძიების პირველმითი. ამ უზოგადესი, უნივერსალური ნარატივის დიალექტიკა შემდეგი სახით წარმოჩნდება: "თეზისი" (ედემი: იდილიური ცნობიერება; სამყაროს უტოპიური, რომანტიკული მოდელები) — "ანტითეზისი" (ედემის დაკარგვა: იდილიური ცნობიერების რღევა; რელიგიის კრიზისი; რომანტიკული ამბოხი; აქტუალიზაცია დაწყევლილი, მარადიული კითხვების სამყაროს არსზე და ადამიანის ადგილზე ამ სამყაროში) და - "სინთეზი" (რეალობასთან ადაპტაციის ახალი სტრატეგიის გამომუშავება, მახინჯ რეალობაში პოზიტიური სულერი საყრდენის პოვნა). "თეზისი" მთლიანად და მეტწილად, "ანტითეზისიც" (ყოველ შემთხვევაში, ნეგატივიზმის ყველაზე რადიკალური გამოვლინებანი) სუბიექტის ახალგაზრდობის ("შეშლილობის") პერიოდს შეესაბამება და თავის ერთობლიობაში ქმნის დისკურსს, რომელიც ადრე, "რომანტიკულად" მოვიხსენიეთ. "სინთეზი" — მოწიფულობის ხანის ცნობიერებას და "კლასიკურ" დისკურსს მოიცავს. მთლიანობაში, დიალექტიკური ტრიადა - "თეზისი", "ანტითეზისი" და "სინთეზი" — წარმოაჩენს ცნობიერებისა და მსოფლშეგრძნების სამ განსხვავებულ მოდელს. სწორედ ეს, კულტურულ არქეტიპებად ჩამოყალიბებული და დამაგრებული სამი მოდელი, - ერთიანი, დიალექტიკური მეტამოდელის

7 მკითხველის ყურადღებისათვის წარმოდგენილი ეს წერილი, წარმოადგენს ფრაგმენტს ავტორის ჯერ არ გამოქვეყნებული წიგნიდან „შემოდგომა უმანკო ჩასახვის მამათა სავანეში". ადრე გამოქვეყნებული იყო წიგნის პირველი თავები Draft-ის სტატუსით: Chelidze, M. (2020). „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში". Draft. (Academia.edu: file:///C:/Users/USER/Downloads/63859181.pdf). წინამდებარე წერილში (წიგნის ამ ახალ თავში) გვხვდება მითითებები წიგნის ადრეულ თავებზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ხელისშემშლელი ტექსტის შინაარსის გაგებაში. ვფიქრობთ, წერილში განხილული საკითხები და თანმხლები მასალები საინტერესო უნდა იყოს ჟურნალის მკითხველისათვის.

მდგენელები, ქმნის ტექსტის გაგებისათვის აქტუალურ დისკურსებს.

ნარკვევის ამ თავში ჩვენ მიზნად ვისახავთ, აქტუალური დისკურსების გათვალისწინებით, გავაანალიზოთ ლექსის ძირითადი, მრავალმნიშვნელოვანი ტროპები და სიმბოლური კომპლექსები - "სავანე"; "განდეგილი მამები"; "უმანკო ჩასახვა" - რაც, საშუალებას მოგვცემს მოგვიანებით, ცალკეული ნარატიული მდგენელების განხილვისას — თავიდან ავირიდოთ ერთი და იგივე ტექსტური ფრაგმენტის სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოწვეული გაუგებრობა. სანამ ტექსტის სისტემატურ ანალიზზე გადავიდოდეთ, გვეჩვენება, რომ უპრიანი იქნება შემოთავაზებული სტრატეგიის ეფექტურობის ილუსტრირება წინარე გამოცდილებისა, სხვა ავტორების ნაშრომების მაგალითზე. განსახილველი ლექსის ცალკეული ფრაგმენტების, კერძოდ კი - "სავანეში წვევის" ეპიზოდის, არაერთმნიშვნელოვანი წაკითხვის მაგალითს ვხვდებით უკვე თ.დოიაშვილთან, ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენებ ნარკვევში (დოიაშვილი 2003: 41 - 61). საინტერესო იქნება შევადაროთ თ.დოიაშვილის მიერ შემოთავაზებული არატრივიალური ინტერპრეტაცია, იმავე ტექსტის უფრო სწორხაზოვანი წაკითხვის ნიმუშებს, კერძოდ, ზ.შათირიშვილის ვერსიას (შათირიშვილი 2004:37 - 51). ზ.შათირიშვილის თანახმად, "სავანეში წვევის" სიუჟეტი "სულიერი ძიების" ნარატივის მდგენელია - საერო ცხოვრებიდან, არისტოკრატული ფუფუნებიდან განდგომის და საეკლესიო ცხოვრების დაწყების მეტასიუჟეტი. სიუჟეტი შემდგომ განვითარებას პოვებს, როგორც დაუცველი, ასკეტური რელიგიური სივრციდან (სავანე I) — დაცულ, მყუდრო, მშვიდ სივრცეში გადანაცვლება (აქ - "მდუმარე საკანი", იგივეა რაც სავანის შიდა სივრცე, - სავანე II), სადაც ასკეზას ანაცვლებს ზომიერი, პოზიტიური "ღელვა". ამ ინტერპრეტაციაში არ იგულისხმება რელიგიური გზის სრული უარყოფა, პირიქით, ეს თემა საერთოდ იგნორირებულია და "უარყოფის" ნარატივი საერო ცხოვრებით, ლირიკული გმირის ბიოგრაფიის "სავანეში წვევამდე" მონაკვეთით შემოიფარგლება. ამავე დროს, კონტექსტუალურად ამოიკითხება ეკლესიური ცხოვრების ფორმების, - კანონიკური, ასკეტური პრაქტიკის უკმარისობა და მისი შევსება უფრო ინტიმური და ინდივიდუალური ხასიათის სულიერი ძიებით, რომელიც ხორციელდება მონასტრის განმარტოებულ სენაკში ("მდუმარე საკანი"). "ზომიერი ღელვის" არსი შათირიშვილთან არ არის განმარტებული, მაგრამ ლექსის შინაარსის და ზოგადკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ეს "ღელვა" (ან, "ზმანებამტკივანი" სუბიექტის ლოცვა[8]), უნდა გულისხმობდეს შეუწყვეტელ სულიერ ძალისხმევას - ადამიანის არსებობის მარადიულ საკითხებზე მტკივნეულ ფიქრს, ამ ფიქრით გამსჭვალულ პოეტურ შემოქმედებას და შესაძლოა, ეზოტერულ ძიებებსაც ("ამ სახის ლოცვას"), რაც ახალი შინაარსით ავსებს მონასტერს თავშეფარებული განდეგილის ასკეტურ ცხოვრებას. "ზმანებამტკივანი მგოსნის" ხატი თანხმიერია ასეთი ზოგადი ხედვისაც და უფრო კონკრეტულ მეტასიუჟეტებსაც გვახსენებს. კერძოდ, ზ.შათირიშვილის მიერვე გამოვლენილი არის პარალელები განსახილველ ლექსსა და "არტისტული ყვავილების" წრის სხვა ტექსტებში გაშლილ "რუსთველურ ნარატივს" შორის - ლექსები "დრო", "აუზისაგან", "ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის"[9] (შათირიშვილი 2004:48 - 51). ზ.შათირიშვილის ინტერპრეტაციაში, "სავანეში წვევის" და იქ მოღვაწეობის სიუჟეტი მთლიანად "სინთეზის" დისკურსში იშლება და ერთგვარად ითავსებს ბერად აღკვეცილი სუბიექტის რელიგიური ცხოვრების და ინდივიდუალური სულიერი ძიების შინაარსს. ლირიკული სუბიექტის სავანეში წვევის ეპიზოდი წაკითხული არის, როგორც ცალსახად "სინთეზის" მდგენელი ნარატივი და იგნორირებულია სხვა - თეზისის ან ანტითეზისის შესაბამისი ინტერპრეტაციები.

შინაარსობრივად უფრო მრავალწახნაგოვანი აღწერა მოცემულია თ.დოიაშვილის ნარკვევში. აქ, თავისი ცხოვრების შემოდგომის ჟამს — "ლირიკული გმირი სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად მიაშურებს განდეგილ მამათა სავანეს, ეკლესიას, მაგრამ ეს უკვე უღმერთოდ დატოვებული, ყველასაგან მიტოვებული უფლის სახლია... ღვთაებრივ სივრცეში შავი თოვლივით ეშვება ჭვარტლი და ბურუსი... სამრეკლოს ჯვარი ყვავებს გადაუშვებიათ, ქარი, გრიგალი და ზარების გრგვინვა ანგრევს სამრეკლოს"... მოყვანილი ციტატით თუ ვიმსჯელებთ, თ.დოიაშვილის ინტერპრეტაციით, "სავანეში წვევის" სიუჟეტი "ანტითეზისის" შესაბამისია და რელიგიური გზის უარყოფას და სულიერი კრიზისის გაღრმავებას გვამცნობს. ამის შემდგომ, თ.დოიაშვილის მიერ მოცემულია სინთეზის შინაარსის გახსნაც: „სასახლეს და ეკლესიას გარიდებული ლირიკული სუბიექტი "მდუმარე საკანს" მიაშურებს. მღელვარე საგნებს და უკუნ ღამეს ცეცხლის მფარველი გუგუნი ენაცვლება... მფარველი გუგუნის მსგავსად, "უმანკო ჩასახებაც" შემოქმედებით აქტს — სულიწმინდის შთაგონებით მაღალი პოეზიის შექმნას უკავშირდება". ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თ. დოიაშვილიც "სავანის" სივრცის ცალსახა ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ოღონდ განსხვავებით შათირიშვილის სქემისაგან, ამ შემთხვევაში, "სავანე", როგორც ტოპოლოგიური სიმბოლო, ანტითეზისის ძირითადი შინაარსის — რელიგიური კრიზისის გადმოცემას ემსახურება. სინამდვილეში, თ.დოიაშვილის მიერ წარმოდგენილი სრული სურათი უფრო რთულია და მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ექსპლიციტურად არ განუცხადებია ამის შესახებ, ის გვთავაზობს "სავანის" ტოპოსის ორ განსხვავებულ ხედვას — ანტითეზისის და სინთეზის პოზიციებიდან. რელიგიური კრიზისის თემა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, "ანტითეზისის" პოზიციას შეესაბამება. რაც შეეხება "სინთეზის" შესაბამის ხედვას: გვახსოვს, რომ თ.დოიაშვილის ინტერპრეტაციით, "უმანკო ჩასახება" — შემოქმედებაზე, პოეტური ტექსტის დაბადებაზე მიგვანიშნებს, ხოლო "განდეგილი მამების" სახე — პოეტის წინაპრებს, მის სულიერ "მამებს" გვახსენებს — აწ გარდაცვლილ დიდ პოეტებს, რომლებიც ამა სოფლის ამაოებას გარიდებულნი, განდეგილობაში, ქმნიდნენ ეპოქალური მნიშვნელობის პოეტურ წიგნებს (დოიაშვილი 2003: 41 - 61). მაგრამ "უმანკო ჩასახების" მცნება ტექსტში ხომ სწორედ "სავანის" ტოპოსს უკავშირდება და "განდეგილი მამებიც" სწორედ "უმანკო ჩასახვის სავანეში" მოღვაწეობენ. გამოდის, რომ სულიერი წონასწორობის მოპოვება ხდება სწორედ იმ სივრცეში, რომელიც რელიგიურ იმედგაცრუებასთან და უსაშველობის განცდასთან ასოცირდება? რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა მოგვეჩვენოს, ასეთი სცენარი სულაც არ არის არარელევანტური: "მდუმარე საკანი" შეიძლება დავინახოთ, როგორც მონასტრის ერთიან სივრცეში არსებული ლოკალური ტოპოსი - განდეგილი ბერის ცალკე ოთახი, სენაკი. "სინთეზის" პოზიციიდან, სულიერი საყრდენის მოპოვება შეიძლება ხორციელდებოდეს ფორმალურად რელიგიურ ტოპოსშიც (მონასტერში), მიუხედავად იმისა, რომ შვების მომტანი სულიერი პრაქტიკის არსი (შემოქმედება, მისტიკური ძიებანი) შეიძლება არც იყოს თანმხვედრი კანონიკური რელიგიური შინაარსის (აქ ისევ რუსთაველის მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ). მაგრამ საქმე კიდევ უფრო რთულადაა: ჩვენ შევთანხმდით, რომ "მდუმარე საკანი" შეიძლება იყოს "სავანის" უფრო ვრცელი სივრცის ნაწილი, მაგრამ ვინ თქვა, რომ თავად "სავანე", „სინთეზის" დისკურსშიც (ხანში შესული პოეტის გადმოსახედიდანაც) უცილობლად "მონასტრის", რელიგიური სივრცის მნიშვნელობას ინარჩუნებს? აქ სიტყვა "სავანის" სულ სხვა კონოტაციებიც შეიძლება აქტუალური გახდეს (მაგ. სამყოფელი, ბინა, სულიერი სიმშვიდის სივრცე), და "მდუმარე საკნის" და "სავანის" ტოპოსები პირდაპირი მნიშვნელობითაც უახლოვდება ერთმანეთს: ორივე შემთხვევაში იკვეთება სოფლის ამაო ღელვას გარიდებული, მყუდრო თავშესაფარი, სადაც ლირიკულ სუბიექტს შეუძლია განმარტოვდეს (განდეგილ მამებს დაემსგავსოს) და მტკივნეულ ფიქრებსა და ზმანებებს მიეცეს. მტკივნეული ფიქრები და ზმანებები - ვნებათაღელვაზე, ამა სოფლი ამაო დრტვინვაზე ამაღლებული სულის

8 სინამდვილეში, "ღელვის" მოტივი არასწორად არის ინტერპრეტირებული ზ.შათირიშვილის მიერ: "ღელვაა საგანი" — მიწიერი ყოფიერების ამაობის გამოხატველი სახეა და არა იმ სულიერი პრაქტიკის, რაც "ზომიერ პათოსს" შეესაბამება. ამ უკანასკნელის შესაბამისი გალაკტიონის ტექსტში არის — "ამნაირი ლოცვა" და არა "ღელვა"

9 აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს "ვეფხისტყაოსანის" შექმნასთან დაკავშირებული მწირი ისტორიული ფაქტებიც და აპოკრიფული მითოლოგიაც: შორეულ პალესტინაში გადახვეწის და ბერად აღკვეცის ამბავი, თამარის დაკვეთით ეპოქალური წიგნის დასრულებისა და სამეფო კარზე მისი ძღვნად გაგზავნის სიუჟეტი, ნეოპლატონური და შესაძლოა, სუფიური იდეებით და პრაქტიკით გატაცება და ა.შ.

სწრაფვას გამოხატავს ჭეშმარიტებისა და სულიერებისაკენ და ეს სწრაფვა, სულიერ ხილვებსა და ზმანებებს ზიარება, შეიძლება აღინიშნოს, როგორც "უმანკო ჩასახება". ამრიგად, თ.დოიაშვილის ინტერპრეტაცია უკვე გვიჩვენებს მაგალითს იმისა, თუ როგორი განსხვავებული შინაარსი შეიძლება ამოვიკითხოთ, - როგორი განსხვავებული მნიშვნელობები შეიძლება შეიძინოს ცალკეულმა ტექსტურმა რეალიებმა, სხვადასხვა დისკურსში ნაკითხვისას. "სავანე" ანტითეზისის ფარგლებში "მონასტრად" წარმოჩნდება, ნეგატიური კონოტაციის მატარებელია და რელიგიური კრიზისის იდეის გადმოცემას ემსახურება, ხოლო "სინთეზის" კონტექსტში, "სავანე" — სოფლის ამაო ღელვას გარიდების, შემოქმედების და სულიერ ძიებათა სივრცეა (რაც შეიძლება მონასტერიც იყოს და არარელიგიური შინაარსის სამყოფელიც).

შემოთავაზებული მიდგომის ეფექტურობის ამ კერძო მაგალითზე ილუსტრირების შემდეგ, შევეცდებით სისტემატური ხასიათი მივცეთ სიმბოლური კოდის "დისკურსიულ ანალიზს". დაწყებული მსჯელობა გავაგრძელოთ ისევ "განდგილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანის" სახის ანალიზით. ზემოთ, ჩვენ ნაწილობრივ ვაჩვენეთ, თუ როგორ „ლაგდება" და პოულობს თავის ადგილს აქტუალური დისკურსების ქარგაზე, ამ რთული სიმბოლური კომპლექსის - სხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი ინტერპრეტაცები. ვნახოთ, თუ რა ახალი ინტერპრეტაციებით, რა დამატებითი დეტალებით და ლიტერატურული ასოციაციებით მდიდრდება სურათი, ტექსტის "რომანტიკულ" და "კლასიკურ" დისკურსში წაკითხვის შედეგად. დასაწყისისთვის, გავიხსენოთ: სიტყვა "სავანე" გამოირჩევა თავისი მრავალმნიშვნელოვანებით და ქართული ენის ლექსიკონში მას "მონასტრის" გარდა, შეესაბამება საკმაოდ განსხვავებული შინაარსის სხვა მნიშვნელობები. საეკლესიო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, "სავანეს" სინონიმებია: უდაბნო, სამყოფელი, მონასტერი, ბერთა სადგომი და სალოცავი. საერო მეტყველებაში ამ სიტყვით აღინიშნება — ბინა, სამყოფელი, მამული, თავშესაფარი, სახიზნავი, ხანდაზმულთა და დავრდომილთა თავშესაფარი, გარდაცვლილთა სამარადჟამო განსვენების ადგილი, სასაფლაო. გალაკტიონის ინდივიდუალურ ლექსიკონში ვხვდებით სიტყვა "სავანის" გამოყენებას თითქმის ყველა ზემოთჩამოთვლილი მნიშვნელობით:

- მონასტერი ("შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში", "მშვიდობის წიგნი, ...)
- მამული, სამყოფელი, საცხოვრებელი ("კოშკის ძველი გალავანი/ წინაპართა ჩვენთა ხვედრი/ მათი მიწა და სავანე"; ლექსი "იქით ნუში, აქეთ ნუში"/ ტაბიძე 2016ბ: 148; "თქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით:პიმოდანი."ლექსი"გოტიეს",1920;ტომი2,გვ.35);
- სასაფლაო, გარდაცვლილთა განსვენების ადგილი ("მკვდართა სამყოფ სავანეს": ლექსი "ქალწული"; ტაბიძე 2016გ: 282. ;/ "მათი მყუდრო სავანე ახლა პერ-ლაშეზია"; ლექსი "მოდის"/; ტაბიძე 2016 ტ 5: 178; / "კოშკის ძველი გალავანი, წინაპართა ჩვენთა ხვედრი, მათი მიწა და სავანე"; ლექსი "იქით ნუში, აქეთ ნუში"/ ტაბიძე 2016ბ: 148;).

"სავანის"-ს სახის ანალიზისას, ზ. შათირიშვილის ინტერპრეტაციაში აქტუალიზებული არის "მონასტრის" მნიშვნელობა[10] და პრევალირებს ასეთი გაგება თ. დოიაშვილთანაც: სავანე — მონასტერია, ასკეტური, რელიგიური ცხოვრების სივრცე; ასეთ ხედვას ნამდვილად აქვს საფუძველი, თუმცა, უკვე თ. დოიაშვილის ნარკვევის ანალიზისას გამოჩნდა, რომ აქტუალური შეიძლება იყოს სიტყვა "სავანით" აღნიშნული სხვა მნიშვნელობებიც — ბინა, სამყოფელი. ქვემოთ ვნახავთ, რომ აქტუალური შეიძლება იყოს "სავანის" სხვა კონოტაციებიც, ზემოთ მოყვანილი რიგიდან, კერძოდ, - ხანდაზმულთა ან ავადმყოფთა სავანე ან სულაც, - სასაფლაო. ძნელი მისახვედრი არაა, რომ სიტყვა "სავანის" ეს უკანასკნელი კონოტაციები და საერთოდ, სიბერის და სიკვდილის თემები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს რომანტიკული "ანტითეზისისათვის". ჩვენც, დავარღვიოთ ლოგიკური თანამიმდევრობა და ანალიზი დავიწყოთ არა "თეზისით"[11], არამედ - სწორედ "ანტითეზისით" და სიბერე/ სიკვდილის თემებით.

ანტითეზისი: რომანტიკული დისკურსი

ადრე, ლექსის კომპოზიციური სტრუქტურის და კერძოდ, ძირითადი ქრონოტოპოსების განხილვისას, უკვე აღვნიშნეთ, რომ "განდგილ მამათა უმანკო ჩასახების სავანე" ტერმინალური ტოპოსია — სივრცე, რომელშიც სუბიექტი დაასრულებს თავისი ცხოვრების გზას (აქ "დაათოვს მას შავი თოვლივით ჭვარტლი და ბურუსი თავანის"). არავითარ სხვა სივრცეში გადანაცვლება "სავანიდან" არ ხდება. "რომანტიკულ" დისკურსში, "სავანის" ეპიზოდი - გარდაუვალი აღსასრულის წარმოსახულ სურათს წარმოგვიჩენს[12]. ანტითეზისის შესაბამის "სამყაროს სურათში," სიკვდილი და სიბერე (ეს უკანასკნელი - გალაკტიონისთვის "სპლინის" სინონიმიც არის), ყოფიერების ტრაგიზმის განმსაზღვრელი ფაქტორებია, დაუძლეველი და გადაულახავი ("ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის"). "წარმავალობის დრამით" შეძრული, უსაშველობის განცდით სასოწარკვეთილი ახალგაზრდა პოეტის ცნობიერებაში, "სავანე", უწინარესად — სიბერისა და სიკვდილის სივრცეა, - რაციონალურად გაცნობიერებული და წარმოსახვით ვიზუალიზირებული, გარდაუვალი ფინალი მიწიერი ყოფიერების. ანუ "შემოდგომა სავანეში", როგორც ქრონოტოპოსი — სიბერე/სიკვდილის ტოპოლოგიური სიმბოლოს ფუნქციას ასრულებს. სიბერის, სულიერ ძალთაგან დაშრეტის და ფიზიკური და სულიერი დაძაბუნების ერთიანი, პანორამული სურათის დეტალებია - "მხურვალე ვნებების გავლაც", "სასახლის ჭაღების ჩაქრობის" და "სკვითელის დასვენების" მოტივიც და შემოდგომის მთელი ეს განწყობა, რითაც გამსჭვალულია ლექსი. "რა მხარეები გიცდის სიბერის" — ასე გამოხატავს აღსასრულის დღეების მოლოდინის იგივე განცდას და განწყობას პოეტი სხვა ლექსში ("სამშობლო შავი ლიუციფერის", ტაბიძე 2016ბ: 23). რომანტიკული სუბიექტის ხედვით, "სავანე" — სწორედ ეს "სიბერის მხარეებია": აქ, სიკვდილ/სიცოცხლის "სასაზღვრო ზონაში", ვნებათაგან დაცლილ და სხეულმიმქრალ განდგილ მამათა ცხოვრების მონოტონური მდინარება, ძალიან "ახლო არის" სიკვდილთან, - თითქმის არ განირჩევა აიდში მოხეტიალე აჩრდილების ყოფისაგან. შემოდგომა — სიბერეა, ხოლო შემოდგომა განდეგილ მამათა სავანეში - ლირიკული სუბიექტის ცხოვრების ბოლო დღეები, გატარებული მისსავე მსგავს, საზოგადოებისაგან იზოლირებულ, უსუსურ მოხუცთა შორის. როგორც ვხედავთ, აქტუალური ხდება სიტყვა "სავანის" ის კონოტაციები, რაც მას "ხანდაზმულთა და დავრდომილთა" სავანედ, ჰოსპისის ან საჯარო საავადმყოფოს ფუნქციის მქონე თავშესაფრად წარმოაჩენს (აქ სულერთია, ეკლესიასთან რამენაირად ასოცირებული თავშესაფარს წარმოვიდგენთ, თუნდაც მონასტერს, თუ - საეროს). "სავანის" ასეთი ინტერპრეტაცია შეესაბამება კულტურულ/ ისტორიულ კონტექსტს: სწორედ ასეთ დაწესებულებებში დაასრულა ცხოვრების გზა ბევრმა იმ მიუსაფარ პოეტთაგან, ვინც გალაკტიონის ერთერთმა სულიერმა მამამ — პოლ ვერლენმა — "დაწყევლილ პოეტებად" მოიხსენია. მსგავსი ბედი ეწია თავად ვერლენსაც ("დაქანებულ" ან "დაღუპულ" ვერლენს): ცნობილია, რომ ცხოვრების ბოლო წლებში - ვერ-

10 ზ. შათირიშვილი იმ ფაქტსაც აღნიშნავს, რომ ზოგი მკვლევარი "სავანის" სახის პირველწყაროდ რეალურ სავანეს, ქუთაისის მახლობლად არსებულ "უმანკო ჩასახვის" სახელობის კათოლიკურ მონასტერს მიიჩნევს.

11 "თეზისი" ლექსში ყველაზე მკრთალად არის მინიშნებული, მისი შინაარსის რეკონსტრუირება ისევ "ანტითეზისის" ინვერსიით თუ არის შესაძლებელი და ამიტომ "თეზისის" შესაბამის ვერსიებს ბოლოსთვის მოვიტოვებთ.

12 მსგავსი შეხედულება გამოთქმული აქვს მ.ნაჭყებიას, რომელიც „სავანეში წვევის" ეპიზოდს — პოეტის ვიზიონერული ხედვით განჭვრეტილი მომავლის სურათად აღიქვამს. ასეთი ინტერპრეტაცია ახლოა ჩვენს ხედვასთან ლექსის ქრონოლოგიური ორგანიზაციის გაგების თვალსაზრისით, თუმცა მაინც გვინდა დავაზუსტოთ, რომ ვიზიონერული ხედვა — რაღაც ძნელად წარმოსადგენის ან არა აუცილებელი მოვლენის ინტუიციური ხედვით განჭვრეტას, მომავალში გათამაშებული კონკრეტული სცენარის მისტიკურ ხილვას გულისხმობს, მაშინ, როდესაც ჩვენ უბრალოდ გარდაუვალი რეალობის რაციონალურად გაცნობიერებაზე და შესაბამისი სურათის წარმოსახვაზე ვაკეთებთ აქცენტს და არა მისტიკურ ჭვრეტაზე.

ლენი პარიზის საავადმყოფოთა ჩვეული ბინადარი შეიქმნა (ადრე — აბსენტითა და მთვრალი გალიუცინაციებით დაბინდული კაფეების ხშირი სტუმარი, ახლა სულ უფრო მეტ დროს ატარებს საავადმყოფოების ასკეტურ პალატებში). და მაინც, ასოციაციათა ამ რკალში, განსაკუთრებით აქტუალური სხვა პოეტის, დაწყევლილ პოეტთაგან ალბათ ყველაზე დაწყევლილის — არტიურ რემბოს ბედია. რემბომ ცხრამეტი წლის ასაკში დაანება თავი ლექსების წერას და მსოფლიოს უკუღმართ გზებზე თუ უგზოო ხეტიალში გაატარა მრავალი წელი. ბოლოს, აფრიკიდან დაბრუნებულს, უკვე მძიმედ დაავადებულსა და დაუძლურებულს, მარსელის ერთ-ერთ საჯარო საავადმყოფოში მოუწია "წვევა": აქ, ჯერ ფეხი დაკარგა ამპუტაციის შედეგად და მოგვიანებით — 1891 წლის 10 ნოემბერს — გარდაიცვალა კიდეც. რემბოს - სიმბოლისტებისათვის საკულტო პოეტის - შემოქმედებაც და ცხოვრების გზაც, ისევე როგორც სხვა "დაწყევლილი პოეტების" ბიოგრაფია, კარგად ნაცნობი იყო ახალი ევროპული და რუსული პოეზიით შთაგონებული, ქართველი პოეტების ახალგაზრდა თაობისათვის. რემბოს ბიოგრაფიული ფაქტები, განსაკუთრებით, ფეხის დაკარგვის ისტორია, არეკლილია ტიციან ტაბიძისა და სხვა "ცისფერყანწელთა" ტექსტებში ("...ვერ მოვასწარი თავის დროს შენთვის მეთქვა, მეამბო, თუ როგორ არის დაუვიწყარი სხვა პოეტებში უფეხო რემბო" ტ.ტაბიძე, "თამუნია წერეთელს"/ "ჩვენ ვნახულობთ პოზას რემბოს ცხოვრებაში და ეს ლეგენდარული ცხოვრება ღირსეულად ახასიათებს მის "მთვრალ ხომალდს" ვ.გაფრინდაშვილი; წერილი "შენიშვნები ლირიკაზე"). ცხადია, რემბოს "ლეგენდარული ცხოვრების" ეს დეკადენტური მითი ცნობილი იყო გალაკტიონისთვისაც. გალაკტიონს რემბო, განსხვავებით ვერლენისაგან, არ მოუხსენიებია "მამის" სახელით, მაგრამ არაერთხელ დაუსახელებია იგი გამორჩეულ, ეპოქალურ პოეტთა რიგში, იმ პოეტთა შორის, უდროობის ჟამს, განდეგილობაში რომ ქმნიდენ თავის პოეტურ შედევრებს („კოსმიური ორკესტრი"; ტაბიძე 2016ბ: 93). "კაზუს რემბოს", ჩვენი ლოგიკური კონსტრუქციისათვის განსაკუთრებულ აქტუალურობას შემდეგი ბიოგრაფიული დეტალი ანიჭებს: მარსელის ის საავადმყოფო, სადაც არტიურ რემბომ ("განდეგილ მამათაგან" ერთერთმა), ტანჯვით აღსავსე, უკანასკნელი დღეები გაატარა და შემდეგ გარდაიცვალა კიდეც — "უმანკო ჩასახების" სახელობის ჰოსპიტალი იყო — Hôpital de l'Immaculée Conception, Marseille - ანუ პირდაპირი მნიშვნელობით - "უმანკო ჩასახების სავანე" და ეს ცხოვრებისეული და ამავდროულად, მეტალიტერატურული ფაქტი გაცილებით მეტი მნიშვნელობით ტვირთავს, უფრო ღრმა ასოციაციებით ამდიდრებს "სავანის" სახეს, ვიდრე ქუთაისის მახლობლად უმანკო ჩასახების სახელობის მონასტრის არსებობა. ამრიგად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვერსია, რომ "უმანკო ჩასახების სავანის" ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა - "სიბერის მხარე", მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფარი შეიძლება იყოს,



სურ. უმანკო ჩასახვის ჰოსპიტალი მარსელში, მარსელის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

დასტურს პოულობს არა მხოლოდ იმით, რომ ეს სიტუაციური მოდელი ისტორიულ/კულტურულ არქეტიპს წარმოადგენს და ტიპიურ სიუჟეტად წარმოჩნდება "დაწყევლილ პოეტებთან" მიმართებაში. მნიშვნელოვანი დამატებითი არგუმენტია ისიც, რომ ამ ინვარიანტის ერთ-ერთი, საყოველთაოდ ცნობილი და გალაკტიონისთვისაც კარგად ნაცნობი მეტასიუჟეტი, სემანტიკურ და სახეთმეტყველების დონეზეც სიახლოვეს ამჟღავნებს გალაკტიონის ტექსტთან.

"უმანკო ჩასახვის" ჰოსპიტალში გარდაცვალების ფაქტს სიმბოლური მნიშვნელობა რემბოს ცხოვრების და შემოქმედების მკვლევარებმაც მიანიჭეს. პოეტის ბიოგრაფი, პიერ ფტიფისი აღნიშნავს: "ძალიან სიმპტომატურია ის, რომ რემბო სიკვდილს შეხვდა "უმანკო ჩასახვის" ჰოსპიტალში, რადგან სწორედ ამ "ბოლო სიტყვას" ერგო წილად გამხდარიყო სიმბოლო იმ ახალი არსებისა, რომელსაც უნდა გაევლო თავისი განსაკუთრებული, გამორჩეული ცხოვრების გზა. საუბარია რემბო-პოეტზე, რადგანაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იქცა იგი პოეტად ამ სიტყვის სრული, ტრადიციული მნიშვნელობით" (ციტატა გ. იუზეფოვიჩ 2000-ის მიხედვით). როგორც ვხედავთ რემბოს აღსასრულის ამბავი არა მხოლოდ "სავანის" სემანტიკურ მნიშვნელობათა სპექტრს ამდიდრებს ლიტერატურული ასოციაციებით, არამედ — "უმანკო ჩასახვის" მნიშვნელობათა წრესაც და შემოქმედების (თ. დოიაშვილის მიხედვით "სულიწმინდის შთაგონებით მაღალი პოეზიის შექმნის") დიდ თემაში შემოაქვს ახალი ნაკადი: ცხოვრების ტექსტის — კულტურულ ტექსტად გარდასახვის, პოეტური ჯვარცმის შედეგად — პოეტის "აღდგომის", მისი - კულტურის სივრცეში რეინკარნაციის და დამკვიდრების ნარატივი. თავის მხრივ, სიკვდილის შემდეგ პოეტის კულტურის სივრცეში დამკვიდრების თემა მჭიდრო კავშირში არის რომანტიკულ - 'სიკვდილი/დიდების" კონცეფტთან. რომანტიკული პარადიგმის ფარგლებში "სავანე" — დაბერების და გარდაცვალების, სიკვდილთან შეხვედრის ადგილიც არის (მავი თოვლით დათოვის ტოპოსი) და ამავე დროს, გარდაცვლილთა სამარადისო განსვენების ადგილიც, - სასაფლაო, სამარე... ძირითადად ნეგატიურად შეფერილ მნიშვნელობათა ამ მწკრივს აქვს ერთადერთი პოზიტიური კონოტაცია: ახალგაზრდულ, რომანტიკულ პერცეფციაში — სიკვდილთან შემრიგებელი სილამაზისა და ხელოვნების პარადიგმის ფარგლებში ("სინთეზის" პირველ, მკრთალ გამონათებად) — სასაფლაო წარმოჩნდება, როგორც არა უბრალოდ სიკვდილის, არამედ — სიკვდილი/დიდების ტოპოსი: სავანეში მსუფევი "განდეგილი მამები" — გარდაცვლილი სახელოვანი პოეტების, ლირიკული სუბიექტის სულიერი მამების აჩრდილებია, ხოლო განდეგილ მამათა სავანე — "ძვირფასი საფლავები", "პანთეონი", ვირტუალური მთაწმინდა, - კულტურის სივრცე, სადაც პოეტი, გარდაცვალების შემდეგ შეუერთდება თავისი დიდი წინაპრების აჩრდილებს: "... რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები, / რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,/ რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...". ამრიგად, "უმანკო ჩასახება" — არა მხოლოდ "სულიწმინდის გავლენით მაღალი პოეზიის შექმნის", არამედ — თავად პოეტის "დაბადების" სიმბოლოც ხდება, - პოეტის, რომელმაც დაკარგა პიროვნული, მატერიალური განზომილება და წმინდა პოეზიის, კულტურის სივრცის, - მარადისობის კუთვნილებად იქცა. როგორც პოეტი მოგვიანებით იტყვის: "ვინა თქვა შენი გარდაცვალება, არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე... შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს, შენ — უკვდავების ხარ ბინადარი...".

"ანტითეზისის" შესაბამისი სცენარების განხილვა დავასრულოთ ისევ რელიგიური კრიზისის თემით: როგორც გვახსოვს, თ. დოიაშვილის მიხედვით, "სავანეში წვევის" ნარატივი იკითხება, როგორც რელიგიაში "საშველის" ძიების წარუმატებელი მცდელობა, - ასკეტურ ღვთისმსახურებაში და რელიგიურ დოგმებში ცხოვრების საზრისის ვერ ნახვა. ეს თემა, ცხადია, აქტუალურობას ინარჩუნებს და ლექსის ერთ-ერთი ძირითადი სიუჟეტური და შინაარსობრივი კვანძია. ამავე დროს, რელიგიური და ზოგადად სულიერი კრიზისის თემა შეიძლება მნიშვნელოვნად გაღრმავდეს და გარკვეული სახეცვლილებაც განიცადოს. ჩვენი აზრით, "უმანკო ჩასახების სავანე" არ არის უბრალოდ მონასტერი, - ქრისტიანული ტოპოსი კანონიკური გაგებით. გალაკტიონისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ ეს საკრალური ადგილი გამოკვეთილად ღვთისმშობლის სახელთან არის დაკავშირებული: "უმანკო ჩასახების სავანე" - ღვთისმშობლის ტოპოსია, ისევე როგორც ყველა სხვა ტაძარი, მინიშნებული "არტისტული ყვავილების" წრის ტექსტებში. გავიხსენოთ: ღვთისმშობლის ტოპოსია ათონის ივერთა მონასტერიც - "კარიბჭის მცველი" ივერიის ღვთისმშობლის ხატით (ლექსი "საღამო"/ ტაბიძე 2016ა: 86), ქალაქ ლიდას[13] ტაძარიც, ბიზანტიური თქმულებით, პეტრე და იოანე მოციქულებმა

13 ქალაქი ლიდა, იგივე ლუდი ან ლუდია, ისრაელში; (ძვ. ქართ. ლოჯდია; ებრ. ლოდ-ი ; არაბ.ალ-ლუდ; ბერძნ. Λύδδα;

რომ ააგეს ღვთისმშობლის პატივსაცემად და რომლის ერთ-ერთ სვეტზე, მალევე, წმინდა ქალწულის ხელთუქმნელი ხატი გამოისახა (ლიდიის სამრეკლო, ლექსი "ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი" ტაბიძე 2016ა: 57). ღვთისმშობლის სივრცეა - სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარიც (ლექსი "სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში"/ ტაბიძე 2016ა: 72), - ტაძარი, რომელშიც ხატის წინ მუხლდაცემული ლირიკული გმირი თავის მნარე საყვედურს გამოთქვამს ღვთისმშობლის მისამართით. ხსენებულ ლექსებში დახატული იმაგინაციური სივრცე იდენტურია, - წარმოადგენს ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ გამორჩეულ ტოპოსს[14]. მაგრამ ტექსტების ნათესაური კავშირი ამით არ ამოიწურება: თვალში საცემია მთლიანად სიტუაციური მოდელის მსგავსება. ყველა ეს ტექსტი წარმოადგენს მონოლოგს, ლირიკული სუბიექტის აღსარებას. მიმართვის ადრესატი ყველა შემთხვევაში ღვთისმშობელია, ხოლო შინაარსი - სამყაროს სურათის, ჩვეული წესრიგის მსხვრევით გამოწვეულ სასოწარკვეთას, უკიდურეს იმედგაცრუებას, ნუგეშის მომცემი ილუზიების გაქარწყლებას გამოხატავს. იდეური საყრდენების რღვევის და რეალობის კატასტროფულობის განცდა ღებულობს ხან აფექტური პროტესტის, ხან — სიყვარულით და მოწიწებით გამოთქმული საყვედურის ფორმას: "სული ვედრებით განაოცები, შენს ფეხრთივი კვდება, როგორც პეპელა... სად არის ჩემთვის სამაგიერო? საბედნიერო სად არის სული?" ("სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში") ან - "გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფეხრთქვეშ დაისხვრა და გლოვა მომესმა. ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი ოცნება, ნახაზი საგანთა უარით" ("ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტრი"). ჩვენი ხედვით, "უმანკო ჩასახვის სავანეში" წვევის ეპიზოდიც ამ სიუჟეტური ინვარიანტის რეალიზაციას წარმოადგენს. უარყოფის მძაფრი ფორმულა ("ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის, არ

ლათ. გიდდა; რუს. Лидда). ქართულენოვან წყაროებში ქალაქის დასახელება იკითხება ორნაირად როგორც "ლიდა" ან "ლუდი", ევროპულ და რუსულენოვან წყაროებში ცალსახად, როგორც — "ლიდა". როცა წმინდა მოციქულები პეტრე და იოანე ლიდაში ქრისტეს ქადაგებდნენ, იერუსალიმთან ახლოს ღვთისმშობლის სახელზე ტაძარი ააგეს. იერუსალიმში ჩასულები ღვთისმშობელს ევედრებოდნენ, მისულიყო ლიდაში და ეკურთხებინა ახალმოქცეულთა ტაძარი. უფლის დედამ მათ უთხრა: "წადით მშვიდობით, მე თქვენთან ვიქნები". ტაძარში მისულებმა ნახეს, რომ ტაძრის ერთ-ერთ საყრდენ სვეტზე გასაოცარი სილამაზის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი იყო გამოსახული. შემდგომში თვითონ ღვთისმშობელმა მოინახულა ლიდას ტაძარი. იულიანე განდგომილის მმართველობის დროს (361- 363) ლიდაში სასწაული მოხდა. ტაძარში ქვისმტეხლები გაგზავნეს სასწაულმოქმედი ხატის გასანადგურებლად. მაგრამ, რამდენსაც არ ცდილობდნენ წმინდა ხატის განადგურებას, ის არ ქრებოდა, უფრო და უფრო ღრმად შედიოდა სვეტში. მადლმოსილი ხატის ამბავი მთელს მსოფლიოს მოედო, და მისი მრავალი ასლი დამზადდა, მათ შორის ერთი რომშიც ჩააბრძანეს, და ისიც სასწაულმოქმედი გახდა"… Квливидзе Н. В. Сказание о Лиддской-Римской иконе Богоматери в Московском искусстве второй половины XVI в. — Вестник РГГУ. Серия: Литературоведение. Языкознание. Культурология, 2007

14 როგორც წესი — იმაგინაციური სივრცის მოდელს ქმნის რეალური, ისტორიული ტაძარი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია ქრისტიანულ სამყაროში, - აპოკრიფულ ტექსტებში შემონახული, - ღვთისმშობლის ღვთიური მადლის სასწაულებრივი გამოვლინების გადმომცემი ამბის წყალობით. სწორედ ეს დატირთვა აქვს "ლიდიის სამრეკლოს" ლექსში "ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი" და არა - "პირველი ქრისტიანული ტაძრის" ან "პირველი სიყვარულის" ტაძრის - ლოენგრინის ელზასადმი სიყვარულის გამომხატველი ტოპოსის მნიშვნელობა, როგორც ეს როლანდ ბურჭულაძეს წარმოუდგენია.

არის, არ არის!") ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში არის გახმოვანებული და მიმართვის ადრესატიც, ისევე როგორც ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში — ღვთისმშობლის ხატი უნდა იყოს. ეს დებულება შეიძლება არ იყოს ასე თვალსაჩინო და უაპელაციოდ მიღებული მკითხველის მიერ, რადგან ლექსის მომდევნო სტროფებში - ლირიკული სუბიექტის აღსარების ადრესატი ცალსახად არის განსაზღვრული: "და ვიცი: გახსოვარ! ... წმინდაო, წმინდა მაცხოვარ"! მაგრამ საქმე იმაშია, რომ მაცხოვრისადმი მიმართვა — შემოდგომის ჟამს მიღწეული პოეტის ტექსტის ფრაგმენტია, - მდუმარე საკანში ფიქრს მიცემული სუბიექტის რეფლექსიების გამომხატველი სიტყვები. ეს ეპიზოდი ქრონოლოგიურად უფრო გვიანია, ვიდრე "სავანეში წვევის" გახსენებული სიუჟეტი და ლექსის დიალექტიკურ სტრუქტურაში — გვიანდელი, - "სინთეზის" ფაზის კუთვნილებაა. ამ პოზიციიდან ("მდუმარე საკნის" გადმოსახედიდან) სავანეში წვევის სცენა — გახსენებული წარსულის ეპიზოდია — ეპიზოდი, რომლის აქტუალური სუბიექტისათვის (ახალგაზრდა პოეტისათვის) მთავარი გარე რეფერენტი ღვთისმშობელია და არა მაცხოვარი. შესაბამისად, "საშვენი თვალები შეკრული კამარის", სიმკაცრით რომ შესქერიან ლირიკულ სუბიექტს — სხვა არაფერია, თუ არა ტაძრის კედელზე ღვთისმშობლის გამოსახულება (ხატი ან ფრესკის ფრაგმენტი). მთლიანობაში, ეს ვიზუალური ხატიც და მისი სიტყვიერი ხორცშესხმაც ღვთაებრივი ნათელით გასხივოსნებულ იგივე სახეთა რიგს ეკუთვნის, იგივე ლექსიკონიდანაა, როგორც - "თვალთა ანგელოზთ შურო, შენ ღვთისმშობელო კარის". გვესმის: ძნელია აქ კატეგორიული იყო, მაგრამ ესთეტიკურად, "საშვენი თვალები", თუნდაც "სიმკაცრით" შემყურე, უფრო ღვთისმშობლის სახეს (ენით გამოუთქმელ მშვენიერებას) ესადაგება, ვიდრე უფლისას. იმავეს თქმა შეიძლება მიმართვაზე "მზეო თიბათვისა" გალაკტიონის ცნობილი შედევრიდან — აქაც, ქალური საწყისის პრიორიტეტულობა, ქალური სათნოების განცდა აქტუალიზებულია სუგესტურად, ესთეტიკური აღქმის დონეზე და ვერ იქნებოდა ლოგიკურად დასაბუთებული, რომ არ არსებობდეს ამ ლექსის ადრეული ვარიანტები, სადაც "მზეო თიბათვის" ნაცვლად ღვთისმშობლის სახელი ექსპლიციტურად ფიგურირებს: „მზეო ღვთისმშობელო, მზეო თიბათვისა" (დოიაშვილი, 2014ბ: 177-193). ჩვენს, სუბიექტური შთაბეჭდილებით შექმნილ ხედვას, გარკვეულად ამყარებს შემდეგი დაკვირვება: ღვთისმშობლის თვალების "სიმკაცრით შეხედვის" მოტივის საინტერესო სახეცვლილებას, - მის დესაკრალიზაციას და ყოფიერების რეალურ პლანში გადმოტანას ვხედებით გალაკტიონის ლექსში "გადია". "გადიას" ციკლის ტექსტებში ლირიკული სუბიექტის წარმოსახული დიალოგის მეორე წევრი, თუ აზრობრივი მონოლოგის ადრესატი, არის გადია, — არა აბსოლუტური რეფერენტი, საკრალური ფიგურა, არამედ ამქვეყნიური, რეალისტური შტრიხებით დახატული პერსონაჟი, რომელსაც "დელიგირებული აქვს" საკრალური რეფერენტის ფუნქცია: გადია - "წარმოადგენს" მინიერ, პროფანულ რეალობაში ღვთისმშობელს — ღვთისმშობლის იდეის გამომხატველი ფიგურა ხდება. გადიას სახეში, ერთის მხრივ, ინტეგრირებულია "დედის" არქეტიპი, - სიყვარულის, სათნოების, მფარველობის ასპექტები, ხოლო მეორეს მხრივ, ხაზგასმულია მისი უწყვეტი სულიერი კავშირი ღვთისმშობელთან. "გადიას" თემას ნარკვევის მომდევნო თავში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. ახლა კი დავუბრუნდეთ ამ ლირიკული გადახვევით გაწყვეტილ ლოგიკურ ხაზს: "ჩვენი დღის ამბებს - ძალიან მწყრალი თვალებით უსმენს ჩემი გადია; კეთილი, ძველი ქართველი ქალი, ვისიც გზა სულის სიდიადეა" ამბობს ლექსების "გადიას ციკლის" ლირიკული სუბიექტი, - სულიერი გარდატეხის პროცესში მყოფი პოეტი, რომელმაც დაკარგა რწმენა, ძველი ილუზიები და ღამის მტკივნეულ ფიქრებში და შოპენჰაუერის ტომებში ეძიებს პასუხს მარადიულ კითხვებზე. სწორედ ამ შეეჭვებულ სულს, განდგომილ და გზააბნეულ ახალგაზრდას შესქერიან "მწყრალი თვალები" და ეს იგივე სიტუაციური მოდელია, რაც „სავანეში": საშვენი თვალების სიმკაცრით შეხედვის ობიექტი აქაც, ეჭვებით და უარყოფის დემონით შეპყრობილი ახალგაზრდაა, - რომანტიკული სულისკვეთების პოეტი სულიერი კრიზისის ჟამს. აქვე, გასახსენებელია ასეთი პასაჟი ლექსიდან "ტფილისი": "და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით"... არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს ეს პარალელი: "ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით" და "კეთილი, ძველი ქართველი ქალის" სახე,

"მწყრალი თვალებით" რომ შესქერის ლირიკულ გმირს. ეს პარალელი ნიმუშია ერთი აბსტრაქტული იდეის კონკრეტულ სახეებად მატერიალიზაციის სხვადასხვა ეტაპის: ერთ შემთხვევაში რეფერენტი ინარჩუნებს იდეის განყენებულობას, მაგრამ უკვე გამოიკვეთება ამ იდეის შესატყვისი მიწიერი სახის კონკრეტული თვისებები (პატიოსნებით სავსე ქართველ ქალთან მსგავსება), მეორე შემთხვევაში, მატერიალური ხორცშესხმის, "განკაცების" პროცესი უფრო შორს არის წასული და ღვთისმშობლის იდეა რეალიზებული არის კონკრეტული ქალის - მოხუცი გადიას სახით. ღვთისმშობლის თვალების მზერა, - ღვთისმშობელთან უწყვეტი სულიერი კავშირის, მუდმივი შინაგანი დიალოგის გამომხატველი ეს ფიგურა — გამეორებადია "არტისტული ყვავილების" წრის ტექსტებში. ამავე ინვარიანტის კიდევ ერთი ხორცშესხმა შეგვიძლია გავიხსენოთ: "მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი". ღია თვალებით მიცვალებული მზის ცქერა, ამ შემთხვევაშიც ღვთისმშობელს მიეწერება („მას გახელილი დარჩა თვალები"/ ჭელიძე 2020:20). ამრიგად, შეგვიძლია შევაჯამოთ ყოველივე ზემოთ თქმული: რომანტიკულ დისკურსში, "სავანე" არის არა უბრალოდ მონასტერი ან ტაძარი კანონიკური ქრისტიანული გაგებით, არამედ გამოკვეთილად ღვთისმშობლის ტოპოსი და ლირიკული სუბიექტის, უარყოფის პათოსით განმსჭვალული მონოლოგის ადრესატიც — სწორედ ღვთისმშობელია.

რა განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას ატარებს გალაკტიონთან ღვთისმშობლის ტოპოსში ლირიკული სუბიექტის აღსარება, ღვთისმშობლის ხატთან წარმოთქმული ემოციური მონოლოგი? აქ უნდა გავიხსენოთ, რომ გალაკტიონი ხშირად მიმართავს ქრისტიანულ სიმბოლიკას „არაქრისტიანული", არაკანონიკური შინაარსის, კერძოდ, - სიმბოლისტური მითოპოეტური ნარატივის გასაშლელად (დოიაშვილი, 2019გ). მოვიშველიოთ ციტატაც თ. დოიაშვილის წერილიდან: საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ღვთისმშობლის სახეზე, რომელიც სიმბოლისტურ პოეზიაში ქრისტიანიზებული სიმბოლოა მარადქალურისა. მიწიერი სიყვარულის იდეალიზაცია ღვთისმშობლისადმი ასკეტური ტრფობის ფორმით, მისდამი რაინდული მსახურების იდეა, რაც გავრცელებული იყო შუა საუკუნეების პოეზიაში, სიმბოლისტთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. „არტისტული ყვავილების" წრის ტექსტებში, რუსული სიმბოლიზმის კანონებთან და მითოლოგიასთან სრულ შესაბამისობაში, ღვთისმშობლის სახე წარმოჩნდება, როგორც მარადქალური ღვთაებრივი საწყისის, იდეალის, ტრანსცედენტური მშვენიერების ერთ-ერთი იპოსტასი. ღვთისმშობლის სახესთან დაკავშირებული ყველა ნარატივი გალაკტიონთან, სიმბოლისტური მითის საფუძველზეა კონსტრუირებული. თეზისის შინაარსი წარმოადგენს ძირითადი სოფიური მითის გაშლას: იდეალთან, სოფიურ სატრფოსთან მისტიკური შეხვედრის მოლოდინს, ზეციურ ტაძარში თუ სასახლეში ქორწილის მისტერიისათვის მზადებას, - შეპირებული ედემის ძიების უტოპიურ სიუჟეტს. ანტითეზისი — ანტიუტოპიაა, რომელიც ძირითადი მითის მსხვრევას, რეალობის დესაკრალიზაციას, იდილიური ცნობიერებისა და სამყაროს სურათის რღვევას ასახავს. სწორედ ხსენებული ანტიუტოპია წარმოადგენს "არტისტული ყვავილების", როგორც წიგნი-მთლიანობის, ძირითად ნარატივს. გრაალის ჩამოშლილი კოშკები, ზარით და გრიგალით დანგრეული ტაძრები და სამრეკლოები, გაპარტახებული სასახლე და ბაღი, — ყველაფერი ეს იმ დაკარგული იდილიური სამყაროს, უარყოფილი ოცნების ნაწილია, რომლის მზეც, რომლის ალფა და ომეგაც — სოფიური საწყისია, - ღვთისმშობლის ნათელმოსილ სახეში პერსონიფიცირებული მარადქალურის იდეა. შესაბამისად, ანტითეზისის ამ ძირითადი ნარატივის დრამატურგიაში, სავსებით ლოგიკურია "რომანტიკული ამბოხის" მიზანსცენის სწორედ ღვთისმშობლის ტოპოსში გადატანა. უმანკო ჩასახების სავანეში გათამაშებულ სცენაში, რომელიც არანარატიული, - ფრაგმენტების მონტაჟური ბმით კონსტრუირებული ტექსტით არის გადმოცემული, ყველა ფრაგმენტი, ყველა ტექსტური დეტალი ამ ერთიანი, ინვარიანტული მიზანსცენის ნაწილია: ღვთისმშობლის ტოპოსი, ღვთისმშობლის ხატის მწყრალი მზერა, უეცრად გახსნილი ეგზისტენციური უფსკრულის წინაშე მდგომი ახალგაზრდა სუბიექტის სასონარკვეთილი აღსარება...

(დასასრული შემდეგ ნომერში...)

იკა ქადაგიძე

გურულ-აჭარული რეპორტაჟი

15 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში საშვილიშვილო საქმე განხორციელდა, რომლის სულისჩამდგმელია ეროვნული მოძრაობის ბათუმური ფრთის ერთ-ერთი აქტიური და ღირსეული წარმომადგენელი, ისტორიკოსი ბატონი გოგი ფირცხალაიშვილი. ბატონი გოგი დასავლეთ საქართველოს რეგიონში დღესაც არაერთი ეროვნული საქმის მოთავე და მონაწილეა. სწორედ ამიტომ ძალზე სასიხარულოა, რომ მან საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921 წლებში) მოღვაწე, უსამართლოდ მივიწყებული, ღირსეული ქართველი გენერლის, გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის თანამებრძოლის, დავით ართმელაძის სახელის პოპულარიზაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. პირველ მსოფლიო ომში გამოცდილი გენერალი ოსმალური ექსპანსიის შესაჩერებლად მედგრად იბრძოდა ბათუმისა და მთლიანად აჭარის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ართმელაძეები თავიდანვე გამოირჩეოდნენ ღირსებით, ვინაიდან ისინი, მრავალი სხვა თავადისგან განსხვავებით, თავის დროზე ტყვეთა სყიდვაში არ მონაწილეობდნენ, რის გამოც რეპრესიებიც იწვნიეს. მენშევიკური მთავრობის ემიგრაციაში წასვლისა და ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ გენერალ ართმელაძეს სამშობლო არ დაუტოვებია. ის სამხედრო სამსახურს განაგრძობდა და თბილისის ქართული წითელი არმიის სამხედრო სკოლაში მეთაურებს ამზადებდა. დავით ართმელაძის საფლავი დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა, ვინაიდან მასზე საბჭოთა წყობილება არ ზრუნავდა. მისი საფლავის აღმოჩენა და ბიოგრაფიული ცნობების შეგროვება-დამუშავება სწორედ ბატონი გოგი ფირცხალაიშვილის დამსახურებაა, ისევე, როგორც მემორიალის გახსნა სოფელ ქვიანში. ამ საქმეში ბატონ გოგის ღირსეულად დაუდგა მხარში გენერლის შთამომავალი, ცნობილი ექიმი და ქველმოქმედი, ბატონი მიხეილ ართმელაძე. ფინანსური მხარდაჭერა სწორედ ბატონმა მიხეილმა აიღო თავის თავზე. ამ სასიკეთო საქმეში ოპერატიულად ჩაერთო ლანჩხუთის რაიონის ადგილობრივი ხელისუფლება. მისმა წარმომადგენლებმა

მემორიალის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას თავიანთი კუთხის საამაყო მამულიშვილის დამსახურებას გაუსვეს ხაზი. გენერალ ართმელაძის ბიუსტის ავტორის, სკულპტორ ჯიმსონ გურგენიძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ შესრულებული გენერლის პორტრეტი არაჩვეულებრივად გადმოსცემს სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლის ხასიათს, განსხვავებით გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტისაგან, რომელმაც ჩვენს საზოგადოებაში სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, იმდენად აცდენილია ჩვენი დაუმარცხებელი გენერლის ნამდვილ სახეს. გახსნის ცერემონიალის ორგანიზატორმა, ბატონმა გოგი ფირცხალაიშვილმა ძალზე საინტერესოდ და ვრცლად ისაუბრა დავით ართმელაძის დამსახურებაზე, რაც ტელევიზიებმა გააშუქეს. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, საზოგადოებამ მამაც გენერალს კუთვნილი პატივი ბოლომდე მიაგო. სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ცერემონიალზე აფხაზეთის ომის ვეტერანს ბოლომდე გაშლილი ეჭირა საქართველოს დროშა, რომელმაც აფხაზეთის ავბედითი ომის ქარცეცხლი გამოიარა. გულთბილი გამოსვლების, სიმღერებისა და ლექსების ფონზე საზეიმო განწყობა შეიქმნა. ბატონმა გოგიმ საპატიო სტუმრებს შორის ჩვენ, ისინდელები, განსაკუთრებული გულისხმიერებითა და სითბოთი გამოგვარჩია და დაგვახასიათა, რადგან ჩვენ მუდამ მტკიცედ ვდგავართ ეროვნული ღირებულებების სადარაჯოზე. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ძალა ერთობაშია და ეროვნული საქმეები ერთიანი ძალისხმევით ხორციელდება, რასაც ჩემს გამოსვლაში საგანგებოდ გავუსვი ხაზი. სწორედ ამ მადლიანი საქმისთვის ღირდა შორი გზის გავლა, რათა მომავალმა თაობებმა კარგად იცოდნენ საქართველოს ნამდვილი ისტორია და ნამდვილი მამულიშვილების ჯეროვნად დაფასება. მადლობას ვუხდით ამ დაუვიწყარი და ღირსშესანიშნავი საქმის სულისჩამდგმელებსა და ჩვენს შესანიშნავ მასპინძლებს, რომელთაც დაამტკიცეს, რომ ქართული მებრძოლი სული დაუმარცხებელია და ამის დასტურად უახლოეს მომავალში დავით ართმელიძის სკვერი და მემორიალი დედაქალაქშიც გაიხსნება.

გენერალ დავით ართმელაძის
მემორიალის გახსნა
2022 წლის 15 ივნისი სოფელი ქვიანი

ლამარა ჭანკოტაძე

პატარა კატა

ცამ დაითვალა ღრუბლების ფარა,
მთაზე ნისლები შემოიჯარა,
ტყემ დაიძინა, ღუნღულა ხავსი
სხეულზე თბილად შემოიფარა.
ტყის პირას ყინვამ გაიბრჭყვიალა,
თვალები ბრაზით დააბრიალა,
ეს სამფლობელო მხოლოდ მისია,
ეს ველმინდვრები არავისია
მის გარდა,არვინ არ ჩანს გარშემო,
ვაი მას, ვინაც გაბედავს, გარეთ
ხავსის საბნიდან გამოყოს თავი,
ყინვა გარშემო შემოეხვევა,
აჩვენებს როგორ ავია,ავი.
ჩუმი ტკაცუნით ღელავს ჰაერი,
ჩუმად დგას ტყეში მუხა ბებერი,
ეჰ, მერამდენედ უძლებს ზამთარს და
რამდენი ქვეყნად ყოლია მტერი,
გარშემო რამდენს ჭირდება შველა,
აი გამოჩნდა ბუთქუნა მელა,
მუხის ფესვებში ჰქონია სორო,
აქ დაიძინებს ბოლოს და ბოლოს.
მუხა იმედად ადგია თავზე,
ფოთლებს ჩაუფენს, გაუთბობს სოროს,
თუ თოვლი ტოტებს მძიმედ დააწვა,
იქნებ არც ისე დიდხანს ითოვოს.
მოწყენილია ბებერი მუხა,
აღარც ღორები სტუმრობენ რკოსთვის,
ციყვმაც წაიღო ბოლო საგზალი,
ეჰ, დაბრუნდება ნეტავი როდის.
აღარ ვჭირდები არავის ახლა,
ზამთარმა ზურგზე დამადო ტვირთი,
გაყინულია ფერდობის კალთა
და დროც ასეთი ტაატით მიდის.
მე კი მარტო ვარ ხეების გვერდით,
თითქოს არავინ არ იყოს ირგვლივ,
აღარ გაისმის შრიალი ფოთლის
და სევდისფერი ჩამოდგა ბინდი.
შრ, შრ, გაისმა შრიალი ფოთლის,
ფოთლის? სად არის ფოთოლი ახლა,
ეს თურმე თოვლის შრიალი ისმის,
ეს თურმე ფიფქი ეშვება დაბლა.
ყინვამ შეიკრა კოპები ბრაზით,
არ უნდა დათმოს დედოფლის ფარჩა,
მაგრამ ფიფქები ეშვება თრთოლვით.
ყინვასაც მეტი სხვა რაღა დარჩა.
ეხვევა თოვლში მუხაც ბებერი,
თოვლის საბანი ტოტებს ეხვევა,
თითქოს სითბოა, სიცივე გაქრა
და დამშვიდებულს ძილი ერევა.
მაგრამ ეს ხმები? ნუთუ მომესმა
ტყეში უთუოდ ვიღაცა კვნესის,
საგონებელში ჩავარდა მუხა,
კარგა ხანია ეს ხმები ესმის.
აქვე ტყის ახლოს სოფლის გზა გადის,
იქნებ იქ ვინმე სულ მარტო დადის,
როგორ გაბედა, არ ეშინია?
ტყეში ხომ ბევრი,ბევრი მგელია,
ამას რას ხედავს? საიდან გაჩნდა
თოვლში გამოჩნდა პატარა კატა,
გაყინული აქვს თეთრი ფეხები,

საიდან მოდის ნეტავ? ვერ ვხვდები.
მუხამ ასწია ტოტები მაღლა,
როგორ უშველოს პატარა კატას?
არ შეიბრალებს ყინვა ამ ღამით,
მისი სიცივე გვერდებში ატანს.
ის კი პატარა, ასე საწყალი,
ტყის პირას მიდის მარტო, კანკალით,
ნეტავ სად არის იმისი დედა,
ასე საბრალოს ნუთუ ვერ ხედავს?
თოვლში ჩაცუცქდა პატარა კატა,
ყინვა კი ამ დროს ხატავს და ხატავს,
ბრჭყვიალ-ბრჭყვიალით აავსებს ღარებს,
ვის ელოდება? ვინ შეიფარებს.
სოროდან თავი გამოყო მელამ:
ჯერ არ გათენდა? ჯერ ისევ ბნელა?
ან ვინ მოსულა, ეს რა ხმებია,
ვიღაცას თავი მობეზრებია,
როგორ გაბედა შემოსვლა ტყეში,
სადაც ამდენი საშიში ხელი
გაწვდილი მისკენ,მიწვდენას ლამობს,
ველარ გააღწევს აქედან მთელი.
ეს სულ არ იცის პატარა კატამ,
მარტოდმარტოა, არავინ არ ჰყავს,
აღარ გაათბობს დედის ალერსი,
უცხო ბილიკებს ამიტომ გაჰყვა.
ჯერ კიდევ გუშინ ათბობდა დედა,
ახლა მის თვალებს რომ ველარ ხედავს,
ამიტომ ტირის, ტყისაკენ მიდის
ასე ჰგონია იპოვნის დედას.
თურმე ცხოვრობდნენ თბილად და კარგად,
გულში იკრავდა ფუმფულა დედა,
არც თოვლი,ქარი, ყინვა და სეტყვა,
ქვეყნად ვერაფერს ვერ დააკლებდა.
ახლა კი ბეწვში შეუძვრა ქარი,
ყინვაც აწიწკნის ულვაშებს, ყურებს,
ვერ გაუგია სად გაქრა დედა,
ჩამუქებულ ტყეს შიშით შეჰყურებს.
შეშფოთებული დასცქერის მუხა,
გაიყინება უთუოდ ღამე,
ასე პატარა,ასე მარტოა,
და იქნებ ვინმემ უშველოს რამე,
თავი დახარა პატარა კატამ
მიხვდა მარტოა, ცრემლი ერევა,
არ დაბრუნდება მისი მშობელი,
მიდის, თოვლსა და ტყეს შეერევა.
თურმე რა მოხდა, ცხოვრობდნენ ერთად,
დედა იმ დილით ისე ლოკავდა,
სანამ ბოროტი ადამიანი
დაიჭერდა და დედას მოკლავდა.
მოშორდი, შვილო, წადი გაშორდი,
თვალებით უთხრა საბრალო დედამ,
არ დაენახო ამ ადამიანს,
ვიცი რომ ახლა ბოლოჯერ გხედავ.
მას შემდეგ ეძებს საბრალო კნუტი,
მარტოა ახლა ტყის პირას თოვლში,
ცივ თათებს არვინ რომ აღარ უთბობს,
უკვირს და ბოლო არ უჩანს ლოდინს.
შეთრთოლდა მუხა, შესთხოვა მელას:
ვიცი არ გიყვარს,მტერი ხარ კატის,
მაგრამ მე შენთვის ყველაფერს დავთმობ,
ამ ტყეში ბევრი ბოროტი დადის.
და მე ხომ შენთვის მოვაწყვე სორო,
არ დამენანა ფოთოლი, ხავსი,
საკვებიც ბლომად მოიმარაგე,
შენ კარგად იცი შვილების ფასი,
მარტო ხარ,იქნებ იშვილო კნუტი,
მარტოა ტყეში, სიკვდილი ელის,
ცივა, სველია, კანკალებს მარტო
და ეშინია ბრიალა მგელის.
მაგრამ მე ვიცი,შენ ხარ კეთილი,
არ გავხარ სხვებს და ვიცი გიყვარვარ,
გაუნაწილე ეგ თბილი სორო
კნუტს და ორივეს მე დაგიფარავთ.
გადმოვაფარებ სოროს ამ ტოტებს.
ველარ მოაგნებს ბოროტი ხელი,
უშენოდ ვიცი დაიღუპება,
ყინვაში მარტოს სიკვდილი ელის.
მიუახლოვდა, ჩაიკრა გულში,
თათი მოხვია მელამ პატარას,
სოროში თბილად ჩააღუნღულა,
ის ღამე მარტომ არ გაატარა.
უნაწილებდა საკვებს საბრალოს,
მუხა სიხარულს ველარ მალავდა,
მზეც ანათებდა ქათქათა ველებს,
ღამე კი ყინვა ტყეებს ხატავდა,
გადარჩა კნუტი, სოროში ცხოვრობს,
არ ავიწყდება ლამაზთათება
დედა, რომელსაც სიზმარში ხედავს,
ჰგონია ისევ მასთან გაჩნდება.
მაგრამ არ იცის, რომ სამუდამოდ
ბოროტმა ხელმა წაართვა იგი,
აღარ ამშვიდებს მისი კრუტუნი
და ყველაფერი უმისოდ მიდის.
პატარა გული ლოდინით ფეთქავს,
გულში ჩაეკრას ღუნღულა დედას,
ძილში პატარა თათები უკრთის
სულ მუდამ საშიშ სიზმრებს რომ ხედავს.
და ასე მიდის ყოველი წუთი,
რაც მთავარია, გადარჩა კნუტი.

ვახტანგ ბახტაძე

ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე

წარმოთქმული სიტყვა[15]

მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ეს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მაინც იქნება დაკავშირებული ზვიად გამსახურდიას დაუვიწყარ სახელთან!

დიდი ფრანგი მწერლის გი დე მოპასანის ნააზრევში ასეთ არაორდინალურ სიტყვებს ვკითხულობთ: „ვინც თავის თავს პატივს არ სცემს, უბედურია, მაგრამ ვინც მეტად კმაყოფილია თავისი თავით - სულელია!“

უვიც და ბნელ ადამიანთა გონებაში ძნელად აღწევს ჭეშმარიტების სხივი, ამიტომ ისინი თავიანთ უგუნურობას ვერ ხედავენ და ვერც სხვების გონიერებას ამჩნევენ.

ჭეშმარიტად მართალი იყო წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), როცა წერდა: „პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულ ქართველს მოხვდება, ქართველებისგანვე არის გამოტყორცნილი.“

სხვაგან კი დიდი ილია ასეთ სიბრძნეს გვაზიარებს: „ერი თავისი გმირების ცხოვრებით და მაგალითები თუნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და ეგრეც არის, საცა ერი ერობს“.

ამასთან დაკავშირებით გამორჩეული ქართველი ინტელექტუალი პრეზიდენტი წერდა: „...თუ გსურს ერი, ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ წარსული უნდა დაავიწყო, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი - გმირებად.“

ჩვენ, თანამედროვე ქართველებს, ზოგჯერ მათი დაუნახაობა გვჭირს, უფრო მეტიც, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, საკუთარ ჯამში შთაცვენილთ, ზოგჯერ მათი აღიარება გვიჭირს...

გამოვთქვამ იმედს, როდესაც საქართველოში აღდგება ჭეშმარიტი სამართლებრივი სახელმწიფო და ჩვენი ქვეყანა იზეიმებს ორივე დღეს, როგორც 9 აპრილს(!) ისე 26 მაისს(!)... ვფიქრობ, ოფიციალურ დოკუმენტში, მაშინ ასე ჩაიწერება- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე 1918 წლის 26 მაისი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - 1991 წლის 9 აპრილი.

ამით აღდგება დარღვეული ისტორიული სამართლიანობა! ჩვენ ქართველობამ, არ უნდა მივცეთ დავიწყებას ეს უდიდესი მნიშვნელობის თარიღები!..

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი და პრეზიდენტის თანამებრძოლი ცნობილი ლიტერატორი თემურ ქორიძე შემდგომში იტყვის:

„ხელისუფლებაში ყოფნისას ზვიად გამსახურდია გაღიმებული თითქმის არ მინახავს... და ამ ტვირთის სიმძიმეს იგი ბოლომდე გრძნობდა, პრეზიდენტობა მისთვის იყო არა პატივი, არამედ პატიჟი, როგორც ამას გრიგოლ ხანძთელი იტყოდა... ის ყველა სფეროში დევნილი იყო.“

მერაბ კოსტავას დედა ქ-ნი ოლღა დემურია-კოსტავასი შემდგომში იტყვის: „ზვიადს ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ არასოდეს არ უცხოვრია საკუთარი კეთილდღეობისათვის, მისი ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი იყო და არის სამშობლო, ყველაზე წმინდა, რაც კი ადამიანს გააჩნია.“

ზვიად გამსახურდია ამბობდა - სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული.

... და რომელსაც ჩვენ ყველანი, იმედია უდრტვინველად დავეთანხმებით!..

ჩემთვის რომ გეკითხათ, თქვენი აზრით, როგორი პრეზიდენტი იყო ზვიად გამსახურდია? მყისვე მოგიგებდით - პრეზიდენტი, რომლისათვისაც უპირველესი სამშობლო და ქართველი ხალხი იყო, და არა ფული და ძალაუფლება!..

დღეს მსოფლიოში, თითქმის ყველგან სახეზეა უსულგულო გლობალიზაციის ეპოქის მწვავე კრიზისი - როგორც ლიბერალთა, ასევე ნეოკონსერვატორთა (ნეოკონთა) და ყველა ფსევდოთა მსოფლმხედველობითი და პოლიტიკური კრახი... მას თანამედროვე პოლიტოლოგიაში ხან „რადიკალურ“, ან „ტოტალიტარულ“, ხან „რელიგიურ“ და ხან „ფუნდამენტალისტურ“ ლიბერალიზმად მოიხსენიებენ. თუმცა ალბათ, სიტყვის („ლიბერტი“ - თავისუფლება) ეტიმოლოგიიდან და სემანტიკიდან გამომდინარე - მე მას უფრო ფსევდოლიბერალიზმს ვუწოდებდი (როგორც ამას არაერთი მოაზროვნე ჭეშმარიტი კონსერვატორი მოიხსენიებს).

მაგრამ ეს, უკვე სხვა დროის და სხვა სამეცნიერო კონფერენციის თემაა.

ალბათ, ამგვარი აგრესიული გლობალისტური-ნეოლითური შემოტევების გამო ერთი ფრანგი ინტელექტუალი ორიგინალური სტილით წერდა: „დღეს ყველაფერი ისე ლპება, როგორც რომის იმპერიის დაცემის ჟამსო!..“

უკვე კარგა ხანია, რაც დღევანდელი სიყალბით, ცრუ მსოფლმხედველობით და უკეთური ზრახვებით გატენილ აგრესიულ გლობალისტურ პოლიტიკურ ეპოქაში, დეკარტისეული „ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ“, შეიცვალა ახალი ანთროპოლოგიური ტიპის ადამიანის, ანტიდეკარტისეული ფორმულის დამკვიდრების მცდელობით - „ვცრუობ, მაშასადამე, ვარსებობ!“ (ვარ და არხეინად ვცხოვრობ!).

ზვიად გამსახურდიას ღრმად სწამდა, რომ „რწმენა და ცოდნა განუყოფელია!“

ზვიადი და მერაბი ეტრფოდნენ ამაღლებულ ჰუმანისტურ იდეალებს იმ განცდით, როგორითაც დიდი გერმანელი მისტიკოსი პოეტი ანგელუს სილეზიუსი (იოჰან შეფლერი) წერდა: „თავისუფლებავ, ვინც არ გეყმო, კეთილშობილო, იმან რა იცის, თუ რას სტირის შენი მიჯნური!“ ეს გულისნადები განწყობილებანი მათ ისე ესმოდათ, როგორც ევროპული (გერმანული) რომანტიზმის დიდ ხელდასხმულს, ჟან-პოლს (ფრიდრიხ რიხტერი), რომელიც მე-18 საუკუნეში წერდა: „კაცობრიობას არ ძალუძს მოიპოვოს ჭეშმარიტი თავისუფლება, თუ არ მიაღწია უზენაეს სულიერ განვითარებას, და პირიქით.“

მახსოვს, საშუალება მომეცა საშუალება, სხვადასხვა დროს ზვიადისა და მერაბისთვის მეკითხა, თუ რომელი პიროვნების (ქართველის თუ უცხოელის) გამონათქვამს, სენტენციას ან ლექსს გამოარჩევდნენ თავისუფლებაზე, მათ ორივემ, ერთნაირად, მცირედი ფიქრის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის პოემიდან ,,ქართვლის დედა “ - ეს მგზნებარე და გულისნადები სიტყვები გამოარჩიეს:

15 გაგრძელება. დასაწყისი იხ „ისინდი“ №15, 16

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის, წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.“

(ამონარიდები ჩემი ჩანაწერებიდან, სადაც მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სიტყვებია დოკუმენტირებული - „ჩემი დღიურები“, 1987-1990 წ.წ.)

დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი ზვიად გამსახურდია და მისი სიყრმის მეგობარი მერაბ კოსტავა, საქართველოს უგვირგვინო მეფის ილია ჭავჭავაძის იდეებზე იყვნენ აღზრდილნი, რომელიც XIX საუკუნეში წერდა:

„ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“.

შემდეგში კი ზვიად გამსახურდია, წმინდა ილია მართლის მსგავსად დაწერს: „...იესო ქრისტე, რომელიც ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის, სიმართლისა და სიქველის იდეალებისათვის, ბოროტების მხილებისათვის ჯვარს ეცვა. ამ ადამიანებს კი ჯვარცმა უკიდიათ ხშირად თავიანთ ოჯახში მოოქროვილი, ვითარცა კედლის სამკაული, ხოლო თავად არ სურთ ეცვან ჯვარს, ასეთ ქრისტიანებს“ ჭეშმარიტი ათეისტები სჯობიან, რომლებიც ადამიანის ღირსებისათვის და უფლებებისათვის იბრძვიან უშიშრად“.

ახლა მითხარით, გეთაყვა, განა ეს შეხედულება სიმართლე არ არის?!

ზვიად გამსახურდიასებურად რომ ვთქვათ, რამდენჯერ უნდა დავინახოთ სიცრუის სიმართლედ გასაღების და ბოროტის კეთილად წარმოჩენის საშინელი მაგალითები?

ვინც სიმართლეს თვალს ვერ უსწორებს, ან უსწორებს, მაგრამ თავს იკავებს, არა მარტო თვითონ იჭრის ღმერთთან მისასვლელ გზებს, არამედ სხვებსაც აბრკოლებს.

ისინი ორივენი, ზვიადი და მერაბი, ისტორიული სამართლიანობის აღდგენას იმედოვნებდნენ, მისთვის იღვწოდნენ და მასვე ამკვიდრებდნენ. სჯეროდათ, რომ საქართველო გახდებოდა ჭეშმარიტ თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთობის ღირსეული წევრი, ღრმად სწამდათ, საქართველო თავის წვლილს შეიტანდა ალტერნატიული იდეური (ეროვნული) მსოფლმხედველობითი და პოლიტიკური ნაკადის „სამართლიანი და თანხმობით მოცული მსოფლიოს შექმნაში“...მაშინ დადგებოდა ჟამი ჭეშმარიტების ღაღადისა და დიდი სახელმწიფოებრივი ცვლილებებისა (იხ. ჩემი წიგნი „ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში“, თბილისი, 2016).

...და რომელ დღესაც, ჩვენ ყველანი მთელი საქართველო, მთელი ქრისტიანული სამყარო აღდგომის ბრწყინვალე სხივებით გასხივოსნებული ველოდებით!..

ქართველი ერის ულმობელი ბედის საკითხი მერაბ კოსტავას ერთგან ამგვარად წარმოედგინა თავის ნააზრევში: „...სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელად გასაძლისი გამოცდები არ მობეზრდება, ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ, თუ მომავალში თავის გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუკი ისედაც ბინდისფერი სოფელი უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც აროდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად... უარესისათვის მზადყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია... უფალს ვინც უყვარს განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან ემბაზში განბანილთა ჭვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.“

ასეთ დროს ძველი ელინები ამბობდნენ: „უკეთესის იმედებით, უარესის გაძლებით“, რამეთუ უწყოდნენ, საღვთო ბრძოლაში მათ თავზე, ადრე თუ გვიან, უცილობლად აღიმართებოდა დამოკლეს მახვილი!..

მეგობრებო, დღევანდელ დღეს, ზვიად გამსახურდიასადმი და მერაბ კოსტავასადმი დიდი პატივისცემისა და აღიარების ნიშნად, მინდა ვთქვა:

მათ ორივემ, ზვიადმა და მერაბმა, მის უდიდებულესობა ქართველ ხალხთან ერთად, შეუძლებელი შეძლეს! რეჟიმთან სწორუპოვარი დაპირისპირების და დაუმორჩილებელი სულით, 70 წლის განმავლობაში ბოლშევიკებისგან დაპყრობილი საქართველო საბჭოთა ტოტალიტარული მონსტრის კლანჭებისგან გამოიხსნეს!..

... და ეს ჩვენ მარად უნდა გვახსოვდეს!.. „ძლევაი საკვირველის“ მსგავსად.

ძვირფასო მეგობრებო, ახალგაზრდებო! ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს - დიახ! მათ ორივემ, ზვიადმა და მერაბმა, ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური და ანტიიმპერიალისტური მთელი ეროვნული ისტორიული ეპოქა შექმნეს.

მამულიშვილნო! დანო და ძმანო! დღევანდელ დღეს თავს უფლებას მივცემ, ვთქვა, ზვიადი და მერაბი იყვნენ იესო ქრისტეს სიკეთის ერთგული მხედრები, ერისა და კაცობრიობის სიკეთის მოციქულები თანამედროვე მსოფლიოში, ბნელეთის ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული კაცნი, ეროვნული სულის გამომაცოცხლებელნი, ამა სოფელში განსაკუთრებული მისსიით მოვლენილნი, მთავარანგელოზ მიქაელის ჭეშმარიტი რაინდები.

ამას თავადვე ამბობდა ღრმადმორწმუნე პრეზიდენტი: „სიმართლისთვის თავდადებამ არ შეიძლება არ მიგვიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყარომდე - ღმერთამდე.“

ახლა ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მართლაც გამორჩეულ და შეუდარებელ ურთიერთობაზე.

ჩემს ახალ წიგნში მერაბ კოსტავაზე, რომელიც მალე გამოვა სათაურით „სიკვდილი... ზოგჯერ ის გვირგვინია“ ვწერ: „მერაბ კოსტავა ქვეყნიერებას 1939 წლის 26 მაისს მოევლინა თბილისში. საქართველოს დამოუკიდებლო-

ბის აღდგენის უძვირფასესი თარიღი 1918 წლის 26 მაისი მთელი თავისი სიდიადით, სიმბოლურ შარავანდედად დაადგა თავზე ჩვენს დიდ მამულიშვილს.

უფალმა ასე ინება, რომ მერაბი ამა წუთისოფელს სწორედ ამ დღეს მოვლინებოდა! (საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეს!), რათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებოდა იმპერიალისტურ „წითელ ურჩხულს“, მითოსურ პლანეტარულ გველეშაპს მის განსაგმირად.

აქვე მსურს გავიხსენო, მერაბის ქრისტესმიერ ძმის, ზვიად გამსახურდიას მიერ სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები (მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, 1989.21.10): **„მერაბ, შენ რეფერენდუმი არ გჭირდება**. დღეს მთელმა საქართველომ გაღიარა შენ დამოუკიდებელი საქართველოს რაინდად, საქართველოს ეროვნულ გმირად!.. რაღად უნდა რეფერენდუმი საქართველოს, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა აღიარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდის დიდება, როდესაც მთელმა ქართველმა ერმა ამოაცილა მერაბი წინაპართა, წმინდანთა და მოღვაწეთა სამკვიდრებელში. განა მერაბთან ერთად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ამოვიდა აქ, ძმანო? განა არ განიწმინდა ამით ჩვენი მოძრაობა, ჩვენი ერი.“

მერაბ კოსტავას დაღუპვით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უმძიმესი დარტყმა მიიღო. თავისი უერთგულესი მეგობრის გამოსათხოვარ სიტყვაში ზვიად გამსახურდია გულწრფელი უბრალოებით გამოხატავდა ამ მძიმე დანაკლისს, რომელიც ქართველმა ხალხმა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე მერაბის სიკვდილით განიცადა: „ძმაო, დამუნჯებული ვართ მწუხარებისგან. გაგვიშრა ცრემლი შენს ძმებს, გაგვიშრა ცრემლი. მძიმეა ტვირთი, რომელიც შეგვატოვე მხრებზე, ძმაო!“

მერაბის დედა ქ-ნი ოლღა დემურია-კოსტავასი შემდგომში იტყვის: „მე ყოველთვის მიკვირდა ბავშვობაში ზვიადს არასოდეს უთამაშია, სულ პატარაც კი, როდესაც ჩვენთან მოვიდოდა, სულ პოლიტიკაზე საუბრობდა. „მერაბ, საქართველო დაპყრობილია, ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ!“ - ეუბნებოდა იგი ხშირად მერაბს.

და ამას აუცილებლად დაამატებდა - „ზვიადს ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ არასოდეს არ უცხოვრია საკუთარი კეთილდღეობისათვის, მისი ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი იყო და არის სამშობლო, ყველაზე წმინდა, რაც კი ადამიანს გააჩნია.“

ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ წელს ვალდებულნი ვართ, ასევე ღირსეულად აღვნიშნოთ საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადებიდან საიუბილეო, 80 წლისთავი.

ბევრი ავისმჩხრეკელი, ძე შეცდომილი ცდილობდა და დღესაც ცდილობს ზვიადისა და მერაბის ურთიერთობას ზადი მოუძებნოს და ამით არა მარტო მათი სახელები შეურაცხყოს, არამედ სუკ-ის ძველი ოცნება აისრულოს და მათი თავკაცობით წარმართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც ლაფით შესვაროს.

მზაკვრობაში გაწაფული კრემლი (სუკ-ი) არ ცხრებოდა და არც თვლემდა... იგი მძვინვარებდა. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, უკომპრომისო და თანმიმდევრული პოლიტიკური მოწინააღმდეგის მხრიდან შეთავაზებულ „საჭადრაკო პარტიაში“ დამარცხებას ვერ ეგუებოდა და თავის გადარჩენის ერთადერთ გზას პოლიტიკური თამაშის წესის დარღვევაში („საჭადრაკო დაფის“ აყირავებაში, ჯერ ჭორებსა და ინსინუაციებში, შემდეგ კი პოლიტიკურ მკვლელობებში) ხედავდა. სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური სეკსოტი, სუკ-ის ინსპირირებით ყოველთვის ლამობდა მერაბის და ზვიადის თოთხმეტი წლის ასაკში დადებული ძმადნაფიცობის მოშლას, თუნდაც ოდნავი ხინჯის შეტანას...

მაგრამ სულ ამაოდ.

მერაბ კოსტავას ჭეშმარიტად შეეძლო გენიალური რუსთველის ფრაზის განმეორება: „ვარ უმტკიცესი რვალისა!“ იგი ამბობს: „ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო, ეს არასოდეს მოხდება.მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს. ეს კი ქვეყნის დანგრევას უდრის!“ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ზვიად გამსახურდიას 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვიდან, 31 მარტი,1989 წ.).

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მეგობრობა კლასიკური ნიმუშია მოძმეთა შორის რაინდული ურთიერთობისა. ზნეობრივი სიმაღლით და სიმტკიცით რუსთველისეული ტარიელისა და ავთანდილის ძმადნაფიცობას თუ შეედრება.

„გონება და სინდისი არასოდეს შორდებოდა ერთმანეთს“ (მერაბ კოსტავა), რამეთუ ზვიადს და მერაბს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივით სწამდათ იმ უკვდავი ტრიადისა, რომელზეც რუსთველი ამბობს: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია“.

და მაინც, მრავალ ახლობელთა, მეგობართა, ძმაკაცთა, თანამებრძოლთა შორის მერაბისთვის ყველაზე გამორჩეული ქრისტესმიერი ძმა, მისი ძმადნაფიცი ზვიად გამსახურდია იყო. მისივე სიტყვებია: **„პირველობა ეკუთვნის ზვიადს“** ამის თაობაზე ქართულ პრესაში თავის ინტერვიუებში, მერაბის დედამ, ქ-ნმა ოლღა დემურია-კოსტავამ არაერთხელ გაიხსენა: „მე, როგორც მერაბის დედა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზვიადისა და მერაბის მეგობრობა იყო ყოველთვის ქრისტესმიერი, ჭეშმარიტი და შეუბღალავი, და ძალიან განვიცდი, როდესაც ჩირქს სცხებენ მათ მეგობრობას.“

მეგობრებო, ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ: მათ მართლაც, უნიკალურ ურთიერთობაზე, მაგრამ ალბათ საინტერესოა, როგორი სიდიადის პიროვნებად მიაჩნდა მერაბს ზვიადი!..

მერაბ კოსტავას ყოველგვარი ინილო-ბინილოს გარეშე მიაჩნდა, რომ ზვიად გამსახურდიას ღვთისაგან უდიდესი ისტორიული მისია ჰქონდა დაკისრებული. მეყვსეულად მახსენდება მის მიერ თქმული შთამაგონებელი და ამთავითვე დაუვიწყარი სიტყვები: „ზვიად გამსახურდია ეს ის კაცია, რომელიც მსოფლიო ისტორიის ჩარხს დააბრუნებს.“

მერაბი, ჭეშმარიტად მართალი იყო და მისი ეს პროგნოზი ზუსტი აღმოჩნდა...

მაგრამ ეს იყო გაელვებასავით, მოკლე დროით, სულ მალე, ცრუ და მუხთალმა საწუთრომ, კაცობრიობის შავბნელმა ძალებმა „მსოფლიო ისტორიული ჩარხი“ ისევ უკუღმა დაატრიალეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ივა ქადაგიძე

ზამთრის ვარდები მთანმინდაზე
ბარათაშვილის ოგოლ ცრემლად შემოიკაბმნენ
ზამთრის ვარდები მთანმინდაზე...
სულო გოროტო, განჟარდები!
მიწიერ ნაღველს მზის ფეტარდები
ჩვილ დუმილით დაატარებენ.
უფლის გარდა ვის ფედარდებით?!
ცოდვას ამგავსეს სულის სინაზე
უსაგნო ხმაურს ვერ იტევენ მატადორები
სივრცეს თუ ურჟენ, უსახელოდ არ დამდორდები,
აქ ვის ჰანგებს ითრთვილავს მუზა?!
ტიტანთა გულებს ვინ განაგებს?!
გარინდულ მერანს მზე უზამთრებს დაუმზრალ უზანგს
არასდროს სძინავს ჩუმ გულთამხლავს
პირცეცხლად მარცვლავს უჟამო სილას,
მზე ზრუნავს ქნარზე.
ქრისტეს კრისტალურ სიმღერად ქმნილა
ზამთრის ვარდების ხმა მთანმინდაზე...
11.01.2022.